

საზოგადოებრივი  
საქმიანობის  
საპროექტო

საზოგადოებრივი საქმიანობის  
საპროექტო



4

თბილისი  
1984

სრულიად საქართველოს საპატრიარქო

ს ა ღ ვ თ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო  
კ რ ე ბ უ ლ ი

№4

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად  
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ი ლ ი ა II

დგაწლითა და ღოცვა-კურთხევით

თ ბ ი ლ ი ს ი

1984

ამ წერილის მიზანია დაანახვოს ირრელიგიურად განწყობილ ჩვენს ისტორიკოსებს, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თავად ისტორიკოსის რელიგიურობას, მის „რელიგიურ მუსიკალობას“ (მაქს ვებერი)\*, როგორც საკუთრივ რელიგიის ისტორიის, ასევე, იმ ისტორიული ეპოქის კვლევისა და შეფასებისათვის, რომლის აზროვნების მთავარ წარმმართველ ძალას რელიგია წარმოადგენდა (მაგ., შუა საუკუნეები)\*\*. ვილჰელმ დილთაის ფუნდამენტალურ აზრს თუ გაციზიარებთ, რომ ისტორიული შემეცნება წარმოადგენს ობიექტის ში-

I იბეჭდება შემოკლებით. იქედ.

\* В.Тэрнер, СИМВОЛ И РИТУАЛ, пер. с англ., М., 1983г., стр. 8.

\*\* აქ აღარაფერს ვამბობთ თავად რელიგიურ, საეკლესიო მოძღვრებათა ცოდნაზე, რომელიც აუცილებელია ისტორიკოსისათვის, რომლის კვლევის საგანია ეპოქა, სადაც წამყვან იდეოლოგიას სწორედ ასეთი მოძღვრება წარმოადგენს (მაგ., იგივე შუა საუკუნეების ეპოქაში ასეთი გაბატონებული იდეოლოგიაა ქრისტიანული რელიგიის მოძღვრება). აზრის ნათელსაყოფად ვიტყვი, რომ ასეთი ცოდნის გარეშე არ შეიძლება ამდაგვარი ეპოქის შესწავლა, ისევე, როგორც, მაგ., კომპარტიის ისტორიის შესწავლა არ შეიძლება, თუ არაფერი ვიცით მარქსიზმის მოძღვრების შესახებ. ასე, რომ ზემოთ ამ ტრივიალურ ჭეშმარიტებაზე კი არა გვაქვს საუბარი, არამედ იმაზე, რომ ისტორიკოსს რელიგიური მოძღვრების ცოდნის გარდა თვით რელიგიურ ობიექტს უნდა გააჩნდეს. სოლო თუ რას წარმოადგენს ეს რელიგიურობა ანუ რელიგიური გამოცდილების

F16333



ნაგან განცდას (*Erlebnis*) ისტორიკოსის მიერ, რომელიც ცოცხლობს თავის ობიექტში, უფრო სწორედ, რომელიც აიძულდება ობიექტს, რომ ამ უკანასკნელმა იცოცხლოს მასში, მაშინ უფრო მკვეთრად წარმოგვიდგება იმ ისტორიკოსთა შეზღუდულობა, რომელნიც რელიგიური ფენომენისადმი რჩებიან ყრუდ, ხშირად ხელოვნური, ინტელექტუალური მიზნების გამო, როგორცაა მაგ. მატერიალისტური მსოფლმხედველობა. რელიგიისადმი ასეთი მიდგომა ისტორიკოსს ისტორიის მთელ პერიოდებზე შეუქმნის არასწორ წარმოდგენას, რადგან იგი „ვერ შესძლებს თავის თავში ამ ეპოქათა ცხოვრების რეკონსტრუირებას საკუთარი ცდის თავისებურებისა და იმ დროის თავისებურების გამო, რომელშიაც ცხოვრობს თვითონ“; იგი აღმოჩნდება იმ ყალბ მდგომარეობაში, როგორც ერთდროს „განმანათლებლური რაციონალიზმი, რომელიც ხშირად თავისი დროის ვიწრო გონებას გულუბრყვილო გზით საერთოდ ადამიანურ გონებად მიიჩნევდა და იმისაკენ იხრებოდა, რომ ყოველივე, მარტოდენ ისტორიულად ჩამოყალიბებული, შეცდომადად განეხილა“.<sup>\*\*\*</sup> თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია ასეთსა ან

არსი - ამას, ამ საკითხის გარკვევას, წინამდებარე წერილის უმეტესი ნაწილი ეთმობა.

\* P. Дж. Коллингвуд, Идея истории, пер. с англ., Москва 1980 г., стр. 165.

\*\* P. Дж. Коллингвуд, Идея истории, М. 1980 г., стр. 313.

\*\*\* A. Brunner, Die Grundfragen der Philosophie, Freiburg 1956, S. 102.

ნაცრისფერ პოზიტივისტურ მიდგომას ჩვენს კვლევაში, ამას რამდენიმე მაგალითით ნათელგყოფთ, რომელიც დაგვანახებს, რომ ყალბი მეთოდოლოგიური პოზიციიდან ამოსული თვით ცნობილი ისტორიკოსები და ეთნოგრაფები ხშირად კურიოზულ შეცდომებს უშვებენ.

ცნობილია ლუის ჰ. მორგანმა, ავტორმა წიგნისა „ძველი საზოგადოება“\*, იროკეზული კულტურის რელიგიური ასპექტის შეფასებისას სენეკას ტომის ინდიელების წარმომადგენელთა კრიტიკა დაიხსახურა: „ის, რასაც იგი ამბობს, არაფერი არაა ყალბი, მაგრამ მასში არ არის არც წესმარტება. მას უბრალოდ არ ესმის, თუ რაზე საუბრობს“\*\*. პოზიტივისტური კვლევის შედეგებს ამჟღავნებს აგრეთვე ცნობილი ლევი-ბრიული პირველყოფილი აზროვნების შეფასებისას\*\*\*. ჩვენი აზრით, იგი სამართლიანად გააკრიტიკა დიდმა რუსმა ფილოსოფოსმა ნიკოლაი ლოსკიმ: „აზრი საგანთა ერთიმეორეში თანამონაწილეობისა და მათი იგივეობისა, ლევი-ბრიულის შეხედულებით, - ამბობს ნ. ლოსკი - ვარაუდობს უყურადღებობას წინააღმდეგობის კანონისადმი; ამიტომ ახასიათებს იგი პირველყოფილი ადამიანის გონებას, როგორც წინააღმდეგობის, *prélogique*, არა იმ აზრით, რომ ეს გონება ანტილოგიკურია ან ალოგიური, არა-

\* Льюис Г. Морган, Древнее общество, Ленинград 1934 г.

\*\* В. Тэрнер, Символ и ритуал, М., 1983 г., стр. 105.

\*\*\*

Л. Леви-Брюль, Первобытное мышление, М., 1930 г.

\*\*\*\* ნ. ლოსკი, პირველყოფილი ადამიანისა და განათლებული ევროპელის ინტელექტი, ჟურნ. "Современныя Записки", XXVIII, Париж 1926; შემდეგი ციტატების ამ სტატიიდანაა.

მედ მხოლოდ იმ გაგებით, რომ იგი არაიშვიათად არღვევს წინააღმდეგობის კანონს, ექვემდებარება რა უპირატესად თანამონაწილეობის კანონს“.

„ლევინ-ბრიულის მიერ მოცემული პირველყოფილი ხალხების ინტელექტის დახასიათება, - განაგრძობს ნ. ლოსკი - გარდა ემპირიული განზოგადებებისა, რომელნიც დაფუძნებულნი არიან უდავოდ დადასტურებულ ფაქტებზე, თავის თავში შეიცავს აგრეთვე სადავო, შესაძლოა, მცდარ ახსნა-განმარტებებს, რომელნიც განპირობებულნი არიან ევროპელის გონება-განწყობილებით (*mentalité*), მიდრეკილით პოზიტივიზმისაკენ“.

ლევინ ბრიულის ეს „მცდარი ახსნა-განმარტებები“, ლოსკის აზრით, ვლინდება იქ, სადაც იგი პირველყოფილი ინტელექტის მიერ განჭვრეტილ „საგანთა ერთიმეორეში თანამონაწილეობას“ ლოგიკური წინააღმდეგობის კანონის დარღვევად აცხადებს. ლოსკის აზრით, „ზუსტად ასევე წარმოუდგენია ქრისტიანს ღვთის სამეუფო, როგორც სრული ერთსულოვნება ყველა არსებათა, რომელნიც ღმერთში არიან გაერთიანებულნი მისდამი და ურთიერთსიყვარულით. მას წარმოუდგენია, რომ ისინი ქმნიან „ერთ სხეულსა და ერთ სულს“, თუმცა თითოეული სული ინარჩუნებს თავის ინდივიდუალურ სახეს და პირველადაც ამდაგვარ საჯარო ქმედობაში ავლენს თავს უკიდურესი სისავსით. გონება, სტილიზებული პოზიტიური მეცნიერულობის სულისკვეთებით, არ გებულობს და არ უშვებს ყოფიერების ამდაგვარ აგებულებას. ყოველივე თქმულიდან გამომდინარეობს, რომ ეს უარყოფა აღმოცენდება ამ ინტელექტის არა დიდი სრულყოფილების შედეგად, არამედ მისი გაღარიბების გამო“.

-----

\* როგორც ცნობილია, ლევინ-ბრიულმა შემდეგში უარყო პირველყოფილი აზროვნების ეს თავისი წინააღმდეგობის კანონი.

ირრელიგიურობის გამო მკვლევარის მიერ ისტორიული სიტუაციის ყალბი გაგების შემდგომ მაგალითად მოვიყვანთ ცნობილი თეოლოგისა და რელიგიის ისტორიკოსის ვლადიმირ ლოსკის გამონათქვამს ისეთ ადიარებულ ისტორიკოსზე, როგორც შარლ დილია (*Ch. Di-ehl. Byzance Grandeur et décadence*). აი, რას ამბობს ვლ. ლოსკი: „ფერისცვალება უფლისა ცენტრალურ ადგილს იკავებს წმ. გრიგოლ პალამელის აზროვნებაში. თითქმის მთელი კამათი ვარდება მთან და აკინდინთან გაიმართა იმ საკითხის გამო, რომ ქმნილია თუ შეუქმნელი ფერისცვალების ნათელი, -საკითხი, რომელიც ადამიანებს (იგულისხმება შ. დილი, ვ. რ.), რომელთათვისაც უცხოა რელიგიური ცხოვრება, შესაძლოა მოეჩვენეთ სქოლასტიკურ ხრიკად, „ბიზანტინიზმად“\*.

ერთი მაგალითი ქართული ისტორიოგრაფიიდან. თავის დროზე პოზიტივისტური პოზიციებიდან ამოსულმა ივ. ჯავახიშვილმა ცნობა წმ. ანდრია მოციქულის საქართველოში ყოფნის შესახებ ლეგენდად გამოაცხადა. იგი ამის გამო გააკრიტიკა მამა მიხეილ თამარაშვილმა. მსოფლმხედველობრივმა პოზიციებმა ისტორიკოსს ხელი შეუშალეს სწორად შეეფასებინა ისტორიული სიტუაცია. მ. მიხეილ თამარაშვილი წერს: „ძნელია დავიჯეროთ, როგორც ამაში ჯავახოვი გვარწმუნებს, თითქოს ლეგენდა წმინდა ანდრიას მოციქულობაზე უცბად გავრცელებულიყოს საქართველოში IX საუკუნეში. ეს იმის ნიშანი იქნებოდა

კ უ რ ა მ დ ე ლ ი თეორია. იხ. А. Лосев, Мифология, "Фило-софская Энциклопедия", т.3, Москва 1964г., стр. 463.

\* Vladimir Lossky. *À l'image et à la ressemblance de Dieu. Abier-Montaigne, Paris 1967.*

ამ სტატიის რუსული თარგმანი იხ. Журн. Московской Патриархии 1968 г., №3, №4.



დაგვეშვა, რომ წმინდა მამები ყოფილან დიდი თაღლითები და თველები კი გულუბრყვილო ერი. ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ასეთ შეფასებას იმსახურებენ ან ერთნი ან მეორენი“.

მეორე მხრივ, ისტორიკოსის რელიგიურობა ხშირად საწინდარი ხდება ისტორიული სიტუაციის სწორი შეფასებისა. მაგ., დიდი რუსი ფილოსოფოსი ვლადიმირ სოლოვიოვი, ახასიათებდა რა ქრისტიანულ ბიზანტიას, აღნიშნავდა მის „შეურიგებელ“ გაორებას: „ერთი მხრივ აქ ჩვენ ვხედავთ ეკლესიას, როგორც ღვთაებრივი სტიქიისა და ქრისტეს ჭეშმარიტების მატარებელს, ხოლო მეორე მხრივ - ნახევრად წარმართულ საზოგადოებასა და სახელმწიფოს, დაფუძნებულს რომაულ სამართალზე“. შემდგომ, სხვა ადგილას, იგი აგრძელებს: „მუსულმანებს, ამგვარად, ჩვენს წინაშე აქვთ ის უპირატესობა, რომ მათი ცხოვრება ეთანხმება მათ რწმენას, რომ ისინი ცხოვრობენ თავიანთი რელიგიის კანონის მიხედვით, ისე, რომ თუმცა მათი რწმენა არაჭეშმარიტია, მაგრამ მათი ცხოვრება ყალბი არაა; რადგან მისი კანონი ერთია და თავის თავთან შეთანხმებული, მათ არა აქვთ ცხოვრების სხვა წესი, გარდა იმისა, რასაც იძლევა მათი რელიგია. მაშინ, როდესაც ჩვენ, ვაღიარებთ რა რწმენის მიხედვით ქრისტიანულ კანონს, ჩვენს ნამდვილ ცხოვრებას ვაწყობთ სულ სხვა კანონის მიხედვით, რომელიც მემკვიდრეობით მივიღეთ წინაქრისტი-

• Michel Tamarati, L'EGLISE GEORCIENE, Rome 1910.

შესაბამისი თავის მ. ევარანაშვილისეული ქართული თარგმანი იხ. ჟურნ. „საღვთისმეტყველო კრებული“, №12, თბ., 1983 წ.

ანულ დროთაგან. გვწამს რა სულიერი ადამიანისა, ე.ი. ღვთაებებთან შინაგანად შეერთებულისა, ჩვენ ვცხოვრობთ ბუნებრივი ადამიანის კანონის მიხედვით, ე.ი. ღვთაებისათვის უცხოში. და როცა ღვთისმოსავი მემატთანე, აღწერს რა მუსულმანურ თავდასხმას და მის წარმატებას განმარტავს, როგორც სასჯელს თვით ქრისტიანთა ცოდვების გამო, მაშინ ამ გულუბრყვილო აღიარებას გააჩნია უფრო ღრმა აზრი, ვიდრე ეს ერთი დანახვით მოჩანს“\*;

ზემომოყვანილი მსჯელობა და დასკვნები ეფუძნებიან არა მარტო ისტორიულ წყაროთა ცოდნასა და მათ ანალიზს, არამედ პირად რელიგიურ გამოცდილებასაც. ან, მაგალითად, როდესაც რელიგიის ისტორიისა და მისტიკის მკვლევარი გუნდოლფ გიერათი მე-14 საუკუნის გერმანელ მონაზონ ქალთა მისტიურ ფენომენებზე მსჯელობს და ასკვნის, რომ წინასწარგანზრახულ ტყუილზე ან შეგნებულ გადაჭარბებაზე მონაზვნებთან არ შეიძლება ლაპარაკი. აქამდე არ დაეშვებოდნენ ელზბეტ შტაგელი, კატარინა გებვიაილერი ან ქრისტიანა ებნერი. რომ ღმერთს ამდაგვარი ნუგეშისცემათა მინიჭება ძალუძს, რომ იგი მათ დროდადრო ანიჭებს კიდევ, ეს ყველა კათოლიკესათვის ეჭვგარეშეა“\*\*. ასეთი დასკვნის გამოტანის შესაძლებლობას ზემოხსენებულ მკვლევარს ანიჭებს მისი უტყუარი რელიგიური გამოცდილება, ანალოგიის მეთოდით წარსულის პიროვნებათა სულში შთაგრძნობის უნარი.

-----  
\* იხ. Соор. соч. Владимира Сергеевича Соловьева, т. IV (1883 - 1887), СПб., стр. 40, 43.

\*\* გერმანელი მისტიკოსები, გამოცემა და შესავალი გუნდოლფ გიერათისა (გერმანულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ.რცხილაძემ) - „სადღვისმეტყველო კრებული“ №13, აბილისი 1983, გვ. 93.

მაგრამ ჩამოთვლილიც უკვე საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რამდენად სჭირდება ჩვენს ისტორიკოსს რელიგიური გამოცდილება, რომ ამ გამოცდილებასთან ანალოგიის გზით სწორი დასკვნები გამოიტანოს წარსულის მოვლენებზე. „ზოგიერთი ისტორიკოსი, - ამბობს რ.კოლინგვუდი - ზოგჯერ მათი მთელი თაობები, ვერ პოულობენ ისტორიის ამა თუ იმ პერიოდში ვერაფერ გონიერულს და უწოდებენ მათ ბნელ საუკუნეებს; მაგრამ ასეთი დახასიათებანი არაფერს არ გვეუბნებიან თვით ამ საუკუნეების შესახებ, თუმცა კი საკმაოდ ბევრს გვეუბნებიან იმ ადამიანთა შესახებ, რომელნიც მიმართავენ ასეთ განსაზღვრებებს, სახელდობრ - გვიჩვენებენ, რომ ამ ადამიანებს არ შესწევთ ძალა აღადგინონ აზრები, რომელნიც საფუძვლად ედოთ ცხოვრებას იმ ეპოქებში“\*. მართალია, ზემომოყვანილი მაგალითების მიხედვით ზოგიერთი მკვლევარი უფრო ცუდ პირობებში იმყოფება სხვასთან შედარებით. მხედველობაში გვაქვს ის სიძნელე, რასაც აწყდება მკვლევარი, ვთქვათ, პირველყოფილი ადამიანის ფსიქიკის გაგებისას. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში ბახოფენი წერდა მორგანს: „გერმანელი სწავლულნი წარსულის ახსნას გვთავაზობენ ახლანდელ დროში გაცრცელებულ იდეათაგან გამომდინარე. მაგრამ წარსულის აღდგენაში ისინი მხოლოდ თ ა ვ ი ა ნ თ თ ა ვ ს ხედავენ. ჩვენგან განსხვავებული აზროვნების სტრუქტურაში შეღწევა - უმძიმესი ამოცანაა“\*\* - ხოლო რაც შეეხება ჩვენს რელიგიურ გამოცდილებას, რომელიც ქრისტიანული რელიგიის გამოცდილებაა, იგი გასაღებს მოგვცემს ქრისტიანული წარსულის გასაგებად. ამიტომაც, მა-

\* P. Дж. Коллингвуд, Идея истории, М., 1960, стр. 208.

\*\* იხ. В. Тёрнер, Символ и ритуал, М. 1983, стр. 105.

გაღიზიანდა, რომ „თუმცა ჩვენს განკარგულებაში ბევრი ცნობებია მის რელიგიის შესახებ, მაგრამ ჩვენი საკუთარი რელიგიური გამოცდილება ისეთი არაა, რომ ჩვენ შეგვეძლოს საკუთარ გონებაში რეკონსტრუირება იმისა, თუ რას წარმოადგენდა რელიგია რომაელთათვის“. მაგრამ აქვე დავძეწოთ, რომ ირრელიგიური ისტორიკოსისაგან განსხვავებით, ქრისტიანული რელიგიური გამოცდილების მქონე ისტორიკოსი, ამოსული რელიგიის ზოგადი არსიდან, უფრო გაუგებდა რომაულ რელიგიას, ვიდრე - პირველი.

ჩვენი წერილის დასაწყისში მოვიყვანეთ დილთაის აზრი იმის შესახებ, რომ ისტორიული შემეცნება წარმოადგენს ისტორიკოსის მიერ საკუთარი საგნის შინაგან განცდას. „მაგრამ პრობლემა ისტორიული ცოდნისა მაინც კიდევ არ არის გადაწყვეტილი, რადგან სიცოცხლე დილთაისათვის წარმოადგენს უშუალო ცდას, რომელიც განსხვავდება რეფლექსიისაგან ან ცოდნისაგან; ისტორიკოსისათვის არაა საკმარისი, რომ იგი იყოს იულიუს კეისარი ან ნაპოლეონი“; ამას ისევე ვერ მივყვებით იულიუს კეისარისა ან ნაპოლეონის შეცნობისაკენ, როგორც იმ აშკარა ფაქტს, რომ საკუთარი „მეს“ არსებობის ცოდნას „ვერ მივყვართ საკუთარი თავის შეცნობისაკენ“. სანამ ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთი მხრივ დილთაი - შპრანგერისეულ, ხოლო მეორე მხრივ - ნეოჰეგელიანურ - კოლინგვუდისეულ ცდას შევებოდე და მათ მიმართებას რელიგიასთან, შევეცდები ჩემს წარმოსახვით მოსაუბრეს, ირრელიგიურ ისტორიკოსს, ზოგი რამ მივანიშნო რელიგიური გამოცდილების არსის შესახებ.

\* P. Дж. Коллингвуд, Идея истории, М., 1980, стр. 315.

\*\* *ibidem*, стр. 165.

ამასთან, გვახსოვს რა, რომ ისტორიკოსი ხშირად სწორედ ინ-  
 ტელიქტუალური მიზნების გამო ვერ ღებულობს რელიგიურ გამოცდი-  
 ლებას, რადგან მის მიმართ შეპყრობილია წინასწარშექმნილი უარ-  
 ყოფითი აზრით, საჭიროდ მიგვაჩნია, რელიგიური გამოცდილების არ-  
 სზე საუბრის დაწყებამდე, ჯერ პატარა და ნათელი მაგალითით ფილო-  
 სოფიის ისტორიიდან იმის ჩვენება, თუ რად უშვებდნენ ფილოსოფოსე-  
 ბი სწორედ რაციონზე დაყრდნობით მიღმური, ზერეალური სამყაროს არ-  
 სებობას, რომელსაც გულისხმობს ყველა რელიგია, როგორც თავის სა-  
 ფუძველს. ერთ ასეთ მაგალითად ფილოსოფიის ისტორიიდან ჩვენ მო-  
 ვიყვანთ ფიხტეს მიერ ცნობიერების ანალიზს („ცნობიერების ფაქ-  
 ტების შესახებ“, 1813 წ.). ესაა ლექციების კურსი, რომლის მარ-  
 ტივსა და ნათელ გამოცემას ჩვენ დავესესხებით ფიხტეს მკვლევა-  
 რსა და მის პოპულარიზატორს ბ. ვიშესლავცევს.

როგორც ფიხტეს ლექციების კურსის დასახელება გვიჩვენებს,  
 პრობლემას წარმოადგენს ფ ა ქ ტ ი: „რა არის ფ ა ქ ტ ი? ეს

\* უფრო ვრცლად ამ საკითხების შესახებ იხ. ქ. ჰუნდერი, დვთის  
 არსებობის მტკიცებები, გერმანულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა  
 და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ, „საღვთისმეტყველო კრებული“  
 №10, თბილისი 1982. აღნიშნული წიგნის წინასიტყვაობაში ჩვენ  
 გვებოძა აგრეთვე მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართების  
 საკითხებს.

\*\* Б. Вышеславцев, Этика Фихте, Москва 1914 г.,

стр.28-29. ციტატები შეკვეცილია.

ისაა, რაც არის, უბრალოდ „არის“ ყოველგვარი „საიდან“ და „რატომ“-ის გარეშე, ეს - ყოფიერებაა. მაგრამ განა გენეზისი, პრინციპი, არ არის ასევე ყოფიერება და თანაც უფრო ღრმა, თავდაპირველი და შესაძლოა უფრო არსებითიც? განა პრინციპიატი პრინციპის წყალობით არ არსებობს? აქ არ შეიძლება დაეჭვება: პრედიკატი „არის“ განეკუთვნება როგორც ერთს, ისე მეორეს, საერთოდ ყოფიერება ორივეს მოიცავს. მაგრამ აქ ყოფიერების ორი სახეა და ორი აზრით გამოთქმისა „არის“. პირველად ითქმება: არსებობს სინამდვილეში, მეორედ: არსებობს, მაგრამ სხვაგვარად, არსებობს, მაგრამ არასინამდვილეში, ან, არსებობს ზერეალობაში (*Nichtwirklich, oder Ueberwirklich*). „ყოველგვარი გაგება ყოველგვარ სინამდვილეზე მაღლა იმყოფება, როგორც სინამდვილის პრინციპი და არასოდეს არ არსებობს, როგორც სინამდვილე, რადგან აბსოლუტური პრინციპი არასოდეს არ ამოიწურება პრინციპიატში“. ამგვარად ჩვენ გვაქვს „ორმაგი, თავის თავთან დაპირისპირებული ყოფიერება: რეალური და ზერეალური, გრძნობადი და ზეგრძნობადი, სულიერი“. ფაქტისა და პრინციპის დაპირისპირებულობა ღრმავდება და წყდება რეალური და ზერეალური ყოფიერების დაპირისპირებულებით. ფიხტე კითხულობს: რას ნიშნავს პრინციპის, წმინდა ცნების რეალობა? იგი მდგომარეობს მასში, რომ ცნება გარკვეული სახით განსაზღვრავს ობიექტთა სამყაროს; მისი მეშვეობით ვიაზრებთ ჩვენ ობიექტებს; ასე, მაგ., ბუნებას ჩვენ ვიაზრებთ მიზეზობრიობის ცნების მეშვეობით, ადა-მიანთა საზოგადოებას - სამართლის ცნების მეშვეობით, მაგრამ ეს ცნებები (კატეგორიები) არ ძეგს ცდაში, ისინი მეტაფიზიკურნი

არიან იმ აზრით, რომ მათი რეალობა სხვაგვარია, განსხვავებულია ცოცხალ ადამიანთა ან ბუნებრივ საგანთა, რომელთაც ჩვენ ვხედავთ, რეალობისაგან. მაგრამ მათი მეტაფიზიკური რეალობის უარყოფით ჩვენ გავხედებით „ველური, რომელიც ამბობს: თქვენი მიზეზობრიობა და თქვენი ურთიერთქმედება არ არიან რეალურნი, რადგან არ შეიძლება მათი შექმნა“. ტრანსცენდენტალური მეთოდი გადადის ცდაში მოცემული ყოფიერების **ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ს მ ი ღ მ ა**, მაგრამ მისი გადასვლა (*transscendere*) არ წარმოადგენს სიცარიელეში გადასვლას, იგი აღმოაჩენს სხვა ყოფიერებას, პრინციპთა ყოფიერებას, იდეათა სამყაროს“. ასევე, გნოსეოლოგიურად ამ იდეათა ცვრეტის შესაძლებლობას გვპირდება ჩვენი საუკუნის ინტუიტივიზმი: „სხვადასხვაგვარობამ ცოდნის საგანსა და აქტს შორის შესაძლოა კიდევ უფრო დიდ ხარისხს მიიღწიოს: ცოდნის საგანს შესაძლოა **ს ა ვ ს ე ბ ი თ ა რ გ ა ა ჩ ნ დ ე ს დ რ ო ს თ ე ი ს ე ბ ა ნ ი**, იგი შესაძლოა განეკუთვნებოდეს **ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს** და **ა რ ა ხ დ ო მ ი ღ ე ბ ი ს** სფეროს, ე.ი. იმყოფებოდეს ცვლადობის პროცესის მიღმა, როგორც რაღაც უფროს, და მიუხედავად ამისა მასზე შეიძლება იქნეს მიპყრობილი ყურადღება შემემცნებელი სუბიექტისა; სხვა სიტყვებით, არაფიქსირებული დაბრკოლება არ არსებობს იმისათვის, რათა დაკვირვების საგნად გახდეს მარადიული (უფროს) ყოფიერება: **ჭ ვ რ ე ტ ი ს ა ქ ტ ი შ ე ი ძ ლ ე ბ ა ე რ თ წ ა მ ს გ რ ძ ე ლ დ ე ბ ო დ ე ს**, **მ ა გ რ ა მ ი ს**, **რ ა ს ა ც ჭ ვ რ ე ტ ე ნ**, **შ ე ს ა ძ ლ ო ა ი ყ ო ს მ ა რ ა დ ი უ ლ ი**. ამგვარად ინტუიტივიზმის თეორია უბრუნდება იდეათა ცვრეტის შესახებ მოძღვრებას, რომელსაც საფუძველი პლატონმა დაუდო. თუკი შევთანხმდებით ვუწოდოთ დროის-მიერს - **რ ე ბ ლ უ რ ი ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა**, ხოლო უფროს -

ი დ ე ა ლ უ რ ი ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა, მაშინ შეიძლება ითქვას,  
რომ ინტივიტივიზმის თეორიის მიხედვით ცოდნის საგანი შეიძლება  
იყოს როგორც რეალური, ასევე იდეალური ყოფიერება“.\* „ანსხვადე-  
ბს რა ცნებებს ტრანსცენდენტური შემმეცნებელი ინდივიდუუმის მი-  
მართ“ და „ტრანსცენდენტური ცოდნის მიმართ“, ინტივიტივიზმი იპო-  
ვებს უფლებას იმის მტკიცებისას, რომ მეტაფიზიკა, კანტის მიერ  
უარყოფილი, როგორც ტრანსცენდენტური, ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე შ ი  
ს უ ლ ა ც ა რ ა რ ი ს ტ რ ა ნ ს ც ე ნ დ ე ნ ტ უ რ ი : სა-  
გნები, რომელიც მას აინტერესებს, უმრავლეს შემთხვევებში, მარ-  
თალია, ტ რ ა ნ ს ც ე ნ დ ე ნ ტ უ რ ნ ი არიან შემმეცნებადი  
ი ნ დ ი ვ ი დ უ უ მ ი ს მიმართ, მაგრამ ისინი ც ო დ ნ ი ს  
ი მ ა ნ ე ნ ტ უ რ ნ ი არიან“.\*\*

ზემოხსენებული ბ. ვიშესლაცევი, ფიქტეს აზრების გადმოცე-  
მისას, განაგრძობს: „ერთი რამ ვიცით დანამდილებით: აბსოლუტუ-  
რი, ყოველ შემთხვევაში, საყოველთაო - ერთია, ყველაფერი ყველა-  
ფერში; აქტუალური უსასრულობა, ყოველ შემთხვევაში, იმყოფება  
მასში, როგორც მისი მომენტი, იგი ყოველ შემთხვევაში, იმაზე  
ნ ა კ ლ ე ბ ი ა რ ა ა, ვიდრე უსასრულობათა უსასრულობა. მა-  
გრამ ჩვენ თუ ჩადუფიქრდებით ამ ცოდნას აბსოლუტურის შესახებ,  
მაინც უდავო და არა მცირე ცოდნას, დავრწმუნდებით, რომ იგი მხო-  
ლოდ უარყოფითია: იგი მხოლოდ გამოთქვამს, თუ როგორ არ უნდა გა-  
ციაზროთ აბსოლუტური; იგი არ უნდა გაციაზროთ როგორც სასრული და  
როგორც პოტენციალური უსასრულო. უნდა ავმადლდეთ აქტუალურ - უსა-  
სრულოს საფეხურზე, მაგრამ ისიც ა რ უნდა მივიდოთ თვით აბსო-

\* Н. Лосский, Введение в философию, Петроград 1918, с. 278-279.

\*\* იქვე, стр. 292-293.



ლუტად. ცნება არის მხოლოდ ჩრდილი აბსოლუტისა, და უნდა მხოლოდ  
 აღდეთ ზურგით ჩრდილისაკენ, რათა დავინახოთ მზე. ფიხტე ამტკი-  
 ცებს, რომ ცნება ღვთის შესახებ ყოველთვის მხოლოდ უარყო-  
 ფითია, დადებითი შინაარსი აბსოლუტისა მხოლოდ გ ა ნ ი ც დ ე-  
 ბ ა\*.



წმ. თომა აკვინელის ცნობილმა სიტყვებმა იმის შესახებ,  
 რომ „ღვთის შემეცნებისაკენ მხოლოდ გონების გზა რომ მიემართე-  
 ბოდეს, მაშინ ადამიანთა მოდგმა უდიდესი უმეცრების წყვედადში  
 დარჩებოდა: ამ შემთხვევაში ღვთის შემეცნება, რომელიც ადამია-  
 ნებს უმაღლეს სრულყოფილებასა და სიკეთეს აძლევს, ეღიროებოდა  
 მხოლოდ რამდენიმეს და ისიც დიდი ხნის შემდეგ“<sup>\*\*</sup> - ბრწყინვალე და-

\* Б. Вышеславцев, Этика Фихте, Москва 1914 г., стр. 202.

დღევანდელი ფილოსოფიური აზრი (ნიკ. კუზანელზე დაყრდნო-  
 ბით) ეძებს აზროვნების გზით მოიპოვოს ცოდნის ის შინაარსი, რაც  
 მისტიური განცდით მიიღწევა. იხ. Oscar Oppenheimer, Der  
 Wahrheitsgehalt Mystischer Erfahrung (oder: mit  
 Cusanus über Cusanus hinaus), in: „Zeitschrift  
 für Philosophische Forschung“, Januar-März  
 1972, Bd. 26, Heft 1.

\*\* Антология мировой философии, т. I, ч. 2, Москва 1969 г.,  
 стр. 858.

დასტურება ჰპოვა სამეცნიერო ლიტერატურაში, როდესაც ჩვენი სტუ-  
კუნის დასაწყისში გამოვიდა ამერიკელი ფილოსოფოსისა და ფსიქო-  
ლოგის, უილიამ ჯემსის კლასიკური ნაშრომი - „მრავალსახეობა რე-  
ლიგიური გამოცდილებისა“.

აქ, რელიგიის ფსიქოლოგიის ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით  
ხაზგასმით იქნა დადასტურებული ის ფაქტი, რომ „ზევრ ადამიანს  
მათი რწმენის საგანი ეცლინება არა განყენებული ცნების ფორმით,  
რომელსაც გონება თვლის გეომარტიად, არამედ რეალობის ფორმით,  
რომელსაც წვდებიან უშუალოდ თითქმის გრძნობად აღქმაში... უშუა-  
ლო, ინტუიტიური დარწმუნებულობა იმალება ჩვენი სულის სიღრმეში,  
ხოლო ლოგიკური არგუმენტები მის მხოლოდ ზედაპირულ გამოვლინებებს  
წარმოადგენენ. ინსტიქტი ბრძანებლობს და წარმართავს, - გონება  
მორჩილად მიჰყვება მას. თუ ვინმე ამდაგვარად შეიგრძნობს ცოც-  
ხალი ღმერთის მყოფობას, მაშინ ვერაწივთარი კრიტიკული განაზრე-  
ბანი ვერ შესძლებენ მისი რწმენის შერყევას... ადამიანი, რომე-  
ლიც ამ გრძნობის (რელიგიურის) მიღმა დგას, ვერასოდეს ვერ შეს-  
ძლებს იმ ღვთაებრივი მდგომარეობის გაგებას, რომელიც მყარდება  
სულში ამ იღუმალი მაღლის მყოფობით. ყველაფერი, რაც გვერდიდან  
მოჩანს ასე გაუგებრად და ბნელით მოცულად, ხდება უბრუნო და ნა-  
თელი იმ შუქში, რომელიც სულში დანთებული ცეცხლიდან იფრქვევა“<sup>\*\*</sup>.  
რელიგიის ემპირიულმა კვლევამ ჯემსის მერე, გარკვეული მრუდის  
შემდეგ, გზა გაიკაფა და უხვ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით

16535

\* არსებობს ამ წიგნის რუსული თარგმანი - В. Джемс, Много-  
образие религиозного опыта, Москва 1910 г.

\*\* იქვე, стр. 56, 66, 317.

ბრწყინვალე შედეგები მოგვცა რელიგიოზურობის ანალიზში.<sup>\*</sup> მიზნებისათვის აქ მნიშვნელოვანია შემდეგი დასკვნა, რომ „თანამედროვე რელიგიურობის (ღვთისმოსაობის - Frömmigkeit გ.რ.) გაფართოებული ცოდნიდან, აგრეთვე წარსული, ისტორიის მნიშვნელოვანი საბუთები, უფრო ღრმა გაგებას დაექვემდებარება. პრინციპულად ეს ნიშნავს ამას: რელიგიის ფსიქოლოგია კი არ უნდა დაეყრდნოს რელიგიის ისტორიას, არამედ პირიქით: ეს უკანასკნელი უნდა იყოს პირველის დასკვნებზე დამოკიდებული“<sup>\*\*</sup>.

ამგვარად, რელიგიური ობიექტის განცდის უნივერსალურობის წყალობით შესაძლებელი ხდება ჩვენი რელიგიური გამოცდილების გაღრმავება და აქედან გამოსული წარსული მოვლენების უფრო ღრმა გაგება ანალოგიის გზით. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ რელიგიური ობიექტის განცდის უნივერსალობაზე, აქ იგულისხმება, რომ თავად რელიგიური ობიექტი უცვლელია, უფრო მეტიც, რომ ხშირად ინციპიტაც მისგან მომდინარეობს. მაგრამ სანამ ამ საკითხებს შევხებოდეთ და აგრეთვე იმას, თუ ჩვენი რელიგიურობა როგორ დაგვეხმარება არა მარტო რელიგიის ისტორიის საკითხებში გასარკვევად, არამედ, იმ ისტორიული ეპოქის გასაგებად, რომლის აზროვნების მთავარ წარმმართველ ძალას რელიგია წარმოადგენდა, საჭიროა, როგორც ზემოთ ვთქვით, მივანიშნოთ და შეძლებისდაგვარად განვსაზღვროთ რელიგიური გამოცდილების არსი.

-----

\* Werner Gruhn, Die Frömmigkeit der Gegenwart (Grundtatsachen der empirischen Psychologie), Münster 1956.

\*\* ibidem, S. 29-30.

„მთელ შექსპირში არ მოიპოვება სიტყვები საკმაო რაოდენობით, რათა გამოიხატოს ადამიანის გამოცდილების ერთი საათის მცირე ნაწილიც კი - ასე წერია ფრანგ - ამერიკელი რომანისტის, ჯულიან გრინის დღიურში. რა ჭეშმარიტია ეს, განსაკუთრებით რელიგიური გამოცდილების მიმართ!“ ეს ციტატა რელიგიის ცნობილი მკვლევარის წიგნიდან ნათლად მიგვანიშნებს, თუ რა რთულ მოვლენასთან გვაქვს საქმე რელიგიური გამოცდილების არსის დადგენისას. ამიტომ, მახსოვს რა ჩემი წარმოსახვითი მოსაუბრე, ირრელიგიური ისტორიკოსი, მე შევეცდები საკითხი განვმარტო მისთვის ნაცნობი რაიმე განცდის ანალოგიით, ვიგულისხმებ რა, რომ თუმცა ჩემი მოსაუბრე ირრელიგიური, მაგრამ ამავე დროს გარკვეულ კულტურასა და ინტელექტუალურობასაა ზიარებული. რა არის ის საერთო, ის განცდა, რომელზედაც დაყრდნობით მე შემეძლება ანალოგიის გზით რელიგიურ გამოცდილებაზე საუბარი? ასეთი ანალოგია აუცილებელია, რადგან, ჯემსის თქმით, „არ შეიძლება ავეხსნათ თვისება ან ღირებულება რომელიმე შეგრძნებისა იმას, რომელსაც არასოდეს იგი არ განუცდიდა. საჭიროა მუსიკალური სიმენა, რათა შევცაფასოთ სიმფონია. საჭიროა ოდესმე თავად გვეყვარებოდა, რომ გაგვეგო შეყვარებულის მდგომარეობა. თუ ჩვენ გული არ გაგვარჩნია, ჩვენ განვიხილავთ მუსიკოსსა და შეყვარებულს, როგორც გონებასუსტებსა და გიჟებს, და მისტიკოსები აცხადებენ, რომ ხშირად მრავალი ჩვენთაგანი მა-

\* Joachim Wach, Vergleichende Religionsforschung, Stuttgart, 1962, S. 79.



თი განცდების შესახებ ასევე მსჯელობს“. ამგვარად, ვიმედობოდა რელიგიურ გამოცდილებაზე საუბარი? გამოთქმები, ამნაირის მსგავსნი: „როგორც დაბადებით ბრმას ვერ ვესაუბრებთ ფერებზე“, ან, „როგორც ყრუს - მუსიკაზე“ - უარყოფითი განსაზღვრებებია, ხოლო ჩვენ გვსურს დადებითი, საერთო, ნაცნობი; რომელზედაც გაივლება ანალოგია. ასეთ განცდად - მითუმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩვენი ირრელიგიური ისტორიკოსი ქართველია - ჩვენ მიგვაჩნია რთიმანტიულის გრძნობა. ეს არჩევანი მით უფრო სწორად მიგვაჩნია, რომ ორივეს, როგორც რომანტიულს, ასევე რელიგიურ განცდას ერთი სათავე გააჩნიათ, თუმცა, აქვე დავძენთ, რომ ეს მათ იგივეობაზე არამც და არამც არ მეტყველებს.



გვახსოვს რა ზემოგამოთქმული პირობა, რომ აცხსნათ უცნობი უკვე ნაცნობთან ანალოგიის გზით და გვსურს რა რელიგიური გამოცდილების ახსნა რომანტიულის განცდის ანალოგიით, ჩვენ შევებებით უმრავლესისათვის ნაცნობ ყმაწვილურ განცდებს, სადაც პირველად იჩენს თავს მძლავრად გრძნობა რომანტიულისა. ამ მიზნით მივმართავთ ყმაწვილის ფსიქოლოგიის დიდ მცოდნეს ედუარდ შპრანგერს.

• В. Джемс, Многообразие . . . . . стр. 368-369.

•• E. Spranger, Psychologie des Jugendalters, Leipzig

1928.



„ყმაწვილისათვის რაღაცაა გაწყვეტილი, რაც მანამდე მასა და სამყაროს ცხოვრებისეულ ერთიანობაში ამყოფებდა. აქ დიდ პრალი აღმოცენდა, თითქოს ყველაფერი უცხო და მიუღწეველი გახდა. ამიტომ თავდასაცავი აღჭურვილობა უხეშობა. მე არ ვიცი ვახასიათებ ახლა მხოლოდ გერმანულ ყმაწვილს, თუ არა. მაგრამ საყვედური ეს არაა, რადგან მის მიღმა სუფევს სევდა, ნატვრა (*die Sehnsucht*). არ არსებობს ადამიანი, რომელიც ისე სევდიანად იმზირებოდეს თავისი საპყრობილედან, როგორც ყმაწვილი. არ არსებობს არავინ, რომელსაც თავის დიდ სიმარტოვეში ასე სწყუროდეს კონტაქტი და გაგება, როგორც ყმაწვილს. მაგრამ აქ საჭიროა სწორი გაგება: არავითარ შემთხვევაში ეს არ არის სევდა მხოლოდ ადამიანისადმი; ეს არის მეტაფიზიკური საყოველთაო სევდა (*All-sehnsucht*)“.

„მაგრამ ამ სევდისაგან – განაგრძობს ედ. შპრანგერი – იზრდება ძალა, რომელიც ნაპრაღის ამოსავსებად ისწრაფვის. იგი ტყორცნის ხიდებს ყველა წარტაცებულ საგანთა და ადამიანთაკენ და კვლავ მოიზიდავს მათ პირად ცხოვრებაში. ეს ძალა არის ფანტაზია“: მაგრამ ბავშვის გულუბრყვილო ფანტაზიისაგან განსხვავებით ყმაწვილის ფანტაზია ყოველთვის ატარებს ხასიათს „სევდიანი ძებნისას“ (*sehnsüchtigen Suchens*) და „კვლავმოპოვებისას“ (*Wiedergewinnung*). „მე არ ვიცნობ არცერთ ბავშვს, – ამბობს ედ. შპრანგერი – რომელიც „სევდას“ გრძნობს, მაგრამ ყმაწვილის წარმოდგენა სევდის გარეშე მე არ ძალმიძს: მაშინ მას არ ექნებოდა შინაგანი ცხოვრება. ამ ს ე ვ დ ი ა ნ ი ღ ა ნ ტ ა - ზ ი ი თ ყველაფერი შეიშლის, რაც საკუთარი ცხოვრებისათვის როგორღაც მნიშვნელოვანია: ბუნება, ირგვლივ მყოფი ადამიანები და არა უკანასკნელ რიგში საკუთარი მე. ამ ორგანოთი „მე“ კვლავ



მიიღტვის იმისაკენ, რისგანაც იგი ჩამოცილებულია, მაშასადამე „არა-მესკენ“, სხვათაკენ და „თავისთავად - მეს“ აზრისაკენ. სე-  
 ცდიანად შთამგრძნობი ფანტაზია წარმოადგენს საშუალებას ს უ ლ-  
 ი ს გ ა ფ ა რ თ თ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს ( *ist ein Mittel* |  
*der Seelenerweiterung* )“. ამგვარად, ამ ახალი  
 ორგანოთი, რომელიც ამოიზარდა როგორც ახალი ძალა ყმაწვილის სე-  
 დიდან, ამ „სეცდიანი შთამგრძნობი ფანტაზიით“ ხდება ახლებური  
 განცდა ისეთი მოვლენებისა, როგორცაა: „მთვართ განათებული  
 ჯადოსნური ღამე, ვარსკვლავებით მოგედელი ცა, სიჩუმე ტყეში,  
 მღუმარე ტბა, ზანჩქერი, ზღვა, ტყით დაფარული მთები, გრიგალი,  
 გექა-ქუნილი, საღამოს განწყობილება. ხშირად ყოველივე ამას აძ-  
 ლიერებს ისტორიული ასოციაციები: ნანგრევები, ძველი ქალაქები,  
 ძეგლები“ და სხვა. ნუსიკაში უპირატესობა ენიჭებათ შუბერტსა და  
 შოპენს. ეს განწყობილება თითქმის ყოველთვის გამსჭვალულია „სე-  
 ცდიანი ოცნებებით: იღუმალი ლტოლვით, დაკარგული სამყარო ცვლავ  
 თავის თავში რომ მოიზიდოს“. ამ ასაკის ძირითადი გრძნობაა (*Gru-*  
*ndgefühl* ) „სეცდა არარეალურისადმი“ („*gegenstan-*  
*dslose Sehnsucht*“). და რომანტიზმმა, განაგრობს  
 შპრანგერი, ყოველივე ამისათვის ერთი სიმბოლო შექმნა: ცისფერი  
 ყვავილი. \* ამგვარად, ის ახალი ძალა, ის ახალი ორგანო, რომელიც  
 ყმაწვილში ამოიზარდა, ყოფილა გ რ ძ ნ თ ბ ა რ თ მ ა ნ ტ ი-  
 უ ლ ი ს ა. ხოლო ყმაწვილობაში გაჩენილ ამ გრძნობას ზოგიერთი  
 თან ატარებს წლების მანძილზე, რასაც უნდა ვუმაღლოდეთ ნერტერი-

\* Eduard Spranger, *Psychologie des Jugendal-*  
*tens, Leipzig, 1928. S. 53-56.* ილია-  
 ბები შემოკლებულია.

სა და რომანტიული პოეზიის გარეშად.

რომანტიკის ეს გრძნობა, რომელიც ხასიათდება მ ი ღ მ უ-  
რ ი ს ა დ მ ი ს ე ვ დ ი თ, ჩვენ გვსურდა მკითხველის მეხსი-  
ერებაში გაგვედგინებინა ყმაწვილობის ასაკიდან. მაგრამ ახლა  
შევეცდებით უფრო ახლოს დაფუხასიათოთ მას ეს გრძნობა, განსაკუ-  
თრებით მამაკაც მკითხველებს. ამის საილუსტრაციოდ ჩვენ მოვიყ-  
ვანთ ციტატას გერმანელი ფილოსოფოსის ლიუდვიგ კლაგესის ბრწყინ-  
ვალე ეტიუდიდან „სექსისა და ეროსის შესახებ“.

„ჩვენ ვირჩევთ ერთ მაგალითს, - ამბობს კლაგესი - რომელიც,  
ყოველ შემთხვევაში მამაკაც მკითხველთან საკმაო გამოძახილს უშო-  
ვებს, რათა მას შეაძლებინოს ორივე გრძნობის გამოვლინების არე-  
ნათლად გამიჯნოს ერთურობისაგან. წარმოდგინეთ სევდანარევი გაბ-  
რუება აღტაცებისა, რომელსაც გვეგვრის დროდადრო ადრეულ გაზაფხულ-  
ზე პირველი მოქროლვა იათა სურნელისა და ამის შემდეგ შემაზფოთე-  
ბელი და აღმგზნები ცდუნებანი, რომელნიც გამოდიან მომზიბვლელი  
შანსონეტის გამომწვევ მზერათაგან, უესტებისაგან, პოზათაგან,  
და თუმცა ორივე მდგომარეობას შორის უფრო მეტ მსგავსებას ვპო-  
ვებთ, ვიდრე თითოეული მათგანისას გარდაცვალების შესახებ ცნო-  
ბის მიღების შემოქმედებასთან, მაგრამ, აგრეთვე არცერთ წამს არ  
დავაცოცნებთ, მათი დიდი სხვაობა რომ ვაღიაროთ. საცხებით ამქვე-  
ყნიურია ორივე და მათში ნაჩქარევად ღირებულებათა შეტანას ჩვენ  
მოვერიდებით. მაგრამ ამას კი ვხედავთ: პირველ გრძნობაში, რო-  
მელსაც ჩვენ საცდელად როგორც ეროტიულს ვღებულობთ, ძვეს ძლიერი,  
მაგრამ განუსაზღვრელი მისწრაფება, წინათაგრძნობით აღსაცხე  
ს ე ვ დ ა ( *sehnsucht*); მეორეში, რომლის სექსუალურ  
ხასიათში ეჭვს არავინ შეიტანს, არა ნაკლებ ძლიერი, მაგრამ გან-

სახდვრული სურვილი, მრავლის აღმოქმედი ნ დ ო მ ა ( *Begeerde* )". \* ამის შემდეგ ფილოსოფოსი სვამს კითხვას: 1). ამოდის ეროსი სექსიდან თუ პირიქით? 2). მომდინარებენ ორივენი საერთო სათაგიდან? 3). თუ მათი სახისა და წარმოშობის მიხედვით ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულნი არიან? ფილოსოფოსი ასკვნის მესამე მოსაზრების სასარგებლოდ და სექსსა და ეროსს აბსოლუტურად განსხვავებულს (*Wesensverschieden*) უწოდებს. კლაგესისაგან განსხვავებით (რომელიც ამქვეყნიურს უწოდებს პირველ გრძნობას) და პლატონთან თანხმობებში ჩვენ ვსვამთ კითხვას: რა არის ეს ეროსი - სევდა, თუ არა სევდა დაკარგულ მიღმურებზე? გასული საუკუნის დასაწყისში ულანდი წერდა: „ეს მიხტიური გამოვლინება ჩვენი უღრმესი სულისა ხატში, სამყაროს სულის ეს შემოჭრა, დეტაებრივის ეს გააღამიანურება, ერთი სიტყვით: ეს წინათ გრძნობა უსასრულო სიბილულსა და წარმოუსახვეთში - რომანტიკული სწარმოადგენს“. \*\* ამიტომ ღებულობს რომანტიზმი სათავეს.

-----

\* Ludwig Klages, *Über Sexus und Eros*, in: *Gesammelte Abhandlungen*, A. Kröner Verlag Stuttgart, 1973, S. 124-125. ზღრ. R. Huch, *Die Romantik*, Leipzig 1931, S. 243.

\*\* Лит. Манифесты Зап. Европейских романтиков, Москва 1980 г., стр. 140.



მისტრიკასა და პიეტიზმში. \* ხოლო ჩვენს საუკუნეში ჰერმან ჰესეს რომანტიულს გერმანელის ბუნებად აცხადებს; \*\* და გრძნობა რომანტიკულია რელიგიასთან იმიტაც პოულობს ანალოგიას, რომ იგი ხშირად პოლიტიკურ ფაქტორადაც იქცევა. \*\*\*

\* Gero von Wilpert, *Sachwörterbuch der Literatur*, Stuttgart 1969, S. 659.

\*\* H. Hesse, *Kurze Prosa aus dem Nachlaß*, Fr. a. Main 1977, S. 206.

\*\*\* უნდა ითქვას, ჩვენი აზრით, რომ ქართველის ბუნებაშიც ძალუმად სუფევს გრძნობა „რომანტიკულია“, რამაც გადაგვაწყვეტინა ამ ქვეთავის ჩართვა ჩვენს წერილში. მაგრამ ყველანი როდი ემაღლიერებოდნენ რომანტიზმს. მაგ. „პოლონელი ხალხის უბედურებაში დანაშაუცვა რომანტიზმი, როგორც მოვლენა არა მარტო ლიტერატურული, არამედ - საზოგადოებრივიც. იგი განაწყობდა გონებებს გარკვეულ ყაიდაზე, ამზადებდა ახალ აჯანყებას - და მოიტანა მხოლოდ სასტიკი იმედგაცრუება“ - А.И. Яшимирский, *Новейшая польская литература от восстания 1863 года до наших дней*, т. I, С. Петербург 1908 г., стр. 4;

ასევე არ ემაღლიერებიან რომანტიზმს ფუტურისტები: „ვენეციელი-ბო! როდესაც ჩვენ გავყვიროდით: მოვკლათ მთვარის შუქი! ჩვენ ვფიქრობდით თქვენზე, ვენეციელებო, ჩვენ ვფიქრობდით შენზე, ვენეცია, დამძალო რომანტიზმისაგან!“ - *Маринетти, Футуризм, СПб. 1914 г., стр. 42*;

მომხიბვლელ ემმაში („მადამ ბოვარი“) რომანტიული ელემენტების სიჭარბემ და მათმა კონფლიქტმა ცხოვრების ბანალურ სინამდვილესთან განაპირობეს მისი ზნეობრი-

ამრიგად, როგორც ვნახეთ, ჩვენთვის ნაცნობი გრძნობა რომანტიკულია ხასიათდება როგორც „სევდა მიდმურისადმი“, როგორც „უსასრულოს წინათგრძნობა ხილულში“. რა ანალოგია გავიღება აქ რელიგიური გამოცდილების არსთან? პასუხი ასეთია: თ უ რ ო მ ა ნ ტ ი უ ლ ი მ ხ ო ლ ო დ მ ი გ ვ ა ნ ი შ ნ ე ბ ს მ ი დ მ უ რ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ა ს ა დ ა დ ძ რ ა ვ ს მ ხ ო ლ ო დ წ ი ნ ა თ გ რ ძ ნ ო ბ ა ს უ ს ა ს რ უ ლ ო ს ა ს, რ ე ლ ი გ ი უ რ გ ა მ ო ც დ ი ლ ე ბ ა შ ი ე ს მ ი ნ ი შ ნ ე ბ უ ლ ი მ ი დ მ უ რ ი დ ა უ ს ა ს რ უ ლ ო დ ე ბ უ ლ ო ბ ს ე მ ბ ი რ ი უ ლ ი რ ე ა ლ ო ბ ი ს ს ა ხ ე ს, გ ა ნ ი ც დ ე ბ ა რ ო გ ო რ ც ც ო ც ხ ა ლ ი თ ა ნ დ ა ს წ რ ე ბ ა, რ ო მ ე ლ თ ა ნ ა ც ვ ა წ ა რ მ ო ე ბ თ დ ი ა ლ ო გ ს.

ეხლა შევეცდებით უფრო ახლოს განვსაზღვროთ რელიგიური გამოცდილების არსი და ამ მიზნით, გვახსოვს რა ჩვენი მკითხველის ნაკლები ინფორმირება ამ საკითხში; შეძლებისდაგვარად, თვალის ერთი გადავლებით, რამდენადაც ნებას გვაძლევს ეს წერილი, გავაშუქებთ მას თანამედროვე რელიგიის ფსიქოლოგიის, რელიგიის ფილოსოფიისა და რელიგიათა შედარებითი კვლევის მონაცემების საფუძველზე. „თავდაპირველად“, - ამბობს რელიგიათა ცნობილი მკვლევარი იოაჰიმ ვახი - „სიტყვა „გამოცდილება“ თითქოს მიანიშნებს

ვი დაცემა. შდრ. *Lexikon der Weltliteratur, Bd. II*,  
*Stuttgart* 1968, S. 667.

ადამიანურ და არა ღვთაებრივ აქტივობაზე. მისი მიზანია ყურადღებას თავად გამოცდილებაზე, და არა გამოცდილების ობიექტზე უკეთეს კონცენტრირება. და, მიუხედავად ამისა, იგი მაინც მიაწინებს გამოცდილების საგნის დამოუკიდებელ არსებობაზე და ამგვარად სუბიექტივიზმი თავიდან აიცილება\*. ასე რომ, განაგრძობს ი.ვახი, „პირველი კრიტერიუმი რელიგიური გამოცდილებისა მდგომარეობს ამთვისებლობაში იმისადმი, რაც როგორც „საბოლოო რეალობა“ განიცდება. რელიგიურ გამოცდილებას ჩვენ განვსაზღვრავთ როგორც პასუხს და ამიტომ არ არის იგი მარტოდენ სუბიექტური: ჩვენ ვპასუხობთ. *a r s e b u l s ( wir antworten auf e t. - w a s )*“\*\* რელიგიური გამოცდილება „ყოველთვის გვაძლევს ჩვენ სუბიექტსა და ობიექტს, ორივეს ერთად ან არცერთ მათგანს“\*\*\* „პასუხი. აღიქმება, - განაგრძობს ი.ვახი - როგორც ნაწილი შეხვედრისა. ნამდვილი რელიგიური გამოცდილება წილად ერგო ყველა ასაკისა და მსოფლიოს ყველა ნაწილის *homines religiosi*-ს და როგორც ასეთი აღწერა კიერეკეგორმა, ებნერმა, შელერმა, ბუბერმა, ბრუნერმა, ბარლმა, მარსელმა (თავისი კატეგორიებით „დაძახება“ და „პასუხი“) და სხვა მრავალმა“\*\*\*\*

\* J. Wach, *Vergleichende Religionsforschung*, Stuttgart 1962, S. 54.

\*\* *ibidem*, S. 55-56. ციტატები შემოკლებულია.

\*\*\* Michael de la Bedoyère, *The life of Baron von Hügel*. London 1927, p. 296

\*\*\*\* J. Wach, დასახელებული ნაშრომი, გვ. 56.

რელიგიური გამოცდილება, „განცდა“ უმაღლესი რეალობისა, თანამედროვე შეიკსებს დინამიურ დამოკიდებულებას განმცდელისა ცდის ობიექტს შორის. „ეს ურთიერთობა - ამბობს ასევე ცნობილი მკვლევარი რელიგიისა ფრიდრიხ ჰაილერი - წარმოადგენს რელიგიური ადამიანისათვის არა ადამიანურ გამოწვევას, იქნება ეს გონებისა თუ გულის კარნახი; იგი ეფუძნება არა ადამიანურ, არამედ ღვთაებრივ ინიციატივას. რელიგიაში ადამიანი კი არ მიდის ღმერთთან, არამედ, პირიქით - ღმერთი ადამიანთან... თუმცა რელიგია ქმედობაა, იგი საბოლოო ჯამში არა მიღწევას, არამედ მადლი... ამგვარად, რელიგიის არსი წარმოადგენს ღვთაებრივი მადლის გამოცდილებიდან მომდინარე ადამიანის ერთობას ტრანსცენდენტულ სინამდვილესთან“.<sup>\*</sup> ის ფაქტი, რომ გამოცდილება უნდა წარმოადგენდეს ტოტალურ პასუხს მთელი არსებისას საბოლოო რეალობის მიმართ, ნიშნავს, - ამბობს ი.ვახი - რომ მთლიანი პიროვნება და არა მხოლოდ გონება, გრძნობა ან ნებისყოფა მონაწილეობს მასში. რელიგიური გამოცდილება მთლიან ადამიანს მოიცავს, განსხვავებით, ფთქვათ, ფილოსოფიური კვლევისაგან, რომელიც პირველ რიგში მის გონებას ეხება ან ესთეტიკისაგან, რომელიც მისი გრძნობათა საქმეა.<sup>\*\*</sup> ამაცვე დროს, რელიგიური გამოცდილების ინდივიდუალური ხასიათი არ გამორიცხავს მის კორპორატიულ ბუნებას. „კორპორატიული და ინდივიდუალური რელიგიები ერთმანეთს არ გამორიცხავენ. ფსალმუნნი გვიჩვენებენ, თუ ისინი ერთმანეთს როგორ განმსჭვალავენ“<sup>\*\*\*</sup>

\* Friedrich Heiler, *Erscheinungsformen und Wesen der Religion*, Stuttgart 1961, §. 563-564.

\*\* J. Wach, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

\*\*\* *ibidem*, §. 54.

მეორე მხრივ, „ყოველი რიტუალი, ყოველი მითოსი, რწმენის ყოველი წარმოდგენა ან ღვთაებრივი ფორმა ასახავს სიწმინდის გამოცდილებას ( *die Erfahrung des Heiligen* ) და ამრიგად თავის თავში შეიცავს აგრეთვე ცნებებს ყოფიერებისას, მნიშვნელობისას, ჭეშმარიტებისას. შემეცნება ნამდვილი და აზრიანი სამყაროსი მჭიდროდაა დაკავშირებული სიწმინდის აღმოჩენასთან. რადგან სიწმინდის გამოცდილების შემდეგობით შეიცნო ადამიანურმა გონებამ განსხვავება იმისი, რაც როგორც ნამდვილი, ძლიერი, მნიშვნელოვანი და აზრიანი ამყდარებს თავს და მისი სპირიტუალური - საგანთა ქაოსური და საშიშროებით აღსავსე დენისა, მისი შემთხვევითი, უაზრო აღმოცენება და მოსპობა“. \* ხოლო მას; რასაც ცვლილება შემოაქვს რეალურ სფეროში, თავდაც უნდა გააჩნდეს რეალობა. \*\*

ყოველივე ზემოთქმული, რელიგიათა შედარებითი კვლევისა და რელიგიის ფიქოლოგიის მონაცემები, გამოძახილს პოულობს თანამედროვე რელიგიის ფილოსოფიაში, თვით მისი საგნისა და მეთოდის დაბტკენაში. საკითხის მნიშვნელოვანების გამო მოგიყვანთ შედარებით ვრცელ ამონაწერს ცნობილი თეოლოგისა და ფილოსოფოსის პაულ ტილიხის წიგნიდან: „საგანი რელიგიის ფილოსოფიისა არის რელიგია. მაგრამ უკვე ეს უბრალო ახსნა შეიცავს პრობლემას, საერთოდ ძირითად პრობლემას რელიგიის ფილოსოფიისას: რელიგიის სახით ფილოსოფიას უპირისპირდება ობიექტი, რომელიც ეწინააღმდეგება იმას, ფილოსოფიის ობიექტი რომ გახდეს. რელიგია რაც უფრო ძლიერია, თავდაპირველი და წმინ-

\* Mircea Eliade, *Geschichte der Religiösen Ideen*, Bd. I, Freiburg 1976. S.7.

\*\* В. Джемс, Многообразие . . . . . стр. 506.

და, მით უფრო დიდი დაუინებით აცხადებს პრეტენზიას იმის წინააღმდეგ, განზოგადოებულ ცნებათა წარმოქმნას რომ დაემორჩილებოდნენ ცნებები, როგორცაა „გამოცხადება“ და „ხსნა“ აშკარა წინააღმდეგობაში იმყოფებიან რელიგიის ცნებასთან. ისინი გამოხატავენ ერთადერთ, ტრანსცენდენტულად მომდინარე, სინამდვილის გარდამქმნელ ქმედობებს, მაშინ, როდესაც „რელიგია“ რიგ სულიერ აქტებსა და კულტურულ ქმნილებათ ზოგად ცნებას უქვემდებარებს. „გამოცხადება“ გვესაუბრება დეტალებიანი ქმედობის შესახებ, „რელიგია“ - ადამიანურისაზე, პირველი გვესაუბრება ერთადერთ, თავის თავში ჩაკეტილ, აბსოლუტურ ხდომილებაზე, მეორე - მარად ცვლადობრუნებად, არასოდეს დამთავრებულ, მხოლოდ რელატიური პროცესებს შესახებ; „გამოცხადება“ დაშვებს ახალი სინამდვილის შემოსვლაზე ცხოვრებაში და სულში, „რელიგია“ - მოცემული ცხოვრების სინამდვილეზე და სულის აუცილებელ ფუნქციაზე; „რელიგია“ საუბრობს კულტურის შესახებ, „გამოცხადება“ - რაც კულტურის მიღმა იმყოფება. ამიტომ განიცდის რელიგია თავის უწინაგანეს არსზე თავდასხმას, როდესაც მას რელიგიას უწოდებენ. ამიტომ იკეტება იგი რელიგიის ფილოსოფიის წინაშე და უკიდურეს შემთხვევაში ეხსნება თეოლოგიას, რანდენადც იგი სხვა არა არის რა, თუ არა მეცნიერება გამოცხადების შესახებ. ამგვარად, რელიგიის ფილოსოფია რელიგიის წინაშე იმყოფება უცნაურ მდგომარეობაში, რომ მან ობიექტი, რომლის აღქმაც სურს მას, ან უნდა დაშალოს, ან თავისი თავი გააუქმოს მის წინაშე. თუ იგი ყურადღებას არ მიაქცევს რელიგიის პრეტენზიას „გამოცხადებაზე“, მაშინ იგი ასცდება თავის ობიექტს და არანამდვილ რელიგიაზე ისაუბრებს. თუ იგი აღიარებს „გამოცხადებაზე“ პრეტენზიას, მაშინ იგი თეოლოგიად იქცევა.

რ ე ლ ი გ ი ი ს    ფ ი ლ ო ს ო ფ ი ი ს ა თ ე ი ს    ო რ ი გ ე

გზა მიუღებელია.\* საბოლოოდ, ტილიჩი, ამ საკითხის  
სინთეტური გადაწყვეტისაკენ იხრება.\*\*



რაც შეეხება რელიგიის ფილოსოფიის მიმართებას რელიგიურ  
გამოცდილებასთან, აქ უთუოდ ყურადსაღებია ვლ. სოლოვიოვის აზრი  
„რელიგიური გამოცდილების მონაცემები მათი ობიექტური მნიშვნე-  
ლობის რწმენის დროსაც გვევლინებიან თავისთავად როგორც მხოლოდ  
ცალკეული ცნობანი ღვთაებრივ საგანთა შესახებ და არა როგორც  
სრული ცოდნა მათ შესახებ. ასეთი ცოდნა მიიღწევა რელიგიური გა-  
მაცდილების ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი თ ერთიან, ლოგიკურად და-  
კავშირებულ სისტემაში. ამგვარად, გარდა რელიგიური რწმენისა და  
რელიგიური გამოცდილებისა საჭიროა კიდევ რელიგიური აზროვნება,  
რომლის რეზულტატსაც რელიგიის ფილოსოფია წარმოადგენს“\*\*\*

საკუთრივ რწმენის მიმართ კი დღეს ხაზი ესმება იმ გარემო-  
ებას, რომ იგი აზროვნების მასტიმულირებელია და არა პირიქით,  
გავრცელებული ცრურწმენის შესაბამისად. „რწმენა და გაგება ვა-  
რუდობენ ერთმანეთს და ერთურთს აშუქებენ. თეოლოგიური რწმენის  
არსს განეკუთვნება ის, რომ იგი, მიუხედავად მისი რწმენის ობი-  
ექტის შეურყეველი აღიარებისა, საშუალებას იძლევა აზროვნების  
დაუცხრომელი განგრძობისას. სწორედ ამიტომ, რადგან რწმენა მხო-  
ლოდ დასაწყისია ადანიანური სიმართლისა და მარად თვითკრიტიკუ-

\* Paul Tillich, *Religionsphilosophie*, Stuttgart 1962, §.7-8.

\*\* *ibidem*, §.10.

\*\*\* Вл. С. Соловьев, Чтения о Богочеловечестве, собр. соч. т. III (1877-1884), С. Петербург, стр. 32.



ლად თავის მიღმა მიანიშნებს, მოუსვენრად ამყოფებს და ამოცანებს იგი აღამიანურ სულს. ამიტომ რწმენა ადამიანის კოხცებს არ გამოორცხავს, არამედ აღძრავს მათ თხეიანთი ურადიკალურესი აღსრულებისაკენ“.

მაგრამ დავუბრუნდეთ კვლავ რელიგიურ გამოცდილებას. „რასაკვირელია, მარტო ფუნქციონალური მხარე, რელიგიის პიროვნული მხარე არ ახასიათებს რელიგიურ განცდას“. – ამბობს ვერნერ გრუენი – „იგი როგორდაც დ მ ე რ თ ზ ე მოცემული აზრისად აღიძვრება. სხვა სიტყვებით, რელიგიური განცდა ყოველთვის გვიჩვენებს პიროვნულ და აზრობრივ მხარეს, იგი წარმოადგენს იდუმალეზით აღსაცხე შეკავშირებას „მეს“ ფუნქციისას და აზრისას: რელიგიური განცდის ორივე მხარე (კომპონენტები) არსებითია, რათა ცოცხალი ღვთისმოსაობა (*Frömmigkeit*) იყოს მოცემული. დმერთზე აზრის გარეშე „მეს“ განცდა შინაარსისაგანაა დცლილი ან სულაც არ ხორციელდება. „მეს“ ფუნქციის გარეშე კი არ იქნებოდა რელიგიური განცდა, არაგითარი ცოცხალი ღვთისმოსაობა. შესაძლოა თუმცა რელიგიური აზრების ქონა მეს მონაწილეობის გარეშე, შესაძლებელია თეოლოგიზირება, ქადაგება, მაგრამ ამ პროცესებს აკლიათ ცოცხალი ნაპერწკალი, სინამდვილე ჭეშმარიტი ღვთისმოსაობისა“.

\* Karl Lehmann, *Glaube, Handbuch Philosophischer Grundbegriffe*, Bd. II, München 1973, S. 603.

\*\* W. Gruhn, *Die Frömmigkeit der Gegenwart (Grundtatsachen der empirischen Psychologie)*, Münster Westfalen, S. 37. 1956.

აგრეთვე დმერთზე მოცემული აზრის განცდა „მეს“ მიერ. გ მის მის აღწევად კი აზრის მედი-  
ტაცია (აზრობრივი და კვირვება, ჩა-  
ღრმავება, ჩაძირვა) და ლოცვა. როგორც  
ზემოთ იქნა აღნიშნული, აქ ორი მომენტი ერთიანდება: ერთი მხრივ  
სუბიექტის სურვილი და ცდა ამის მისაღწევად და მეორე მხრივ ტრან-  
სცენდენტისაგან მომდინარე ინციატივა და მადლი. ამ ვითარებას  
კარგად გადმოსცემს ერთი თანამედროვე რელიგიური მოაზროვნე:  
„უცნე შექმნის დროს ღვთისაგან ადამიანთათვის ბოძებული შემეცნე-  
ბის უნარი - რომელსაც ჩვენ „ბუნებრივს“ ვუწოდებთ - მტკიცდება,  
ღრმავდება და გადმოიღახება ღვთის ზებუნებრივი თვითგამოცხადე-  
ბით. შემეცნების ძალა ანიჭებს უნარს ადამიანს, რომ მან ეს გა-  
მოცხადება აღიქვას, რომ იგი სულ უფრო და უფრო ღრმად გაიგოს და  
ეს გაგება თანხმობაში მოიყვანოს თავისი ბუნებრივი გონების აღ-  
მოჩენებთან ისე, რომ იგი მოიპოვებს პლასტიკურ სურათს ყოფიერე-  
ბისას. და მაინც ჩვენი შემეცნების ძალა არასრულყოფილია. მისი  
ორივე გზა და შესაძლებლობა წარმოადგენს ექსპერიმენტულ მეცნიე-  
რებას (თავისი ანალიზით, კლასიფიცირებით, სინთეზითა და განზო-  
გადობით) და კონტემპლაციას, უშუალო თვითჩაძირვას სინამდვი-  
ლის არსში. კონტემპლაცია აღმოაჩენს სამყაროს უმთავრეს წესრიგს,  
მის ერთიანობას მრავალფეროვნებაში, მის ჰარმონიასა და მშვენიე-  
რებას. იგი შეაძლებინებს ადამიანს, რომ მან უფრო ღრმად შეიც-  
ნოს თავისი თავი, თავისი არსი, თავისი ამოცანები და მიზნები;  
თავისი შესაძლებლობანი და საზღვრები. და შემეცნება ამ დროს გა-  
დაღახავს მიწიერს და წარემართება ღვთისაკენ. მასში ხვდებიან  
ერთმანეთს ბუნება და მადლი, ბუნებრივი შემეცნების უნარი, რო-  
გორც შექმნის წყალობა და ზებუნებრივი შემეცნების შესაძლებლობა



გამოცხადების საშუალებით. ამით ძალუძს ადამიანს ღმერთი იკოს“ (არა რაციონალური ჭვრეტის მემშვეობით, არამედ ცოცხალი ცდის გაგებით) და მას დაუკავშირდეს, მისი ხმა ისმინოს და თავი თვისი განამზადოს მისი წყალობის მისაღებად. ამგვარი კონტემპლათური საშუალება ღვთის შემეცნებისა არის ლოცვა; შესაძლოა პირდაპირ ითქვას: ყოველი კონტემპლაციზ გარკვეული აზრით ლოცვაა და ყოველი ნამღვილი ლოცვა კონტემპლაციას. კონტემპლაციის მემშვეობით ადამიანს ძალუძს შემეცნების მწვერვალს მიაღწიოს: „მისტიურ შემეცნებას“.\*

აქ უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რაც, ისტორიკოსისათვის (და არა მარტო მისთვის) ძალზე მნიშვნელოვანია. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ რელიგიის ობიექტურ გამოვლინებას ეკლესიის დაფუძნებითა და მისი დოგმატებით საფუძვლად უდევს ისევ და ისევ რელიგიური გამოცდილება. ამ ფაქტს აღნიშნავდა ნიკოლაი ბერდიაევი, როდესაც უ. ჯემსის მისამართით ამბობდა: „ეგრეთწოდებული ქრისტიანული დოგმატიკა - ც დ ი ს ე უ ლ ი წარმომავლობისაა; ჭეშმარიტად მორწმუნეთათვის და რელიგიური ცხოვრებით მცხოვრებთათვის დოგმატები წარმოადგენენ ფ ა ქ ტ ე ბ ს მისტიური ხასიათისას, ხილვებს...“.\*\* სწორედ დოგმატების მისტიური ხასიათის წარმომავლობას ეფუძნებოდა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში გავრცელებული მოძღვრება დ ო გ მ ა ტ თ ა გ ა ნ ვ ი თ ა რ ე -

\* A. Golubiew, Briefe an Freund Jan (Wenn man Beten will), München 1963, §. 61-62.

\*\* Николай Бердяев, О расширении опыта, "Вопросы Философии и Психологии", III, М., 1910 г., стр. 383.



ბის შესახებ. რუსეთში ამ თვალსაზრისისა იყო ვლადიმერ სოლოვიოვი, რომელიც უშვებდა „დოგმატის ობიექტურ განმარტებას, ე.ი. განვითარებას დოგმატისას, როგორც დოგმატისას, რომელსაც ახდენდა თვით ეკლესია საეკლესიო კრებებზე მადლის განსაკუთრებულ ზეშთაბეჭობის ხელმძღვანელობით“.\* ამავე დროს, დოგმატთა განვითარების შესაძლებლობა ზემთაგონების წყალობით არ უარყოფს რელიგიური განცდის, რელიგიური ობიექტის ზემოქმედების უცვლელობას. ეს კარგად უნდა ახსოვდეს ისტორიკოსს, რადგან დღევანდელი რელიგიური, მისტიური გამოცდილების დამყარებით ფარდაცვლება წარსულში ამდაგვარ გამოცდილებათა აღწერასაც. ამ სიტყვების საილუსტრაციოდ მოვიყვანო ვრცელ ამონაწერს ზემოთ უკვე ხსენებულ ვლ. ლოსკის სტატიიდან, რომელიც, მართალია, მისტიური გამოცდილების მწვერვალებს ეხება.

„საუბრის დროს, რომელიც ხდებოდა ჰამთრიან დილას ტყის პირას, წმინდა სერაფიმის ერთერთმა მოწაფემ, ავტორმა აქ მოყვანილი ტექსტისამ, - გვაუწყებს ვლ. ლოსკი - ჰკითხა თავის მოძღვარს: „მაინც არ მესმის, რატომ უნდა ვიყო მტკიცედ დარწმუნებული, რომ მე ვიყოფები სული-ღვთისაში და როგორ უნდა გავარჩიო ჩემში მისი ჭეშმარიტი მოვლენა?“ მ.სერაფიმმა უპასუხა: „მე უკვე ვთქვი, რომ ეს ძალზე ადვილია და დაწვრილებით მოგიყვებით, თუ როგორ იყოფებიან ადამიანები სული-ღვთისაში და როგორ უნდა გავიგოთ მისი მოვლენა ჩვენში;“

\* Энци. Словарь (Брокгауз) СПб., 1898 г., т. XXIV-  
"Православие".



კიდევ რაღა გსურთ თქვენ?" „საჭიროა, - ვთქვი მე, - რომ მე ეს  
 კარგად გავიგო“. მაშინ მან მაგრად ჩამკიდა მხრებში ხელი  
 მითხრა: „ეხლა ჩვენ ორივე, ძამიკო, შენთან ერთად ს უ ლ ი  
 დ ვ თ ი ს ა შ ი ვიწყობთ: რატომღა დახარეთ თქვენი თვალები;  
 რატომ არ მიყურებთ მე?“ მე ვუპასუხე: „არ შემიძლია ყურება,  
 რადგან თქვენ თვალთაგან ეღვა ანათებს. თქვენი სახე მზეზე უფრო  
 განათდა და თვალებს მტეხს ტკივილისაგან“. მან მიპასუხა: „არ  
 შეგეშინდეთ, თქვენო ღვთისმოყვარებავ, თქვენც ასევე განათდით  
 ახლა, თქვენც ხომ თავად სწორედ ასეთსავე მადლის სინათლეში იმ-  
 ყოფებით, თორემ ჩემზე ამის დანახვა თქვენთვის შეუძლებელი იქნე-  
 ბოდა“. მან თავი მძმადო და ყურში ჩუმად მითხრა: „შესწირეთ და  
 მადლობა უფალს თქვენდამი ენით გამოუთქმელი წყალობისათვის! თქ-  
 ვენ ხომ ხედავთ, რომ მე პირჯვარიც არ გამომისახავს, არამედ  
 მხოლოდ ჩემს გულში ცილოცე ღვთის მიმართ და ვთქვი: „უფალო, ღირ-  
 სჰყავ იგი სხეულებრივი თვალებით დაინახოს ის გარდამოსვლა ს უ  
 ლ ი ს ა შ ე ნ ი ს ა წ მ ი დ ი ს ა, რომელსაც შ ე ნ ანი-  
 გებ მონათა შ ე ნ თ ა, როდესაც სწყალობ მათ მოველინო. შ ე-  
 ნ ი დიდების ნათელში“, და, აი, უფალმა მყის აღასრულა მორჩილი  
 თხოვნა ბერავი სერაფიმისა. როგორ არ უნდა შევესწიროთ მადლობა  
 მ ა ს ა მ გამოუთქმელი წყალობისათვის, ამ ენით გამოუთქმელი  
 წყალობისათვის ორივე ჩვენთვის? ასე, ძამიკო, თვით დიდ მეუდა-  
 ბნოეთ ყოველთვის არ უფლენდა უ ფ ა ლ ი თ ა ვ ი ს წყალობას,  
 და უკვე ღვთის ამ მადლმა, როგორც შვილების მოყვარულმა დედამ,  
 დ ე დ ა დ ვ თ ი ს ა ს წარდგინებით, კეთილინება თავისი მო-  
 წყალებით დაემშვიდებინა მცემუნვარე გული თქვენი... რატომ არ მი-  
 ყურებთ თვალებში? უბრალოდ მიყურეთ და არ შეგეშინდეთ: უ ფ ა-  
 ლ ი ჩვენთანაა!“ და როდესაც ამ სიტყვების შემდეგ მე მას სა-

ხეში შეეხედე, კიდევ უფრო დიდმა, კრძალვით აღსაცემ შიშმა შემიპყრო. წარმოიდგინეთ მზის შუაგულში, შუადღის ნათლით მოკაშვებულ სხივების ცენტრში, სახე ადამიანისა, რომელიც თქვენ გესაუბრებათ: თქვენ, მაგალითად, ხედავთ მის ბაგეთა მოძრაობას, ცვლილებას თვით სახის გამომეტყველებაში, გრძნობთ, რომ თქვენ მხრებზე ვიდაცას ხელი აქვს ჩაკიდებული, მაგრამ არ ხედავთ არა მარტო მის ხედებს, არამედ საკუთარ თავსაც და არც თვით მას, არამედ ხედავთ თვალისმომჭრელ, გავრცელებულს რამდენსამე საუენზე ირგვლივ სინათლეს, გესმით ხორხოშელა თოვლისა, რომელიც გეცემათ თქვენ, გრძნობთ, რომ იგი სულ ცოტა გოჯის ოდენა მაინც დაგედოთ...

„დაუჯერებელი იქნებოდა იმის ვარაუდი, -ასკენის ე.ლოსკი - რომ წმინდა სერაფიმ საროველი იყო დიდი მცოდნე წმ. გრიგოლ პალამას საღვთისმეტყველო მოძღვრებისა შეუქმნელი სინათლის ბუნების შესახებ. მაგრამ აი, ხუთასი წლის შემდეგ „პალამიტური კრებების“ მერე, პირობებში, რომელნიც სავსებით განსხვავდებოდნენ ბიზანტიის იმპერიაში არსებული პირობებისაგან, XIX საუკუნის დასაწყისის რუსული პროვინციის მივარდნილ მხარეს, ჩვენ ვხვდებით იმასვე, სულიერი გამოცდილებიდან შობილს, „სინათლის ღვთისმეტყველებას“. როგორც ვხედავთ, რელიგიური გამოცდილება საუკუნეების მანძილზე ინარჩუნებს ადეკვატურ სახეს; თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქ მისტიური გამოცდილების ერთერთ მწვერვალთან გვექონდა საქმე. ჩვეულებისამებრ, რელიგიურ გამოცდილებას, (ლოცვა, მედიტაცია) გრადაციით ახასიათებს. გარკვეულ

\* Vladimir Lossky. *À l'image et à la ressemblance de Dieu. Aubiger-Montaigne, Paris 1967.*

XXII, №4, 1968 წ., სტრ. 57-58.

საფეხურზე ლოცვის დროს განიცდება არამშვენიერი ნეტარება,  
შემდეგ ცოცხალი შეგრძნება რეალურად არსებულის თ ა ნ დ ა  
წ რ ე ბ ი ს ა, რომელიც ამ ნეტარებასთან ერთად შემოდის სულ-  
ში. შემდეგ სულს ეუფლება გრძნობა მანამდის უცნობ ჭეშმარიტე-  
ბათა შემცნებისა და ა.შ. აღმავალ ხარისხში. ყოველივე ამას  
თან ახლავს სიყვარულის განცდა, რომელიც უდიდესი საშუალება ხდე-  
ბა სხვათა გ ა გ ე ბ ი ს ა. „სულიერი ცხოვრება თხოულობს, -  
ამბობს ე.ლოსკი - რომ მორწმუნენი არა მხოლოდ აღიარებდნენ ქრი-  
სტიანულ დოგმებებს, არამედ მათით უნდა ცხოვრობდნენ კიდევ. ვდე-  
ბულობთ რა აზროვნების ამ წესს, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ წმ.სვი-  
მონ ახალი ღვთისმეტყველის მკაცრი სიტყვებიც, რომელიც უარს ამ-  
ბობს ქრისტიანები უწოდოს მათ, ვინც უკვე ამ ცხოვრებაში არ მოი-  
პოვა გამოცდილება დ ვ თ ა ე ბ რ ი ვ ი ს ი ნ ა თ ლ ი ს ა“.\*  
მაშასადამე, რელიგიური ცხოვრების დაწყება გულისხმობს განუწყვე-  
ტელ ზრდას სულიერ პლანში.

ზედნეტია იმის თქმა, რომ ზემოთ აღწერილი რელიგიური გამო-  
ცდილება ქრისტიანული წარმომავლობისაა. დღევანდელი რელიგიის  
ფსიქოლოგიას უკვე შესწევს ფაქიზი ანალიზის უნარი სხვადასხვა  
რელიგიურ გამოცდილებათა შორის განსხვავების დასადგენად. მაგა-  
ლითად, განასხვავა რა ქრისტიანული მისტიკა ბუდისტურისაგან, რე-  
ლიგიის ცნობილი ფსიქოლოგი ვერნერ გრუენი დასძენს: „გვეგარეშება,  
რომ თანამედროვე რელიგიურ-ფსიქოლოგიური ანალიზი შესაძლებლობას  
იძლევა უფრო ფაქიზი განსხვავებისას, ვიდრე ეს შესაძლებელია ის-  
ტორიკოსის ხშირად უხეშ განმარტებაში, რომელიც ფიქრობს, რომ შე-  
უძლია მუშაობა რელიგიური სულის ცოდნის გარეშე“\*\*. ხოლო ის ისტო-

\* ე.ლოსკი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 58.  
\*\* ვ. გრუენი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 133.

რიკოსი, რომელიც თავად ზიარებულია მისტიურ გამოცდილებას, უფრო მეტი ცოდნით ადგენს ამ განსხვავებებს. მაგ., ზემოთ უკვე ნახსენები სენები გუნდოლფ გიერათი განმარტავს: „შესაძლოა მისტიკის ამოსავალი წერტილი ყველგან ერთი და იგივეა, შესაძლოა თვით გზა მედიტაციებზე ანუ ჩაძირვებზე, ასკეტიზაზე, მარტოობაზე და ამდგვარებზე დიდ მანძილზე ერთი და იგივე იყოს, მიზანი კი ძალზე განსხვავებულია, იმისდა მიხედვით, თუ რა შეხედულებისაა მისტიკოსი სამყაროზე და სამყაროს მიზნებზე, ღმერთზე და ადამიანებზე. ტოტაპური, რამაკრიშნას გვიანდელი მასწავლებელი, დასცინოდა თავისი მოწაფის „გულუბრყვილო“ შეხედულებას და ფიქრობდა, რომ იგი კვლავ მოიქცეოდა პიროვნული ღმერთის ცრურწმენისაგან, რაც მოწაფემ მართლაც აღასრულა თავისი მასწავლებლის დაუნდობელი, ჩაგონებითი ზენოქმედების წყალობით, რასაც წინ უძღოდა მძიმე ბრძოლა საკუთარ სინდისთან. მაგრამ ქრისტიან მისტიკოსს მიზნად ესახება უშუალო კონტაქტი არა პანთეისტურად გააზრებულ ღმერთთან, არამედ გამოცხადების პიროვნული ღმერთის „შენთან“, რომელიც მისთვის მამა, ძმა და მეგობარია. ამაში ძვეს ფუნდამენტალური სხვაობა ქრისტიანულ მისტიკასა და ყველა სხვა დანარჩენ არაქრისტიანულ მისტიკას შორის“.

თანამედროვე რელიგიის ფსიქოლოგიამ შეიმუშავა გარკვეული სქემატიკური რელიგიურ ცხოვრებაში მისტიურ მომენტთა ადგილისა: „რაციონალურ ღვთისმოსაობაში (ა) სჭარბობს აზრობრივი შინაარსი, პიროვნული მიმართება მინიმალურია, იგი თითქმის არაარსებითად იქცა; უბრალო, ნორმალურ ღვთისმოსაობაში (ბ) აზრობრივი და ფუნქციონალური შინაარსი წონასწორობაში იმყოფება; ზენორმალურ, მისტიურ ღვთისმოსაობაში

-----  
\* გერმანელი მისტიკოსები . . . . . გვ. 62-83;



(გ) ცოცხალი „მეს“ მონაწილეობა სავსებით სჭარბობს აზრობრივ შინაარსს<sup>\*</sup>. მისტიურ გამოცდილებაში ხშირად ადგილი აქვს უჩვეულო მოვლენებს, რომელნიც ძალზე მრავალფეროვანნი არიან. მიუხედავად ამისა, მისტიური გამოცდილების არსი მათი მიხედვით არ დახასიათდება. „ექსტაზების“ გათვალისწინება შეიძლება არა როგორც წინაპირობისა, არამედ როგორც გვერდითი მოვლენებისა ან როგორც შედეგებისა, რადგან სული მისტიური მიმადლებისას იმდენად არის უმაღლესი ჭეშმარიტებით დაკავებული, რომ გრძნობანი წყვეტენ ყოველგვარ ქმედობას და ხშირად სხეული მიწაზე განრთხმულია, როგორც უსიცოცხლო; ასევე არ შეიძლება წინაპირობად მივიჩნიოთ ხილვა, რითაც ახალი ჭეშმარიტებანი უმეტესად განსაკუთრებული შემეცნებისეული ხატების მეშვეობით მიენიჭებათ. ამისი მონათესავეა მომავლის ჭვრეტა, გულის საიდუმლოთა წვდომა, ჭეშმარიტ და ყალბ რელიქვიათა განსხვავების უნარი და ცოდნა გარდაცვლილთა გიჟობის შესახებ. შესაძლოა აგრეთვე სასწაულებრივ მომენტთა დადგომა, როგორცაა ჰაერში გაჩერება ანდა ბუნებრივად შეუძლებელ პოზაში გახევება. რადგან ამ მოვლენებს ადგილი აქვთ უმრავლეს მისტიკოსებთან, ისინი ჩვეულებრივ მისტიურად აღინიშნებიან. მაგრამ არც წინაპირობებში, არც ამ გვერდით მოვლენებში და არც შედეგებში არა ძვეს არსი მისტიური გამოცდილებისა. ისინი უფრო მოჩუქურთმებულ ორნამენტს განეკუთვნებიან<sup>\*\*</sup>.

ნართალია, ამ „მოჩუქურთმებულ ორნამენტს“ ჰქონდა თავისი აზრი და დანიშნულება, როგორც ამას წმ. თომა აქვინელის ბიოგრაფი ადასტურებს, როდესაც ბერებმა საღერნოს მონასტერში თაცად

\* ვ. გრუენი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 132.

\*\* გერმანელი მისტიკოსები ..... გვ. 93-94.

იხილეს, საკუთხეველის წინ მლოცველი წმ. თომა აქვინელი შესამ-  
ჩნევად თუ როგორ ასცდა მიწას და ლოცვის დროს ჰაერში იყო გახს-  
ვებული. „შესაბამისი იყო ეს სწორედ“, - ამბობს წმ. თომა აქვი-  
ნელის მე-13 ს-ის ბიოგრაფი - „რომ სხეული მის სულს, რომელიც  
არ იყო დაზიანებული არავითარ ვნებათაგან, მორჩილად მიჰყვებოდა,  
რადგან მან მისი მიდრეკილებანი აღკვეთა“. მაგრამ, მიუხედავად  
ამისა, უ. ჯემსის სიტყვებით თუ ვიტყვით, მისტიურ გამოცდილება-  
ში გაცილებით უფრო საყურადღებოა თავისი ინიშვენელობის მხრივ გა-  
მოცხადებანი თეოლოგიური და მეტაფიზიკური ხასიათისა.

იეზუიტების ორდენის დამაარსებელი წმ. იგნაციო ლოიოლა  
ერთხელ გამოუტყდა მამა ლაინესს, რომ ლოცვითი გერეტიც ერთმა  
საათმა, მის მიერ განცდილმა მანრეზში, მას უფრო მეტი გემწარი-  
ტება გაუმზილა ზეციური საგნების შესახებ, ვიდრე ყველა მოძღვრე-  
ბამ სწავლული დოქტორებისა ერთად აღებულმა... ერთხელ, როდესაც  
ის ლოცულობდა დომინიკანური ეკლესიის პატრონიკეს კიბეებზე, იგი  
ნათლად ჩასწვდა ღვთაებრივი ჩანაფიქრის მთელ სიბრძნეს, გამოვლე-  
ნილს სამყაროს შექმნაში. მეორეჯერ, ერთ-ერთი საეკლესიო პროცე-  
სიის დროს, სული მისი აღაფრთოვანა ღმერთმა და მას ეღირსა ები-  
ლა ხატში, დედამიწაზე მცხოვრების სუსტი გაგებისათვის ხელმისა-  
წვდომად, უღრმესი საიდუმლო წ მ ი ნ დ ა ს ა მ ე ბ ი ს ა რ-  
სისა: ამ ხილვამ მისი გული ისეთი ნეტარებით აღავსო, რომ შემდ-  
გომში მასზე მხოლოდ გახსენება აიძულებდა მას მრავლად ედგარა

Das Leben des heiligen Thomas von Aquino  
erzählt von Wilhelm von Tocco und andere Ze-  
ugnisse zu seinem Leben, St. Benno-Verlag Leip-  
zig 1967, S. 130.



კრემლი“<sup>1</sup>. ასეთივე ღრმა ხილვები და გამოსხადებანი ჰქონდა ჰანსმა, როს გაჩენის შესახებ დიდ გერმანელ მისტიკოსსა და ფილოსოფოსს იაკობ ბიომეს, ხოლო წმ. სამების საიდუმლოს მისტიური წვდომის მიწიშნების შესახებ დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ უკანასკნელი სიმღერის გახსენებაც კმარა. მისტიური გამოცდილების მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება თვით გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებიდან, რომ არაფერი ვთქვათ თანამედროვე რელიგიის ფსიქოლოგის მონაცემებზე.

ჩვენი ისტორიკოსისათვის აქ მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმას რასაც ამბობს ცნობილი ფილოსოფოსი და მედიევისტი ლევ კარსავინი: „შუა საუკუნეების სქოლასტიკოსთა და მისტიკოსთა უგულვებელყოფით, ჩვენ ვაღვიწროებთ ჩვენს გაგებას მარადიულისას... რელიგიურ-მეტაფიზიკური გაგება უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან და უფრო ნაყოფიერია შუა საუკუნეებთან მიმართებაში, ეპოქასთან, რომელიც უპირატესად რელიგიურია - ამას თვით საქმის არსი მოითხოვს“<sup>2</sup>.

რელიგიური გამოცდილება არ იფარგლება მარტო თეოლოგებითა და მისტიკოსებით. რელიგიური გამოცდილების ცეცხლი ღვივის მუსიკაში, მხატვრობასა და ლიტერატურაში. ცნობილი გვარების უზარმაზარი სია რომ არ შევადგინოთ, ზემოთქმულის საილუსტრაციოდ, რამდენიმე მკაფიო მაგალითიც კმარა - მუსიკაში: პალესტრინა, ბახი, ბრუკნერი; მხატვრობაში: რემბრანდტი და ელ-გრეკო; ლიტერატურაში: მილტონი, დოსტოევსკი, მედვილი, რილკე.

<sup>1</sup> Bartoli-Michel: „Vie de Saint Ignace de Loyola“, 34-36. ციტირებულია: В. Джемс, Многообразие. . . . .стр.399.

<sup>2</sup> Л.П.Карсавин, Культура Средних Веков, Петроград 1918, С.2-3.

<sup>3</sup> J. Wach, . . . . . S. 60.

რელიგიური გამოცდრლება გამობატულებას

ულობს აზროვნებაში, ქმედებასა და საზოგადოებაში. „მითოსი მოძღვრება შეიცავენ აზრობრივ ფორმულირებას იმისას, რაც გამოცდილ იქნა საბოლოო რეალობასთან შეხვედრისას. კულტიარის ქმედება, გამომდინარე ამ შეხვედრიდან, იგი წარმოადგენს თავყანისცემასა და მსახურებას. ორივეს კი მიცყაცართ საზოგადოებისაკენ და ნის სულსა და გულს წარმოადგენენ“. რელიგიური გამოცდრლების გამობატულებათა განხილვა ზემოხსენებულ მოვლენებში არ შეადგენს ჩვენი წერილის მიზანს და ამიტომაც ჩვენ მას გვერდს აცვავლით.

სანამ გავაგრძელებდე ჩვენს თხრობას, მსურს მცირე ხნით ერთ საკითხზე შევიჩერდე, რომელიც, ფართო გაგებით, ისტორიულ კვლევასთან ბევრ პარალელს პოულობს, ხოლო ჩვენს ქართულ სინამდვილეში მწვავე პრობლემად იქცა. ეს პრობლემაა ბიბლიის თარგმნა თანამედროვე ქართულზე. როგორ წარმოგვიდგენია ბიბლიის თარგმნა და თარგმნელის დირსებანი? პირველი პრობა ასეთ ტექსტებთან მისასვლელად, გარდა ღრმა თეოლოგიური და ფილოლოგიური მონზადებისა, არის რელიგიური გამოცდრლება და თან არა რიგითი, არანედ, ვ. გრუნენის კლასიფიკაციით თუ ვიტყვით, „ზენორმალური, მისტური“. შენდეგ, ეს თარგმნა არ უნდა განხორციელდეს დღევანდელ-

\* J. Wach, . . . . . S. 128.



ბის მოღუერი სიჩქარით, რაც უდავოდ უარყოფითად იმოქმედებს თარგმნის ხარისხზე. თუმცა ცნობილია, რომ, მაგ., ლუთერმა დაახლოებით ოთხ თვეში თარგმნა ს ა ხ ა რ ე ბ ა, მაგრამ ლუთერის გენიაც რომ გამოგრიცხოთ, ის მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ იგი მთელი სიცოცხლე მაღალ რელიგიურ გამოცდილებას იყო ზიარებული. ვიცი რა ჩვენი მკითხველის მიდრეკილება „ავტორიტეტისადმი“, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენც შევეცდებით მოვიყვანოთ სიტყვები ასეთი ავტორიტეტისა, რომლის საუკეთესო არჩევანიც, ჩვენის აზრით, იქნება დასავლეთში ცნობილი სულიერი მიმდინარეობის ერთ-ერთი ადემპტი ემილ ბოკი, რომელმაც თავად ოცდაათი წელი მოანდომა ახალი აღთქმის თარგმნას.

„ვეანგელებისა და ახალი აღთქმის სხვა წერილებისათვის თანამედროვე ეპოქის შესაბამისი ენოვანი სხეულის მინიჭება, - ამბობს ე. ბოკი - უსასრულო ამოცანაა... ძველი ენები შეუდარებლად უფრო საკრალურ ენებსა და „ღვთის - სიტყვას“ წარმოადგენდნენ, ვიდრე ახალი ენები, რომელნიც იმ დროს გამოიკვეთნენ, როდესაც ცხოვრების ბირთვმა სულ უფრო და უფრო დატოვა ტაძართა სამფლობელო და საერო ცხოვრების სარბიელზე გადაინაცვლა ... ყოველი სიტყვა ძველი ენიდან აღმართულა, როგორც მთა, რომლის წინაშე ვითომც შესაბამისი სიტყვა ღვეგანდელი ენიდან უკიდურეს შემთხვევაში პატარა ბორცვს, ან სულაც სიბრტყეზე პატარა წერტილს წარმოადგენს... ლეგენდარული გადმოცემა, რომ ბერძნული ტექსტი ძველი აღთქმისა სამოცდაათ ინსპირირებულ მწიგნობართაგან, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელივ და ერთსა და იმავე დროს არის ჩაწერილი, გვაძლევს იმის შეცნობის შესაძლებლობას, თუ ბიბლიის თარგმნა

თავდაპირველად როგორ იყო სავსებით ზეპიროვნული საქმე, რომელიც  
მხოლოდ თავგანწირვითი ჭიდილით კარგად მომზადებული წრის მიერ,  
დღთაებრივი ინსპირაციის დახმარებით, შეიძლება ყოფილიყო გა-  
დაწყვეტილი. როდესაც ადრეული ქრისტიანობის დასასრულს ბერძნული  
ახალი აღქმა ლათინურად ითარგმნა, უკვე პიროვნულმა ელემენტმა  
გარკვეული სიძლიერით ზეპიროვნულის ადგილი დაიკავა. ჩვენ ვხე-  
დავთ იერონიმეს ბეთლემში, ოცდაათი წლით თავის სენაკში განმარ-  
ტობულს, რათა წმინდა წერილები ბერძნულის სულიერად განმსჭვა-  
ლული ზეციური ეთერიდან ლათინური ენის მიწასავით მკვრივ ნები-  
სეულ ფორმებში გადაიტანოს...“

„ცრურწმენა, - განაგრძობს ე. ბოკი - რომ შეიძლება ძველი  
ენიდან სიტყვის უბრალოდ ახალ ენაზე შესაბამისი სიტყვით გადმო-  
ცემა, ჩვენ დიდხანია დავთმეთ. ამიტომ, ზოგიერთ ადგილას ჩვენ  
ცდილობდით გარკვეული ა დ წ ე რ ი თ ი ელემენტით გზის გაკა-  
ფვას. საბოლოო ჯამში ეს ნიშნავდა, რომ გერმანული ენის შიგნით  
ახალი ენა მოგვესინჯა... ახალი აღქმის წერილების მომავალი თა-  
რგმანებისათვის თავისთავად ცხადია, რომ აუცილებელია ფილოლოგი-  
ური და თეოლოგიური კანსწავლულობა, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს  
თარგმანები ფილოლოგიისა და თეოლოგიის ნაცვლად უნდა მომდინარე-  
ბდნენ სულიისათვის გახსნილი ს მ ე ნ ი დ ა ნ...“

-----  
\* Die Briefe des Neuen Testaments, überse-  
tzungen, Emil Bock, Dornach-Schweiz, 1958, S. 1,2,3-8.

ახლა წარმოიდგინეთ, როდესაც ძველ ენებზე არსებულ საკრა-  
ღურ ტექსტებს ჩვენში რ უ ს უ ლ ი დ ა ნ თარგმნიან, რაღა  
უნდა იყოს იქ?

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენი წერილის დასაწყისში წამოგრილ პრობლემას ისტორიული ცოდნის შესახებ. იქ გამოითქვა მოსაზრება, რომ ასეთი ცოდნის მისაღწევად არაა საკმარისი, რომ ისტორიკოსმა თავისი საგანი შინაგანად განიცადოს, რომ მან თავის ცნობიერებაში აღიდგინოს, ფაქტთა იულიუს კეისრის განცდები. ამას ისევე ვერ მივყევართ იულიუს კეისრის შეცნობისაკენ, როგორც საკუთარი განცდების შეცნობის ფაქტს - საკუთარი თავის შეცნობისაკენ.\* ასეთი ცოდნის მისაღწევად, ამბობს ვ.დილთაის მოწაფე ედ. შპრანგერი, საჭიროა საგნის შინაგან განცდას და ე-მ ა ტ ო ს ც ო დ ნ ა „ზ ე ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი, ს უ ლ ი ე რ ი კ ა ვ შ ი რ ე ბ ი ს ა“. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანო ერთ შპრანგერისეულ მაგალითს: „ფსიქოლოგიას მხოლოდ ის ამოცანა რომ ჰქონოდა - აღეწერა, რაც თვით ინდივიდუალურ ცნობიერებაში განიცდება, მაშინ პასუხი კითხვაზე: „რატომ თამაშობს

---

\* Р.Дж. Коллингвуд, Идея истории, М., 1980, стр.165.



ბავშვი?" უბრალოდ ასეთი იქნებოდა: „იმიტომ რომ, მას ეს სიხარულს ანიჭებს“. რადგან ამაში ამოიწურება წმინდა სუბიექტური (განცდილი) აზრი თამაშისა. მაგრამ, როგორც კი ჩვენ ვიტყვით: ბავშვი თამაშობს იმიტომ, რათა მომავალში სიცოცხლისათვის მნიშვნელოვან ქმედებათა აღსრულებისათვის გაიწაფოს, მაშინ ჩვენ შორს ვცილდებით იმას, რაც თამაშის დროს ნამდვილად განიცდება. ეს „იმიტომ - რათა“ ბავშვის სულში ჯერ არ ცნაურდება. ეს ახსნა მას ემატება ზეინდივიდუალური, სულიერი კავშირების ცოდნიდან“.

„ინდივიდუალიზმი“ - განაგრძობს ედ. შპრანგერი - „თავისი „სუბიექტური სულით“ მხოლოდ მცირე ნაწილია, განპირობებული წივრია ობიექტური სულისა. თუ რატომ ვაზროვნებთ ჩვენ ასე, როგორც ვაზროვნებთ, რატომ ვაფასებთ, როგორც ვაფასებთ, რატომ ვმოქმედებთ, როგორც ვმოქმედებთ - ამას, ყველა ვითარებაში, მხოლოდ ჩვენი ინდივიდუალიზმიდან ვერ გამოვიყვანთ. ჩვენ უაღრესად ვართ განპირობებული და ჩამოყალიბებული არსებულ ზეინდივიდუალურ სულიერ ფორმაციათაგან“.\* ახლა ჩვენ გვინდა შევეხოთ ერთ ასეთ „ზეინდივიდუალურ სულიერ ფორმაციას“, რომელსაც, ჩემი აზრით, ისტორიკოსისათვის დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ერთი ასეთი ზეინდივიდუალური სულიერი ფორმაცია, რომლისგანაც ჩვენ უაღრესად ვართ განპირობებული, არის ეროვნება (ნაციონალობა). ეროვნების განსაზღვრებისას ჩვენ დავეყრდნობით სულიერად ჩვენთან უფრო ახლო მდგომს, ცნობილ ფილოსოფოსს ს. ბულგაკოვს, ხოლო შემდეგ მივანიშნებთ ეროვნული სულისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხზე და მის მნიშვნელობაზე ისტორიული წარსულის შესწავლისათვის.

\* E. Spranger, *Psychologie des Jugendalters*, Leipzig 1928, 5.8. ციტატები შემოკლებულია.



„ამოვიდვართ რა მისტიკური რეალიზმის წანამძღვრებლები  
 ამბობს ს. ბულგაკოვი - ჩვენ უნდა გავიხზოთ და შევიგრძნოთ ნა-  
 ციონალობა მხოლოდ როგორც სუბსტანციალური ყოფიერება, რომელიც  
 არსებობს ცნობიერებამდე და შეადგენს მის ყოფიერებით prius-ს  
 ჩვენ ვ ა დ ი ა რ ე ბ თ ჩვენ თავს ნაციის წევრებად იმიტომ,  
 რომ ჩვენ რ ე ა ლ უ რ ა დ ვ ე კ უ ო ვ ნ ი თ მას, როგორც  
 ცოცხალ სულიერ ორგანიზმს. ეს ჩვენი წევრობა სავსებით არაა და-  
 მოკიდებული ჩვენს ცნობიერებაზე; იგი არსებობს მანამდე და მის  
 გარეშე და თვით მისი სურვილის საწინააღმდეგოდაც. იგი არა მარ-  
 ტო არ წარმოადგენს ჩვენი ცნობიერებისა ან ჩვენი ნება-სურვილის  
 ნაყოფს, არამედ პირიქით, თვით ეს ცნობიერება ნაციონალობისა და  
 მისი სურცება მისივე ნაყოფია იმ გაგებით, რომ საერთოდ ცნობიე-  
 რი და ნებისეული სიცოცხლე თავისი არსებობისათვის უკვე გულისხ-  
 მობს პიროვნების რაღაც ყოფიერებით ბირთვის, როგორც მასაზრდოე-  
 ბელ, ორგანულ გარემოს, რომელშიაც ისინი აღმოცენდებიან და ერთა-  
 რდებიან, რასაკვირველია, იძენენ რა შემდეგ უნარს თვით პიროვნე-  
 ბაზე ზემოქმედებისას... ამიტომ ემპირიული „მე„ არა მარტო არ  
 გამოხატავს ჩვენს ნამდვილ, სუბსტანციალურ პიროვნებას, არამედ  
 არც შეუძლია ნასზე უფლების განცხადება, იგი არ არის მისი ადე-  
 კვატური; იგი მას მხოლოდ ა ღ მ ო ა რ ე ნ ს, გამოავლენს...  
 როგორც ვხედავთ, ემპირიულ „მესა“ და ეროვნული სულის ურ-  
 თიერთმიმართებაზე მართლდება შპრანგერისეული დებულება იმის შე-  
 სახებ, რომ ინდივიდუუმი მხოლოდ მცირე ნაწილია ობიექტური სუ-  
 ლისა და იმას, თუ რატომ ვაზროვნებთ ჩვენ ასე და არა სხვანაი-

С. Вулгаков, Из размышлений о национальнойности, журн. "Вопро-  
 сы Философии и Психологии", кн. III, М., 1910, стр. 388-389.

რად და .ა.შ., მარტო ჩვენი ინდივიდუუმიდან ვერ გამოვიყვანთ. ვერ  
გრამ მივცემთ ს. ბულგაკოვის აზრთა მსვლელობას. „ეროვნება - გა-  
ნაგრძობს იგი - წარმოადგენს იდეალურ ღირებულებას არა როგორც  
ეთნოგრაფიული მასალა, არა თავისი გარეშე გარსის გამო - ცუდი  
არის ნაციონალური თვითშეგნება, თუკი მხოლოდ ამაზე დაიყვანება  
იგი, - არამედ როგორც მატარებელი უმაღლესი მისიის იდეალური აღი-  
იარებისა. ამიტომ ეროვნული სულის წმინდა გამოვლინებას წარმოად-  
გენენ მისი „გმირები“ (კარლეილის გაგებით) ან „წმინდანები“ (რე-  
ლიგიური გაგებით)“.

ამგვარად, იდეალური ღირებულება ეროვნებისა განისაზღვრება  
იმით, თუ იგი აღიარებს „უმაღლეს მისიას“ და გვევლინება მის მა-  
ტარებლად. ეხლა საკითხავია, თუ რა არის ეს უმაღლესი მისია, რა  
უნდა განმსჭვებლავდეს ერის სულს, რომლის მიხედვითაც დგინდება  
მისი „იდეალური ღირებულება?“ ეს კითხვა მით უფრო სამართლიანია,  
რამდენადაც ცნობილია, რომ „ნაციონალური ცნობიერება და გრძნობა  
გარკვეული მხრივ შეიძლება როგორც აღიზარდოს, ასევე, რასაკვირ-  
ველია, შეიძლება კიდევ გაირყვანას“\*. ჩვენი აზრით (და ს.ბულგა-  
კოვიც აქვე მიანიშნებს), ერის ასეთი უმაღლესი მისია არის მის  
მიერ იდეალური აღიარება ზენაციონალური, ეროვნების მიმართ ტრანს-  
ცენდენტური იდეისა - რელიგიისა, რომელიც შეიცავს აბსოლუტური ჭე-  
შმარიტების გამოცხადებას. მის ადგილს ვერასდროს ვერ დაიკავენს  
თავად ნაციონალობა, რადგან „ნაციონალობა თუმცა არის ორგანული,  
მაგრამ არა უმაღლესი ფორმა ადამიანური გაერთიანებისა, ვინაიდან  
იგი არა მარტო აერთიანებს, არამედ აცალკევებს კიდევ და ნაციონა-

\* С. Булгаков, . . . . . стр.396.

\*\* *ibidem* . стр.393

ღური მესიანიზმი, განსაკუთრებით ისტორიული კეთილდღეობის  
ძალზე ადვილად გადადის ნაციონალურ განსაკუთრებულობაში,  
იმაში, რაც ჩვეულებისამებრ ნაციონალიზმად იწოდება“\*. ისტორიამ  
კი საკმაოდ მაგალითები მოგვცა ასეთი ნაციონალიზმის ბესტიალური  
გამოვლინებებისა. \*\* ამგვარად, „არსებობს მხოლოდ ზეეროვნული,  
ჭეშმარიტად კათოლიკური რელიგია - გ ა ნ ს ხ ე უ ლ ე ბ უ ლ ი  
ს ი ტ ყ ვ ი ს ა ... იგი შეიცავს აბსოლუტური ჭეშმარიტების გა  
მოცხადებას და ამიტომ თავისუფალია ნაციონალური შეზღუდულობისა.  
გან. თუმცა კი ისიც, არის რა ზეეროვნული თავისი შინაარსის მი  
ხედვით, ეროვნების გარეშე არ რჩება ათვისების წესის მხრივ“\*\*\*  
მამასადაამე, ეროვნული სული იქცევა იმ ფორმად, რომელიც გახსნი  
ლი უნდა იყოს რელიგიური შინაარსის მისაღებად. თავის მხრივ, ამ  
შინაარსის ათვისების უნარი, მისი ინტენსივობა, მისდამი ერთგუ  
ლება - ეროვნების იდეალური ღირებულების დასადგენ ეტალონად ხდ  
ბა და რომელიც მისივე მხსნელ შუქურად იქცევა ხოლმე მისი ძნელ  
ბედობის უამს. ამას კარგად გრძნობენ ხოლმე ერის სულის დიდი  
გამომვლენნი, მისი დიდი შვილები. ამ შემთხვევაში რუსი ერის მი  
მართ მოვიყვანოთ დოსტოევსკის სიტყვები: „მე ვამტკიცებ, რომ

\* С. БУЛГАКОВ . . . . .стр.398.

\*\* მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ღვთის ბოძებულ ეროვნულ  
ობას დაცვა არ უნდა, რადგან „ამ ევგენად ყველაფერი ვითარდება  
ურთიერთაწინააღმდეგობებში. და რამდენადაც საძრახისია ნაციონა  
ლიზმი, იმდენად სავალდებულოა პატრიოტიზმი“ ( С. БУЛГАКОВ,  
დასახ. ნაშრომი, გვ. 398).

\*\*\*  
*ibidem*, стр.406.

ჩვენს ვერ უკვე დიდი ხანია, რაც განათლდა, მიიღო რა თავის  
 ში ქ რ ი ს ტ ე და მისი მოძღვრება. მე მეტყვიან: მან ქრისტეს  
 მოძღვრება არ იცის და მას ქადაგებებსაც არ უკითხავენ, - მაგრამ  
 ეს შეპასუხება ყალბია: ყველაფერი იცის, ყველაფერი ის, რაც სწო-  
 რედ საჭიროა, რომ იცოდეს; თუმცა კატეხიზისს კი ვერ ჩაგაბარებო.  
 ხომ ისწავლა ტაძრებში, სადაც საუკუნეთა მანძილზე ესმოდა ლოცვე-  
 ბი და ჰიმნები, რომლებიც ქადაგებებზე უკეთესია. იმეორებდა და  
 თვით მღეროდა ამ ლოცვებს ჯერ კიდევ ტყეში, როდესაც თავს იხსნი-  
 და თვისთა მტერთაგან... რადგან ქრისტეს გარდა მაშინ მას არაფე-  
 რი რჩებოდა\*. მკითხველი უკვე თავად შეამჩნევს, თუ რა პარალელი  
 ივლება აქ ჩვენს ისტორიასთან. ამგვარად, თითქოს ორი გზა იხსნე-  
 ბა ისტორიკოსისათვის ჩ ვ ე ნ ი წარსულის გასაგებად: ერთი  
 მხრივ რელიგიური გამოცდილების მიღება, მეორე მხრივ - ეროვნულ  
 სულში ჩადრმავება, რაც უფრო ეროვნულია მკვლევარი, მით უფრო უა-  
 დვილდება ეს მეორე გზა, მით უფრო უკეთ იგებს იგი საკუთარი ერის  
 წარსულს, რადგან „წარსული - არაა მკვდარი წარსული, არამედ აწმ-  
 ყოში ცოცხლობს... ცოცხალი წარსული ისტორიისა ცოცხლობს აწმყოში,  
 მაგრამ იგი ცოცხლობს აწმყოს არა უშუალო გამოცდილებაში, არამედ  
 მხოლოდ აწმყოს თვითშემეცნებაში. ისტორიული ცოდნა - ყსაა ცოდნა  
 წარსულისა აწმყოში, ისტორიკოსის მიერ საკუთარი სულის თვითშემე-  
 ცნება, რომელიც აცოცხლებს და კვლავ განიცდის წარსულის გამოცდი-  
 ლებას აწმყოში“\*\*. ხოლო საკუთარი გამოცდილების გაფართოებით, უკვე  
 განცდილთან ანალოგიებსა და პარალელების დაძებნის გზით, ისტორი-

\* Ф.М.Достоевский, Полн.собр.соч., т.ХХVI, "Дневник писа-  
 теля", Москва 1984, стр.150.

\*\* Р.Дж.Коллингвуд, . . . . .стр.167.

მაგრამ თუ იგი არ იყენებს წარსულს მხოლოდ ფონად და მის  
მეორე შექმნილ გმირს მხოლოდ საკუთარი მსოფლმხედველობის რუბრიკად  
არ ხდის, არამედ ეხება კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციასა და კონ-  
კრეტულ ისტორიულ პირობებს, მაშინ მან თავისი ფართო შესაძლებლო-  
ბებითა და ინტუიტიური წყდომის უნარით ამ ისტორიული ეპოქისა და,  
შესაბამისად, ამ ეპოქის გმირთა სინამდვილესთან ახლო მდგომი და  
მათთვის დამახასიათებელი სული სკვეთება მაინც უნდა  
გადმოსცეს. ჩვენს რეალობაში ეს პროცესი ძალზე სავალალო შედეგებს  
იძენს, რადგან ხშირად ირრელიგიურ პოზიციებზე მდგომ ლიტერატორ-  
თაგან ხდება გადაფასება ცალკეულ პირთა თუ მთელი  
ისტორიული ეპოქებისა მათი დღევანდელ შეხედულებათა  
მიხედვით, რომელნიც ისტორიულ წარსულთან მიმართებით მის ვერ  
გაგებას ეფუძნებიან. ხშირია ასევე შემთხვევები, როდესაც  
ჩვენი ისტორიის შუა საუკუნეთა ეპოქის წმინდანთა და გმირთა  
თავდადებას „ნაციონალურ - პატრიოტული“ მოტივით ხსნიან და რელი-  
გიურ ფაქტორს უკანა პლანზე აყენებენ ან სულაც არ ცნობენ და სხვა.  
ხშირად, როდესაც რომანისტები საქართველოს წარსულს მიმართავენ,  
მაგალითად, ჩვენს შუა საუკუნეებს, ზოგიერთ მათგანს ავიწყდება,  
თუ რა სული სკვეთება სუფევდა ამ ეპოქაში და თავიანთ გმირებს  
დღევანდელი განწყობილებით ამოქმედებენ. ამ დროს ხშირია რომანის  
გმირთა ისეთი საქციელი, რომელიც იმ ეპოქაში მკრე-  
ხელობად ჩათვლებოდა, მაგ., საკრალური საგნების სხვა  
დანიშნულებით განოყენება და სხვა.

მწერალს უნდა ახსოვდეს, როგორც ზენოთ აღვნიშნეთ, რომ  
შუა საუკუნეების ეპოქა (IV-XIII სს.) ძირითადად რელიგიური

-----  
\* პერიოდიზაცია ლევ კარსავინისაა. იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. I.



ემოქაა, მის აზროვნებას ძირითადად თეოლოგია წარმართავდა. ხოლო შუა საუკუნეების ადანიანი უმთავრესად პირად ხსნაზე ფიქრობდა ქრისტიანული რელიგიის გაგებით\*\*. ან მხრივ არც საქართველო წარმოადგენდა გამონაკლისს. რასაკვირველია, მკრეხელობის ფაქტებს შუა საუკუნეებშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში მათ მონანიებაც თუ არ ახლდა, მაშინ, მათი ჩამდენთა მხრიდან შეგნებულ სატანიზმს ჰქონდა ადგილი, რომელიც იგივე რელიგიაა უარყოფითი ნიშნით. ანგვარად, მკრეხელობა არატოპიური მოვლენა იყო ამ ეპოქისათვის და კონკრეტული ისტორიული პიროვნების მიმართ ანდაგვარზე საუბარი, თუ არა გვაქვს ანაზე პირდაპირი ნიშნით ან ისტორიულ წყაროებში, მისი სულიკვეთების გაყალბებაზე ნეტყველებს. ნაგალითად, ავიღოთ ჯვარცმა (მიოთმეტეს, სასწაულმოქმედი!) და დავუბნათ, რომ მწერლის ფანტაზიის წყალობით, შუა საუკუნეების გირი მას სხვა დანიშნულებით იყენებს. მაშინ, ასეთი რამ, ცხადია, დღევანდელი ათეისტური გონების გამოსატულება იქნებოდა. ჯვარი - რელიგიური ადანიანისათვის, მიოთმეტეს, შუა საუკუნეების რელიგიური ადანიანისათვის და მიოთმეტეს, სასწაულმოქმედი ჯვარი - არ წარმოადგენს უბრალო საგანს. იგი ტრასცენდენტური რეალობის გამომსატავ სხვა საკრალურ საგნებთან ერთად წარმოადგენს სინბოლო სპოლო რეალობისას და ანგვარად, თავად შენოსაზღვრული უსაზღვროზე მიანიშნებს. მის ნინართ მორწმუნე, ისევე, როგორც საბოლოო რეალობასთან შეხვედრისას, ერთდროულად განიცდის წინდა

\* P. Дж. Коллингвуд, . . . . . стр. 8.

\*\* Л. П. Карсавин, . . . . . стр. 217.

ფიშს ( *tremendum* ) და მიზიდულობასაც ( *fasci-  
nosum* )\*. ნორწმუნეში მისი ხილვა ხშირად ექსტაზს აღძრავს\*\*  
მისი არა თუ შებღაღვა, არანედ მისი უზრალო გამოსახვაც „დასა-  
თრგუნველ ადგილთა ზედა“ შერისხული იყო. ამას გვამცნობს სწო-  
რედ მ ე ა თ ე ს ა უ კ უ ნ ი ს ბ ო ლ ო ს, ექვეთიმე მთა-  
წმინდელის მიერ შედგენილი „მცირე სჯულისკანონი“, სადაც ვკით-  
ხულობთ: „ცხოველსმყოფელისა ჯუარისაგან იქმნა ცხორებაი ჩუენი  
ქრისტეს მიერ, რომელი მას ზედა ჯუარს ეცუა სახსრად ჩუენდა.  
ამისთვისცა ყოველითა მოსწრაფებითა გვეირს პატივი და დიდებაი  
სახისა მის წინდისა ჯუარისაი, რომლისა მიერ ვიხსნენით ძუელი-  
სა მისგან დაცვისა. აწ უკუე ვამცნებთ, რაითა არავის ხელ-ვიწი-  
ფებოჯის ადგილსა დასათრგუნველსა ჯუარისა სახესა გამოსახვად,  
გინათუ ქუეყანასა ზედა, ანუ აცუანდებსა ზედა, ანუ თუ შატრო-  
ვანთა ზედა. და ძოლოთა ჯუარის გამოსახვები არა ჯერ-არს, რაი-  
თა არა დათრგუნვითა ნათ ადგილთაითა ძღვევისა ჩუენისა სახე  
შეურაცხ-იქმნას. რომელთაცა უკუე სახე ჯუარისაი ადგილსა ფერ-  
ხითა დასათრგუნველსა ქმნან; დიდისა ბრალისა თანანდებ სყოფენ  
თავთა თვისთა“\*\*\*. ამგვარად, ვიმეორებთ, თუ ისტორიულ წყაროში  
პირდაპირი ნითითება არა გვაქვს იმის შესახებ, რომ ესა თუ ის  
პიროვნება ათეისტი ან „ემმაკეული“ იყო, მაშინ, ნწერლის ეს

\* Rudolf Otto, *Das Heilige*, München 1963, S. 13-28.

\*\* Friedrich Heiler, *Erscheinungsformen und Wesen der Religion*, Stuttgart 1961, S. 23.

\*\*\* „მცირე სჯულისკანონი“, გამოსაცემად მოამზადა ელგუჯა გო-  
ნაშვილმა, თბილისი, 1972, გვ. 61.

გამონაგონი, გვირის სულის ამკარა გაყალბებაზე იმეჯცილებს  
როგორც აღვნიშნეთ, ასეთი მაგალითები ძალზე გახშირდა ჩვენს  
ლიტერატურაში, მაგრამ ამ ავგიას თავის, ამ ვებებერთელა კლო-  
აკის გაწმენდა ჩვენი პატარა წერილის ნიჰანს სცილდება. ახლა  
თუ არა, ანას ნომინალში მაინც შეასრულებს ჩვენზე ბედნიერი  
შთანთქმავალი.

ვიქტორ რცხილაძე

დ მ ე რ თ ი , ა დ ა მ ი ა ნ ი დ ა  
ს უ ლ ა ე რ ი ს ა მ ც ა რ თ წ მ . მ ა რ თ ღ მ ა დ ი -  
დ ე ბ ლ უ რ ი კ წ მ ე ნ ი ს მ ო ძ ღ ც რ ე ბ ი ს  
მ ი ხ ე . დ ვ ი თ

( მოკლე გადმოცემა )

შეადგინა ც ი კ ტ ო რ რ ც ხ ი ლ ა . ძ ე მ

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ღმერთი ძველი და ახალი აღთქმის მიხედვით . . . . .
2. წმ. სამება მართლმადიდებლური რწმენის მოძღვრების მიხედვით . . . . .
3. ღვთისა და სამყაროს ურთიერთდამოკიდებულება. სამყაროს გარეგნა . . . . .
4. მოძღვრება სულთა შესახებ . . . . .
5. მოძღვრება ადამიანზე . . . . .
6. მოძღვრება ადამიანის შეცოდებაზე და მის შედეგებზე. ღვთაებრივი განგება . . . . .
7. ღვთაებრივი მადლის შესახებ . . . . .
8. ადამიანის აგებულება . . . . .
9. ადამიანის სხეულეებრივი სიკვდილი . . . . .
10. იდუმალება სიკვდილისა . . . . .
11. ჯოჯობეთი . . . . .
12. სამოთხე . . . . .
13. გამოყენებული ლიტერატურა . . . . .

ღმერთი ძველი და ახალი  
აღთქმის მიხედვით



ძველ აღქმაში ღვთის თვითგამოცხადების დამახასიათებელი არსებითი ნიშანია, პირველ ყოვლისა, მისი ერთადერთობა (მონოთეიზმი). ამის დამადასტურებელი ადგილები მრავლადაა ძვ. აღ-ში, რომლიდანაც ჩვენ ერთ-ერთს მოვიყვანთ: „გესმოდენ ისრაელსა: უფალი ღმერთი შენი მხოლოდ არს“ (წიგნი მეორე სჯული-სა, 6, 4.). ღვთის ამ ერთადერთობას ხაზს უსვამს აგრეთვე ახალი აღქმა: „პირველი ყოველთა მცნებათაი ესე არს: ისმინე, ისრაელ: უფალი ღმერთი შენი უფალი ერთ არს“ (მარკოზ 12, 29).

ღვთის შემდგომი დამახასიათებელი არსებითი ნიშანია მისი ტრანსცენდენტურობა ყოფიერების მიმართ. ფორმალური მონოთეიზმი მოიპოვება აგრეთვე ძველი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, მაგალითად, ეგვიპტეში ფარაონ ეხნატონის მიერ (1350 წ. ქ.შ.-მდე) მზის ღმერთის თაყვანისცემისას. მაგრამ აქ ღვთიების არსება საფსებლით „სამყაროში მყოფია“, მისი იმანენტურია. ესაა დამახასიათებელი ნიშანი ყველა ძველი აღმოსავლური რელიგიისა ისრაელის გარშემო. ძვ. აღქმაში კი ღმერთი ქმედით მიმართებაშია სამყაროსა და ადამიანთან (დინამიური იმანენტურობა), მაგრამ იგი თავისი ყოფიერებითა და არსით ყოველივე სამყაროსეულს გადალახავს და მის მიღმა იმყოფება, მაშასადამე, ტრანსცენდენტურია. ღვთის ეს უმაღლესი ძლიერება და მისი ზე-სამყაროულობა ძვ. აღქმის მრავალ ადგილას დასტურდება. „უკუეთუ ცანი ცათანი ვერ შემძლებელ არიან შენდა, აწ ვითარმე სახლი ესე რომელ აღვაშენე სახელისა შენისა, იყოს საყოფელ შენდა? (III მეფეთა, 8, 27). „აღ - თუ - ვჰხედე ცად, შენ მუნ ხარ; შთა - თუ - ვხედე ჯოჯობეთად, ახლო-



სვე ხარ“ . (დავითი 138, 8) . ღმერთი არის შექმნელი და აბსოლუტური მბრძანებელი კოსმოსისა, რის გამოც მათი არსი ურთიერთისაგან განსხვავებულია . ყველაფერი, რაც არის, წარმოსდგება ღვთის თავდაპირველი სიტყვისაგან და მისი თავისუფალი, პიროვნული ჩარევისაგან . „დასაბამად ქმნნა ღმერთმან ცაი და ქუეყანაი . და თქუა ღმერთმან : იქმენინ ნათელი და იქმნა ნათელი“ (დაბადება, I, 1-3) .

ღვთის სივრცის მიღმურობას ანალოგია მის ზედროულობაში გააჩნია . მაშინ, როდესაც ძველი სამყაროს მითებში სამყაროს გაჩენის შესახებ თეოგონია (ე.ი. ღმერთთა ჩასახვისა და გაჩენის აღწერა) მათ არსებით ელემენტს წარმოადგენს, ღმერთი, ძვ. აღქმის მიხედვით, ყოველივე დროულობას ჩამოშორებულია . იგი გლინდება მხოლოდ თავისი გამაწმინდანებელი ქმედობებით და არასოდეს - თავისი არსით . თაობები იცვლებიან, მაგრამ ღმერთი მანათა იგივეა, იდენტურია . „მე ვარ ღმერთი, რომელი ვარ“ (გამოსვლათა 3,4) ; „ვინ იმოქმედნა და ყვნა ესენი, უწოდა მას მწოდებელმან მისმან დასაბამითგან ნათესავთათ : მე ღმერთი პირველი და მომავალთა შინა მევე ვარ“ . (წინასწარმეტყველება ესაიასი 41,4) . ღმერთი საერთოდ მალდება დროზე, იგი მისი მიღმურია . „პირველ მთათა დაბადებამდე და შექმნად ქუეყანისა და სოფლისა და საუკუნითგან და უკუნისამდე შენ ხარ“ . (დავით 89,2) . ასევე აბსოლუტურად განსხვავდება ღმერთი ყოველგვარი სამყაროსეულისაგან . ამიტომ, ადამიანისაგან ყოველგვარი აღრევა ღვთისა სამყაროსთან ღვთის წყრომის იმსახურებს . ეს ვითარება მკვეთრ გამოვლინებას პოულობს სიტყვა „წმინდაში“ . თავდაპირველად ეს ცნება ადგილთანაა დაკავშირებული . „და ვითარცა განიდვიძა იაკობ ძილისა მისგან, თქუა, რამეთუ : არს უნალი ადგილსა ამას და მე არა ვიცოდე . და შეეშინა და თქუა :

ეითარ საშინელ არს ადგილი ესე. არა არს სხუაი ესე, გარნა სა-  
ხლი ღმრთისაი და ესე ბჭე ზეცისაი“ (დაბადება 28, 16-17). „<sup>საქმიანული</sup>  
უფალმან თქუა: ნუ მოეახლები აქა! წარიხადენ ხამლნი ღერხთაგან  
შენთა; რამეთუ ადგილი ეგე, რომელსა სდგა შენ, ქუეყანა წმიდა  
არს“. (გამოსვლათა 3, 5). მაგრამ ამ ცნების მიღმა უკვე არსებობს  
გამოცდილება ღვთის შიშის განცდისა, ე.წ. *mysterium*  
*tremendum*-ი, გამოცდილება ღვთის ონტიური (ყოფიერების  
მიხედვით, ყოფიერებითი) და ეთიკური სიწმინდისა, რომელიც ყოველ-  
გვარ არაწმინდას უარყოფს. „რამეთუ მე ვარ უფალი ღმერთი თქუენი,  
და განიწმიდენით და იყვენით წმიდაი, რამეთუ წმიდაი ვარ მე  
უფალი თქუენი და არა შევაგინნეთ სულნი თქუენნი ყოველთა ამათა-  
გან ქუეწარმავალთა, რომელნი იბრძვიან ქუეყანასა ზედა“ (ლევით-  
ტელთა, II, 44-45).

უკვე ძველ აღთქმაშივე ასევე ნათლად გამოსჭვივის ღვთის  
პიროვნული ბუნება, პერსონალურობა, როგორც ღვთის სულის ყოლიე-  
რების უშინაგანესი არსი. ღმერთი ისრაელს ეცხადება მოსესა და  
წინასწარმეტყველთა მეშვეობით, როგორც მეტყველი და საკუთარი თა-  
ვის აბსოლუტურად განმგებელი პიროვნება, რომელსაც უზენაეს ხარი-  
სხში ახასიათებს ნებელობა და თავისუფლება, შემეცნება და სიბრ-  
ძნე. „მე“-ს ფორმით ღვთის გამოცხადების დადასტურება უხვად მოი-  
პოვება ძვ. აღთქმაში (შდრ. გამოსვლათა 3, 14 და სხვა). ასევე,  
უკვე ძვ. აღთქმაშივე, ღვთის ზეადმატებულ პიროვნულ სულიერ ყო-  
ფიერებაზე მეტყველებენ პერსონიფიცირებული გამოცხადებანი ღვთი-  
ური სიბრძნისა (შდრ. იგავთა 8 და სხვა), სიტყვისა (შდრ. დავითი,  
II 8, 9 და სხვა) და სულისა (შდრ. წინასწარმეტყველება ესაი-  
ასი 63, 10 და სხვა), რომელნიც, რა თქმა უნდა, ახალ აღთქმაში  
უფრო ნათლად ვლინდებიან.



ფუნდამენტალური დაჯუძნება ახალი აღთქმისა ძვ. აღთქმაზე უშუალოდ გლინდება ერთი და იგივე ღმერთის იდენტურობის განზრახვით. გნოსტიკოსთა მიერ მტკიცება იმისა, რომ ძველსა და ახალ აღთქმას შორის არსებობს წინააღმდეგობა, იუარყოფა სახარების ყოველი გვერდით. აგრეთვე ფართოდ გავრცელებული ფორმულირება, რომ ძვ. აღთქმა დაჟადებს სამართლიანობის ღმერთზე, ხოლო ახალი აღთქმა კი - სიყვარულისაზე, წარმოადგენს ფაქტობრივი მხარის დამახინჯებულ გაუბრალოებას, რომელიც ჯეროვნად ვერ ასახავს ვერც ძვ. აღთქმასა და ვერც ახალს. სინამდვილეში, ახალი აღთქმა მთელი თავისი შრეთა სიგრძე-სიგანით ღებულობს ძვ. აღთქმის ღვთის გამოცხადებას, განავითარებს მას და მიჰყავს იგი მის კულმინაციამდე. „მრავლით კერძო და მრავლით საბით მაშინვე ღმერთი ეტყოდა მამათა წინაისწარმეტყუელთა მიერ, ხოლო უკუანაისკნელთა ამათ დღეთა ნეტყოდა ჩუენ ძისა მიერ თვისისა“ (ებრაელთა მიმართ, I, I და შდრ. საქმე 3, 13-26).

წმ. სამება მართლმადიდებლური  
რწმენის მოძღვრების  
მიხედვით

მართლმადიდებლური რწმენის შეხედულებას წმ. სამებაზე ჩვენ მოკლედ დავახასიათებთ კაპადოკიელი წმ. მამების მიხედვით - ბასილ დიდი (გარდაიცვ. 379 წ.), გრიგოლ ნოსელი (+394), გრიგოლ ნაზიანზელი (+390).

ამ პირველ რიგში, საქმე ეხება წმ. სამების წევრების ურთიერთმიმართებას. ამ მიზნით ანსხვაცებენ ცნებებს: *ousia* -სა და *hypostasis* -ს. თუკი პირველი აღნიშნავს ღვთაების მთლი-

ან არსს, მეორე - დამოუკიდებელი არსებობის აღმნიშვნელია და  
 მას უთანადებენ სიტყვა *prosōpon* -ს, პერსონას, პიროვნებას.  
 მას. წმ. ბასილ დიდი ამ ცნებათა მნიშვნელობას უფრო ახლო გან-  
 მარტავს: ცნება ადამიანისა აღნიშნავს საყო-  
 ველთაოს, რაც ყველა ადამიანისათვისაა დამახასიათებელი. მაგრამ  
 ცალკეული ადამიანი, მაგალითად პავლე ან ივანე, ვარკვეული ნიშ-  
 ნების მქონეა, რაც მას სხვა ინდივიდუუმებისაგან განასხვავებს.  
 პავლეს და ივანეს დამოუკიდებელი მყოფობა ვააჩნიათ, მაგრამ მათ  
 ამავდროს აქვთ რაღაც საერთო, სახელდობრ ის, რომ ისინი ადამი-  
 ანები არიან და საყოველთაო ცნება ადამიანს განეკუთმ-  
 ნებიან. ამით მათი საერთო არსი (*ousia*) მოცემულია;  
 მაგრამ ცალ-ცალკე, თავისთავად, ისინი პიროვნებები არიან და  
 ვააჩნიათ დამოუკიდებელი არსებობა (*hypostasis*). ჰი-  
 პოსტაზი, მაშასადამე, წარმოადგენს არსებობის განსაკუთრებულ  
 ფორმას, განსაკუთრებულ ნიშანს, სადაც საყოველთაო თავის კონკ-  
 რეტულ გამოხატულებას პოულობს. ეს არის ის, რაც თავის თავში  
 და არა რაიმე სხვაში არსებობს.

თუკი ცნება „ჰიპოსტაზი“ წმ. სამების შესახებ მოძღვრებაში  
 გამოიყენება, მაშინ ამით აღნიშნავენ იმას, რომ სამ პიროვნებას  
 მათი განსაკუთრებული თვისებები და ნიშნები ვააჩნიათ, რისი მე-  
 შვეობითაც ისინი ერთურობისაგან განსხვავდებიან და თავიანთი გან-  
 საკუთრებული არსებობის ფორმით ვლინდებიან. ერთდროულად ისინი  
 წარმოადგენენ ერთ ღვთაებრივ არსებას. წმ. სამების შესახებ მო-  
 ძღვრების ასეთ ჩამოყალიბებას ჩვეულებისამებრ შემდეგ ფორმულა-  
 ში აჯამებენ: *mia ousia treis hypostasis* („ერთი  
 არსი, სამი პიროვნება“). საკითხს ჰიპოსტაზთა ნიშნების შესახებ  
 კაპადოკიელები პასუხობენ მათი ურთიერთმიმართებიდან. მამა არის



*agennētos* — ი („არდაბადებული“), ძე - მამისაგან

შობილი, სული წმიდა გადმოდის მამისაგან ძემი და მისგან ვლინ-

დება: *Idion de patros men hē agennēsia hyou de hē gennēsis, pneumatōs de hē ekempsis.*

რაც წმ. სამების პიროვნებებს ურთიერთმიმართებაში ახასიათებთ, იგივე ვლინდება ღვთაებრივი ქმედობის აღწერისას: მამა არის ამ ქმედობის პრინციპი, ძე - შემსრულებელი, სული წმიდა - ქმნილები და მამაგვირგვინებელი (*aitios, dēmiourgos, teleiopoios*).

რასაკვირველია, ყოველივე ზემოთხსენილი წარმოადგენს ფილოსოფიური ტერმინოლოგიის მოშველიებით ფორმალურ განსხვავებებს იმისას, რაც მოცემულია რწმენის შინაარსში ღვთაებრივი ბუნებისა და სამპიროვნულობის შესახებ. რაც შეეხება მათ უფრო ახლო და დრმა განსაზღვრას, ეს, როგორც ამას ხაზს უსვამენ წმ. მამები, წარმოადგენს უდიდეს საიდუმლოს წმ. სამებისას (*mysterium trinitatis*), რაც ჩვენი შეხედულების ზღვრებს სცილდება.

ღ ვ თ ი ს ა    დ ა    ს ა მ ყ ა რ ო ს  
 უ რ თ ი ე რ თ დ ა მ ო კ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა .  
 ს ა მ ყ ა რ ო ს    გ ა რ ე ნ ა .

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი (ნაზიანზელი) (329-390) გადაჭრით უარყოფს მატერიის (ნივთიერი სამყაროს) უსაწყისობას. ყველაფრის დასაბამი დემერთია და ყოველივეს იგი ქმნის. ხოლო რასაც დასაბამი გააჩნია, ბუნებრივია, იგი დასასრულსაც მხოვებს. დემერთი არა მარტო მატერიის შემქმნელია, არამედ მისი ფორმისაც, რად

გან წარმოუდგენელია მატერია ფორმის გარეშე და ფორმა მატერიის  
გარეშე. ამგვარად, მოკვდავი ხელოვანი თავის ქმნილებას მხოლოდ  
ფორმას ანიჭებს, იყენებს რა მზა მატერიას. ღმერთი კი უდიდესი  
გაგებითაა ხელოვანი: იგი ორივეს აქმნის. ყოველი ხილული და უხი-  
ლავი სამყაროს მიღმა დგას ღმერთი, როგორც მისი შემოქმედი. თა-  
ვად ღმერთი კი პიროვნული და უსაწყისო არსებაა.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ გამოავლინა ღმერთმა თავისი  
შემოქმედებითი ყოვლადღიერება და რატომ შექმნა მან სამყარო,  
ამაზე, წმ. გრიგოლ დღვისმეტყველი იუწყება, რომ ღმერთი ბრა მარ-  
ტო ყოვლადღიერი არსებაა, არამედ - ყოვლადკეთილიც, და რომ მას  
თავისი ყოვლადღიერებით ყოველთვის შეეძლო და თავისი უსასრულო  
სიკეთით ყოველთვის სურდა შეექმნა სამყარო არსებათა, რომელთაც  
შეეძლებოდათ დამტკბარიყვნენ მისი სიკეთის მაღლით. რადგან, გა-  
ნაგრძობს იგი, სიკეთისათვის არაა საკმარისი მხოლოდ საკუთარი  
თავის ჭვრეტა, არამედ საჭიროა, რომ ის განუწყვეტილად ვითარდე-  
ბოდეს, რათა მისგან კეთილყოფილ არსებათა რიცხვმა იმატოს. ამი-  
ტომ, ღმერთი, ჯერ ანგელოზურ და ზეციურ ძალებს იაზრებს, რადგან  
ყოვლადღიერი არსებისათვის საკმარისია რაიმეს მარტოდენ გააზრე-  
ბა, რომ იგი სინამდვილედ იქცეს.

შექმნა დაიწყო შემდეგი თანმიმდევრობით. პირველად შეიქმნა  
მეორადი სინათლენი, რომელნიც წარმოადგენენ პირველი, უმაღლესი  
სინათლის ანარეკლს. ესენი არიან ის გონიერი სულნი, რომელნიც  
ღვთის ირგვლივ იმყოფებიან - ანგელოზთა იერარქია. პირველი, რაც  
შექმნა შემოქმედმა ხილულ სამყაროში, ეს იყო სინათლე, რომელმაც  
მოსპო მანამდე არსებული წყვდიადი და ქაოსი. მაგრამ ეს სინათლე  
არ წარმოადგენს მზის სინათლეს, იგი არ არის მოთავსებული რაიმე  
სხეულში, არამედ შემდეგ ენიჭებათ სხეულებს. ყოველივე იქმნე-

ბოდა თანდათანობით, ზებუნებრივი კანონებით, ხოლო დაბოლოს შექმნა ადამიანი. ეს ფაქტი - ადამიანის ბოლო რიგში შექმნისა, გრიგოლ ღვთისმეტყველის აზრით არაა გასაკვირი, რადგან ადამიანი აღიარებულია ხილული სამყაროს მეფედ, ხოლო მეფის მობრძანებისათვის ჯერ საჭიროა მომზადდეს მისი საბრძანებელი და შემდეგ მოვიდეს იგი სხვა ქმნილებათა თანხლებით.

ახლა საკითხავია: თუკი ღმერთი უკეთილესი და უსრულყოფილესი არსებაა და მან ეს სამყარო ასევე უსრულყოფილესად შექმნა, მაშინ საიდან აღმოცენდა ბოროტება სამყაროში? სად უნდა ვეძებოთ მიზეზი ბოროტებისა, რომელსაც ესოდენი არევ-დარევა შემოაქვს სამყაროს წესრიგში? ამის საპასუხოდ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი აცხადებს, რომ ბოროტების შემქმნელი არავითარ შემთხვევაში ღმერთი არაა და რომ მან სამყარო უსრულყოფილესად შექმნა. თავად ბოროტებას არ გააჩნია არც განსაკუთრებული არსი და არც სამეფო; იგი არ არის არც უსაწყისო და არც თავისთავადი. ბოროტება, ამბობს იგი, ჩვენვე წარმოვქმენით ჩვენივე დაუდევრობით და მისი აღმძვრელი - სატანაა. მაშასადამე, ბოროტება, როგორც ასეთი, არ იქმნება ღვთისაგან, არამედ იგი გამომდინარეობს ქმნილებათაგან. (ე.ი. სატანაც ქმნილებაა). მაგრამ საკითხავია: თუკი ქმნილებანი ღმერთმა სრულყოფილად შექმნა, მაშინ როგორღა გახდნენ ისინი მიზეზი სამყაროში არსებული ბოროტებისა? ამის პასუხს იძლევა ქმნილებათა ბუნების განხილვა. დაბალ საფეხურზე მდგომ ქმნილებებს, რომელნიც უგუნურნი არიან და სხეულის მქონნი, ამ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნიათ. ამიტომ, განსახილველი მხოლოდ ვინეერ არსებათა ბუნებაა - სულთა და ადამიანისა, რომელნიც ღვთის მთავარ ქმნილებებს წარმოადგენენ.

პირველი სინათლე, - ამბობს წმ. გრიგოლ დღთისმეტყველი (ნაზიანზელი), - უმაღლესი, მიუდგომელი, გამოუთქმელი, გონებით მიუწვდომელი, სიტყვით გამოუხატავი, რომელიც ანათლებს ყოველ გონიერ ქმნილებას - არის ღმერთი. მეორე სინათლენი - პირველი, სრულყოფილი სინათლის ანარეკლნი - წარმოადგენენ ძალებს, რომელნიც დღთის ირგვლივ იმყოფებიან. ესენი არიან მომსახურე სულები. თავიანთი ბუნებით ეს სინათლენი გონიერი სულები არიან. ისინი მარტივი - სულიერი აგებულებისანი არიან, სინათლით არიან განმსჭვალულნი და წარმოადგენენ თითქოს უსხეულო და არამატერიალურ ცეცხლს, რომელთაც არ გააჩნიათ ხორციელი საწყისი და არც შედიან სხეულში, არამედ რჩებიან ისეთნი, როგორცაა შექმნეს. ანგელოზური ბუნება, - ამბობს წმ. გრიგოლ დღთისმეტყველი - სულად და ცეცხლად იწოდება: სულად - როგორც ზეგრძნობადი, ცეცხლად - როგორც განმწმენდელი, რადგან უმაღლესი არსებაც იმავე სახელებს ატარებს. არიან რა უხორცონი, მათ გონება აქვთ მიმადლებული, მაგრამ არა აბსოლუტური და განუსაზღვრელი გაგებით - ისე, რომ თავიანთი ბუნებით შესძლებდნენ ისინი სრული ჭეშმარიტების ცოდნას, არამედ - შეზღუდული გაგებით, რადგან ისინი პირველი სინათლიდან ნათლდებიან. \*\*

Творения Григория Богослова, Архиепископа Константинопольского, т. I, СПб, стр. 546, 565, 656; т. II, стр. 29.

*ibidem*, т. I, стр. 526-527; 664; т. II, стр. 29



უმადლესი სულელები ანუ ანგელოსები, თავიანთი გამუდმებით და უშუალო ურთიერთობით სიკეთისა და სიწმინდის წყაროსთან - ღმერთთან, კეთილი და წმინდა არიან, მაგრამ არა უცვლელად ან რაიმე ბუნებრივი აუცილებლობის გამო: მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალზე მიდრეკილნი არიან სიკეთისაკენ, ისინი შეიცავენ თავიანთ თავში აგრეთვე ბოროტების უნარსაც, ე.ი. ცოდვის ჩადენა მათთვის შეუძლებელი არაა, თუმცა კი ბოროტებისაკენ მიდრეკილება მათში გაცილებით სუსტია, ვიდრე სიკეთისაკენ ლტოლვა. ისინი ამიტომ უახლოვდებიან სრულყოფილ, და მაშასადამე, უცოდველ მდგომარეობას, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს ბოროტების ვერ-შემძლებლად და ამ მხრივ უუნაროდ. ამიტომ არ უწოდებს მათ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ბოროტების მიმართ უღებობით უძრავთ, არამედ - ბოროტების მიმართ უღებობით ძნელად აღსაძვრელთ. სხვაგვარად, ამბობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, შეუძლებელი იქნებოდა დასცემა ერთ-ერთი უმადლესი სულისა და მისი გარდაქმნა ეშმაკად.\*

რაც შეეხება უნარს უმადლესი სიკეთისას და სიწმიდისას, ეს, წმ. გრ. ღვთისმეტყველის მიხედვით, სულეზმა მიიღეს (ისევე, როგორც სხვა ქმნილმა არსებებმაც) სული წმიდასაგანს საკითხს, თუ რაში მდგომარეობს სულთა ქმედება, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი შემდეგნაირად პასუხობს: ისინი ემსახურებიან ღვთაებრივ ნებას. თითოეული სული მიჩენილია შემოქმედისაგან სამყაროს გარკვეულ ნაწილზე, როგორც მბრძანებელი. ისინი მეთვალყურეობენ ადამიანებს, ქალაქებსა და მთელ ერებს. ანგელოზები

\* *ibidem*, T. I, სტრ. 526.



წარმოადგენენ არსებებს, რომელნიც შუამავალნი არიან ღმერთსა და  
 აღამიანებს შორის: ემსახურებიან რა ღმერთს, ისინი, იმავე დროს  
 აღამიანთა მსახურნი არიან, ეხმარებიან რა მათ მორალურ სრულყო-  
 ფაში და მარადიული ნეტარების მოპოვებაში.

ამგვარად, როგორც დავინახეთ, სულელებში მოცემულია იდეა სხვა-  
 დასხვაგვარ ცვლილებათა შესაძლებლობისა და ის ვარემოება, რომ  
 ისინი სავსებით თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ნ ი არიან, განაპირო-  
 ბებს მათ უნარს როგორც თავიანთი სრულყოფისაკენ, ასევე - დაცე-  
 მისაკენ. სწორედ ამ უნარის არსებობამ და თავისუფალმა არჩევანმა  
 განაპირობებს ერთდროს ამალღებული სულის სიამაყე და შური, რომელ-  
 მაც მოინდომა თავისი თავის ღმერთად აღიარება, რასაც შედეგად  
 მოჰყვება მისი დაცემა და მისი სინათლის წყველიადად გადაქცევა.  
 აჯანყდა რა ღვთის წინააღმდეგ, მან გამოიწვია შდოთი აგრეთვე თა-  
 ვის მსგავს არსებათა შორის და გადასდრიკა ღალატისაკენ ზეციური  
 მხედრობის ნაწილი და თან გაიყოლა ისინი. ამის მერვე მოგვევლი-  
 ნა „სიმრავლე ზეციური ბოროტებისა, დემონებისა და ბოროტი მეფის  
 მიმდევართა“. აღმოცენდა რა ერთხელ ბოროტება თავისუფალ სულთა  
 სამეუფოში, იგი ბუნებრივია, არ შეიძლებოდა დარჩენილიყო თავდა-  
 პირველ მდგომარეობაში, არამედ უნდა განვითარებულიყო და გამოვ-  
 ლენილიყო სხვადასხვა სახით. რამდენადაც ანგელოზები სრულ მორჩი-  
 ლებაში და თანხმობენებაში არიან ღმერთთან, ამდენადვე ეშმაკი  
 უპირისპირდება მას; რამდენადაც ანგელოზთა შორის სრული მშვიდო-  
 ბა და უშფოთველობა სუფევს, იმდენად ეშმაკი შინაგან ბრძოლასა  
 და თავის თავთან დაპირისპირებულობას განიცდის; რამდენადაც ან-  
 გელოზნი მოსწრაფენი არიან სიკეთის სათესად და მის ხელშემწყო-  
 ბად, იმდენად ეშმაკი ილტვის სიკეთის აღმოფხვრისა და ბოროტების  
 გავრცელებისაკენ. ამიტომ დაცემული სულნი განუწყვეტელი შურით




შეწყურებენ ანგელოზებს და განუწყვეტლივ მიმდინარეობს ბრძოლა მათ შორის. მაგამ რადგან ანგელოზთა იერარქია საკმაოდ დაბალია და ბოროტთა ხრიკებს წარმატებით უკუაგდება, ამიტომ ბოროტი მთელ თავის მაცდუნებელ და განმხრწნელ ქმედებას შედარებით დაბლა მდგომ საფეხურზე მყოფ გონიერ არსებებზე - ადამიანებზე წარმართავენ, ხოლო ამ უკანასკნელთა მეშვეობით ბოროტება ვრცელდება მთელ ხილულ სამყაროში. მაგამ რომ გაცივით ბოროტი სულის ზემოქმედება ადამიანზე, ამისათვის საჭიროა ამ უკანასკნელის ბუნების გაცნობა.

მ ო ძ ღ ვ რ ე ბ ა ა დ ა მ ი ა ნ ზ ე

წმ. გრიგოლ დვთისმეტყველის (ნაზიანზელის) მიხედვით, მას მერე, რაც ღმერთმა შექმნა მეორე სინაბლენი - უმაღლესი, გონიერი სულნი და ხილული მატერიალური სამყარო, მან მოისურვა ისეთი არსების შექმნა, რომელშიც შერწყმული იქნებოდა ორი შექმნილი დაპირისპირებული - ხილული და უხილავი - სული და მატერია. ასეთი არსება იყო ადამიანი. ამ მიზნით ღმერთმა აიღო უკვე შექმნილი ნივთიერებისაგან სხეული და „შთაბერა მას სული თვისი“ (რაც წარმოადგენდა გონიერ სულს და ხატს დვთისას). ამგვარად, ღმერთმა თითქოს მეორე სამყარო შექმნა - უდიდესი უმცირესში, მიწაზე დაუშვა მეორე ანგელოზი - ადამიანი, თავისი თაყვანისმცემელი, რომელიც შედგება სხვადასხვა ბუნებისაგან, მიწიერისა და ზეციერისაგან, მოკვდავისა და უკვდავისაგან და რომელსაც უკავია შუა ადგილი დიდებასა და არარაობას შორის და რომელიც ერთსა და იმავე დროს ხორციცაა და სულიც. ამგვარად, ადამიანი, ყველა სხვა ქმნილებათა მერე შექმნილია და შეიცავს თავის თავში ორ ბუნებას.

- სულიერსა და გრძნობადს; იგი წარმოადგენს რაღაც საშუალოს  
შემაღლეს, სულიერ-გონიერ არსებათა და უმდაბლეს, მატერიალურ  
მყაროს შორის. ენათესავება რა თავისი გონიერი სულით, რომელიც  
ღმერთმა შთაბერა მას, უხილავ, სულთა სამეფოს, ადამიანი, თა-  
ვისი გრძნობადი ბუნებით იმავე დროს, დგას მატერიალურ, უგუნურ-  
ნივთიერ სამყაროში. თუ რას წარმოადგენს ხილული, სხეულბრივი  
ბუნება ადამიანისა, ეს ჩვენთვის მეტ-ნაკლებად ცნობილია. ეხლა  
შევეხოთ მის სულიერ ბუნებას.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, პირველ ყოვლისა, უარყოფს პი-  
თაგორისეულ მოძღვრებას სულის შესახებ - მეტემპსიხიზს, შემდეგ  
კი ორიგენისას - სულთა სხეულში შესვლამდე არსებობის შესახებ.  
მისი აზრით, სხეულის გაჩენისას, სული იღუპალი გზით ერთიანდება  
მასთან. ხოლო მეტის თქმა ამ საკითხზე მას მიაჩნია ადამიანის  
ძაღვებზე ზედმატებულად. წმ. წერილის თანახმად სული წარმოადგე-  
ნს „ხატს ღვთისას“. როგორც ასეთს, ადამიანის სულს, ცხადია,  
არა ამსოლუტური გაგებით, უნდა გააჩნდეს ღვთაების თვისებანი:  
თუკი ღმერთი არის უსასრულო სული, მაშინ ადამიანის სულიც არამა-  
ტერიალური არსებაა; თუკი ღმერთი არის უწმინდესი გონება, მაშინ  
ადამიანის სულიც გონიერია; თუკი ღმერთი თავისუფალი, დამოუკი-  
დებელი არსებაა, მაშინ ადამიანის სულიც თავისუფალი უნდა იყოს;  
დაბოლოს, თუკი ადამიანის სული „უცვდავის ხატია“, მაშინ იგი არ  
შეიძლება იყოს მოკვდავი. რაც შეეხება სხეულს, იგი -, ზოგიერთი  
აღმოსავლური შეხედულებისა და ნაწილობრივ, ბერძნული ფილოსოფიის  
წარმოდგენის საპირისპიროდ, რომელნიც აღიარებდნენ მას, როგორც  
ბოროტ საწყისს - მიჩნეულია ღვთის მიერ ბრძნულად შექმნილ სულის  
ორგანიზმად, მაგრამ, რომლის შეზღუდვა აუცილებელია, რადგან იგი  
ხშირ შემთხვევაში უპირისპირდება სულს და მის ზეადსვლას აბრკო-



ლებს. მაგრამ სად უნდა ვეძებოთ მიზეზი ამ შინაგანი ბრძოლისა  
 სულსა და სხეულს შორის? რამ გამოიწვია ეს დისჰარმონია ადამიანის  
 ნის არსში? წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ამაზე პასუხობს მოძღვრე-  
 ბით პირველ ადამიანთა შეცოდევის შესახებ, რამაც დაამახინჯა  
 მათში „ხატი ღვთისა“, დაარღვია მათში თანდაპირველი ჰარმონია  
 „მიწიერისა“ და „ზეციერისა“ და გამოიწვია შინაგანი განხეთქილე-  
 ბა როგორც მათ საკუთარ არსებაში, ასევე მთელ მათ შთანთქმავლ-  
 ბასა და ხილულ ბუნებაში.

მ ო ძ ლ ვ რ ე ბ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს შ ე ც ო დ ე -  
 ბ ა ზ ე დ ა მ ი ს შ ე ღ ე გ ე ბ ზ ე .  
 ღ ვ თ ა ე ბ რ ი ვ ი გ ა ნ გ ე ბ ა

ბოროტება, რომელიც დაიწყო უმადლეს სფეროში გონიერ - თა-  
 ვისუფალ არსებათა შორის, გავრცელდა ადამიანზეც. როგორც იქ, ..  
 ისე ამ უკანასკნელთან, ეს არ მოხდა ყოველადეითილი შემოქმედის  
 ნება-სურვილით, არამედ ამის მიზეზი იყო თვით შექმნილი არსე-  
 ბანი, მათი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი დ ა ნ ამოსული წინააღმდე-  
 გობა ღვთისადმი. ასე რომ, ადამიანის შეცოდევაში ბრალი თვით  
 ადამიანსვე მიუძღოდა. ამ დროს კი ღმერთმა ადამიანი შექმნა უს-  
 რულყოფილესად, ე.ი. მასში არ იყო ბოროტება. როგორც ხატი ღვთი-  
 სა, იგი ენათესავებოდა და ახლო მყოფი იყო ღმერთთან, ატარებდა რ  
 თავის უკვდავ სულში გონებასა და თავისუფალ ნებას - რასაკვირვე  
 ლია, არა აბსოლუტური სრულყოფილების გაგებით, როგორც სხეულის  
 მქონე. ხოლო ეს უკანასკნელი მას შესძინა ყოველთ ბრძენმა შენო-  
 ქმედმა, რათა ადამიანს არ შეეცოდა საჭანის მსგავსად, თუკი იგი


მარტოდენ სულიერ არსებად დარჩებოდა. ამიტომ, შემოქმედმა ადამიანის სულიერი ბუნება გააერთიანა ნივთიერთან, ხოლო ეს სკენელი - შეზღუდული ბუნებისაა, რისი წყალობითაც ადამიანი უსასრულოდ შორდება ღმერთს. თავდაპირველად სრული ჰარმონია სუფევდა ადამიანის ქვე და ზე ბუნებას - ნივთიერსა და სულიერს შორის. ეს ჰარმონია შენარჩუნებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი უცვლელი დარჩებოდა თავის ზნეობრივ-კეთილ ქმედებაში. მაგრამ ის ფაქტი, რომ იგი იყო შექმნილი არა აბსოლუტური გაგებით გონიერ - თავისუფალ არსებად, განაპირობებდა იმას, რომ ადამიანი თავისთავში შეიცავდა უნარს როგორც სიკეთის კეთებისას, ასევე - ბოროტებისას. არჩევანი მის თავისუფალ ნებაზე იყო დამოკიდებული.

წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი ბიბლიის მოთხრობას ჩვენი წინაპრების შეცოდებაზე განიხილავს როგორც ისტორიული, ასევე ალეგორიულ-იდუმალის გაგებით. შექმნა რა ადამიანი თავისი ხატისა და მსგავსების მიხედვით, ამბობს იგი, ღმერთმა მოათავსა ის სამოთხეში და დაავალა უკვდავი მცენარეების დამუშავება. ეს მცენარეები, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის მიხედვით, ღვთაებრივი აზრები იყვნენ, როგორც მარტივნი, ასევე, უფრო სრულყოფილნი. მოათავსა რა სამოთხეში „შიშველი“, როგორც ჰმარტებდა პირველშექმნილს, ღმერთმა ადამიანს მისცა კანონი, რათა მასზე გამოეცადა თავისი თავისუფლება. ეს კანონი კი იყო „მორჩილების მცნება“, რომელიც უდგენდა ადამიანს, თუ რომელი მცენარეებით უნდა ესარგებლა მას, და რომლით - არა. ეს უკანასკნელი იყო „ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის მიხედვით ეს ხე ნიშნავდა ჭვრეტას, რომლის გამოყენება გამოუცდელისათვის ისეთივე საშიში იყო, როგორც ძუძუმწოვარასათვის - მაგარი საკვების მი-

ღება. ამგვარად, თუკი მცენარენი ღვთაებრივ აზრებს წარმოადგენენ, რომელთა ჭვრეტაც ნებადართული იყო შემოქმედის ღვთის მცნება ადამიანს უკრძალავდა ჭვრეტით მხოლოდ გარკვეული ღვთაებრივი საგნის შეხებას, მაშინ გასაგები ხდება, თუ რაში უნდა ყოფილიყო შეცოდება პირველი ადამიანისა. ეს მდგომარეობა ადამიანის გონების თვითდაჯერებულ აღმადრენაში, განზრახვაში, ღვთის მცნების საწინააღმდეგოდ, ჩასწვდომოდა იმას, რაც ჯერ მათთვის მიუწვდომელი იყო და ამით გამხდარიყო უმაღლეს გონებად, ღმერთად, რომელმაც უწყის ყოველი კეთილი და ბოროტი. ასე, რომ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის მიხედვით, ჩვენი წინაპარის ცოდვა არსებითად იგივეა, რაც დაცემულ ანგელოზთა: როგორც აქ, ისევე იქაც - სიამაყე და დაუმორჩილებლობაა ყოვლად ძლიერი შემოქმედის მცნებისადმი. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ადამიანმა თვით არ გამოიგონა ცოდვა, არამედ იგი აცდუნა უკვე დაცემულმა გონიერმა ძალამ, რომელიც, ამასთანავე, მასზე მაღალი იყო. ადამიანმა დაივიწყა ღვთის მცნება, ამბობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, და დაჰყვა მოშურნე ეშმაკის ცდუნებას და ცოლისას, რომელიც პირველ აცდუნეს, როგორც უფრო სუსტი. ჩვენი წინაპარის შეცოდებას მოჰყვა ორგვარი შედეგი. პირველ ყოვლისა, მან დაკარგა (და შთამომავლებს დაუკარგა) ის სიკეთენი, რითაც იგი ნეტარებდა სამოთხეში. ამის წილ მას ერგო ცხოვრება მძიმეზე - უმძიმესი. მან დაკარგა უკვდავება და უახლოესი ურთიერთობა ღმერთთან. მეორე მხრივ, მან დააზიანა თვით ადამიანის ბუნება, პირველ ყოვლისა კი - გონება რომელიც იყო ხატი ღვთისა. გონების დაზიანებასთან ერთად პირველყოფილმა შეცოდებამ გამოიწვია სხეულის დაზიანებაც. ადამიანის სხეული - სულის საცხოვრებელი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის მიხედვით, ჭვრეტაში სულის სრულყოფასთან ერთად თანდათანობით

უნდა დახვეწილიყო. ხორბო ადამიანის დაცემამ გამოიწვია ამ სხეულის გაუხეშება, რომელმაც გადასძალა ადამიანის სულიერ ნაწილს. გახადა რა იგი უფრო მიდრეკილი მიწიერი და გრძობადი საგნებისადმი. ამგვარად, დაირღვა ის შინაგანი ჰარმონია, რომელიც სულედა ადამიანში და რომლის ღროსაც ბატონობდა ღვთაებრივი ანუ სულიერი საწყისი მატერიალურზე. პირველყოფილ შეცოდებას მოჰყვა აგრეთვე სხვადასხვაგვარ ავადმყოფობათა აღმოცენება და სხეულის სიკვდილი. წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის აზრით, პირველყოფილი შეცოდების ბრალია აგრეთვე ადამიანის გონების დაბნელება, როდესაც იგი მხოლოდ ხილულ ბუნებას სცნობს და არახილულს უარყოფს, რის შედეგადაც სხვადასხვაგვარი კერპთაყვანისმცემლობა აღმოცენდება. ასევე, ამ შეცოდების ბრალია ადამიანთა ერთი ნაწილის გაბატონება მეორეზე.

მაგრამ ყოვლად კეთილ შემოქმედს არ შეეძლო ადამიანის ასე დატოვება. ადამიანი ისე ღრმად არ დაეცა, როგორც სატანა. მართალია, თავისი დაცემით ადამიანმა დაამახინჯა თავის თავში ხატი ღვთისა, მაგრამ მან არ მოსპო იგი, მან დააბნელა გონება თვისი, მაგრამ არ აღუკვეთა მას ღვთაებრივი სინათლის გაგება. თვით დაცემულ მდგომარეობაში ადამიანის გონება ილტვის ზესდეროსაკენ; მას სწყურია იგი და ეძებს ღვთაებრივ ნათელს. ადამიანმა დაამახინჯა თავისი ნება, მაგრამ არ მოსპო მასში უნარი სიკეთისა - მიუხედავად თავისი დაცემისა, მასში სიკეთის სურვილის უნარი არ მოსპობილა. ამიტომ, მას შეუძლია მოახდინოს არჩევანი სიკეთის სასარგებლოდ. ამავდროს, მართალია, ადამიანმა თვითვე დაარღვია ღვთის მცნება, მაგრამ ეს მოხდა, როგორც ვთქვით, ეშმაკის ცდუნებით და ადამიანური ბუნების სისუსტის გამო. ამიტომ, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის აზრით, ადამიანში თუმცა ცოდვაა ჩაბუდე-



ბული, მაგრამ იგი „განუკურნავი“ არაა. ამიტომ, ყოვლად კეთილი შემოქმედი არ მიატოვებს თავის ქმნილებას, იგი თვითვე ადაშიანისავენ და სურს აღადგინოს ის და დაუბრუნოს იგი თავდაპირველ ნეტარ მდგომარეობას. ყოველივე ამაში ჩანს გ ა ნ გ ე ბ ა ღვთისა. ის ფაქტი, რომ ღმერთი ადამიანს ყოფიერებას უნარჩუნებს და მას არ სძობს, რომ ყოველნაირად წარმართავს მას კეთილი მიზნებისაკენ და მისგან აღძრულ ბოროტებას კეთილი შედეგით აგვირგვინებს, სწორედ ამაზე მეტყველებს. არათუ რაიმე ქმედება, არამედ სულ მცირე აზრიც კი არ რჩება შეუმჩნეველი ღმერთს სულიერ სამყაროში. ამიტომ, ღვთის შექმნილ ს ა მ ყ ა რ ო შ ი ა რ ა ფ ე რ ი ა რ ა ა შე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ი, ყველაფერი მის განგებას ემორჩილება. ხოლო ჩვენთვის, კაცთათვის, ღვთის საქმეთა გაგება, მთელი მათი სიღრმით, მიუწვდომელია. ამიტომ, ადამიანის ვალია რწმენით შეხედოს მაცხოვრის სიტყვებს, რომელნიც ღვთის განგებაზე მეტყველებენ.

„რაითა იყვნეთ თქვენ შვილ მამისა თქუენისა ზეცათაისა; რამეთუ მზე მისი აღმოვაღს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წვიმს მართალთა ზედა და ცრუთა“ (მათე, 5, 45).

„მიჰხედეთ მფრინველთა ცისათა, რამეთუ არა სთესვენ, არცა მკიან, არცა შეიკრებენ საუნჯეთა, და მამაი თქუენი ზეცათაი ზრდის მათ; არამე თქუენ უფროის უმჯობეს ხართა მფრინველთა?“ (მათე, 6, 26).

„და სამოსლისათვის რაისა ჰზრუნავთ? განიცადენით შრომანნი ველისანი, ვითარ იგი აღორძინდეს! არა შურებინ არცა სთავნ. ხოლო გეტყვ თქუენ, რამეთუ არცაღა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი. უკუეთუ თივაი იგი ველისაი, რომელი დღეს არს და ხვალე თორნესა შთავგზნის, ღმერთ-

გან ესრეთ შემოსის, არამე უფროის თქუნ, მცირედ მორწმუნენო!  
ნუ შერუნავთ და იტყვით: რაი ვჯამოთ, ანუ რაი ცსუათ, ანუ რაი  
შევიმოსოთ? რამეთუ ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ; რამეთუ  
იცის მამამან თქუნმან ზეცათამან, რაი გიხმს ამათ ყოველთაგა-  
ნი. ხოლო თქუნ ეძიებდით პირველად სასუფეველსა ღმრთისასა და  
სიმართლესა მისსა, და ესე ყოველი შეგიძინოს თქუნ“ (მათე, 6,  
28-33).

„ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდების? და ერთიცა მათგა-  
ნი არა დავარდების ქუეყანასა ზედა თენიერ მამისა თქუნისა.  
ხოლო თქუნნი თავისა თმანიცა ყოველნი განრაცხილ არიან. ნუ გე-  
შინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქუნ.“ (მათე,  
10, 29-31).

„და აჰა ესერა მე თქუნ თანა ვარ ყოველთა დღეთა და ვიდრე  
აღსასრულადმდე სოფლისა. ამინ“ (მათე, 28, 20. შდრ. იოანე 1,  
9-13).

ადამიანის დაცემის შედეგად აღმოცენებული ცოდვების აღსაკვე  
თად, ამბობს წმ. გრიგოლ დვთისმეტყველი, უბრძნესმა დვთაებრივმა  
განგებამ მრავალ საშუალებას მიმართა. იგი შთააგონებდა ადამი-  
ანს: სიტყვით, კანონით, წინასწარმეტყველნი, წყალობით, მუქა-  
რით, სასჯელით, წყალდიდობებით, ხანძრებით, ომებით, გამარჯვებ-  
ებით, დამარცხებებით, ზეციური სასწაულებით, სასწაულებით ჰაერში,  
მიწაზე, ზღვაზე, ადამიანთა ბედის უცარი მობრუნებით, მთელი ქალა-  
ქების, ერების ბედის ასეთივე უცარი მობრუნებით. „ანუ იგი, რომელ  
ათრვამეტთა ზედა სილოამს გოდოლი დაცვა და მოწყვდნა იგინი, ჰგო-  
ნებთ, ვითარმედ იგინი ხოლო თანა-მდებ იყვნეს უფროის ყოველთა  
კაცთა, რომელნი მკვდრ არიან იერუსალემს? გეტყვ თქუნ: არა,  
არამედ უკუეთუ არა შეინანოთ, ყოველნივე აგრეთ წარსწყმდეთ“.



(ლუკა 13, 4-5). მაგრამ განსაკუთრებულ საშუალებად ადამიანთა მოქცევისათვის წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი მიიჩნევს ღვთის ბოძებულ კანონს. ეს კანონი, ცნობილი „ძველი აღთქმის“ სახელწოდებით, ვერ მიენიჭათ ებრაელებს, როგორც ღვთის პირველ თაყვანისმცემლებს, ხოლო შემდეგ სხვა დანარჩენ ხალხებს. მაგრამ ეს კანონი არ აღმოჩნდა საკმარისი, ამბობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, ადამიანთა ცოდვებმა იწარავლა და ამ კანონმა ვერ შეძლო ადამიანის შეკაცობის დამართან. როდესაც ადამიანურმა ცოდვებმა და ავადობამ თავის ზღვარს მიაღწია, მაშინ საჭირო გახდა თვით „ღვთის სიტყვის განკაცება“, რათა ხსნილიყო ადამიანთა მოდგმა. ცხადია, ადამიანთა ხსნის ღიალი საქმე ხდება არა მარტო ს ი ტ ყ ვ ი - ს ა გ ა ნ, ძ ი ს ა გ ა ნ, არამედ, წ მ ი ნ დ ა ს ა მ ე - ბ ი ს ყ ვ ე ლ ა წ ე ვ რ თ ა გ ა ნ.

ღ ვ თ ა ე ბ რ ი ვ ი მ ა დ ლ ი ს  
შ ე ს ა ხ ე ბ

პირველყოფილი შეცოდების გამო ადამიანის დაცემის შემდეგ, მას, ადამიანს, აუცილებლად სჭირდება ღვთისაგან ხელშეწყობა თავისი სულის სრულყოფისათვის. ეს ხდება ღვთის განსაკუთრებული მაღლის წყალობით, რომელიც მას ანათლებს. „დაადგერით თქვენ ჩემ თანა, და მე თქვენ თანა. ვითარცა-იგი ნასხლევსა ვერ ხელწიფების ნაყოფისა გამოდებად თავით თვისით, უკუეთუ არა ეგოს ვენახსა ზედა, ეგრეთვე არცა თქუნენ, უკუეთუ არა დაადგრეთ ჩემ თანა. მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, და მე მის თანა, ამან მოიღოს ნაყოფი მრავალი; რამეთუ თვნიერ ჩემსა არარაი ძალგიც ყოფად არცა ერთი. უკუეთუ ვინმე არა დაადგრეს

ჩემ თანა, განვარდეს გარე ვითარება ნასხლევნი და განხმეს, და  
მეცრიბონ იგი და ცეცხლსა დაასხან და დაიწუას“. (იოანე, I მცხ. 4-6). „ვერვის ხელეწიფების მოსვლად ჩემდა, უკუეთუ არა მამა-  
მან, მომავლინებელმან ჩემმან, მოიყვანოს იგი ჩემდა“. (იოანე,  
6,44).

ღვთის ეს განსაკუთრებული მადლი ხორციელდება სული წმიდას  
მეშვეობით. მის გარეშე, მის დაუხმარებლად, ადამიანი ვერ შეს-  
ძლებდა თავისი სულიერი მოვალეობის აღსრულებას. „არავის, - ამ-  
ბობს პავლე მოციქული - ხელეწიფების თქუმად უფალი იესო, გარნა  
სულითა წმიდითა“. ( I კორინთელთა მიმართ, 12,3). მაგრამ სული  
წმიდას ეს ზემოქმედება, ადამიანზე ღვთაებრივი მადლის ეს გარ-  
დამოსვლა, არ ხდება რაიმე აუცილებლობის გამო, სხვა სიტყვებით  
- ჩვენი ხსენისათვის ღვთის ეს წყალობა არ ხდება ჩვენი დამსახუ-  
რებათა მიხედვით, ვინაიდან დაცემულ ადამიანს ასეთი რამ არ გა-  
აჩნია, არამედ - მხოლოდ და მხოლოდ მისი კეთილი ნების გამო  
(ფილიპელთა მიმართ, 2,13; ეფესელთა მიმართ, 1,5). ასე, რომ  
ღვთის ნება ადამიანის ხსნას ახორციელებს მხოლოდ იმიტომ, რომ  
სწყალობს მას, ე.ი. მას გააჩნია სიყვარული ტანჯული ადამიანი-  
სადმი. მეორე მხრივ, არავის არა აქვს უფლება მოითხოვოს თავის-  
თვის ნეტარება, რადგან სული წმიდას ჩარევის გარეშე, ყოველგვა-  
რი დამსახურების მიუხედავად, ადამიანის ხსნა არ განხორციელდე-  
ბა, რადგან იგი - არარაობაა. სწორედ ამას გვამცნობს ერთი იგა-  
ვი სახარებიდან. „რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაი კაცსა  
სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიად დადგინებად მუშაკთა  
ვენახსა თვისსა. და აღუთქუა მათ სასყიდელი თითოეულსა დრამკაციანი  
დღესა შინა და წარავლინნა ივინი ვენახსა თვისსა. და განვიდა  
იგი მესამესა უამსა და პოვნა სხუანი, მდგომარენი უბანთა ზედა



უქმად, და ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენახსა ჩემსა და, რაი-  
 იგი იყოს სამართალი, მიგცე თქუენ. ხოლო იგინი წარვიდეს და, რა-  
 რმე განვიდა მეექუსესა და მეცრესა ჟამსა და ყო ეგრეთვე. ხოლო  
 მეთერთმეტესა ჟამსა განვიდა და პოვნა სხუანი მღვთმარენი და  
 ჰრქუა მათ: რაისა სდევით თქუენ აქა დღე ყოველ უქმად? ხოლო მათ  
 ჰრქუეს მას, ვითარმედ: არავინ დამიდგანნა ჩუენ. ჰრქუა მათ: წა-  
 რვედით თქუენცა ვენახსა ჩემსა და, რაი-იგი იყოს სამართალი, მი-  
 იღოთ. და ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა უფალმან სავენახისამან ეზო-  
 ის მოძღუარსა თვისსა: მოუწოდე მუშაკთა მათ და მიეც მათ სასყიდე-  
 ლი; იწყე უკუანაისკნელითგან ვიდრე პირველთამდე. მოვიდეს მეთე-  
 რთმეტისა ჟამისანი იგი და მიიღეს თითოი დრაჰმანი. მოვიდეს პირ-  
 ველისანიცა იგი და ჰკონებდეს, ვითარმედ უფროისა მიიღონ; და მი-  
 იღეს მათცა თითოი დრაჰმანი. ხოლო მი-რაი-იღეს, დრტვინვიდეს სა-  
 ხლისა უფლისა მისთვის და იტყოდეს, ვითარმედ: უკუანაისკნელთა მა-  
 ერთი ხოლო ჟამი დაყვეს და სწორ ჩუენდა ჰყვენ იგინი, რომელთა  
 ვიტვირთეთ სიმძიმე დღისაი და სიცხე. ხოლო მან მიუგო ერთსა მათ  
 განსა და ჰრქუა: მოყუასო, არარას განვებ შენ; ანუ არა ერთი დრა-  
 ჰმანი აღვითქუ შენ? მიიღე შენი და ვიდოდე; ხოლო მე მნებავს  
 უკუანაისკნელსა ამას მიცემად, ვითარცა შენ. ანუ არა ჟერ-არსა  
 ჩემდა, რაიცა მინდეს ყოფად ჩემსა ზედა? არამედ თუალი შენი ვი-  
 დრემდე ბოროტ არს, ხოლო მე სახიერი ვარ. ესრეთ იყვენენ წინანი  
 უკუანა, და უკუანანი წინა, რამეთუ მრავალნი არიან ჩინებულ და  
 მცირედნი რჩეულ“ (მათე, 20, 1-16). გარდა ზემოთქმულისა, ამ  
 იგავიდან გამომდინარეობს ის, რომ სასუფეველი ცისა არ შეიძლება  
 მოვიპოვოთ რაიმე წინასწარი გაანგარიშებით, კეთილ საემეთა  
 რ ა თ დ ე ნ ო ბ ი თ, თუ მათ თან არ ახლავს შინაგანი გრძნობა  
 ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს ა, რომელიც ღმერთს შეუმჩნეველი არ რჩება

ამიტომ, მცირედი რამ, სიყვარულით ქმნილი, უფრო მეტად დასდება უფლის მიერ, ვიდრე ბევრი და უსიყვარულოდ. ამიტომაც, რომ ცოცხლისმცოდნე და ყოველისგანმგებრეტელ უფალთან ყოველგვარი ვაჭრობა ზედმეტია ზეციური სასუფეველის მოპოვების შესახებ. ღვთის სიბრძნემ უწყის, თუ კაცთა შორის ვინ იქნებიან „ჩიულ“. ამიტომ არ არის სამოთხეში არც შური, არც დრტვინვა, არც დამამცირებელი ჯიბრი და დავა, თუ ვისა აქვს „უფრო მეტი დამსახურება“ და ვის „მცირე“.

ღვთაებრივი მადლის შემცირება ადამიანში ხდება მაშინ, თუ იგი ბოროტად იყენებს ღვთისაგან ბოძებულ თავისუფალ ნებას, ხოლო ეს მადლი მატულობს, თუკი ადამიანი ღვთის სასურველ საქმეებს ახორციელებს. ამ პირობებიდან არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს, რომ ღვთაებრივი მადლი როგორღაც ზღუდავს ადამიანის თავისუფალ ნებას, რადგან მადლი ადამიანზე არა აუცილებლად ზემოქმედებს. „ხოლო მადლითა ღმრთისაითა ვარ, რაი-იგი ვარ, და მადლი იგი მისი, რომელი ჩემდა მომართ იყო, არა ცუდად რაი იყო, არამედ უმეტეს მათ ყოველთასა დავშუერ; არა მე, არამედ მადლი იგი ღმრთისაი, რომელი იყო ჩემ თანა“. (I კორინთელთა მიმართ, I5, IO). მოციქულის ამ სიტყვებში გამოთქმულია ის ჭეშმარიტება, რომ მადლი აუცილებელი იყო მისთვის ღვთის მსახურების საქმეში, მაგრამ ამავე დროს ნათელია, რომ მადლის მეშვეობით მისი თავისუფლება არ ისპობოდა და არც იზღუდებოდა, არამედ იგი მოქმედებდა თავისი სურვილისამებრ. საერთოდ, ღვთაებრივ მადლში სახარება გულისხმობს ყველაფერ იმას, რასაც ღმერთი სწყალობს თავის ქმნილებებს ამ უკანასკნელთა მხრიდან ყოველგვარ დამსახურებათა გარეშე (რომაელთა მიმართ, II, 6; წმ. მოციქულისა პეტრესი, პირველი, 5, IO). ამიტომ, ღვთაებრივ მადლს ყოფენ ორად: ბუნებრივ და



ზებუნებრივ მაღლად. ბუნებრივ მაღლს განეკუთვნება ღვთისმშობლის წყალობა ქმნილებებისადმი, რომელნიც ბუნებრივი ხასიათისა არიან, როგორცაა: სიცოცხლე, ჯანმრთელობა, გონება, თავისუფლება, გარეგანი კეთილდღეობა და სხვა. ზებუნებრივ მაღლს განეკუთვნება ყველა ის წყალობა, რაც ემატება ბუნებრივი ხასიათის წყალობებს ღვთის უშუალო თვითჩარების შედეგად, როდესაც, მაგალითად იგი თვით გაანათლებს ხოლმე გონიერ არსებებს თავისი ჭეშმარიტების სინათლით ან ამბავებს მათ ნებისყოფას თავისი ნებით კეთილ საქმეებში. ზებუნებრივი მაღლი თავის მხრივ ო რ ს ა ხ ე დ ი ყ ო ფ ა: ღმერთი შემოქმედის მაღლად, რომელსაც იგი ანიჭებს თავის ქმნილებებს და რომელნიც აღსავსენი არიან ზნეობით, იმყოფებიან რა უ ც ო დ ვ ე ლ მდგომარეობაში. ამდაგვარ მაღლს ღმერთი ანიჭებდა ადამიანს მის შ ე ც ო დ ვ ბ ა მ დ ე, ხოლო კეთილ ანგელოზებს დღესაც ანიჭებს. მეორე სახეობა მაღლისა არის ის მაღლი, რომელსაც ღმერთი მაცხოვარი - იესო ქრისტე ანიჭებს დაცემულ ადამიანს. „ხოლო რაუბას სიტკბოებაი და კაცთმოყუარებაი გამოჩნდა მაცხოვრისა ჩუენისა ღმრთისაი, არა საქმეთაგან სიმართლისათა, რომელნი - იგი ვქმენით ჩუენ, არამედ წყალობითა თვისითა მიხსნნა ჩუენ, ბანითა მით მეორედ შობისათა, განახლებითა სულისა წმიდისაითა, რომელი-იგი მოჰფინა ჩუენ ზედა მდიდრად იესო ქრისტეს მიერ მაცხოვრისა ჩუენისა. რაითა განვმართლდეთ მაღლით მით მისითა და მკვდრ ვიქმნნეთ სასოებისაებრ ცხოვრებისა საუკუნოისა“. (ტიტეს მიმართ, 3, 4-7). ასე, რომ ჩვენთვის, კაცთათვის, მაღლის ეს მეორე სახეობაა გადამწყვეტი მნიშვნელობისა და ვსაუბრობთ რა საერთოდ მაღლის შესახებ, სწორედ მაღლის ამ მეორე სახეობას ვგულისხმობთ. არა მარტო ჩვენი უნარნი და შესაძლებლობანი მომდინარებენ ამ მაღლიდან, არამედ, თვით ჩვენი რ წ მ ე-



ნ ა , რ წ მ ე ნ ა ღ ვ თ ი ს ა , წარმოადგენს სული წმინდას  
 წყალობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მორწმუნე ქრისტიანმა კარგად  
 უნდა უწყოდეს, რომ განკითხვის უამს ღმერთი ადამიანის ცხოვრების  
 შედეგების მიხედვით კი არ განიკითხავს ადამიანს, არა მისი კე-  
 თილ საქმეთა რ ა ო ღ ე ნ ო ბ ი თ , არამედ იმ შინაგანი გრძ-  
 ნობის მიხედვით (მორჩილებით, სიყვარულით), რომელიც ეუფლებოდა  
 ადამიანს კეთილ საქმეთა აღსრულებისას.

როდესაც ვამბობთ, რომ ადამიანს არ ძალუძს კეთილ საქმეთა  
 აღსრულება ღვთის მაღლის დახმარების გარეშე, აქ, ცხადია; იგუ-  
 ლისხმება, რომ ეს კეთილი საქმენი ს უ ლ ი ე რ ა დ ა მ შ ა დ ე ბ ს რ ა  
 მ ა ს მ ა რ ა დ ი უ ლ ი ხ ს ნ ი ს ა თ ე ს . მაგრამ ამ სიტყვებით ეკლესია არ  
 უარყოფს იმას, რომ ადამიანს, როგორც მოქცეულს ქრისტეს მცნება-  
 ზე, ისე მის მოქცევამდე, შეეძლო კეთილ საქმეთა აღსრულება, რო-  
 მელიც იქნებოდა სიკეთე ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი (რომელთა მიმართ,  
 2, 14-15). ხოლო ჩადენილი ს ი კ ე თ ე , სიკეთე, როგორც ასე-  
 თი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ც ო დ-  
 ვ ა დ ; მაგრამ თუკი ეს სიკეთე რ წ მ ე ნ ი ს გ ა რ ე შ ე  
 იქნება ჩადენილი, იგი ადამიანს ვერ მოუტანს ხ ს ნ ა ს , ვინა-  
 იდან ადამიანში, მისი შეცოდების შემდეგ, სავსებით არ ყოფილა  
 მოსპობილი სიკეთის თესლი, წარმართთაც შეეძლოთ სიკეთის ქმნა;  
 მაგრამ ასეთი სიკეთე ადამიანს შეიქმს მხოლოდ მ შ ვ ი ნ ვ ი -  
 ე რ ა დ და არა - ს უ ლ ი ე რ ა დ , რადგან მხოლოდ საქმენი  
 რწმენისა, რომელიც სრულდებიან ზებუნებრივი მაღლის წყალობით,  
 იწოდებიან ს უ ლ ი ე რ ა დ . რაც შეეხება ჩადენილ სიკეთეს,  
 როგორც ასეთს, იგი, როგორც აღვნიშნეთ, არასოდეს არ შეიძლება



გახდეს მიზეზი ბოროტებისა.

ღმერთი, თავისი ყოვლისმცოდნეობით, მხოლოდ ისეთ განსაცდელს მოუვლენს კაცს, რომლის დაძლევაც მას შეუძლია. თავად განსაცდელი კი ემსახურება მისი ხ ს ნ ი ს საქმეს. მეორე მხრივ ღმერთმა წინასწარვე უწყის, თუ როგორც შეასრულებს ადამიანი მასზე დაკისრებულ ცხოვრებისეულ ამოცანას, თვით მაშინაც კი, როდესაც ადამიანის ქმედება არავისგან და არაფრისაგან არაა შეზღუდული. მხოლოდ ამ აზრით უნდა გავიგოთ სიტყვები „ადამიანის წინასწარ განსაზღვრულობისა ღვთის მიერ“ მარადიული დიდებისა ან მარადიული გაკიცხვისათვის, მაგალითად: „რამეთუ რომელნი-იგი წინასწარ იცნნა, წინასწარცა განაჩინნა თანა-მსგავსად ხატისა მის ძისა თვისისა, რაითა იყოს იგი პირმშო მრავალთა შორის ძმათა“. (რომაელთა მიმართ, მ, 29). ან: „რამეთუ შემო-ვინმე-ვიდეს კაცნი, რომელნი პირველგე წერილ იყვნეს ამას სასჯელსა, უღმრთონი, რომელნი მადლსა ღმერთისა ჩუენისასა გარდააქცევიენ არაწმიდებად“ (წმ. მოციქულისა იუდაისი, I, 4). ეს, და მსგავსი შეგონებანი ბიბლიიდან, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ დ მ ე რ თ ს ა რ ა ს უ რ ს ყ ვ ე ლ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს ხ ს ნ ა, რომ იგი ყველას არ ანიჭებს თავის მადლს და ამიტომ, ზოგიერთნი, თანვიანთი მხრიდან ყოველგვარი საბაბის მიუხედავად, განწირულნი არიან სამარადისო სატანჯველად მარტოდენ ღვთის ნების გამო. პირიქით - ღმერთი ყველა ადამიანს აძლევს ხსნის თანაბარ შესაძლებლობას, მაგრამ მან, როგორც ყოვლისმცოდნემ, უკვე დასაბამიდანვე უწყის, თუ რომელი ადამიანი მოისურვებს, და რომელი - არა, მისი მადლის მიღებას. ამიტომ, ამის შესაბამისად, იგი წინასწარვე განსაზღვრავს, თუ რომელი მათგანი უნდა დაიხსნას და რომელი დაიღუპოს. რასაკვირველია, ღმერთს შეეძლო ყველა ადამიანის ქცე-

გის თავის სურვილისამებრ წარმართვა და მათი ხსნა, მაგრამ, როგორც ვთქვით, მას არ სურს ადამიანის თავისუფალი ნების მოსპობა, რომელიც, საბოლოო ჯამში, თვითვე ხდება ადამიანის მსაჯული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუმცა თ ვ ი თ რ წ მ ე ნ ა იესო ქრისტესადმი ჩვენში იგივე ღვთაებრივი მაღლით აღიძვრება, მაგრამ ამ რწმენას რომ გავცვეთ და მისით ვიცხოვროთ, ეს, საცხებით, მხოლოდ ჩვენს თავისუფალ ნებაზეა მონდობილი. ამასთანავე, აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქრისტიანისათვის მარტოდენ რწმენა არაა საკმარისი. ნათლისღებაში შექცენილი განწმენდა და ცოდვათაგან განთავისუფლება რომ შეინარჩუნოს, მან, ქრისტიანმა, რწმენის გარდა კეთილი საქმენი უნდა აღასრულოს, ე.ი. ისეთი საქმენი, სადაც გა მ ო ვ ლ ე ნ ი ლ ი ი ქ ნ ე ბ ა (და არ დარჩება მარტოდენ მის სულში) ი მ ე დ ი და ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი, და ამით აღსრულდება ნება ღვთისა, რომელიც ჩვენგან „კეთილ ნაყოფებს“ მოითხოვს. სხვანაირად, ღვთის რწმენა ეშმაკებსა და დემონებსაც გააჩნიათ. „შენ გრწამს, ვითარმედ ერთ არს ღმერთი, კეთილად იქმ, და ეშმაკთაცა ჰრწამს და ძრწიან მისგან. გნებავსა ცნობად, უეი კაცო ამაოო, რამეთუ სარწმუნოებაი თვნიერ საქმეთასა მკუდარ არს?“ (იაკობ, 2, 19-20).

### ა დ ა მ ი ა ნ ი ს ა გ ე ბ უ ლ ე ბ ა

მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვრების თანახმად ადამიანი შედგება ორი სავსებით განსხვავებული ელემენტისაგან - არამატერიალური, გონიერი სულისა და მატერიალური სხეულისაგან. თავისი არამატერიალური, გონიერი სულით ადამიანი სამოთხის ნეტარ მკვიდრთ - ანგელოზებს უახლოვდება, ხოლო თავისი ნივთიერი სხეულით -

ბილულ მატერიალურ სამყაროს. ამასთანავე, თავისი სხეულის ორგანიზაციით იგი მსგავსებას ამკლავებს არაგონიერ ქმნილებებთან. ე.ი. ცხოველებთან, რომელთაც, ბიბლიის მიხედვით (იხ. ლევიტ. 17, 10-40), ასევე განეკუთვნებათ სამშვიინველი, რომელიც უფრო უხეშია, ვიდრე ადამიანისა. თავის მხრივ, ადამიანის ა რ ა მ ა - ტ ე რ ი ა ლ უ რ ი დ ა გ ო ნ ი ე რ ი ნაწილიც ორად იყოფა: სამშვიინველად და სულად. სამშვიინველი, როგორც ვთქვით, ცხოველებსაც აქვთ და იგი წარმოადგენს ქვენა, სხეულებრივი ნდომიდან ამოსულ გრძნობათა და აზრთა ორგანოს. ამიტომ, მხოლოდ სამშვიინველი გააჩნიათ აგრეთვე დაცემულ სულებს - ემმაკებსა და დემონებს და ამდაგვარად ქცეულ უცოდვილეს ადამიანებს. რაც შეეხება სულს - იგი ამალღებული ნაწილია ადამიანის არამატერიალური, გონიერი ნაწილისა, რომელზედაც და რომლის მეშვეობითაც მასზე მოქმედებს სული წმიდას მადლი. ადამიანის არამატერიალური ნაწილის სამშვიინველებზე და სულზე დაყოფას ბიბლიის მრავალი ადგილი ადასტურებს, მაგ., „რამეთუ ცხოველ არს სიტყუაი ღმრთისაი და ძლიერ, და უმკუთეთლეს უფროის ყოვლისა მახვილისა ორპირისა: და მისწუთების იგივე განსაყოფელადმდე სამშვიინველისა და სულისა“ (ებრაელთა მიმართ, 4, 12). არსებობს კიდევ მეოთხე ელემენტი ადამიანის შემადგენელ ნაწილთა შორის. იგი წარმოადგენს ო რ გ ა - ნ უ ლ ა ნ უ ს ი ც ო ც ხ ლ ი ს ე უ ლ ს ა წ ყ ი ს ს, რომელიც ვლინდება ადამიანის სხეულში სავსებით დამოუკიდებლად სამშვიინველ - სულისაგან. ადამიანის არამატერიალური ნაწილი მარტივი, თავისუფალი და უკვდავია. ამიტომ ამბობს მაცხოვარი: „ნუ გეშინინ მათგან, რომელთა მოწყვდნენ ხორცნი, ხოლო სულისა ვერ ხელ-ეწიფების მოკვლად. არამედ გეშინოდენ მისა უფროის, რომელ შემძლებელ არს სულისა და ხორცთა წარწყმედად გეჰენიასა შინა“.

(მათე, 10, 28). ადამიანის მიზანს უნდა შეადგენდეს სამშენებ-  
ლის გაწმენდა და მასზე სულის გაბატონება, რათა ამ უკანასკნელ-  
ში დამკვიდრდეს სული წმიდას მაღლი და უკვე ამქვეყნად ამაღლ-  
დეს ადამიანი (თავისი წმინდანობით) ანგელოზთა იერარქიამდე. ეს  
უკანასკნელნი კი წარმოადგენენ კეთილ, გონიერ სულებს, რომელნიც  
ერთურთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ დაბალ საფეხურზე მყოფ-  
ნი ნათლდებიან მათზე მაღლა მდგომთაგან.

ა დ ა მ ი ა ნ ი ს ს ხ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ა  
ს ი კ ვ დ ი ლ ი

მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვრების მიხედვით „სიკვდი-  
ლი წარმოადგენს სულის დაშორებას სხეულისაგან“, რის მერვეც სუ-  
ლი აგრძელებს სიცოცხლეს, ხოლო სხეული იშლება და იხრწნება. ამ-  
ქვეყნად ადამიანის ბოლო სიკვდილია და ბიბლიის თანახმად - „მი-  
იქცეს მიწა ქუეყანასა შინა ვითარცა იყო და სული მიიქცეს ღუთი-  
სა მიმართ, რომელმან მისცა იგი“. (ეკლესიასტე, 12, 7). უფრო  
ზუსტი გაგებით, სხეულისაგან სულის დაშორება სიკვდილს არ წარ-  
მოადგენს - ეს მხოლოდ სიკვდილის შედეგია. ნამდვილ სიკვდილად  
მართლმადიდებლური რწმენა მიიჩნევს სულის დაშორებას ღვთისაგან.  
ასე, რომ ამქვეყნიურ სიცოცხლეშივე ღვთისაგან დაშორებული ადა-  
მიანი მკვდრად შეიძლება ჩაითვალოს. ამას გულისხმობს მაცხოვრის  
სიტყვები, რომელიც თავის მოწაფეს მიმართავს: „აცადენ მკუდარნი  
დაფლვად თვისთა მკუდართა“ (ლუკა 9, 60). ასევე: „ჩვენ უწყით,  
რამეთუ მივიცვადენით სიკუდილისაგან ცხოვრებად, რამეთუ გვიყუბ-  
რან ძმანი. რომელსა არა უყუარდეს ძმაი; სიკუდილსა შინა დად-  
გრომილ არს“ (1 იოანე 3, 14).



მართლმადიდებლური რწმენით, სიკვდილის მერე, მკვდრად შექმნილია ჩაითვალოს მომსახურე ნაწილი ადამიანისა - მისი სხეული, რაც შეეხება სულს - იგი ცოცხალია და აგრძელებს სიცოცხლეს იქვე, ანუ ადამიანის სხეულში. ამას ადასტურებს თვით იესო ქრისტე, როდესაც ამბობს, რომ იგი არ არის ღმერთი მკვდართა, არამედ - ცოცხალთა. ძველი აღთქმიდანვე ღმერთი თვით უცხადებს ადამიანებს, რომ იგი არის „ღმერთი აბრაამისა, ისააკისა და იაკობისა“, ხოლო ასეთი განცხადება არააოხრება იქნებოდა, თუ იგი იგულისხმებდა აბრაამის, ისააკისა და იაკობის მხოლოდ ფერფლსა და ნეშტს. „არა არს ღმერთი მკვდართაი, არამედ ღმერთი ცხოველთაი. ხოლო თქვენ ფრიად ცეთებით“ (მარკოზ 12, 27). იმქვეყნიური სიცოცხლე წარმოადგენს ამქვეყნიურის გაგრძელებას, მაგრამ ახალ პირობებში. იმქვეყნიური ცხოვრება არის შემდგომი განგრძობა ადამიანის ზნეობრივი განვითარებისა, რომელიც ამქვეყნიურ იწყება. უკვე ამქვეყნიურად თუ დაშორდა ადამიანი ღმერთს, იგი იმქვეყნიურად ამის გამო მარადიულ ჯოჯოხეთურ სატანჯველს განიცდის. ხოლო განწმენდილი სული, პირიქით - მარადიულ სამოთხისეულ ნეტარებას. ამგვარად, სული უცვდავია, იგი ინარჩუნებს თავის ცნობიერებასა და პიროვნულობას. რაც შეეხება მარადისობას, ეს - დროის სივრცეა, რომელსაც არ გააჩნია არც დასაბამი და არც დასასრული, მას არა აქვს არც წარსული და არც მომავალი, არამედ, იგი - მარტოდენ აწმყოა, უცვლელი ახლანდელი დრო.

ი დ უ მ ა ლ ე ბ ა ს ი კ ვ დ ი ლ ი ს ა

იესო ქრისტეს სიკვდილმა სიკვდილს დააკარგვინა ძველი ძალა: მან ადამიანებს გარდაცვალების შემდეგ მიუბოვო მარადიული

ნეტარი სიცოცხლე - ღმერთთან შერიგების გზით. მაგრამ სიკვდილი  
მაინც საშინელია, რადგან იგი - დასჯაა. ამიტომ თვით მაცხოვრებელი  
ასე ევედრებოდა მამა ღმერთს: „მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ  
არს, თანაწარმზედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე  
მნებას, არამედ ვითარცა შენ“ (მათე, 26, 39).

როდესაც სული შორდება სხეულს, ამ დროს მომაცვდავთან, ყო-  
ველთვის მოგროვდებიან ერთი მხრივ კეთილი ანგელოზები, მეორე  
მხრივ - დემონები. იმისდა მიხედვით, თუ რამდენადაა სული გან-  
წმენდილი ცოდვათაგან, ან კეთილი ანგელოზები წარიტაცებენ მას  
ზე სფეროთაკენ, ან ბოროტი ანგელოზები დაეუფლებიან მას. თვით  
სიკვდილის უამს სული გებულობს ახლობელთა მოთქმასა და ქვითინს,  
მაგრამ თვით მას რაიმეს გამოხატვა არ ძალუძს. იგი იმაცე დროს  
შეძრულია ბოროტი სულების ხილვით და ჯერ არ უწყის, თუ როგორ გა-  
დაწყდება მისი საიქიო სამსჯავრო. თუკი სული ამქვეყნად ყოველნა-  
ირად მიდრეკილი იყო ქვენა გრძნობებისაკენ და მათით ხელმძღვანე-  
ლობდა თავის მიწიერ ცხოვრებაში, იგი, გარდაცვალების შემდეგაც,  
ამაცე გრძნობათა მონა ხდება და ამგვარად, საკუთარი სინდისი  
თვითვე ხდება მსაჯული სულისა, სანამ საშინელ სამსჯავროში თვით  
მაცხოვარი იტყოდეს მასზე საბოლოო სიტყვას. ამასთანაცე, საიქი-  
ოს, სული გამჭვირვალე ხდება ზნეობრივ პლანში სხვა სულთათვის  
და ყოველი ცოდვა (ან ამქვეყნიური დამალული აზრი) მასზე ნათლად  
მოჩანს. ამგვარად, ხდება ერთგვარი სირცხვილისეული წვა სულისა  
სხვა სულთა წინაშე. ამიტომ, უკვე ამქვეყნად, სიკვდილზე ფიქრი  
და მისდამი მზადება ცოდვათა განწმენდით - უდიდესი სიბრძნეა.  
„ყოველთა შინა სიტყვათა შენთა მოიხსენებდი უკანასკნელსა შენსა  
და უკუნისამდე არა სცოდო“ (წიგნი ისო ზირაქისა, 7, 39). ღმერთს  
სიკვდილი არ შეუქმნია (წიგნი სიბრძნისა სოლომონისა, I, 13),



ადამიანმა თვით განუმზადა თავის თავს იგი და ამიტომ ვინაა ის?  
 ღია, რომ თავისი ამქვეყნიური ცხოვრებით მისი კვალი წაშალოს.  
 სხეულის სიკვდილი, როგორც ვთქვით, არ წარმოადგენს ყოფიერების  
 არც მოსპობას და არც დროებით შეწყვეტას. სულმა გამოიცვალა  
 (გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა) მხოლოდ თავისი მდგომარეობა და ადგილი  
 სამყოფელი, მან შეინარჩუნა თავისი თვისებები და ცნობიერება.  
 განსხვავება აქ ისაა, რომ გარდაცვალების მერე სული კარგავს  
 თავის თვითნებურ და დამოუკიდებელ არსობას. იგი იქ იმკის იმას  
 რაც დათესა სააქაო ცხოვრებაში. „ნუ სცთებით, ღმერთი არა შეუ-  
 რაცხ იქმნების. რამეთუ რაიცა-იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმ-  
 კოს. რამეთუ რომელმან სთესოს ხორცთა შინა თვისთა, ხორცთა მი-  
 ერ თვისთა მოიმკოს ხრწნილებანი; ხოლო რომელმან სთესოს სულსა  
 თვისსა, სულისაგან თვისისა მოიმკოს ცხოვრებაი საუკუნოი“ (გალა-  
 ტელთა მიმართ, 6,7-8).

ჯოჯოხეთი

სული, როდესაც მოშორდება სხეულს, დასახლება იმ არსება-  
 თა სამეუფოში, რომელნიც მისი მსგავსნი არიან. ასე რომ ამქვე-  
 ყნიურ ცხოვრებაში თუ სული იძენდა კეთილ თვისებებს, იგი კეთილ  
 არსებათა სამეუფოში დასახლება, ხოლო თუ მასში ბოროტი თვისე-  
 ბები სჭარბობს - ბოროტ არსებათა სამეუფოში. ამქვეყნიურ ცხოვრ-  
 ებაში სულს ძალუძდა თავის ქმედებათა ხასიათის შეცვლა: ბოროტი-  
 სა - კეთილზე და - პირიქით. გარდაცვალების შემდგომ სულს აღარ  
 ექნება ამის შესაძლებლობა: იქ მოხდება მხოლოდ განვითარება და  
 გაღვივება იმ თვისებებისა, რომელნიც სულმა შეიძინა ამქვეყნად.

კეთილი თვისებები თავის მაქსიმუმს მიაღწევენ, ხოლო ბოროტი - სულ უფრო და უფრო გაღვივდება და გაფართოვდება და მონანიებას აღარ იქნება, რომელიც ამეცეცნად სულს ათავისუფლებდა ცოდვათაგან. როგორც ვთქვით, გარდაცვალების მერე, სულს ეცხადება კეთილ და ბოროტ არსებათა გუნდები. კეთილი ანგელოზები სულის ხსნას ცდილობენ და მის ამალგებას თავიანთ სამეუფოში. მაგრამ ამ სულში თუ სჭარბობენ ბოროტი თვისებანი, მაშინ ეს უკანასკნელნი და მებრკოლებელ ჯებირებად აღიმართებიან და ამდაგვარი სულის სამოთხისაკენ ზედაღსვლას აბრკოლებენ. თითოეული ცოდვა სულისათვის მტანჯველს პოულობს ბოროტი დემონის სახით. სულის ეს ტანჯვანი სხვა არაფერია, თუ არა კერძო სამსჯავრო სულზე, მეორედ მოსვლის, უდიდესი სამსჯავროს წინ. როდესაც საბოლოოდ დადგინდება, რომ ახლადგარდაცვალებულის სულში სიბოროტე სჭარბობს, მაშინ ასეთ სულს მოესმის საშინელი ხმა: „მოისვენ უღმრთო, რათა არა იხილონ დიდება უფლისა“ (წინასწარმეტყველება ესაიასი, 26, 10).

ამეცეცნად ყოფნისას ადამიანის სული განიცდის როგორც კეთილ. (მფარველი ანგელოზის), ისევე ბოროტ სულთა ზემოქმედებას. ამ უკანასკნელთ ადამიანის სულზე არავითარი ძალა არ გააჩნიათ, გარდა იმისა, რომ მათ შეუძლიათ შთაბაგონონ მას ბოროტი აზრები. მაგრამ აქ ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული, აჰყვება იგი მას თუ არა. მთელი ძალა ბოროტ სულთა ადამიანზე ზემოქმედებისა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი პოულობენ ადამიანის სულში მსგავს იდეებსა და აზრებს და ყოველნაირად აღვივებენ მას და ხარობენ ადამიანის დაცემით. თვით ბოროტ სულთა ქმედება ეწინააღმდეგება ღვთის ნებას. მათი ქმედება აღსაესება ღვთისა და ყოველი ადამიანისადმი სიძულვილითა და ღვარძლით. მათი უდიდესი სურვილია, რომ დაცემული ადამიანი თავიანთ განწირულ ბედს ახი-



ბრონი; მაგრამ, როგორც ვთქვით, ისინი ამას ახერხებენ მხოლოდ მაშინ, თუ თვით ადამიანი ისურვებს და განეწყობა ცოდვის ღებად. ამიტომ, „ნუგინ განცდილთაგანი იტყვინ, ვითარმედ ღმერთისა მიერ განვიცადები, რამეთუ ღმერთი გამოუცდელ არს ბოროტისა და არავის განსცდის იგი. არამედ კაცად-კაცადი განიცადების თვისისაგან გულის თქუმისა, მიიზიდვის და სცთების“ (იაკობ, I, 13-14). ბოროტ ადამიანს ბოროტი სულელები დასტრიალებს თავს - „სადაცა ხორცი, მუნცა ორბები შეკრბეს“ (ლუკა, 17,37).

რაც შეეხება თვით ბოროტ სულთა ბუნებას, ისინი მოციქულის თქმით, „უხორცონი“ არიან (ეფესელთა მიმართ, 6,12), მაგრამ გააჩნიათ ყველა ის გრძნობანი, რაც ადამიანს აქვს (ხოლო თვით ადამიანში ეს გრძნობები ბუდობენ მის სულში და არა - სხეულში. ამიტომაც, რომ სიკვდილის მერე ადამიანის სულს თან გადააქვს ეს გრძნობანი საიქიოს). ბოროტ სულთა ადგილსამყოფელი, ჩვეულებისამებრ, ჰაერია - „მთავრისა მისებრ ხელმწიფებისა ჰაერისა“ (ეფესელთა მიმართ 2,2). ბოროტ სულთა ძალა ღვთის მიერ რომ არ იზღუდებოდეს, იგი სულ წალეკაცვად ყველაფერს. მაგრამ, ამავდროს, ღვთის ნებადართვის გარეშე ისინი არათუ ადამიანს, არამედ ცხოველსაც ვერას აცნებენ. ამას ამტკიცებს მათი გედრება იესო ქრისტესადმი, როდესაც ისინი ითხოვნდნენ შეპყრობილთაგან ღორის ჯოგში გადასვლას და რაც მათ მხოლოდ ღვთის ნებადართვის შემდეგ შესძლეს (მათე 6, 31-32). ასევე, ბოროტ სულთა ბედი ჯერ საბოლოოდ არაა გადაწყვეტილი, ისინი ჯერ კიდევ ელოდებიან თავიანთ სამსჯავროს. ამას მოწმობს რიგი ადგილები სახარებიდან. ასე შეჰყვირეს ეშმაკებმა იესო ქრისტეს: „მოხუდ აქა უწინ არეს უამისა ტანჯვად ჩუნდა“ (მათე, 8,29). სხვა ადგილას ნათქვამია, რომ ეშმაკთა ლეგიონი „ვედრებოდეს მას, რაითა არა უბრძანოს მათ უფსკრულთა

შთასვლაი“ (ლუკა, 8,31). ღმერთზე ყოველ გაფიქრებისას ეშმაკნი  
შეშისაგან ძრწიან მომავალი სასჯელის გამო (იაკობ, 2,19). შემო-  
რე მხრივ, ღვთის უსასრულო სიკეთე გულისხმობს იმას, რომ ღმერთი  
ამ ბოროტ სულელებსაც აძლევს შესაძლებლობას გამოსწორებისათვის.  
მაგრამ მათში იმდენადაა გამჟღარო ეს მარად ჯიუტი ბოროტება,  
რომ ისინი არ ისურვებენ გამოსწორებას და არ მოინანიებენ.

იესო ქრისტეს ჯვარცმამდე და მისი მკვდრეთით აღდგომამდე  
ყოველი ადამიანის სული, ადამის შეცოდების გამო, გარდაცვალების  
შემდეგ ჯოჯობხეთში ისადგურებდა. ეს ეხებოდა როგორც ცოდვილ, ასე-  
ვე მ ა რ თ ა ლ ადამიანთა სულს. „დაიბო იაკობ სამოსელი,  
თვისი და შეიშოსა ძაძა წელთა მისთა და ეგლოცდა ძესა თვისსა  
დღეთა მრავალთა. შეკრბეს ყოველნი ძენი მისნი და ასულნი და მო-  
ვიდეს ნუგეშინისცემიად მისა. და არა უნდა ნუგეშინისცემისა და  
თქუა, ვითარმედ: შთავიდე ძისა ჩემისა თანა გლოვით ჯოჯობხეთად“  
(დაბადება, 37,34-35)). მაგრამ მაცხოვარმა იესო ქრისტემ შეა-  
რიგა ღმერთი ადამიანებთან, ზეცა - მიწასთან და თავისი სიკვდი-  
ლის შემდეგ შთავიდა ჯოჯობხეთში და იხსნა იქიდან ძველი აღქმის  
წმინდანები. ზეცად თავისი ამბულების მერე კი მაცხოვარმა ყვე-  
ლა ადამიანს მისცა შესაძლებლობა ზეციურ სასუფეველში დამკვიდ-  
რებისა. „მე წარვიდე - თქვა მან - და განვიმზადო თქვენ ადგი-  
ლი. და უკუეთუ წარვიდე და განვიმზადო თქვენ ადგილი, კუალად  
მოვიდე და წარვიყვანნე თქვენ თავისა ჩემისა თანა, რაითა, სა-  
დაცა მე ვიყო, მუნცა თქვენ იყვნეთ. და ვიდრე - იგი მე მივაღ,  
უწყით და გზაიცა იგი იცით“ (იოანე, 14,2-4). სხვა ადგილას:  
„არამედ მე ჭეშმარიტსა გეტყვი თქვენ: უმჯობეს არს თქვენ-და,  
რაითა მე წარვიდე; უკუეთუ მე არა წარვიდე, ნუგეშინის-მცემელი  
იგი არა მოვიდეს თქვენდა; უკუეთუ მე წარვიდე, მოვაფლინო იგი

თქუნდა. და მოვიდეს იგი და ამხილოს სოფელსა ცოდვისათვის და სიმართლისათვის და სასჯელისათვის. ცოდვისათვის ესრეთ, რამეთუ ჰრწმენა ჩემდა მომართ; ხოლო სიმართლისათვის, რამეთუ მე მამისა ჩემისა მივალ, და არღარა მხედვიდეთ მე. ხოლო სასჯელისათვის, რამეთუ მთავარი იგი ამის სოფლისაი დასჯილ არს“ (იოანე, 16, 7-II). რაც შეეხება ახალი აღთქმისდროინდელ ცოდვილთა სულებს, ისინი ორ, არსებითად სხვადასხვა, პერიოდად იყოფიან. პირველი პერიოდი მათი სიკვდილის შემდეგდროინდელი სიცოცხლისა არის პერიოდი იესო ქრისტეს აღდგომიდან მის მეორედ მოსვლამდე. ეს სწორედ ის პერიოდია, რომელშიაც ჩვენ ამჟამად ვცხოვრობთ. მეორე პერიოდი სულთა იმქვეყნად ცხოვრებისა დაიწყება ქრისტეს მეორედ მოსვლის, საშინელი სამსჯავროს შემდეგ. პირველი პერიოდი სულთა იმქვეყნად ყოფნისა ჯერ კიდევ არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს, ჯერ კიდევ ძალუძთ მათ მოქცევა ტანჯვათა გავლის შემდგომ. ხოლო საშინელი სამსჯავროს შემდეგ ჯოჯობხეთში მყოფ სულებს იმედიც დაეკარგებათ თავიანთი ხსნისა. ეკლესიის მოძღვრების თანახმად, საშინელი სამსჯავროს დადგომამდე, ჯოჯობხეთში მყოფ სულებს შვებას მიანიჭებს თვით ეკლესიისა და გარდაცვლილთა ახლობლების ლოცვა. რადგან ყოველი თხოვნა ღვთისადმი, რომელიც რწმენით იქნება მისდამი აღვლენილი, დაკმაყოფილდება. „უკუეთუ ძალ-გიც რწმუნებად, ყოველივე შესაძლებელ არს მორწმუნისა“ (მარკოზ, 9, 23). ხოლო თვით მორწმუნენი ყოველგვარ სასჯელს ასცდებიან და ხსნას მოიპოვებენ. „ამინ, ამინ გეტყვი თქვენ, რამეთუ რომელმან სიტყუანი ჩემნი ისმინნეს და ჰრწმუნეს მომავლინებელი ჩემი, აქუნდეს ცხოვრებაი საუკუნოი, და სასჯელსა იგი არა შევიდეს, არამედ გარდაიცვალოს იგი სიკუდილისაგან ცხოვრებად“ (იოანე, 5, 24). ამავე დროს, თვით სასჯელი ცოდვათა სიმ-



ქიმის მიხედვით ნაწილდება. „ხოლო მონამან რომელმან იცის ნება  
 უფლისა თვისისაი და არა განემზადოს ნებისაებრ მისისა, იტანოს  
 იგი ფრიად. ხოლო რომელმან არა იცის და ქმნეს რაიმე ღირსი ტან-  
 ჯვისაი, იგუემოს მცირედ, რამეთუ ყოველსა რომელსა მიეცა დიდად,  
 დიდადცა მიეღოს მისგან, და რომელსა მიეცა ფრიად, უმეტესი მოჰ-  
 ხადონ მას“ (ლუკა 12, 47-48).

ჯოჯობეთში ორგვარი სასჯელია განკუთვნილი ცოდვილ სულთა-  
 თვის - გარეგანი და შინაგანი ტანჯვა. გარეგან ტანჯვას გამოხა-  
 ტავს ცოდვილი სულის მოთქმა ჯოჯობეთში: „ციტანჯები მე აღითა  
 ამით ცეცხლისაითა“ (ლუკა 16, 24). შინაგან ტანჯვას ის სატანჯ-  
 გელი განეკუთვნება, რომელიც სულის ვნებებთანაა დაკავშირებული:  
 ის, რაც ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანს გააჩნდა ამ ვნებების  
 დასაკმაყოფილებლად - ადამიანის სხეული - იმ ცხოვრებაში მას  
 უკვე აღარა აქვს და რჩება შიშველი ნდომა-ვნებანი, რომელთა და-  
 უკმაყოფილებლობა სულს სასოწარკვეთილებაში აგდებს. ამქვეყნად  
 ამ ვნებათა ჩამოშორება შეიძლება ნათლისღებით, ზიარებით, ლოც-  
 ვით, მარხვით, თავშეკაცებით და სხვა. მაგრამ იქ, იმქვეყნად,  
 ეს უკვე აღარ შეიძლება და რადგან იქ ყველაფერი ვითარდება, რო-  
 გორც სულის კეთილი, ზნეობრივი თვისებანი, ასევე - მისი ვნება-  
 ნი, მაშინ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, სულის ტანჯვა სულ უფ-  
 რო და უფრო იზრდება, ისე, რომ მას უკვე თავისი არსობის მოსპო-  
 ბა სურს და რადგან მას ეს უკვე აღარ შეუძლია, ეს აბოროტებს  
 და აახლოვებს მას ბოროტ სულებთან. ამიტომ ადამიანი ყოველნაი-  
 რად უნდა ცდილობდეს, რომ უკვე აქ, ამქვეყნად, მან აღხოსოს თა-  
 ვისი ცოდვები პირისაგან მიწისა. „ნეტარ არიან, რომელთა მიეტე-  
 მენ უსჯულოებანი და რომელთა დაეფარენ ცოდვანი“ (რომაელთა მი-  
 მართ, 4, 7).



როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველივე ამის შემდეგ, უნდა მხედვს ქრისტეს მეორედ მოსვლა, საშინელი სამსჯავრო, სადაც ბოლოდ იქნებიან განსჯილნი ზნეობრივი უნარის მქონე არსებანი. მაგრამ როდის მოხდება ეს, არავინ უწყის. „ხოლო ღლისა მისთვის და უამისა არავინ იცის, არცა ანგელოზთა ცისათა, გარნა მამამან ჩემმან მხოლომან“ (მათე, 24, 36). ამიტომ „იხილეთ და მღვიძარე იყვენით, და ილოცევდით, რამეთუ არა იცით, ოდეს იყოს უამი იგი. ნუჟუჟე მოვიდეს მეყსეულად და გპოვნეს თქვენ მძინარენი“ (მარკოზ, 13, 33-36).

ადამიანის დაცემის შემდეგ დაირღვა აგრეთვე ის ჰარმონია, რომელიც სუფევდა ნანამდე მასსა და ბუნებას შორის. ამიტომ ეს ხილული ბუნებაც განწირულია. „დასაბამსა შენ, უფალო, ქუეყანა დააფუძნე, და ქმნილნი ხელთა შენთანი ცანი არიან. იგინი წარხდებიან, ხოლო შენ ჰგვი“ (ღაფითი, 101, 26-27). იგი შეიცვლება ახალ ბუნებად. „და ვიხილე ცაი ახალი და ქუეყანაი ახალი, რამეთუ პირველი იგი ცაი და პირველი ქუეყანაი წარხდეს, და ზღუაი არღარა არს“. (გამოცხ. იოანესი, 21, 1).

ამის შემდეგ განწმენდილი სულები სამარადისო სამოთხეს მოიპოვებენ, ხოლო ცოდვილნი - სამუდამო სატანჯველს. დოგმატი მუდმივი სატანჯველის შესახებ ყველა საეკლესიო კრებაზე ერთხმად იყო მიღებული და ამას ადასტურებს მრავალი ადგილი ბიბლიიდან: (მარკოზ, 16, 16), (ლუკა, 16, 26), (იოანე 3, 36), (ღაფითი, 9, 17), (გამოსვლ., 33, 14).

„მაშინდა აღსასრული, რაეამს მოსცეს სუფევაი ღმერთსა და მამასა, რაეამს განაქარგნეს ყოველნი მოაგრობანი და ყოველნი ხელმწიფებანი და ძალნი. რამეთუ ჯერ-არს მისა სუფევაი, ვიდრემდის დაიხსნეს ყოველი მტერნი მისნი ქუეშე ღმერთთა მისთა. უკუნა“

ისკნელი მტერი იგი განუარდეს - სიკვდილი“ (I კორინთელთა მიმართ 15, 24-26).

ს ა მ ო თ ხ ე

პირველ ყოვლისა, ორიოდ სიტყვა მფარველ ანგელოზთა შესახებ. ყველადამიანს ჰყავს თავისი მფარველი ანგელოზი უხილავ სამყაროში. „არა ყოველნივე არიანა მოხარკე სულე, მსახურად მოვლინებულ მათთვის, რომელთაი-იგი დამკვიდრებად არს ცხოვრებაი“ (ებრაელთა მიმართ, I, 14). ისინი ერთ წამს არ ტოვებენ ადამიანს უმეტებლყოფოდ და ესწრებიან მის სიკვდილს და მისი სულის გადასვლას საიქიო ცხოვრებაში. მფარველი ანგელოზი ყოველნაირად მონაწილეობს ადამიანის კეთილ განვითარებაში და ნიადაგ შთააგონებს მას კეთილ აზრებს. და თუკი ადამიანი მაინც ბოროტი სულის შთაგონებას მიუგდებს ყურს და მისი გავლენის ქვეშ ექცევა, ეს მფარველი ანგელოზის ბრალი არაა, რადგან ადამიანი იშვა თავისუფლად და მისი ნება და არჩევანი არაა შეზღუდული.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მფარველი ანგელოზი არა მარტო ადამიანებსა ჰყავს, არამედ სახელმწიფოებსაც, ოლქებს, ქალაქებს, მონასტრებს, ეკლესიებს და განაგებენ დედამიწის ოთხივე მხარეს (2 სჯული 32, 8), (გამოცხ. იოანესი, 7, 1); კეთილ ანგელოზთა გამოცხადებათა შესახებ მრავლადაა მოთხრობილი ბიბლიაში. როგორც წესი, ადამიანებს ისინი ეცხადებიან ადამიანის სახით. ამიტომ, მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე წმ. მამებმა დაადგინეს, რომ მათი გამოსახვა ხატებზე შეიძლება. ისინი იქ წარმოგვიდგებიან უღამაზეს, კეთილშობილ არსებებად.



მაგრამ ყველა ადამიანს ერთნაირად არ ეკიდებიან ანგელოზები. ეს უკანასკნელნი ხშირად ღვთაებრივი მართლმსაჯულების იარაღად გმეფილებიან ცოდვილთა დასასჯელად. ამ დროს, ისინი არა მარტო ცალკეულ ცოდვილს სჯიან (საქმე 12, 23), არამედ მთელ ქალაქებსა და ერებსაც (II მეფეთა 14, 15-17) და სხვა.

განწმენდილ სულთა სამოთხეში ყოფნას, სამოთხისა და სამოთხისეული ნეტარების აღწერას - ამას, ჩვენი, მიწიერი ენით, ვერ გადმოცემთ. ამის გაგება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც ამქვეყნად უკვე მიაღწია წმინდანობის გარკვეულ საფეხურს, სიკეთის გზით სულიერ სამყაროსთან ვინც დაამყარა ურთიერთობა და ვინც გამოსცადა იგი. „სასუფეველი ღმრთისაი შორის თქუენსა არს“ (ლუკა 17, 21). ამიტომ, სამოთხისეულ ყოველ გარეგნულ წარმოდგენას უნდა ვერიდოთ, რადგან ამას ხშირად იყენებენ დაცემული სულები ადამიანის საცდუნებლად. წმ. მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვრების თანახმად სამოთხეში ნეტართა სულები ორგვარ ნეტარებას განიცდიან: შინაგანსა და გარეგანს. შინაგანი ნეტარება შედგება: ა) სულის ღმერთთან დამოკიდებულებისა და ბ) თავის თავთან ურთიერთობისაგან. გარეგანი ნეტარებაა: ა) სულის დამოკიდებულება სხვა სულიერ-ზნეობრივ არსებებთან, მის ირგვლივ მყოფ წმინდა და ნეტარ სულებთან, და ბ) მისი დამოკიდებულება და ზემოქმედება ყოველივე შექმნილთან ღვთის მიერ. ამასთანავე, არსებობს ნეტარების სხვადასხვა ხარისხი, ხოლო ის სიხარული და სიკეთე, რომელიც სულს ეუფლება სამოთხეში ყოფნისას, განვითარდება და გაგრძელდება უსასრულოდ.

1. ბასილი კესარიელის „სწავლათა“ ეფთვიმე ათონისეული თარგმანნი, თბ., 1983 წ.
2. იოანე დამასკელი, დიალექტიკა, თბ., 1976 წ.
3. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ., 1961 წ.
4. შატბერდის კრებული X საუკუნისა, თბ., 1979 წ.
5. უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაისა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულეებისათეს“, თბ., 1964 წ.
6. Творения Василия Великого, т. I и II, С.Петербург, 1911 г.
7. Творения Григория Богослова, т. I и II, СПб.
8. Творения Иоанна Златоуста, т. VI, кн. II, С.Петербург, 1900
9. И.А.Карышев, Духовно-нравственный мир в человеке по учению Св. Православной веры, Москва, 1891 г.
10. Православно-догматическое богословие Макария, т. I и II, С.Петербург, 1895 г.
11. ΓΡΗΓΟΡΙΟΥ ΕΠΙΣΚΟΠΟΥ ΝΥΣΣΗΝΕ, *Assurgente*  
J. P. Migne, *Tomus primus*, 1863;  
*Tomus secundus*, 1858.
12. *Bibel-Lexikon*, St. Benno-Verlag Leipzig,  
1969. ამ მოცემულია ვრცელი ბიბლიოგრაფია შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით.
13. W. Pannenberg, *Grundzüge der Christologie*,  
Gütersloh, 1964.
14. Bengt Hägglund, *Geschichte der Theologie*,  
Evangelische Verlagsanstalt, Berlin, 1983.

რაც უფრო ძლიერ აწვალეებს ადამიანს ბრალეულობის ანუ სინა-  
 ნულის გრძნობა, მით უფრო დიდი პიროვნებაა იგი. და ეს ასეც უნდა  
 იყოს, რადგან ბრალეულობის ანუ სინანულის გრძნობის აღმძვრელი  
 ხომ კაცური ღირსება, შეგნებული ცხოვრებით ცხოვრება და უკომპრო-  
 მისო სინდისია. სინდისი რომ არა, ადამიანი ვერც ემიპირიული არსე-  
 ბობის ზღვარს გასცდებოდა, ვერც საკუთარი ნამოქმედარის ზნეობრივ  
 შეფასებას შეძლებდა და ვერც იმას დაინახავდა, რასაც ადამიანი  
 ცხოვრების ტრაგიკულ შეგრძნებამდე მიჰყავს და მის ცოდვილ სულს  
 აძრწუნებს და ზარაცს. უთუოდ ასეთი შეძრული და შეძრწუნებული უნ-  
 და ყოფილიყო დავით აღმაშენებელი, როცა (ვერც რელიგიურ მოძღვრე-  
 ბებში იპოვა ის, რაც მის გამჭრიახ, მეამბოხე, მაძიებელ გონებას  
 დააშოშმინებდა, ვერც დამოუკიდებლად მიაგნო ისეთ ურყევ ჭეშმარი-  
 ტებას, უამრავ საეჭვო, აუხსნელ მოვლენებს რომ ახსნიდა და ამი-  
 ტომ) უშუალოდ შემოქმედს, ღმერთს მიმართა, რადგან ყველაფრის და-  
 საბამი და დასასრული ღმერთია. კაცი რომ აქამდე მივიდეს, შინა-  
 განი განსჯის დიდი ნიჭი, სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობის დაუ-  
 თკებელი სურვილი, ღირებულებათა უშედავათოდ გადაფასების უნარი  
 და იმხელა კაცური ღირსება უნდა ჰქონდეს, რომ როცა გადაწყვეტილ  
 ბის მიღების წინაშე აღმოჩნდება, უკან აღარ დაიხიოს, თავი არ და-  
 რაგვრინოს ჭოჭმანს, სწორად ვიქცევიო თუ არა. ამიტომაც ელაპარა-  
 კება დავითი ღმერთს, როგორც თანამდგომს, როგორც მისი მიწიერი  
 ცხოვრების გამგებს, გამზიარებელს და აუცილებლობით თუ გაუცნობი-  
 ერებლობით ჩადენილი ცოდვების მიმტევებელს. ეს რომ ასეა, ამაზე  
 ცხადად მეტყველებს „გალობანში“ ჩაქსოვილი აზრისა და გრძნობის  
 სიძლიერე. დავითი უკვე იმ ზღვარამდეა მისული, როცა კაცს ცოდვე-

ბის გამხელა აღარ ეთაკილება, აღარ ეშინია მათი სიმრავლისა და სიმძიმისა. იგი გულწრფელად, დაუდარავად, უკრძალველად აღიარებდა ყველა ცოდვას, რაც კი ცხოვრებაში ჩაუდენია და სწორედ ამ აღიარებაში მუდებნდება როგორც მისი კაცური სიღიაღე, ასევე შეგნება იმისა, რომ მიუხედავად აურაცხელი ღვაწლისა და ქველობისა, იმ სამყაროს წინაშე, ირგვლივ რომ არტყია, მაინც უბადრუკი და არარაობაა.

ასეთ უსიხარულო დასკვნამდე მივიდა კაცი, რომელმაც უმაგალითო სულისხმევა, ნიჭი, გამჭრიახობა და შეუპოვრობა გამოიჩინა იმისათვის, რომ ქართველი ხალხი და ამიერკავკასიაში დევგადგმული ქრისტიანობა მოსპობისაგან ეხსნა. ამას ქართული და უცხოური ისტორიული წყაროებიც ადასტურებენ და მხატვრული ნაწარმოებებიც. აი, როგორ ხოტბას ასაამს დავით აღმაშენებელს არა ერისკაცი, არამედ სასულიერო პირი, არსენ ბერი თავის ჰიმნში „მეფესა დავითს“; რომლის ტექსტმა მთლიანად და უცვლელი სახით მოაღწია ჩვენამდე: „სიბრძნის-მოყუარებო, შენ, უფროისად ბრწყინვალეო, თუალო“ ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო, რომელი-ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყაროი ხილულსა სოფელს შორის; საჩინო, ვითარცა მზე, ვარსკულავთა შორის; ნათლის-ფერ, ეღვაი ღრუბელსა შორის, ცისკროვან, ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის... საყუარელ, ვითარცა იოანე მეგობართა შორის, მკვირცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის, სახის დასაბამ უცთომელის ქრისტიანობისა, ვითარცა დიდი კონსტანტინე თვითმპყრობელთა შორის, სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თევდოსი სკიპტრის-მპყრობელთა შორის...“


ცნობილია, რომ როგორც საქართველოში, ასევე სხვა ქრისტიანულ ქვეყნებში, ეკლესია და ეკლესიის მსახურნი ერისკაცის განდიდებას ერიდებოდნენ, მას მხოლოდ მაშინ უფასებდნენ ღვაწლს, როცა

სარწმუნოებისათვის ეწამებოდა და მისი მარტვილობის უპირველესი მიზანი სულის ხსნიისათვის ზრუნვა იყო და არა მიწიერი ნივთები, რაც თვით ეკლესიის განმტკიცებას უწყობდა ხელს. ამის მაგალითი როგორც ქართულ, ასევე უცხოურ აგიოგრაფიაში საკმაოდ ბევრია. განსაკუთრებით ეს ეხება მეფეებს, რადგან მთელი შუასაუკუნეების მანძილზე კონფლიქტი საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის მწვავედებოდა, ხანაც, როცა სახელმწიფოს სათავეში ძლიერი მეფე იდგა, ცოტათი ცხრებოდა, მაგრამ საბოლოოდ არასოდეს აღმოცხვრილა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ეკლესიაც ისევე ისწრაფოდა პოლიტიკური და ეკონომიური სიძლიერისაკენ, როგორც საერო ხელისუფლება. ამას ისიც ართულებდა, რომ ეკლესიას უფრო კოსმოპოლიტური, ზოგადი მიზნები ამოძრავებდა, საერო ხელისუფლებას კი კონკრეტული, ეროვნული. ყოველივე ეს ინტერესთა დაპირისპირებას და ეროვნული ძალების გათიშვას იწვევდა.

თვით დავით მეფეს რუის-ჯრბნისის საეკლესიო კრებამდე მწვავე უთანხმოება ჰქონდა ეკლესიის დიდ მესვეურებთან, მამებთან, რომელთა პრეტენზიების ასალაგმავად საეკლესიო რეფორმების ჩატარებაც კი დასჭირდა. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ ყველა სასულიერო პირი ორთოდოქსალური რელიგიური მოძღვრების ბრმა მიმდევარი იყო, ანდა მხოლოდ საკუთარი სულის ხსნიისათვის იღწვოდა. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც ესმოდათ, რომ საერო და სასულიერო ხელისუფლება ერთ საერთო მიზანს უნდა ემსახურებოდეს (ამ თვალსაზრისით მარტო გიორგი ჭყონდიდელის დასახელებაც კმარა ეკლესიის მსახურთა შეგნებულმა ნაწილმა თავიდანვე აუღო აუღო დავითის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე საერთო ქრისტიანულ მიზნებს და უყოყნანოდ ამოუდგა მას გვერდით, ხოლო ნოვეციანეობით იმათაც კი არ შეეძლო დავითის დიდი, თითქმის მესიანური ნოდვანობა.

ობის დაუნახაობა, რომელთაც მისი თვითმპყრობლობა და ძღვევამოსი-  
ლება არ ეპოტნავენოდათ. თანდათან იქმნებოდა ფართო საზოგადოებ-  
რივი აზრი, რომლის გაუთვალისწინებლობა სახელმწიფოს ინდროინდელ  
იდოლოგებს არაფრით არ შეეძლოთ. სწორედ საზოგადოების ამ ფართო  
აზრის გამომხატველია არსენ ბერის ჰიმნი. ეტყობა, მან ერთ-ერთმა  
პირველთაგანმა გაციწობიერა მთელი სიგრძე-სიგანით ის დიდი დამ-  
სახურება, რაც დავითს არა მარტო ერის წინაშე მიუძღოდა, არამედ  
მთელი მართლმადიდებლური ეკლესიის წინაშეც. მისი შედარებებისა  
და ეპითეტების მიხედვით დავითი კაცობრიობისა და ქრისტიანული  
ეკლესიის მიერ აღიარებულ დიდ პიროვნებათა შორის ერთ-ერთი რჩე-  
ული და უსაჩინოესია. და მართლაც, საოცარია დავითის პოლიტიკური  
და საზოგადოებრივი მოღვაწეობა, მისი ინტერესების მასშტაბები,  
მოვალეობის გრძნობით განმტკიცებული ურყევი ნება, მუდამ ახლის  
ძიება და ამ სიახლის ხალხის სასიკეთოდ გამოყენება, მისი დაუო-  
კებელი ცოდნის წყურვილი, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა, აზროვნე-  
ბის თავისუფლება, კაცთმოყვარეობა, სამართლიანობა, კაცური თავ-  
მიდაბლობა და კაცური სიდიადე.

დავითის ღვთისმოსაობასა და სამართლიანობას არა მარტო ქარ-  
თველი მემატრიანენი აღიარებენ, არამედ სხვა ერის წარმომადგენე-  
ლნიც. სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი დავითის შესახებ წერს:  
„იყო იგი ყოვლად შემეკული ღვთისმოსაობით და კეთილი სამართლიანო-  
ბით“. ბოლოს, როცა დავითის ღვაწლმა, მისმა მხედართმთავრულმა და  
პოლიტიკურმა გამჭვრიახობამ, მისმა უნარმა ერთი მიზნის ქვეშ გაე-  
ერთიანებინა ერის ფიზიკური და სულიერი ძალები, სასურველი შედე-  
გი გამოიღო, ხოლო ქართული ეროვნული სახელმწიფოს გაძლიერებასთან  
ერთად ქართული ეკლესიაც გაძლიერდა, გამდიდრდა და გააქტიურდა,  
ეკლესიამ დავითი წმინდანადაც კი შერაცხა, რაც მოგვიანებით მოხ-



და და სრულიად კანონიერად ცნო ერმაც და ბერმაც, მაგრამ მანამდე დავითის კაცურმა სიდიადემ კიდევ ერთხელ იჩინა თავი როცა შინაგანმა განსჯამ, ბრალეულობის გრძნობამ და სინდისის ქმნამ ხელში კალამი აადებინა და „გალობანი სინანულისანი“ დააწერინა. ამ ერთადერთ თხზულებაში, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, იგი თავის თავს არა თუ წმინდანად, არანედ ბიწითა და ცოდვებით სულდამძიმებულ კაცად თვლის, რომელიც იმდენადაა დაშორებული საკუთარ თავსაც და სხვებსაც, რომ ძრწოლა და ღრტყინვა ღმერთის გარდა ცხრაცისთვის გაუმხელია.

როგორც ხეშოთ დავინახეთ, ისტორიკოსებიცა და ჰიმნოგრაფებიც დავითს დეტისმოსავ, სამართლიან, უცდომელ ქრისტიანად და დიდ სახელმწიფო მოღვაწედ თვლიან, ასეთად თვლის მას მთელი ქართველი ხალხიც, მაგრამ თუ „გალობანის“ მიხედვით ვიმსჯელებთ, დავითზე უფრო ცოდელი და სულწაწყნედილი კაცი ქვეყანაზე არ დადოდა. ძნელად მოიპოვება ისეთი ცოდვა, რაშიც დავითი დაშინადაც არ გრძნობდეს თავს და ჩადენილ ცოდვას არ ინანიებდეს: „ხატსა თვისსა მამსგავსე და საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამაწესე. შენებრ არსთა სიყუყუებისა ჩემ შორისცა შეეკრებითა, ხოლო მე უმაღლო გექმეო“, მიმართავს დავითი ღმერთს და განაგრძობს: „ბუნებითნი რაი ძალნი, არა სჯულთაებრ ვიხუმიენ, მსგავსებისაგან დავაკლდი და დავჰბადე ბოროტი, ხოლო ხილულთა-მიერსა გეოვნებასა ვრცელად განუხუენ გრძნობანი“; „ბუნებითსა რაი პორფირსა თვიომფლობელობასა თანა მეღობისაცა მარაცანდნი მარწმუნენ, ხოლო მე ვნებათა ბილწთა შონებად მივჰყვიდე თავი“, „ცთომილთა ვარსკულავთა და უცთომელთა კრებაი და გაწყრაი, სუე და ბედი, და შობის ღღე ვითარ საღმრთოთა უსმენელმან, ვიჩუენ“, „სჯულნი დავრთგუნენ წიგნისანი, და ახალი ბუნებითოთ, და სჯულისა შენისა მოწამე, სჯუ-



ლი გონებობაი, ცოდვისა და ხორცთა სჯულსა დავამონე“, „თითოეული  
 თა მხეტიაგან შეზავებულსა მხეცსა ვემსგავსე მრავალ-გუარსა მრავალ-ხატსა, და სხუა-ჟამ სხუებრ ხილულსა და მხსენარსა ბუნე-  
 გისაებრ თითოეულისა“, „არა შევძრწუნდი მანგლისაგან მფრინვალი-  
 სა, რომელი შურსა სიკუდილისასა მიჰხდის, რომელი ჩემებრ მიმდე-  
 ბად ცრულ ფუცივდენ განსაკრთომელსა სახელსა შენსა“, „სოლომონი-  
 საისა წუბღლისა მსგავსად ვერ მაძლარი სხუათა სოფლის კიდეთა ვე-  
 ძებ დაპყრობად, და ღმრთისა საზღვართა ვაბრალობ, ვითარცა მცირე-  
 თა და უნდოთა ჩემისამდე უძღებებისა და გულისთქუმისა“, „ბორო-  
 ტად გარდაცხედ საზღვართა და შევკრთე სახლი სახლსა, და აგარაკი  
 აგარაკსა, და უუძღურესთა მივმხუევე ნაწილი მათი, და ვილწნიდ  
 უმეზობლობასა, ვითარმცა მარტოი ვმკვიდრობდი ქუეყანასა ზედა“,  
 „მბრძოლ ვექემენ ყოველთა წესთა შჯულისა შენისათა და ქორწილთა  
 მიერ ხენეშთა ვმძლავრე საწოლსა ჩემსა, და სახეთა მიერ ბოროტ-  
 თა“, „ვეცხლი, ვითარცა მიწაი, და ოქროი, ვითარ თიხაი უბნისაი  
 ვიუნჯენ, თაყუანის-ვეც ანგაჰრებისა მამონას“, „სიტყუაი წმიდაი  
 და ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო მლიქვნელთა ძმა-  
 ცული სივერაგე ვითმე, და შემასმენელთანი დავიტკებენ ზრახვანი,  
 და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი“, „ცრემლი ქურივთანი და ობოლთა  
 ბრგუნვილი ტირილი არ შევიწყალე, არა განუხუნენ ნაწლევნი მოქენე-  
 თა“, „ესენი ცოდენ სახარებისა სჯულთა, და მცნებათა შენთა ში-  
 ნა“-ო, ამთავრებს დავითი ცოდვების ჩამოთვლას და ამ ჩამოთვლაში  
 ცხადად იგრძნობა, რომ იგი გაუცნობიერებლად კი არ ცდილობს ღვთ-  
 ის ყურადღება მიიქციოს და დაუმსახურებლად მოიპოვოს წყალობა,  
 არამედ თითოეული ცოდვის სიმძიმე, საკუთარი არსისაგან დაშორება  
 ბოლომდე აქვს შეგნებული და თუ ღმერთი არ გასწირავს, იგი მზა-  
 დაა კვლავ ეზიაროს ზეგრძნობადს, გახდეს ისეთი, როგორც აღამია-  
 ნი შესაქმით, პირველ, დასაბამიერ ცოდვამდე იყო და ამბავდეს



მარადიულ სიწმინდემდე, ღვთაებრიობამდე.

სანამ იმ საკითხს შევეხებოდეთ, ჰქონდა კი დავითს თავისი მძიმე, გამუდმებულ ბრძოლებში და დაკნინებული ერის ფეხზე წამოყენებისათვის ზრუნვაში გატარებული ცხოვრების მანძილზე იმის შესაძლებლობა, რომ ცოდვები არ ჩაედინა, ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: ქრისტიანული რელიგიისათვის ადამის ყოველი შთამომავალი ცოდვილი, უკეთური და უწმინდურია, რადგან სამოთხიდან გამოდგენის დღიდანვე დაშორდა ღმერთს და ბორცვილად ხრწნადი გახდა, სულიერად კი ცოდვილი და უბადრუკი. ზებუნებრიობას მოკლებული ადამიანისათვის მემკვიდრეობით მიღებული ცოდვა იმდენად მძიმეა, რომ უზარმაზარი ლოდინით აწევს მხრებზე და ეს ცოდვა რომ მოიცალოს, მან კვლავ უნდა იპოვოს ის სახე, ცოდვითდაცემამდე რომ ჰქონდა, დაიბრუნოს შესაქმისუამინდელი „მე“, განთავისუფლდეს საკუთარი თავის სიყვარულისაგან, რაც ყოველგვარი უკეთურობის, ბიწიერებისა და ბოროტების სათავეა და ეზიაროს ღვთიური მადლის უშრეტ ჭეშმარიტებას. მხოლოდ ამ გზით შეუძლია მოკვდავს მემკვიდრეობით მიღებული ცოდვისაგან განიწმინდოს და ღვთის წინაშე ისეთი გახდეს, როგორც სინამდვილეში უნდა იყოს. მაგრამ ქრისტიანული რელიგია ადამიანს არა მარტო მემკვიდრეობითი ცოდვებისათვის სთხოვს პასუხს, არამედ იმ ცოდვებისთვისაც, პირადად, თავის ნებით რომ სჩადის ცხოვრებაში. თუ დასაბამიერი ცოდვა ღმერთისაგან დაშორებას, პირველსახის დაკარგვას ნიშნავს, პირადი ცოდვა ღვთის მარადიული კანონების დარღვევა, ისეთი სურვილები, ქცევა და მოქმედება, ღვთის მყარ, უცვლელ მცნებებს რომ ეწინააღმდეგება. დასაბამიერი ცოდვა ადამის ყველა შთამომავალზე, ყველა ქრისტიანზე თანაბრად გრცელდება, სწორედ ამ ცოდვამ წარმოშვა ადამიანში ბრალეულობის გრძნობა და იგი საერთოა მთელი კაცობრიობისათვის, პირადი ცოდვე-

ბი კი ყველას ცალ-ცალკე მოეკითხება იმიტად მიხედვით, თუ როგორ იცხოვრა, რამდენად შელახა და დაარღვია ღვთის კანონი და ერახელ და სამუდამოდ დადგენილი მცნებები. ამ ცოდვების სიმძიმეს უკვე იქ განსაზღვრავენ, სადაც ყოვლადღიერი სამართლიანია და ყველას იმას მიუზღავენ, რისი ღირსიც არს. დავითი რომ პირველ ცოდვას ყველა ცოდვის საფუძვლად და ადამიანის შეჩვენების მიზეზად მიიჩნევდა, ეს ისე ცხადად ჩანს მის აღსარებაში, მის ფილოსოფიურ მრწამსში, რომ მტკიცებასაც კი არ საჭიროებს, მაგრამ ცხადად ჩანს ისიც, რომ დავითს პირადი ცოდვებიც აწვალებდა და ამის დამადასტურებელი თვით თბზულების ინტიმური ხასიათი, ბიბლიური გოდების მსგავსი ტონალობა და ტრაგიკული განცდის სიმძაფრეა.

ახლა ვნახოთ, შეეძლო კი დავითს ეცხოვრა და ემოქმედა ისე, როგორც ცხოვრობდა და მოქმედებდა და ცოდვები არ ჩადენინა? დავითი ისეთ დროს და ისეთ ვითარებაში მოეგვინა ქართველ ხალხს მეფედ და მსხნელად, თითქოს განგებამ გამოგზავნაო. შეიძლება თანამად ითქვას, რომ მეფეთმეფე საუკუნის ბოლო მეოთხედი ქართველი ხალხის ცხოვრებაში უმძიმესი და უსაშინელესი პერიოდი იყო, ქართველი ხალხის არსებობა ბეწვზე ეკიდა. თურქ-სელჩუკებმა, რომელთაც მოკლე ხანში ბევრი ძლიერი სახელმწიფო დაიპყრეს და უზარმაზარი იმპერია შექმნეს, აღგავეს კიდევ მიწისაგან პირისა ანატოლიისა (წინააზიელი ბერძნები) და ამიერკავკასიის (აღბანები) ქრისტიანი ხალხები. ამის მიზეზი ის იყო, რომ თურქ-სელჩუკები უმიწაწყლო მომთაბარებები იყვნენ და ღებდა-ზუღიანად აყრილნი დაპყრობილი მიწების მოსახლეობას დევნიდნენ ან პირწმინდად სპობდნენ და მათ ადგილას თვითონ საბლდებოდნენ. უმაგალითო სისასტიკით ანადგურებდნენ ქალაქებსა და მონასტრებს. მათთან შედარებით სპარსელები, ბიზანტიელები და არაბები შემიწყნარებელ მოძალადეებად ჩანან.

განსაკუთრებით გაძლიერდა თურქთა თარეში მეთერთმეტე სპეცსენსის  
ოთხმოციან წლებში, რასაც ქართველმა ხალხმა „დიდი თურქობა“ უწო-  
და. ამ დროიდან მოყოლებული, ისინი გაზაფხულის დაწყებიდანვე იჭ-  
რებოდნენ ქართლ-კახეთში, ზოგჯერ დასავლეთ საქართველოშიც, ყან-  
ბსა და ბალ-ბოსტნებში თავიანთ საქონელს აძრვებდნენ, თვითონ კი  
მარბიელ რაზმებად დაყოფილნი ხეობებში დათარეშობდნენ და ზამთრის  
დადგომამდე ფეხს არ იცვლიდნენ ადგილიდან. ამას თან დაერთო შინ-  
აშლილობა. დავითის მამას, მეფე გიორგი მეორეს გადაუდგა ფეოდალ-  
კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვაში, ნიანია ქვაბულისძემ ქუთა-  
ისი აიღო და მისი საჭურჭლე დაიტაცა, სვანთა ერისთავმა ვარდან-  
მა ეგარისი დალაშქრა და გაძარცვა, საშინელმა მიწისძვრებმა, რაც  
მთელი წელიწადი გრძელდებოდა, ქალაქები, დაბები, ეკლესიები და  
ციხეები დაანგრია და მტვრად აქცია. საქართველო, რომელიც მაშინ  
ფაქტიურად მხოლოდ დასავლეთ საქართველოთი შემოიფარგლებოდა, რო-  
გორც ერთიანი, ეროვნული სახელმწიფო, თითქმის აღარ არსებობდა.  
გაწყდა მწარმოებელი მოსახლეობა, მოიშალა მეურნეობა, მეფის კა-  
რი უმოქმედობამ მოიცვა, მეფე გიორგი თრიაქს მიეძალა. საქართვე-  
ლოს ისტორიის ამ პერიოდზე დავითის მემატრიანე წერს: „არ იყო  
მათ ჟამსა შინა თესვა და მკა, მოოხრდა ქვეყანა და ტყვედ გადაი-  
ქცა და ნაცვლად კაცთა მხენი და ნადირნი ველისანი დამკვიდრდეს  
მას შინა“. აი, ასეთ დროს და ასეთ ვითარებაში მოუხდა დავითს,  
ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, თექვსმეტი წლის ჭაბუკს, უსახს-  
როდ და უსასოოდ დარჩენილი საქართველოს ტახტზე ასვლა.

მდგომარეობა კრიტიკული იყო, დავითს ან უარი უნდა ეთქვა  
ტახტზე, ანდა მთელი ძალ-ღონე, ჯკუა და მხნეობა მოეკრიბა, გა-  
მოენაბა ისეთი ძალა, რომელსაც უშიშრად დაეყრდნობოდა და თურქებ-  
თან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის მომზადებულიყო. უპირვე-



ღეს ყოვლისა საჭირო იყო გათავებდებულნი, პატიებასა და შეწყალება-  
 ბას მიჩვეული მსხვილი ფეოდალებისა და არაკანონიერად აღზემებისა  
 ღი ასევე დიდგვაროვანი ეკლესიის მესვეურთა ალაგმვა, რასაც ახალ-  
 გაზრდა მეფემ ენერგიულად მოჰკიდა ხელი. მამამისი ისე იყო გაწა-  
 მებული მათი თავნებობით, ურჩობითა და დალატით, რომ დავითს ბავ-  
 შვობიდანვე სძულდა ყველა განდიდებული და განდგომილი ერისთავი,  
 მათი ყოყმანობა და პრეტენზიულობა. ამიტომ წესად დაიღო, კაცი  
 მისი ღირსებებისა, პატიოსნებისა და უნარიანობის მიხედვით დაე-  
 ფასებინა და არა გვარიშვილობით. ამიტომაც აწინაურებდა გაბედუ-  
 ლად ეკლესიის კეთილსინდისიერ მსახურთ, წვრილ აზნაურებს და მდა-  
 ბიო წარმოსობის ადამიანებსაც კი. სწორედ მათგან შექმნა მან  
 რჩეული, ბრძოლისუნარიანი მობილური ჯარის ნაწილები და ფეოდალ-  
 ბის პარპაშსაც ბოლო მიუღო და თურქთა მარბიელი მოლაშქრეებიც შე-  
 აშფოთა. არავინ იცოდა, სად გამორჩნდებოდა მეფე თავის მცირერიცხო-  
 ვანი, მაგრამ ბრძოლებში გაწაფული ლაშქრით და ვის დაესხმოდა  
 თავს.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. დავითს ფართო, შორსგამი-  
 ზნული გეგმები ჰქონდა, რომელთა აღსრულება მხოლოდ მასაგით ნიჭი-  
 ერ, უნარიან და დაუღლე ადამიანს შეეძლო. მისმა წარმატებებმა,  
 უბრალოებამ, ჭირთათმენამ, გამჭრიახობამ, სიმამაცემ და სამართლი-  
 ანობამ კიდევ უფრო მტკიცედ დარაზმა მის ირგვლივ ქართველი ხალხი,  
 განსაკუთრებით მისი ტოლი ახალგაზრდობა. რაღაც ათ-თხუთმეტ წელი-  
 წადში მან შინაურ აშლილობასა და უწყესრიგობასაც მოჰყო ბოლო - რა-  
 ატარა როგორც სახელმწიფო მმართველობის, ასევე საეკლესიო, სამ-  
 ხედრო, სამართლებრივი, საგანმანათლებლო, ტერიტორიის ადმინისტრა-  
 ციულ ერთეულებად დაყოფის რეფორმები, შექმნა მსტოვართა ინსტიტუ-  
 ტი, რის წყალობითაც კარგად იყო ინფორმირებული, რა ხდებოდა მის



სამეფოში და სამეფოს გარეთაც, და თურქების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის მოემზადა. ამ დროისათვის მას უკვე როგორც ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსახლებული ყივჩაღებისაგან, ასევე ქართველებისაგან შემდგარი რეგულარული ჯარი, დაახლოებით სამოცი ათასი კაცის რაოდენობით. ამ ჯარის აღჭურვილობა, ბრძოლისუნარიანობა და სიმხნევე თუ აღემატებოდა თურქებისას, თორემ არაფრით ჩამოუვარდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველო, ჯერ კიდევ გადამთიელი დამპყრობლების ხელში იყო, ამ დროისათვის დავითმა უკვე მოასწოო მმართველობის ერთ პრინციპზე აგებული, ერთიანი ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა და გამტკიცება, მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგა იგი თავისი ფართო და შორს გამიზნული გეგმების განხორციელებას.

მეთორმეტე საუკუნის დასაწყისში (1104-1105) დავითმა შემოიერთა კახეთ-ჰერეთი, რამდენიმე წლის შემდეგ აიღო თურქების მიერ ძლიერ ვამაგრებული ციხე-სიმაგრე სამშვილდე, მუსრი გააგლო ტაოკლარჯეთში დაბანაკებულ თურქებს. დავითის გამარჯვებებით შემოთებულმა მუსლიმანურმა სამყარომ დიდი კოალიციური ლაშქრობა მოაწყო საქართველოს წინააღმდეგ, სამასათასიანი ჯარი ქართლის შუაგულისაკენ დაიძრა, მაგრამ დავითმა ეს უზარმაზარი ლაშქარი სამოცი ათასი კაცით სასტიკად დაამარცხა დიდგოთან, შემდეგ კი თბილისი აიღო და მთელი საქართველო ერთი დროშის ქვეშ გააერთიანა. ჯერი აზერბაიჯანში თურქების მიერ დაარსებული სამთავროების განადგურებაზე და თურქების მიერ დაპყრობილი სომხეთის განთავისუფლებაზე მიდგა. სულ მოკლე ხანში მან აზერბაიჯანის თურქული სამთავროებიც გაანადგურა, სომხეთიც გაანთავისუფლა ურჯულოებისაგან და ჩრდილო კავკასიელი ეომეებიც დახარკა, რამაც უფლება მისცა დავითის ისტორიკოსს თავის მატრიანეში ჩაეწერა, რომ საქართველო გა-

დაჭიმულია „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოსეთიდან არეგაწამდე“



ამრიგად დავით აღმაშენებელი წაბუკობიდან სიკვდილამდე შემართული იბრძოდა, მუდამ გზაზე დამდგარი და მოუცლელი იყო, ყნობდა მას შეჰყურებდა თვალბეჭეში და მისგან მოელოდა გადაუჭრელი საკითხების გადაჭრას, იმის დროც კი არ ჰქონდა, მცირე ხნით მაინც ამოესუნთქა შვებობა, წიგნი გვერდზე გადაუდებლად ეკითხა, მოუკლებლად ელოცა, გულდასმით მოენანიებინა ცოდვები. ყველა ლაშქრობაში პირადად მონაწილეობდა, ყველა ბრძოლას პირადად ხელმძღვანელობდა, ცხოვრობდა ისეთი მძიმე, სახიფათო ცხოვრებით, როგორც მისი ჯარისკაცები, მათთან ერთად ებმებოდა ხელჩართულ ბრძოლაში, მათთან ერთად შიმშილობდა და ითოშებოდა. ამაც დროს ღრმად მორწმუნე კაცი იყო, სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდა, ფიქრობდა ადამიანის დანიშნულებაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, ცოდვასა და მადლზე, ცხოვრების დასაბამსა და დასასრულზე, მიწიერი ყოფის ამოებზე და ამ ფიქრებში ბევრი რამ იმდენად გაუგებარი, შემადიქრებელი და შენზარავი ეჩვენებოდა, რომ საკუთარი თავის გარდა არაფერი უმხელდა. ყველაფერი ეს იმ სფეროს ეკუთვნოდა, რაც მის პრაქტიკულ საქმიანობას არ ესადაგებოდა. ეს იყო გაორებული ცხოვრებით ცხოვრება, რამაც მოგვიანებით მძაფრად იჩინა თავი, მაგრამ ამას მისთვის სიკვდილამდე არ შეუშლია ხელი, მაშინაც კი, როცა სინანულის გრძობა მოეძალა, ბოლომდე მიეყვანა დიდი ეროვნული საქმე, მუხლმოუბრელად და მკლავმოუღლეად ებრძოლა სასტიკი მტრის წინააღმდეგ, ებრძოლა როგორც რიგით ჯარისკაცს, მამულიშვილს, ქრისტიანს, ებრძოლა სამშობლოს გამოსახსნელად, აღსადგენად და უცვდავსაყოფად.

დავითის ბრწყინვალე გამარჯვებებს დიდი საერთაშორისო რეზონანსიც მოჰყვა და იგი როგორც მეფე, რაინდი და პიროვნება მსოფლიო ასპარეზზე გავიდა. ამიერკავკასიაში თურქების სასტიკმა დანარცხე-



ბამ და შევიწროებამ მდგომარეობა შეუმსუბუქა როგორც ბიზანტიის/ იმპერიას, ასევე ევროპულ ჯვაროსნებს, რომლებიც ამ დროს იმპერატორებში იმდენ მუსლიმანთა გაერთიანებულ ძალებს. დავითს მიწერ-მოწერა და კავშირი ჰქონდა იერუსალიმის პირველ მიწვე ბოლდუინთან, რისი დამადასტურებელი საბუთიც დიდგორის ომში ორასი ჯვაროსანი რაინდის მონაწილეობაა, მის სახელს დიდ პატივს სცემდნენ იმ ხანებში დაარსებული ტამბელიერთა ორდენის რაინდებიც. დავითის გამარჯვებებმა მტერსაც დაუკარგა მოსვენება, მის მიერ მოჭრილ ვერცხლის ფულზე პირველად გაჩნდა წარწერა არაბულ ენაზე „მესიის მახვილი“, რაც მაჰმადიანებისათვის გამაფრთხილებელი ნიშანი იყო. დასავლეთ ევროპაში კი მისი სახელი იმდენად განდიდდა, რომ თქმულებები იქმნებოდა ურჯულთაგან ქრისტიანთა დამხსნელ ძღვევამოსილ რაინდზე. ერთ-ერთი ასეთი ფართოდ გავრცელებული თქმულება გრასლის თასთანაა დაკავშირებული.

თუ ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით ვიმსჯელებთ, რომელიც გვასწავლის, ადამიანი პირველი ცოდვის შემდეგ დაცემული, ღმერთს დაშორებული, გონებაშეზღუდული და უბადრუტია, მაშინ ცოდვა ახლაც ადამიანის ყოველ ნამოქმედად, იმასაც რაც აღასრულა და იმასაც, რისი აღსრულებაც ან ვერ შეძლო ან ვერ მოასწრო. დავითმა მთელი ცხოვრება ბრძოლასა და მოქმედებაში გაატარა და ამიტომ შეუძლებელია, რომ ყოველი მისი რეფორმა, მის მიერ მოგებული ომები, მის მიერ გამოტანილი განაჩენი, მისი ღამოკიდებულება მტერთან და მოყვარულთან, ქრისტიანული ზნეობის თვალსაზრისით უცდომელი და უცოდველი ყოფილიყო. თუ ნხედველობაში მივიღებთ „სამ საღვთისმეტყველო სათნოებას“, „შვიდ ნიგს სული წმიდისა“, „ცხრა ნაყოფს სულიწმიდისა“, „შვიდ საქმეს ხორციელი სიბრალულისა“, „შვიდ მონაკვდინებელ ცოდვას“, „ცხრა ნეტარებას“, და ბოლოს „ათ მცნებას“, ასეთი რამ

ყოფილად გამოირიცხებოდა. როგორ შეეძლო მეფეს, მამაც, ფიზიკურად  
ძლიერ ნაუკაცს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა როგორც შინაურ,  
ასევე გარეშე მტრების წინააღმდეგ ხელჩართულ ბრძოლებში, კაცი  
არ მოეკლა, როგორ შეეძლო ერთმმართველს, რომელმაც ყველა დიდგვა-  
როვანი ფეოდალის თვითნებობა აღკვეთა, შინააშლილობის წამომწყ-  
ვნი და მოთავენი მკაცრად არ დაესაჯა, როგორ შეეძლო გამარჯვებუ-  
ლი ქვეყნის წინამძღოლს ნადავლი არ წაერთმია იმათთვის, ვინც მის  
ქვეყანას ძარცვავდა და გადასახადებით სულს ხდიდა, როგორ შეეძლო  
უსახსროდ, უჭირნახულოდ დარჩენილი ქვეყნის ბატონ-პატრონს სახელ-  
მწიფო სალარო გაეფლანგა და ჯარისა, მმართველი აპარატისა და ქვე-  
ყნის სხვა საჭიროებისათვის აუცილებელი სახსრები მთლიანად ქვრივ-  
ობოლთა და გაჭირვებულთათვის დაერიგებინა, როგორ შეეძლო ფიცი არ  
გაეტეხა, თუნდაც ხატზე ჰქონოდა დაფიციებული იმ მეფეს, რომელსაც  
შემორიგებულმა მტერმა ისევე უმტყუნა და უღალატა, როგორ შეეძლო  
მბრძანებელს, რომელსაც უამრავი ხალხი ახვევია ირგვლივ, ყველა  
მლიქვნელის, ცილისმწამებლისა და დამბეზღებლის სულში ჩაეხედა და  
რამდენიმე უღირსი კაცი არ დაეწინაურებინა, როგორ შეეძლო თითქმის  
სიკვდილამდე ახალგაზრდა (დავითი ორმოცდათორმეტი წლისა გარდაი-  
ცვალა), ჯან-ღონით სავსე მამაკაცს, რომელიც თვეობით იყო მოწყვე-  
ტილი ოჯახს, ქალი არ მონატრებოდა და ცოლისათვის არ ედაღატა. და  
ბოლოს, როგორ შეეძლო გამგრიახ პოლიტიკოსს, საზოგადოებრივი ცხოვ-  
რების მომგვარებელსა და მომწესრიგებელს, განთავისუფლებული ან  
დახარკული ხალხების ბედის გამგებელს, ზნეობრივ კომპრომისებზე  
არ წასულიყო, არ ცოდნოდა, რომ ცხოვრება კი არ უნდა მიუსადაგო  
მოძღვრებას, არამედ მოძღვრება ცხოვრებას, რადგან ადამიანთა უმ-  
რავლესობას რჩეულთა ხვედრის გაზიარება არ უნდა და არც ძალუძს.

მართალია, დავითი ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და აქედან გა-



მომდინარე კაცთმოყვარეც და აღამიანის ჭირ-ვარამის დახმარებით  
 ღიც, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს, რომ მას მამასავით რბილი,  
 დამყოლი და მერყევი ხასიათი ჰქონოდა. მისი რისხვა ალბათ ბერის  
 აწინებდა და საქმისადმი უგულისყურო დამოკიდებულების საშუალებად  
 არ აძლევდა. დავითი რომ ძლიერი პიროვნება იყო და ყოველთვის იმ  
 ას აკეთებდა, რაც მართებულად და საჭიროდ მიაჩნდა, ამაზე მემ-  
 ტიანეთს საყვედურებიც მეტყველებს. მას მეომრულობას, სიმკაცრე-  
 სსა და ზოგის დასჯას და ზოგის აღზევებას სდებენ ბრალად, მაგრამ  
 ეს ბრალდებები თვით მბრალდებელთა სივიწროვებე და უთვალსაწიერო-  
 ბაზე მეტყველებს. დავითს რომ მეტკიცე ხასიათი და ურყევი ნების-  
 ყოფა არ ჰქონოდა, ვერც აღასრულებდა იმ თითქმის შეუძლებელ საქ-  
 მებებს რაც აღასრულა. დაშლილი, გაპარტახებული ქვეყნის აღდგენას  
 ძლიერი პიროვნება სჭირდებოდა და სწორედ ასეთი პიროვნება აღმო-  
 ჩნდა დავით აღმაშენებელი. მას არ ერიდებოდა, არ ეშინოდა იმ მს-  
 ვერპლის გაღების, რის გაღებაც საერთო ეროვნული საქმისათვის აუ-  
 ცილებელი იყო. თუ საჭიროება არ მოითხოვდა, თითოეულ ჯარისკაცს  
 უფროხილდებოდა, მის დასაცავად ხელჩართულ ბრძოლასაც კი არ ერი-  
 დებოდა, მაგრამ თუ ეს აუცილებელი იყო და სხვა გამოსავალი არ  
 ჩანდა, უკიდურეს ზომებზე მიდიოდა. დიდგორის ომში იმიტომ ჩახერ-  
 გა უკან დასახევი გზა, რომ იყოდა, ბრძოლის წაგება ამდენი გარ-  
 ჯით, სისხლისღვრითა და ჭაბანწყვეტით მოპოვებულის გაცამტვერებას  
 უდრიდა. თბილისი იმიტომ მიუგდო სამი დღით ჯარისკაცებს გასაძარ-  
 ცვავად, რომ მაშინდელ ომებში აღებული ქაღალტების გაძარცვა წესად  
 იყო მიღებული და რომ არ მიეგდო, გაცვირვებასა და მეომრების უა-  
 მყოფილებას გამოიწვევდა, რადგან ჯარი მართო ქართველებისაგან  
 არ შედგებოდა. ასე, რომ პრაქტიკულ საქმიანობაში დავითი იმას  
 აკეთებდა, რასაც მისგან რეალური ვითარება და საღი აზრი მოითხო-



გდა, ხრლო როცა ეს აუცილებლობით იყო გამოწვეული, არც დამნაშა-  
ვის დასჯას და სიმკაცრეს ერიდებოდა. სხვაგვარად იგი წესრიგს  
ვერც ჯარში დაამყარებდა და ვერც სახელმწიფოში.

ამდენ წარმატებას, გაძარცული და გაპარტახებული ქვეყნის  
ფეხზე წამოყენებას, უმძიმესი საქმეების კეთილად დაგვირგვინე-  
ბას, მისი ღვაწლის დაფასებასა და საქვეყნოდ აღიარებას დავითი  
სოტათი უნდა დაეშოშმინებინა, ერთგვარი კმაყოფილების გრძნობა  
შთაენერგა მისთვის, მაგრამ მოხდა პირუტყუ, რაც უფრო მეტი დრო  
გადიოდა და მისი მოღვაწეობის სიდიადე ცხადად იკვეთებოდა, მით  
უფრო მძაფრად განიცდიდა შეუსაბამობას მიწიერ არსებობასა და  
აღამიანურ დანიშნულებას შორის, მით უფრო მძიმე ეჩვენებოდა ცო-  
დვის ის ტვირთი, კაცს რომ წარწყმედით ემუხრება. მტრებზე გამარ-  
ჯება, განდიდება, უფლებამოსილება მაცდუნებელ ბიჭიერებად, ცოდ-  
ვის წყაროდ უფრო ვიარჩნდა, ვიდრე სიქველედ. განდიდებას მას სი-  
ხარულისა და ბედნიერების ნაცვლად ჭმუნვა და მწუხარება მოუტანა,  
კიდევ უფრო დაამოწრა უხრწნელ, მარადიულ ყოფიერებას. რაც უფრო  
ღრმად იხედება იგი საკუთარ სულში, მით უფრო უცხო და ბნელი ეჩვე-  
ნება ის სამყარო, გარს რომ არტყია. სწორედ ამიტომაც მისი აღსა-  
რება ეჭვით, ტკივილითა და მწუხარებით გამსჭვალული. ამიტომაც,  
რომ მის „გალობანში“ (არაფერი ამდაგვარი არ წერია) სრულიად არ  
იგრძნობა თვითკმაყოფილება იმ კაცისა, ვინც (მართლაც) განავრცო  
ქრისტეს რჯული, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც გააქრისტი-  
ანა კაცკასიელი მთიელები, ვინც მრავალი ეკლესია და მონასტერი  
ააშენა არა მარტო საქართველოში, არამედ მის დაზღუდვს გარეთაც.  
დავითის ისტორიკოსი წერს: „აღაშენა ღაცრანი და საკრებულონი არა  
დვითისთა ოდენ სამეფოსა, არამედ კუიპრისსა, შავი მთისა, პალესტი-  
ნისანი, აღავსო კეთილითა, უფროისლა საღლავი ჩვენი იესო ქრისტესი,



და მყოფნი იერუსალიმისანი თვითდებრითა მიერ შესაწირავთა განამადიდდრა. კვლავაც უშორესაცა ამათსა: რამეთუ მთასა სინასაშენამ მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალათასეული... და წიგნი საეკლესიო სრულებით“.

ასე, რომ დავითმა პირწმინდად მოიხადა ვალი როგორც ერის, ასევე ეკლესიის წინაშე და სრული უფლება ჰქონდა ეკლესიისათვის გაწეული სამსახური კეთილ საქმედ და ღვთის წინაშე დამსახურებად მიეჩნია, მაგრამ ამაზე დავითი კრინტსაც არ ძრავს. მას უფრო საკუთარი განწყობილება და მრწამსსა და სინამდვილეს შორის მოურიგებელი წინააღმდეგობანი აწუხებს. იმას, რაც მან საკუთარი თვალთ ნახა და საკუთარ ტყავზე გამოსცადა, მისთვის ცდუნების, ტანჯვისა და მომწყვდევის მეტი არაფერი მოუტანია, ხოლო იმის აღიარება, რომ ასეა ცხოვრება მოწყობილი და ადამიანი უკეთეს ხვედრს არასოდეს ეღირსება, მოწმუნე ადამიანისათვის ძნელი წარმოსადგენი, შემზარავი იყო. არა და ირგვლივ იმდენ სიყალბეს, სიბილწეს, ანგარებას, სიმდაბლესა და სიბრიყვეს ხედავდა, იმდენად დამდაბლებული და დაკნინებული იყო ადამიანთა უმრავლესობა, იმდენად ემორჩილებოდა კაცი ძალასა და იმდენად პირუტყვდებოდა, რომ ადამიანებში ღვთიური ნაბერწკლის დანახვა ჭირდა, აზრი ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობას, შეუსაბამობას, უაზრობას აწყდებოდა და დასკვნა იმდენად არასახარბიელო იყო, ისე უპირისპირდებოდა მრწამსს და როგორც ზნეობრივ, ასევე არსებობის მარადიულ კანონებს, რომ მკრებელურ აზრებს ბადებდა და ეს შეუსაბამობა შემოქმედისათვის რომ არ დაებრალებინა, ყველაფერს ისევ პირველ ცოდვას, მემკვიდრეობით მიღებულ ნებაშეღობას, უმეცრებას, უმადურობასა და უკეთურობას აბრალებდა.

დავითი მონანიებას იმით იწყებს, რომ ღმერთმა იგი თავის

ხატად შეჰქმნა და გრძნობადისა და გონიერის საკრველად, ანუ შე-  
საბოჭავად, მოსათოკავად განაწესა, მაგრამ მან ეს ვერ შეიგნო  
და უმაღლო ექმნა. ეს უმაღლობა, ანუ უმაღურობა იმას ნიშნავს,  
რომ დავითმა ღვთის კანონებიც დაარღვია და რელიგიური მცნებებიც,  
გრძნობითაც უმაღლო ექმნა გამჩენს და გონებითაც, რადგან ფიქრო-  
ბდა არა ისე, როგორც ამას მისგან ორთოდოქსალური რელიგიური მო-  
ძღვრება მოითხოვდა და გრძნობდა არა ისე, როგორც მეუღაბნოე, რო-  
მელსაც საკუთარი სულის ხსენის მეტი არაფერი ახსოვს. დავითმა იმი-  
ტომ ვერ შებოროკა, ვერ მოთოკა გრძნობა და გონება, რომ მარტო  
ღვთის წყალობის დამსახურება კი არ აინტერესებდა, არამედ ისიც,  
რატომ ვერ წვდებოდა აზრით ბნელით მოცულ, გაუგებარ მოვლენებს,  
რატომ იყო სამყარო ესოდენ მძიმე და მოუხებლთბელი, რატომ ვერ  
ავსებდა ვერაღრით იმ სიცარიელეს, თანდათან რომ ფართოვდებოდა  
და სიხარულის ნაცვლად ჭმუნვითა და მწუხარებით ავსებდა.

დასაბამიერ ცოდვასთანაა დაკავშირებული ისიც, რომ შეიძლე-  
ბა ადამიანს საბოლოოდ დაეხშოს ცნობიერება და მის სულში სამუდა-  
მოდ ჩაქრეს სიკეთის, სიყვარულისა და სათნოების მარადიული ფასე-  
ულობანი, უარყოს მაცხოვარი და დაემორჩილოს სატანურ ძალებს, რო-  
მელთა ერთადერთი მიზანი ადამიანის ცდუნება, დამდაბლება და გა-  
პირუტყვებაა. კაცი მხეცად, ცხოველად მხოლოდ მაშინ იქცევა, როცა  
მის სულს სატანა დაეპატრონება და გააღვიძებს იმ მხეცს, ადამია-  
ნში პირველი ცოდვის დღიდან რომ ჩასახლდა. ეტყობა დავითს ამგვა-  
რი ეჭვებიც აწვალებდა, რადაც საფუძველი ჰქონდა იმისა, რომ აღ-  
სარების დროს შემდეგი სიტყვები დაეწერა: „თითოეულთა მხეცთაგან  
შეზავებულსა მხეცსა ვემსგავსე მრავალგვარსა და მრავალ-ბატსაო“,  
ე.ი. რომელიმე ერთ მხეცს კი არა, ბუნებრივი სახე რომ აქვს, არა-  
ფედ სატანური ძალების მიერ მრავალ მხეცთაგან შეზავებულ, მრავალ-



სახოვან მხეცსო. ასეთი მხეცეები მუასაუკუნეებში კაცისა და ლომის, კაცისა და მტაცებელი ფრინველის, კაცისა და ურჩხულის ტანისა და თავისაგან შედგებოდნენ და ქვესკნელის ნაშვირებად ითვლებოდნენ. აი, ასეთ მხეცს ამსგავსებს დავითი თავს და ამ სიტყვებში ცხადად ჩანს მისი გულწრფელობა, დიდბუნოვნება და ღეთისმოსაობა, რადგან არ ეშინია, არ ერიდება ღმერთს გაუმხილოს ის, რასაც თავის თავზე და ჩადენილ ცოდვებზე ფიქრობს. ამას კი ის აბედვინებს, რომ მის სულში არ ჩამკვდარა სიკეთე, სათნოება, სიყვარული, ისე არ წააუწყნებია სული, რომ კვლავ აღდგომისა და ღმერთთან ზიარების იმედი არ ჰქონდეს, არ დაფასდეს ის ქველობა და ღვაწლი, ქვეყნისა და სარწმუნოების წინაშე რომ მიუძღვის.

„გალობანში“ ისიც იგრძნობა ცხადად, რომ ცოდვილი, მარტო-შთენილი, მკრეხელური ფიქრებისა და დაუოცებელი ვნებებისაგან გაწამებული, მონანიე კაცის ერთადერთი ყურის დამგდები, მდარევი და შემწე მხოლოდ ღმერთია და ეს ღმერთი სადღაც შორს, მის მიღმა კი არ არსებობს, არამედ თვით მასშია ჩასახლებული და ამიტომ ესაუბრება გულდიად, თამამად, უკრძალვლად: ეს კი იმას ნიშნავს, რომ დავითს მის ირგვლივ არ ეგულებოდა ისეთი კაცი, თვით უწმინდესი სასულიერო პირიც კი, რომელიც გონებითა და სულისხმევით მასზე მაღლა იდგა, ვისთვისაც შეეძლო გაემხილა ის უადრესად პირადი, ინტიმური გრძნობები და აზრები, ასე ძლიერ რომ აწვალებდა, ვინც მას უშუალოდ ღმერთთან დააკავშირებდა და ამიტომ თვითონ, სხვების დაუხმარებლად ცდილობს ეზიაროს ნარადიულ ჭეშმარიტებას, საკუთარ გულში იპოვოს ღმერთი, ის კი არ იწამოს, რასაც გარედან ახევენ თავს და რაც ხშირად ისეა დაცნინებული, რომ ერთგვარი ზიზღის გრძნობასაც კი იწვევს, არამედ ის, რისგანაც ყველა და ყველადერი იღებს დასაბამს და როგორც ჭეშმარიტი განკითხვის, ასევე ჭეშმა-

რითი ნუგეშისცემის უფლება აქვს. დავითი იმიტომ ინანიებს გულწრ-  
ფელად და უკრძალველად ცოდვებს, რომ მთლიანად ქრისტეს სულიერად  
შეპყრობილი, ცოტათი თითონაც ღმერთად გრძნობს თავს და თუ უზენა-  
ესი მართლაც ყოვლად სამართლიანია, რაშიც დავითს ეჭვი არ ეპარე-  
ბა, ცოდვების მონანიების შემდეგ დაუბრკოლებლად უნდა აღამადლოს  
და თავისი ადგილი მიუჩინოს სასუფეველში. ეს კი იმას ნიშნავს,  
რომ მიუხედავად ჩადენილი ცოდვებისა, იგი მაინც ღვთის რჩეულთა  
რიცხვს აკუთვნებდა საკუთარ თავს.

შეიძლება ერთგვარი გაკვირვებაც კი გამოიწვიოს იმ ამბავმა,  
რომ ისეთი ცოდვილი კაცი, როგორადაც დავითი საკუთარ თავს რაცხს,  
ღვთის რჩეულობას როგორ იჩემებსო? ჯერ ერთი ეკლესიის ყველა დიდი  
მამა და ყველა მეფე, სულიერთა გონიერი იყო იგი თუ უგუნური, ღვ-  
თის რჩეულად თვლიდა თავს, მეორეც, ძნელია იმის წარმოდგენა, რომ  
დავითმა არ იცოდა საკუთარი თავისა და იმ ღვაწლის ფასი, რაც მას  
ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე მიუძღოდა. ხოლო თუ იგი თავს იმდა-  
ბლებდა და ერთგვარ თვითგვემასაც კი მიმართავდა, ალბათ იმიტომ,  
რომ მთლად უცოდველი არ იყო, რაც ამწუხრებდა და დაეჭვების საბა-  
ბს აძლევდა, მაგრამ ამგვარი გოდების მიზეზი ისიც შეიძლება ყო-  
ფილიყო, რომ ქრისტიანულ რელიგიაში ყოველივე ღვთაებრივის საწყი-  
სი ტანჯვა და ტკივილია. ქრისტიანს მხოლოდ ხორციელი და სულიერი  
ტანჯვის, მხოლოდ ამქვეყნიური ამაოების შეგნების შემდეგ შეუძლია  
დასძლიოს ის გაორება, მიწიერი და არამიწიერი საწყისი რომ იწვ-  
ეგს და გამთლიანებულმა, ღვთის წინაშე ვალმოხდილმა, მაცხოვარი-  
ვით ნაწამებმა და დამდაბლებულმა, სამუდამოდ დაიმკვიდროს სასუ-  
ფეველი, მოიპოვოს სიმშვიდე, სიხარული და ბედნიერება. მაგრამ  
არის კი ყველა ქრისტიანი ყურადღებისა და მოწყალების ღირსი? აქ  
ისევე ღვება პირველი ცოდვისა და პირადი ცოდვის საკითხი, რადგან

ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით ადამიანის მიერ ჩადენილი ცოდვების საფუძველი პირველი ცოდვაა და, თუ ეს ასეა, მაშინ რაღა-  
ში მიუძღვის ბრალი კაცს? ამიტომ ან დემერთია შესამართლო, ან ადა-  
მიანი იმ ცოდვებს ვერსად გაეცემა, მემკვიდრეობით რომ ერგო წი-  
ლად. ეს საკითხი ყოველთვის სადაო იყო ქრისტიანულ რელიგიაში და  
ამ დავას პირველმა ქრისტიანმა მამებმა ჩაუყარეს საფუძველი,  
რადგან გრძნობდნენ პირველცოდვის მემკვიდრეობით გადაცემის სუსტ  
მხარეს. თუ ყველა ადამიანი, სულერთია, ვინც არ უნდა იყოს იგი და  
და როგორც არ უნდა გაატაროს ცხოვრება, რა ბიწიერებითაც არ უნდა  
წაიწყმიდოს სული, ცოდვების მონანიების შენედეგ ისევე ღირსია ღვ-  
თისმოწყალებისა, როგორც ზნეობრივად უმწიკვლო, სიკეთითა და სათ-  
ნობით გამორჩეული ადამიანი, ვისაც ამის მიღწევა ტანჯვად და  
წვალებად დაუჯდა, მაშინ რაღა საჭიროა ცხოვრებისაგან განდგომა,  
ხორცისა და სულის გვემა, ურყევი რწმენა. ეკლესიის მამები იმა-  
ვითვე გრძნობდნენ, რომ ცოდვა-მადლისადმი ამგვარი მიდგომა რელი-  
გიური მრწამსის დაკნინებას, გაუფასურებას გამოიწვევდა და არა  
მარტო კლიმენტი ალექსანდრიელის, ორიგენის და სხვათა აზრით,  
არამედ თვით პავლე მოციქულის აზრითაც კი, უპირატესობა უნდა მი-  
ენიჭოს რჩეულთ, იმათ, ვინც ეზიარა საიდუმლო სიბრძნეს და ურყევი  
თანამიმდევრობით, ტანჯვით, ტკივილითა და შეუბღალავი რწმენით  
მიჰყვება მაცხოვრის მიერ დასახულ გზას.

თუ იმ ზნეობრივი სიმკაცრის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორც  
დავითი უღვება საკუთარ თავს და თანაც გავითვალისწინებთ იმ ღვა-  
წლს, რაც მას კაცისა და ღვთის წინაშე მიუძღოდა, ექვს ალარ გა-  
მოიწვევს ის ამბავი, რომ დავითი თავის თავს ღვთის რჩეულთა რიც-  
ხვს აკუთვნებდა, ამაზე ისიც მტყუველებს, რომ დავითისათვის, ისე-  
ვე როგორც ეკლესიის ზოგიერთი დიდი მამისათვის, სასუფევლისაკენ

მიმავალი გზა ეკლესიით ოფეხილი, ვიწრო და მძიმეა. იგი ალბათ მთლიანად იზიარებდა სახარების მკაცრ პირობას, რომლის მიხედვითაც: „ვიწრო არს ბჭე და საჭირველ გზაი, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა, და მცირედნი არიან, რომელნი ჰპოვებდნენ მას“. ეს „მცირედნი“ იმას ნიშნავს, რომ ამ გზის გაცლა შეუძლია მხოლოდ ზნეობრივად მტკიცე, ტანჯვისა და ტკივილის ამტან, ღმერთთან მიახლოებულ კაცს, რომელიც შეგნებულად ისწრაფვის ჭეშმარიტი სინათლისა და მარადიულობისაკენ. ამ დიდ, ცდუნებებით სავსე, შეუცნობელ სამყაროში კი ეს ხელეწიფება მხოლოდ ძლიერ და ღვთის რჩეულ კაცს. დავითი კი თავის თავს სწორედ ასეთ კაცად თვლიდა და იმედი ჰქონდა, რომ ღვთის შეწევნით სამუდამო სასუფეველს დაიმკვიდრებდა.

დავითი არა მარტო თავისი მოღვაწეობისა და საერთაშორისო მნიშვნელობის გამარჯვებებისათვის აღიარა მაშინდელმა მსოფლიომ, არამედ აზროვნების მასშტაბებითაც. მისი სინანული, თვითგვემა, გოდება, შეგნება იმისა, რომ არასრულყოფილი და მოკვდავია, რომ განვლილი ცხოვრებიდან მყარი და საიმედო არაფერი შერჩა ხელში, რომ უსასრულობამ და ყოფიერების შეუცნობლობამ დააკნინა, შეაფრთხა, რომ საკუთარმა გონებამ აცდუნა, ყალბი შეხედულებები მოახვია თავს - ყველაფერი ეს მის სულს ამღვრევდა და სასურველისა და სინამდვილის შეუსაბამობაზე, ცხოვრების განყენებულობაზე და მოუხელთებლობაზე აფიქრებდა და ამგვარი ფიქრები და გაიწყობილებანი ერის სულიერ ცხოვრებაში და ფსიქიკაში შეჰქონდა. იმ ფიქრებისა და განწყობილებების შემდეგ, რაც დავითმა „გალობანში“ ჩაატსოვა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისეთ საკაცობრიო საკითხებს, რომელთაც მოგვიანებით ქართველი ფილოსოფოსები, ღვთისმეტყველები და პოეტები ეხებოდნენ, ხოლო ცოტა უფრო მოგვიანებით რუსთაველმა ადამიანის სულიერი ცხოვრების წესად აქცია, დავითმა

თუ პირველმა არა, ერთ-ერთმა პირველთაგანმა ჩაუყარა საფუძველი  
და ამით ქართველი ხალხი მსოფლიო კულტურის შემქმნელ ხალხებს  
გვერდით ამოუყენა.

გ ი ვ ი მ ა ლ უ ლ ა რ ი ა

მ ი ტ რ ო პ ო ლ ი ტ ი ნ. ა ო მ ი  
(დაბადებიდან 90 და გარდაცვალებიდან 10 წელი)



მიტროპოლიტი ნაომი დაიბადა 1889 წელს ქუთაისის გუბერნიის ტყიბულის მაზრის სოფელ ოზომირაში, ლარიზი მედაციონის გრიგოლ ოქროპირის ძე შავიანიძის მრავალშვილიან ოჯახში. 1896 წელს შეიყვანეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მისი მასწავლებელი იყო მიხეილ ფხალაძე, შემდგომში კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ მესამე. სასულიერო სასწავლებელში მასთან ერთად მერხზე იჯდა ამჟამად ცნობილი მეცნიერი აკადემიკოსი აკაკი შანიძე, რომელთანაც სიკვდილამდე არ გაუწყვეტია მეგობრობა და ახლო ურთიერთობა.

16 წლისას გარდაეცვალა მამა (1905 წ.). ამიერიდან მრავალრიცხოვანი ოჯახის შენახვა მთლიანად ნაომს დააწვა და ეს ტვირთი სხვადასხვა სახით გარდაცვალებამდე ველარ მოიცოდა. თავს ინუგეშებდა - „კაცად კაცადმან თვისი ტვირთი იტვირთოს უნდა“.

1908 წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ჩააბარა სამასწავლებლო გამოცდები და მასწავლებლობას მიჰყო ხელი.

სიღარიბის გამო ერთხანს (1912-1916) სოფელ ცუცხვათში მედაციონის თანამდებობის პარალელურად შეთავსებით მუშაობდა პრისტავის (ბოქაულის) ბიბიკოვის კანცელარიაში-სოფელ კურსებში. ბიბიკოვი დიდად აფასებდა თავისი ახალგაზრდა თანამშრომლის განათლებასა და წესიერებას. ამავდროს თანაუგრძნობდა, რომ გროშების გულისათვის დიდი გზის გავლა უხდებოდა ფეხით ღარსა და აგდარში - კურსებიდან ცუცხვათში. ჯრჩევია მისთვის დაენებებია თავი მედაციონეობისათვის და უთქვამს - შენ ისეთი კაცი ხარ, პრისტავობას მიაღწევო.

- ბრათო, უბასუხნია, მე მღვდელი უნდა გამოვიდეთ.

- რად გინდა ეს მღვდლობა, ერთი დრო დადგება მღვდლებს დაა-  
ხრჩობენო - უთქვამს ბიბიკოსს.

- თუ ასეთი დრო დადგება, მღვდლებზე ადრე პრისტაცებს დაა-  
ხრჩობენო. ბიბიკოსს ამ პასუხზე, გაუცინია-შენც მართალი ხარო,  
და ამასზე შეწყვეტილა ეს საუბარი.

აქ თავი იჩინა იმ გულიანობით, რომელიც გამოწვეული იყო  
იმით, რომ მის საყვარელ მამას, სულიერად, ფიზიკურად და ცოდნი-  
ყოვლად შემოსილ ადამიანს, ოკრიბაში პირველი დაწყებითი სკოლის  
დამაარსებელს, მღვდლობაზე გაბრიელ ეპისკოპოსმა უარი უთხრა სი-  
ლარიბის გამო.

1916 წელს ეპისკოპოსის გიორგის (ალადაშვილის) მიერ ხელ-  
დასმულ იქნა მთავარდიაკვნად და 1916-1918 წწ ამ თანამდებობაზე  
მსახურობდა ქუთაისის საკათედრო ტაძარში. 1918 წელს ეპისკოპოსი  
ანტონის (გიორგაძის) მიერ ნაკურთხი იქნა მღვდლად და გაამწესეს  
თავისი სოფლის კოკა-თხომირის მაცხოვრის ეკლესიაზე. 1924-1929  
წწ მსახურობს სოფ. ჭოგნარის მაცხოვრის ეკლესიის მღვდლად. 1929  
წელს მიენიჭა დეკანოზობა და გადმოყვანილ იქნა ქუთაისის მწვანე-  
ყვავილის მთავარანგელოზის ეკლესიის წინამძღვრად. 1921 წლის თე-  
ბერვლის რევოლუციამდე შეთავსებით მუშაობდა სამრევლო სკოლების  
განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ. განათლების განყო-  
ფილების გამგე იყო შემდეგში ცნობილი მეცნიერი ვუკოლ ბერიძე.  
მან უარყო ვუკოლ ბერიძის წინადადება თავი დაენებებინა მღვდელ-  
მსახურებისათვის და ხელი მიეყო თავისი ცოდნის გაღრმავებისა და  
მეცნიერული მოღვაწეობისათვის ახლად გახსნილ თბილისის უნივერსი-  
ტეტში.

შემდგომ პერიოდში განაგრძობს რა მღვდელმსახურებას, ხელმ-

ძღვანელობს ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიასთან არსებულ სან-  
თლის ქარხანას.



1921 წელს აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სრულიად საქართ-  
ველოს მესამე საეკლესიო კრების მუშაობაში, რომელსაც უნდა აერ-  
ჩია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. იგი მხარს უჭერდა ქუთა-  
თელ-გენათელი მიტროპოლიტის ნაზარის კანდიდატურას. როგორც ცნო-  
ბილია, ამ კრებაზე ხმების მცირე უპირატესობით კათოლიკოს-პატრი-  
არქად არჩეული იქნა ამბროსი (ხელაია). აქედან მოყოლებული ვიდრე  
1940 წლამდე, 20 წლის განმავლობაში იყო ქუთაისის ეპარქიის უცვ-  
ლელი მდივანი და მთავარხუცესი, მიტროპოლიტების დავითის (კაჭა-  
ხიძის), სვიმეონის (ჭელიძის) და ვარლამის (მახარაძის) უახლო-  
ესი და უერთგულესი თანამშრომელი. 1943 წელს კათოლიკოს-პატრიარ-  
ქმა კალისტრატემ გაიწვია თბილისში და დანიშნა თბილისის სიონის  
საკათედრო ტაძრის კანდელაკად. კათალიკოსმა მას ბინა მიუჩინა  
თავის გვერდით ოთახში. იყო რა ერთგული და დაახლოებული კათოლი-  
კოს-პატრიარქ კალისტრატესთან, უცვლელად ასრულებდა ყველა სახის  
მის დავალებებს. ასრულებდა საქათალიკოსოს მუდმივ წარმომადგენ-  
ლობას საქართველოს მთავრობასთან. მისი მონაწილეობით და დგაწლით  
გამოვიდა საქართველოს ეკლესიის პირველი კალენდარი 1947 წელს,  
რომელსაც ხელს აწერდა დეკანოზი ნაომ შავიანიძე, როგორც პასუხის-  
მგებელი კალენდრის გამოშვებისათვის.

კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატემ ერთგული სამსახურისათ-  
ვის დააჯილდოვა ენქერით (1945 წ. იანვარი), შემდეგ კი მიტრით  
(1947 წ.).

1943 წელს მონაწილეობას იღებს მოლაპარაკებაში რუსეთის  
პატრიარქის სერგის ოფიციალურ წარმომადგენელ, სტავროპოლისა და  
პიატიგორსკის არქიეპისკოპოს ანტონთან. ამ მოლაპარაკების შემდეგ,



რომელიც კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს თავმჯდომარეობით მდინარეობდა, რუსეთის საპატრიარქოში ცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ნორმალური ურთიერთობა დამყარდა ამ ორ ეკლესიას შორის. ამ დროიდან იწყება კეთილმეზობლური მჭიდრო კონტაქტები რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, რომელიც კიდევ უფრო გაღრმავდა პატრიარქ ალექსის დროს. პატრიარქი ალექსის ინტრონიზაციასა და ამასთან დაკავშირებით მოწყობილ ზეიმში საქართველოს დელეგაციას მეთაურობდა კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე, სხვებთან ერთად დელეგაციის წევრი იყო სიონის ტაძრის კანდელაკი ნაომიც.

მოსკოვში ყოფნისას იგი პატრიარქმა ალექსიმ დააჯილდოვა ძვირფასი თვლებით შემკული ჯვრით (1945, თებერვალი). პატრიარქ ალექსის კურთხევაში მოწვეულნი იყვნენ კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის, ალექსანდრიის და იერუსალიმის პატრიარქები. მეუფე ნაომს ეკუთვნის გამოთქმა, რომ კალისტრატე ამ უმაღლეს საკრებულოში იყო „პატრიარქი პატრიარქთა“ შორის.

1945 წელს საქართველოში საპასუხო ვიზიტით, მხლებლებითურთ, ჩამოვიდა პატრიარქი ალექსი. მათ შესახებდრად კათოლიკოსმა კალისტრატემ ბაქოში წარგზავნა ურბნელი მიტროპოლიტი მელქისედეკი და სიონის ტაძრის კანდელაკი დეკანოზი ნაომ შავიანიძე. ეს ფაქტი აუწყეს იმდროინდელმა გაზეთებმა (6.10.45. „კომუნისტი“), რაც პირველ პუბლიკაციად უნდა ჩაითვალოს საეკლესიო ცხოვრებაში.

თბილისში მოღვაწეობისას მეუფე ნაომს ძალიან სტკიოდა გული, რომ ქუთაისის მწვანეყვავილის ეკლესია უმოქმედო იყო. ამ ეკლესიასთან კი დაკავშირებული იყო მისი ყველაზე კარგი წლები. თბილისში ყოფნა და თავისი კავშირები ხან კარგად გამოიყენა, რათა ეს ეკლესია ამოქმედებულიყო და მართლაც 1943 წელს მან გაასწა და რამდენიმე თვე იმსახურა თავის საყვარელ ტაძარში. მალე ამ ტაძარ-

რში დაიწყო მოღვაწეობა ექსპორტიდან დაბრუნებულმა ეპისკოპოსმა  
ეფრემმა, ნაომი კი ისევ თბილისში გადმოიყვანეს. ქუთაისის მრე-  
ფელ თავის მოძღვართან განშორება ეძნელებოდა. ამიტომ მათ თხოვ-  
ნით ნიუმართავთ კათოლიკოს-პატრიარქისათვის ნაომის მწვანეყვა-  
ვილის ეკლესიაში დაბრუნების შესახებ. ამ ფაქტს ასახავს ერთი  
დოკუმენტი - წერილი: „ყოვლად სამღვდელო ეფრემ ქუთათელ-გენათელს.  
გინაიდან თქვენდამი გამოგზავნილი დეპეშა ნოემბრის თარიღით ვერ  
მიგიღიათ, რაც ჩანს თანდართული ცნობიდან, გიგზავნით დეპეშის  
პირს: „მწვანეყვავილის ეკლესია. ეფრემ ეპისკოპოსს. აცნობეთ მთ-  
ხოვნელებს, ნაომი ჩემთვის საჭიროა, დროებით მაინც. კათოლიკოს-  
პატრიარქი კალისტრატე“. გთხოვთ ასევე განუმარტოთ მთხოვნელებს:  
„გერჯერობით ნაომს ვერსად ვერ გავუშვებთ. სრულიათ საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე“. 2.12.1944.

ამ წერილის მეორე გვერდზე მეუფე ეფრემს წაუწერია: „კაცმა,  
რომ თქვას, კათოლიკოსს უფრო სჭირდება იქ ნაომი, ვიდრე მე აქ  
ქუთაისში“.

1947 წელს, მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკოს-პატრიარქი  
კალისტრატე ძალიან სთხოვდა არ დაეტოვებინა თბილისი, მისი გული  
სიონი, ნაომი უბინაობის გამო იძულებული გახდა საბოლოოდ დაეტო-  
ვებინა თბილისი და მოღვაწეობა განეგრძო თავის მშობლიურ ქუთაი-  
სში (მწვანეყვავილის ტაძარში).

თბილისში ყოფნის პერიოდში მას მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა  
ქართველ სამღვდელოებასთან, ქართველ მეცნიერებთან: ექვთიმე თა-  
ყაიშვილთან, კორნელი კეკელიძესთან, აკაკი შანიძესთან, ვუკოლ ბე-  
რიძესთან და სხვებთან, რომლებთანაც მას აკავშირებდა ახლო მიგო-  
ბრობა.

1955 წელს მეუფე ნაომი იმყოფებოდა დელეგაციის შემადგენლ-

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს  
არქივი

ბაში, რომელიც დაესწრო სომხეთის პატრიარქის ვაგჰენ პირველის  
არჩევასა და კურთხევას. 1956 წელს ქუთაის-გენათის ეპარქიის  
დაქვერივების გამო, კათალიკოს-პატრიარქ მელქისედეკ მესამის მი-  
ერ იგი ინიშნება ამ ეპარქიის მთავარხუცესად ქორეპისკოპოსის  
უფლებით.

კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკმა მრავალჯერ სთხოვა მეუ-  
ფე ნაომს ამოდგომოდა მას მხარში, როგორც მღვდელმთავარი. მრავალ-  
ჯგის უარისთქმის შემდეგ ცეცხლარ გაუტეხა ხათრი თავის ყოფილ მასწა-  
ვლებელს და 1957 წელს მიიღო ქუთათელ-გენათელი ეპისკოპოსის პა-  
ტიცი. მწყემსმთავრობის პატივში გამოჩნდა მეუფე ნაომის ბრძული  
და ორგანიზატორული საქმიანობა. ეპარქია მომძლავრდა ფინანსურად,  
საშუალებამ მიეცა ეკლესიის ყველა მოღვაწეს თავისი ნიჭისა და უნა-  
რის გამოუმუდავებისა და განხორციელებისა. მეუფე ნაომი განსაკუ-  
თრებულ ყურადღებას უთმობდა წმ.დავით და კონსტანტინეს საცანეს,  
იქნებოდა ეს გზის მიყვანა, ელექტრო-განათება, წყალგაყვანილობა,  
საეპარქიო სახლის აგება თუ სხვა. მისი მოღვაწეობის ზოგიერთი  
მომენტები მოყვანილია მემორიალურ დაფაზე, რომელიც ჯერ კიდევ  
მეუფე ნაომის სიცოცხლეში დაუდგა მას მოწამეთის ნონასტრის მად-  
ლიერმა კრებულმა.

მიტროპოლიტ ნაომის საზოგადოებრივი მოღვაწეობის დასადასტუ-  
რებლად ისიც კმარა, რომ მან, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ,  
თავის სოფელში, თავის სახლში, სკოლა დაარსა და თავისივე ხნის  
გოგო-ბიჭებს წერა-კითხვასა და სხვა საგნებს ასწავლიდა. ამისა-  
კენ მას ალბათ მამის მაგალითიც უბიძგებდა, რომელმაც ოკრიბაში  
(ტყიბულის მაზრა) პირველი სკოლა დაარსა. რევოლუციამდე და მის  
შემდეგაც მატარებლის გაჩერება მხოლოდ კურსებში ყოფილა. ოკრიბი  
კი დასახლებული არ იყო და მატარებელიც არ ჩერდებოდა. მხოლოდ

პატივსაცემ პირებს და მათ შორის ექიმ მხეიძესა და მღვდელ ნაომ მაცვიანიძეს უჩერებდნენ მემანქანეები მატარებელს. შემდგომ მხეიძისა და ნაომის მეცადინეობით დაუარსებიათ ორპირში მატარებლის გარეგნობა (ქუთაის-ტყიბულის გადასარბენზე).

1976 წელს ედრემ მეორემ, მღვდელმთავრის ხარისხში ათი წლის ნაყოფიერი უმწიკვლო სამსახურისათვის ნაომს მიუბოძა მიტროპოლიტის პატივი. მანამდე კი (1964 წ.) დააჯილდოვა წმ.ნინოს III ხარისხის ორდენით.

1958 წლის აგვისტოში მელქისედეკ მესამემ ნაონი ქუთაისიდან სპეციალურად მოიხმო ბორჯომში, სადაც კათალიკოსი ისვენებდა ურბნელ და თეთრწყაროელ მღვდელმთავრებთან დავითთან და ზინობისთან ერთად. ხანგრძლივი, განმარტოებული საუბრის შემდეგ მეუფე ნაომი დაბრუნდა ქუთაისში. როგორც შემდეგ გამოირკვა, კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკმა დაბეჯითებით თხოვა ნაომს დათანხმებულიყო, მისი სიკვდილის შემდეგ დაეკავებინა მოსაყდრის ადგილი. ნაომმა კატეგორიულად უარყო ეს წინადადება და სთხოვა პატრიარქს არ გაეკეთებინა ეს, არ დაეტოვებინა ანდერძით მოსაყდრედ, რადგანაც ის არ არის ამის ღირსი, რომ ეს ადგილი ეკუთვნის ედრემს და თუ კათალიკოსი მაინც მას დააკისრებდა ამ ტვირთს, ის უყოყმანოდ გადასცემდა მას მიტროპოლიტ ედრემს.

1960 წლის დამდეგს, როცა მელქისედეკ მესამის გარდაცვალების დეპეშა მიიღო მოსაყდრე დავითის ხელმოწერით, ნაომი დაუყოვნებლივ გაფრინდა თბილისს და გაემართა ქვაშვეთის ეკლესიისაკენ იმ მიზნით, რათა ეთხოვა მიტროპოლიტ დავითისათვის უარი ეთქვა მოსაყდრეობაზე და კათალიკოსობაზე ედრემის სასარგებლოდ, (მიუხედავად იმისა, რომ მიტროპოლიტ დავითს იგი ძალიან დიდ პატივს სცემდა). საბედნიეროდ, მეუფე ნაომის მისვლამდის ნეუფე დავითს ეს უკვე

გაკეთებული შქონდა.



ეფრემ მეორემ იცოდა ეს და სხვა მრავალი ფაქტი მის პრინციპულობისა და კეთილშობილებისა, უაღრესად დიდ პატივს სცემდა და მოკრძალებულად ექცეოდა მას. ეფრემ მეორეს ნაომისათვის ხშირად უთქვამს: „შენ ერთს გაქვს უფლება ცოდვების მოკიდებისა და ბედნიერი ვართ, რომ შენ ამას არ აკეთებ, ბედნიერი ვართ, რომ შენ არ იცი ზედმეტის თქმა, ის რაც შენ იცი, რომ გეცემა, ცინ იცის, შეიძლება წარღვნაც მოსულიყო“.

მიტროპოლიტი ნაომი იყო მორჩილი, მეგობარი, თანამებრძოლი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქების კალისტრატესი, მელქისედეკ III, ეფრემ II... თანამებრძოლი ამ სიტყვის სრული გაგებით. ბრძოლის მისი მეთოდები გამოირჩეოდა უნაზესი, ზედმეტად დახვეწილი, უზუსტესი შტრიხებით, ბუნებრივობამდე აყვანილი და უბრალობამდე ადამიანურობამდე დაყვანილი მანერებით. მასთან მოხვედრილი ყველაზე საშინელი უღმრთოც, ურწმუნოც, მხეცურ ინსტიქტებამდე დამდბლებულიც, უმაღ მისი გაცლენის ქვეშ ექცეოდა.

თავისი საოცარი ქცევის მაცქერალს, ნაომი შეაგრძნობინებდა ზეგარდაცემის იმ ღვთიურ ძალას, რომელსაც იგი ფლობდა. საამისოდ არ იყენებდა არავითარ მყვირალა ფრაზებს, გაუგებარ ციტატებს. მოწინააღმდეგე გრძნობდა, რომ მას ჩვეულებრივ ადამიანთან ქონდა საქმე, რომ ის არაფრით არ განსხვავდებოდა სხვათაგან; და ამავდროს გრძნობდა, რომ ამ უბრალოების სამოსელს მიღმა დაბუდებული იყო უდიდესი ძალა. ამ ძალის შეცნობა, ამ უბრალოების მიღმა არსებული სითბოს შეგრძნობა, ადამიანს ყოველთვის იმორჩილებდა და ამიერიდან იგი ნაომის გაცლენის ქვეშ რჩებოდა.

მასთან ახლოს მყოფნი ვერ მოიხსენებენ არა თუ საქმეს, თუნდაც ერთ სიტყვას, შეურაცხმყოფელს სულიერისას, თავად სიტყვისა-

საც. უდიდეს პატივს სცემდა ამ სიტყვას, უადრესად ფაქიზად ემ-  
ცეოდა მას, და თუ იხმარდა დიალექტურ გამოთქმას, იხმარდა ვითარ-  
ცა ქართული ენის სამკაულს - „რამეთუ პირველად იყო სიტყვა და  
სიტყვა იგი იყო ღმერთი“. ამასთანავე, ძირეულად იცნობდა კაცურ  
ცოდვებს - ტექნიკის ეპოქაში ვირტუოზობამდე აყვანილ, ზოგჯერ  
კეთილშობილების სამოსელში გახვეულ ცოდვებს. ესეცა და სხვაც  
დიდათ ეხმარებოდა დარჩენილიყო მოძღვრება და მოძღვართმოძღვრად.  
მან არა მარტო იცოდა მრავალგვარი ცოდვების ვარიანტები, ზედმი-  
წევნით იცოდა მასთან ახლომყოფთა, ნაცნობთა თუ მეგობართა ცოდ-  
ვებიც.

მას მრავალჯერ უბრძანებია: ჩვენმა ხალხმა ტყუილად როდი  
შეარქვა კაცის ცხოვრებას წუთისოფელი, რომელიც ერთი ოთახის ორ  
კარებს შორისაა მოქცეული - ერთიდან შედიხარ, მეორედან კი გადი-  
ხარ. კაცად-კაცადმან ეს მცირე მანძილი ტალახიანი ფეხებით არ  
უნდა გაიარო, რამეთუ ცუდი ნაკვალევი არ დატოვო.

ჩვეულებრივ, ასეთი მოძღვრის მიმართ განიმსჭვალებიან შური-  
თა და ღვარძლით, იბადება სურვილი შეურაცხყოფისა, დამცირებისა  
და კნინების. ასეთი რამ მის მიმართ არავის ახსოვს.

რა თქმა უნდა, იყო ანონიმური წერილები, რომელთა ერთი შეკ-  
ვრა ღვესაც ინახება მის არქივში. ეს იყო წერილები კაცუნებისა,  
ნაკაცარებისა, არაკაცებისა, კიდევ უფრო დიდებით რომ მოსაგდა  
ადრესატს.

მხოლოდ ძალიან ახლო, სულიერ თანაზიარკათვისაა ცნობილი,  
როგორ მოდიოდნენ ეს „მბებზღარნი“ და პატიებას თხოვდნენ ნაოშს  
თავიანთი უმეცარი ქმედებისათვის.

მხოლოდ ერთმა ვერ მოახერხა მიეღო მისგან პატიება, რადგან  
გვიან შეიცნო საკუთარი ცოდვა-დანაშაული. უკვე სასიკვდილო სარე-

საუკუნის განმავლობაში კიდევ აქ დარჩნენ, მაგრამ მაინც ამ დროიდან იწყება მათი დაცემა, რომელიც დიდი სისწრაფით მატულობს. სამაგიეროდ იზრდება ბერძნების გავლენა, რომელიც თან და თანობით სპობს ქართველების გავლენას და ბოლოს მის ადგილს საცესებით იკავებს.

ქართველების სავანეები უცხო ტომის ბერებით აიცხო, რადგან საქართველოს აღარ შეეძლო საკმარისი ხალხის მიცემა. მე-XIV საუკუნის დასაწყისიდან სხვათა შორის წმიდა იაკობის სავანეში უკვე ვხვდებით კოპტებს, სომხებს და ბერძნებს\*. ამ სავანეებს შორის მალე რანდენინე სავსებით უფარლებათ ხელში მოწინააღმდეგე საზოგადოებებს; ხოლო მესაკუთრე ქართველი ბერები კი სამაგიეროდ აცალებენ მათ თავიანთი ვალების გადახდას. ამ პირობით 1536 წელში, ქართველებმა ფრანცისკანებს მიაქირავეს წმიდა ივანე ღვთისმეტყველის სავანე, რომელსაც დღეს წმიდა ნაცხოვრის სავანეს ეძახიან. ამასვე ხელნიორეთ აძლევენ 1559-ში ორი წლის ვადით, ბოლო 1561-ში კი ორმოცი წლით; ამ დროსვე 80 ოტომანურ ფლორინად აძლევენ ზემოხსენებულ ბერებს სავანის სიახლოვეს მდებარე ბაღსაც\*\*. იმავე წლებში და იმავე გზით გადავიდა წმიდა იაკობის სავანე სომხების ხელში\*\*\*.

ქართველების ამნაირი დაქვეითება და უძრავი ქონების უცხოელებზე გადაცემა უსაასრობამ გამოიწვია. ეჭვს გარეშეა მათი ამ ზომის სიღარიბე შედეგი: იყო იმ უზომო მფლანგველობისა და იმ ყოფა-ცხოვრებისა, რომელიც სრულიად არ შეეგუებოდა მონაზო-

\* Tobler, *Topographie von Jerusalem*, t. II, p. 740.  
\*\* Papadopoulos-Kerameus, *op. cit.*, t. IV, p. 444-445.  
\*\*\* Th. Azistocles, *op. cit.*, p. 275.

ას ორმოცდა ათი წლის განმავლობაში, ქართველები მშვიდობიანად ცხოვრობდნენ გოლგოთის თემის მიერ სავანე-სამლოცველოდ მხოლოდ მე-XV საუკუნის დასასრულს ლათინებმა ჩიზმართვეს მათ ამ დაწესებულების ნახევარი. 1475 წელში დასავლეთის სამღვდელმთავრომ სურდა დაეპაკუთრებინა სრულად ეს ადგილი, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოდ დარჩა. აღგილობრივ სასამართლოს განაჩენით, 1492 წლის თარიღით, ქართველებს რჩებოდათ გოლგოთის თემის ჩრდილოეთი მხარე და ფრანგებს სამხრეთისა. მაშინდელი გამწვანებული მდგომარეობა დღესაც ვრცელდება იმ განსხვავებით, რომ ქართველების ადგილას ბერძნები არიან. სასამართლოს დადგენილება ორივე მოღვაწე მხარეთა წინასწარი შეთანხმებით მოხდა: ლათინებს მიეცათ საშუალება თავისუფლად ელოცათ გოლგოთაზე და ქართველებმა დაიმტკიცეს ნაწილი თვით წმიდა საფლავის საკუთარ ეკლესიისა. მართლაც ფრანკისკანებმა სამაგიეროდ დაუთმეს მათ ერთი ნესამედი ტაღანისა (გაღერია), რომელიც საკუთრად ჰქონდათ ამ ტაძარში. გოლგოთის მთის ძირს მდებარე ადამის სამლოცველოც ქართველებსაც დარჩათ საკუთრებათ. ამ დავაზე 2000 დინარი\* დახარჯულა\*\*.

მოკავშირე ეგვიპტის მანილუკების დანარცხებამ და 1516 წელში ოსმალთაგან პალესტინის დაპყრობამ ქართველების გავლენა იერუსალიმში ძალიან შეარყია. მოხუცდავად ანისა, ესენი ერთი

-----

\* დინარი ძველი რომაული უფლია, რომელიც უფროს 12 ფრანკს ანუ დაახლოებით ნინანეთს. შ. ვ.

.. Th. Aristocles Κωνσταντίνου πατριάρχου Κωνσταντινουπόλεως βιογραφία και συγγραφαί αὐτοῦ ἐλένησιν. Constantinople, 1866, p. 284.

ზოგიერთი რამ იტალიაში  
დაცული ქართული კულტურის  
ძეგლების შესახებ

რამდენიმე წელი იტალიაში ვმუშაობდი და ამ ხნის განმავლობაში ზოგი რამ მსმენია ამ ქვეყანაში არსებული ქართული კულტურის ძეგლების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ჩავთვალე ჩემი თავი ვალდებული ვიყავი მომეხსენებინა საზოგადოებისათვის იმ ცნობების შესახებ, რომლებიც ეხებოდა, კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტს. სახელდობრ: მე ავლნიშნე, ქართველ მწერალთა ყრილობაზე (1967 წ.), რომ 1944 წელს ბერლინში გამოვიდა წიგნი „ქართველი მწერლები“, რომელშიაც მოთავსებული იყო ნ. ბარათაშვილის პორტრეტი-ჩანახატი, აღმოჩენილი ლაიფციგის არქივში (იხ. ნახ.)\*.

1967 წლის ნოემბერში ამ პორტრეტის ფოტოპირი პარიზიდან მიიღო მუსიკათმცოდნემ ვაჟა გვახარიამ.

იტალიაში ყოფნის დროს (1945-1949 წლებში) მე მქონდა შესაძლებლობა მესაუბრა ვატიკანის კათოლიკე მღვდელთან-ქართველ მიხეილ თარსნიშვილთან. ამ ცნობილმა ქართველოლოგმა, ქართული ლიტერატურისა და ქართული კულტურის ძეგლების მკვლევარმა-ბიბლიოგრაფმა გამოაქვეყნა თავისი ნაშრომები გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ, ლათინურ და ქართულ ენებზე. იგი თანამშრომლობდა მრავალ გამომცემლობაში და ამით ხელს უწყობდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას ევროპაში.

---

\* სტატიის დედანში მოყვანილია ჩანახატი (მთარგმნელის შენიშვნა).



მ.თარხნიშვილის ნაამბობის მიხედვით, რომის, პალერმოს, ვენეციის, ფლორენციის, ტორე-დელ-გრეკოს, ბოლონიის, ბეირუთის, პარიზის, ლონდონის, კონსტანტინოპოლის, ტრაპიზონის, ქაიროსა და სხვა ქალაქების არქივებსა და წიგნსაცავებში ინახება ქართული კულტურის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე საბუთები.

მ.თარხნიშვილმავე მომიყვა რომში ქართული კათოლიკური მონასტრის შექმნის ისტორია: მ.თარხნიშვილი 1940 წლამდე მიუნხენში ცხოვრობდა. შემდეგ იგი გამოიძახა ბელგიაში (ბრიუსელში) სალომე დადიანისა და მიურატის ოჯახების წარმომადგენელმა ბარბაღე ყიფიანმა და შესთავაზა მას ამ ოჯახებისაგან და გოკიელის ოჯახისაგან ნაანდერძევი სახსრებით ქართული კათოლიკური მონასტრის გახსნა რომში, თანაც მხოლოდ რომში, რადგან ეს ქალაქი დაცულია ყველა ომისაგან საერთაშორისო შეთანხმებით და აღიარებულია როგორც ხელშეუხებელი. ასეთ ქალაქში მდებარე ქართულ კათოლიკურ მონასტერში შეიძლება იმ ქართული ეროვნული კულტურის ძეგლების შეკრება, რომლებიც ინახებოდნენ სხვადასხვა ქალაქების არქივებში. ამით მოხდებოდა მათი დაცვა თანამედროვე ყველაფრის გამანადგურებელი ომებისაგან.

მ.თარხნიშვილმა ბარბაღე ყიფიანისაგან მიიღო საგრძნობლად დიდი თანხა და აგრეთვე დადიანისა და მიურატის ოჯახების არქივი ფასეულობებით, მრავალი მასალა-დოკუმენტებით და ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან მიწერ-მოწერით.

რადგანაც ბ.ყიფიანი არც თუ კეთილად იყო განწყობილი ქართველი ემიგრანტების მიმართ, მან მთელი თავისი ქონება უანდერძა ქართულ კათოლიკურ მონასტერს. მისი შექმნის მძიმე მისია იკისრა მ.თარხნიშვილმა. რომში მან შეიძინა მონასტრისათვის შენობა, რომელიც მდებარეობდა ვია ანტონიობოსიოს ქუჩაზე (სახლი №26) ღორ-

ლანინის მთის ფერდობზე. ყიფიანის ქვრივის მიერ ანდერძით  
ცემული, და აგრეთვე კონსტანტინოპოლის ქართული მონასტრისა და  
სხვა ქალაქების მონასტერთა მასალები მ.თარხნიშვილმა გადმოიტა-  
ნა რომში. იგი გახდა ამ მონასტრის რექტორი.

როდესაც ომი დაიწყო, ამ მასალების ძირითადი ნაწილი მ.თარ-  
ხნიშვილმა მაინც მოათავსა უფრო საიმედო ვატიკანის საცავებში.

მე შევხვდი მ.თარხნიშვილს რომში 1945 წლის ივნისში. მა-  
შინ იგი უკვე აღარ იყო ქართულ მონასტერში, არამედ იხდიდა სას-  
ჯელს, რომელიც მას დაადო რომის პაპმა - პიუს XII-მ არასასიამო-  
ვნო შემთხვევის გამო ვატიკანის ერთ-ერთ მონასტერში. ქართული  
მონასტერი კი გადაეცა სამეურვეოდ ერთ იტალიელ ფარმაცევტს.

მ.თარხნიშვილთან ერთ-ერთ შეხვედრისას წამოიჭრა საკითხი  
ნ.ბარათაშვილის ლაიფციგში ნაპოვნი პორტრეტის შესახებ. მაშინ  
მ.თარხნიშვილმა მითხრა, რომ, როგორც ეს მისთვისაა ცნობილი, მათ  
სამონასტრო ფონდშიდაც დაცულია ბარათაშვილის დაგეროტიკული პორ-  
ტრეტის ორიგინალი, რომელიც ადრე ინახებოდა სალომე დადიანისა და  
მიურატის ოჯახებში; ფოტოგრაფირებულია იგი ძველი მეთოდით. ამ  
პორტრეტზე პოეტი გამოსახულია მთელი ტანით. ეხლა პორტრეტი ინა-  
ხება ვატიკანში საიუველირო ფასეულობასა და ძვირფას საბუთებთან  
ერთად. მ.თარხნიშვილი დამპირდა მის ჩვენებას პირველივე შესაძლე-  
ბლობისთანავე. მაგრამ, სამწუხაროდ, მე ამ პორტრეტის ნახვა ვერ  
მოვახერხე, ისევე როგორც სამონასტრო ფონდის ნივთებისა, რადგან  
მაშინ ეს ნივთები ძალზე უწყესრიგოთ ინახებოდა და მ.თარხნიშვილი  
არავის ენდობოდა მათზე მუშაობას, თვითონ კი მათი მოწესრიგება  
არ შეეძლო, ცინაიდან დაკავებული იყო სამეცნიერო სამუშაოთი.

მ.თარხნიშვილის ამგვარი განცხადება ნებას გვაძლევს ვივა-  
რაუდით, რომ ნ.ბარათაშვილის ხსენებული პორტრეტი უნდა ვეძიოთ



რომის ქართული კათოლიკური მონასტრის ფონდებში, რუსიკუმში (რუსულ კათოლიკურ მონასტერში ნაპოლენ III-ს ქუჩაზე). სადაც თარგმნილი მუშაობდა, და ვატიკანში.

იქედან, რაც მ.თარხნიშვილისაგან გავიგონე, მინდა აღვნიშნო საბუთები, რომლებიც დაკავშირებულია ქართულ კულტურასთან და ინახება იტალიის ძირითად არქივებში - ვატიკანში, „პროპაგანდა ფიდელი“, კაპუცინების ორდენში, დომინიკანელებისა და თიათინელების არქივებში.

მასალები, შეგროვილი დასახელებულ არქივებში, მოიცავენ: ცნობებს საქართველოს ისტორიის ძველ პერიოდებზე, კერძოდ VI-VIII საუკუნეების საბუთებს, რომლებიც ეხება საქართველოს სამთავროებსა და რომის იმპერატორებს. მათში ლაბარაკია საქართველოსა და რომის დაბმარებაზე მასზე თავდასხმის შემთხვევაში, და აგრეთვე საქართველოსა და იტალიის ეკონომიკური ურთიერთ თანამშრომლობაზე დოკუმენტები. (ტრაქტატები) შედგენილია ძველქართულ, იტალიურ და ლათინურ ენებზე და შეიცავენ ქართველი მეფეების, პატრიარქებისა და სახელმწიფო მოღვაწეების მიწერ-მოწერას რომის პაპებთან სხვადასხვა დროს; კათოლიკე მისიონერების მიწერ-მოწერას „პროპაგანდა ფიდელთან“ საქართველოსა და მისი ისტორიის შესახებ, - ცნობებს ტორე-დელ-გრეკოში დაცული ქართული ცანეტი ხელნაწერი წიგნის შესახებ, რომლებიც შესრულებულია სხვადასხვა გადაწერის მიერ; ცნობებს XII საუკუნის საქართველოს შესახებ (რეინდელის თხზულებებიდან - 1475 წელი); დოკუმენტებს ვახტანგ VI-ზე და მის წერილებს ავსტრიის იმპერატორისადმი, დათარიღებულს 1722 წლით; ცნობებს ნიკიფორე ირზახისა, ბერ ნიკოლოზისა (ნ.ჩოლოყაშვილი), რომელიც თეიმურაზ I-მა ელჩად გაგზავნა რომში 1626-1628 წლებში წმინდა ბასილის მონასტრიდან, და სულხან-საბა ორბელიანის იტა-



ლიაში მგზავრობის შესახებ; საქართველოში წამყოფი კათოლიკური სიონერის ქრისტეფორე კასტელის ვრცელ ალბომს (127 ნამუშევარი), ცნობებს ქეთევან დედოფლის წამების შესახებ; პიეტრო დელა ვალეს ნარკვევებს საქართველოზე და ცნობებს პირველ ქართულ ნაბეჭდ წიგნზე.

უცხოელი ისტორიკოსები სიმბათიით აღნიშნავენ, რომ „როცა რომში იბეჭდებოდა პირველი ქართული წიგნები, საქართველო იგერიებდა შამშ-აბასის ვერაგულ შემოსევას“. XVII საუკუნეში რომში დაიბეჭდა ხუთი ქართული წიგნი, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს ქართულ-იტალიური ლექსიკონი, შედგენილი ნიკიფორე ირბახის (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის) და სტეფანო პაოლინის მიერ და გამოცემული 1629 წელს, ქართული ენის გრამატიკა, გამოცემული 1670 წელს მ.მაჯიოს მიერ.

არსებობს ვარაუდი, რომ რომის პაპის პირად ბიბლიოთეკაში უნდა ინახებოდეს „გეფხვის ტყაოსნის“ პირველი ხელნაწერი ასლები, დედანთან ახლოსმდგომი.

ვატიკანის ფონდებში დაცულია შ.რუსთაველის და საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა პორტრეტები. აქვე დაცულია ქართული კულტურის უძვირფასესი ნივთები, შექმნილი ვატიკანის მიერ სპარსელ და თურქ ვაჭრებისაგან, მიტაცებული მათი წინაპრებისაგან საქართველოზე. შემოსევებისას, ცნობები სხვა სახელმწიფოების იმპერატორების მიერ ძველი ქართული ვახტანგისეული და სხვა სამართლის კოდექსების გამოყენების შესახებ.

არსებობს კიდევ ვარაუდი იმის შესახებ, რომ ქართული კულტურის საბუთები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში, დაცულია რიგ ძველ ქართულ მონასტრებში, რომლებიც მიმოფანტულია სხვადასხვა ქვეყნებში, კერძოდ

პალესტინაში, შავ მთაზე, ეგვიპტეში, ათონზე, ბულგარეთში და  
სხვაგან.



ნათელია, რომ ჩვენ ხელთ არსებული ისტორიული მასალის სა-  
ფუძველზე უნდა შემოწმდეს ის ცნობები, რომლებიც მე მივიღე მ.თა-  
რხნიშვილისაგან, კერძოთ: ისიც, რაც დაკავშირებულია ნ. ბარათაშვი-  
ლის პორტრეტთან, რომელიც ინახებოდა ს. დადიანისა და მიურატის  
ოჯახებში და დაიწყო ამ საკითხის შესწავლა.

ვ ა ს ი ჯ . ჩ ა რ ა ნ ი ძ ე

რუსულიდან თარგმნა

მ. ვ ა რ ა ზ ა შ ვ ი ჯ მ ა .



ა რ ა ბ ო ბ ა ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო შ ი დ ა  
 ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს ა თ ე ი ს  
 წ ა მ ე ბ უ ლ ნ ი

ქართლის სამეციდრევე, ქვეყნის თვალად და  
 ბადებულს, რამდენს ვაებას შენსა თავზე  
 გარდაუვლია!.. ჯვარცმულის ღვთისთვის თვის  
 ჯვარცმულო და წამებულს, ეკლიან გზაზე შე  
 ებრ სხვასა რომელს უვლია?

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

მსოფლიოში ყველაზე დიდი ნახევარკუნძულიდან, რომელიც „ზი-  
 ზარათ აღ-არაბად“ (არაბების ნახევარკუნძულად) იწოდება, VII სა-  
 უკუნის დასაწყისში დაიძრა მანამდე უხილავი ძალა, რომელმაც საქა-  
 რთველომდეც მოადწია. დიდი რეფორმატორისა და მხედართმთავრის მე-  
 ჰამედის ბელადობით დაიწყო „ახალი ხანა“ იმდროინდელი ცივილიზე-  
 ბულ სამყაროში.

არაბებმა, რომლებსაც აგრეთვე უწოდებდნენ სარკინოებს, აკ-  
 რიანებსა და ისმაიტელებს, სულ მცირე დროის განმავლობაში დაიპყ-  
 რეს ირანი და ეგვიპტე თავიანთი ქრისტიანული სავანეებით. ერთი სა-  
 ული წლის შემდეგ მოადგნენ შუა აზიას და ამიერკავკასიას.

არაბთა ტრიუმფალური სვლა განაპირობა ერთი მხრივ ქვეყნის  
 შიგნით სოციალ-ეკონომიურმა პირობებმა - ქვეყნის სოციალური გან-  
 ვითარების დაბალმა დონემ, მეორეს მხრივ, - საერთაშორისო ურთიე-  
 თობამ - დაუსრულებელი ბრძოლის შედეგად ბიზანტიისა და ირანის

დასუსტებამ. ლაშქრობის წარმატებებს დიდად შეუწყო ხელი არაბთა  
ახალმა რელიგიამ - ისლამმა.



მუჰამედის ეს ახალი მოძღვრება, რომელიც ღარიბ-ღატაკთა და  
ჩაგრულთა მოსარჩლედ გამოდიოდა, მისაღები აღმოჩნდა სხვა ხალხე-  
ბისთვისაც. მისმა ქადაგებამ ხალხთა ძმობაზე, ერთობასა და თანა-  
სწორობაზე განაპირობა დაპყრობილი ქრისტიანული ქვეყნების ხალ-  
ხთა ლტოლვაც „ღვთაებრივი მხსნელის“ მუჰამედისაკენ. არაბები ვან-  
საკუთრებით პატივს სცემდნენ ყველა მათ, ვინც ქრისტიანობას უარ-  
ყოფდა და მუსლიმანობას მიიღებდა. ამიტომაც იყო, რომ თავდაპირ-  
ველად ირანისა და ბიზანტიისაგან ჩაგრული ხალხები ზოგჯერ არაბ  
დამპყრობლებს ხვდებოდნენ როგორც განმანათავისუფლებლებს. ამის  
შესახებ დიდი ქართველი ისტორიკოსი ივ.ჯავახიშვილი წერდა: „ბი-  
ზანტიის კეისრის ჰერაკლეს სიმკაცრითა და სარწმუნოებრივი მძულ-  
ვარებით მობეზრებული და უკმაყოფილონი აღმოსავლეთის ბევრი ერე-  
ბი არაბებს თავდაპირველად სიხარულით ეგებებოდნენ და ბერძენთა  
მონობისაგან განმანათავისუფლებლად სთვლიდნენ“ (ქართველი ერის  
ისტორია, II, თბ., 1948 წ., გვ. 71).

მოწოდება: „არა არს სხვა ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამე-  
დი მისი მოციქული“, გადაიქცა არაბთა გაერთიანებული სახელმწიფოს  
იდეოლოგიურ საფუძვლად. მუსლიმანი ხდებოდა ყველა, ვინც აღიარებ-  
და ამ მონოთეისტურ ფორმულას (მრწამს). გარდა ამისა, მაჰმადიანო-  
ბის მიღებისა და მის მოთხოვნილებათა (ლოცვათა) შესრულებისათ-  
ვის არ იყო საჭირო სპეციალური საკრებულო (ეკლესია), ისლამის მი-  
მდევართათვის სამლოცველო იყო ყველგან, სადაც ხალიჩას გაშლიდა  
ლოცვის შესასრულებლად.

თუმცა, მაღე, არაბულმა სამხედრო-თეოკრატიულმა სახელმწიფომ  
ახალი მოთხოვნები წაუყენა რელიგიას. ესენია: პირველი - ყოველი

მუსლიმანისაგან, რომელიც აღიარებდა ისლამის მთავარ ფორმულას, აუცილებელი იყო ლოცვა (ნამაზი), მეორე - ღარიბთა სასარგებლოდ გადასახადის (ზაქათის) გაღება, მესამე - მექას მოხილვა და მოლოცვა (ჰაჯი) და მეოთხე - სამღვთო ომი ურწმუნოებასთან, პირველ რიგში ქრისტიანობასთან (ჰაზაყათი). ასე, რომ თუ არაბები თავდაპირველად სხვა რელიგიას, მეტადრე ქრისტიანობას თავისუფლებას ანიჭებდნენ, ქრისტიანული ქვეყნების შემოერთება - დაპყრობის შემდეგ, ამ მოთხოვნით არამუსლიმან ხალხებს სამკვდრო-სასიცრცხლო ომს უცხადებდნენ. საბოლოო ანგარიშით, მათი მთავარი მიზანიც ქრისტიანობის მოსპობა იყო.

როგორც კ. მარქსი მიუთითებდა: „ყურანს და მასზე დამყარებულ მუსლიმანურ კანონმდებლობას მთელი მსოფლიოს ხალხთა გეოგრაფია და ეთნოგრაფია დაჰყავს ორ ნახევრად - მართლმორწმუნეობად და ურწულოებად დაყოფის უბრალო და მოხერხებულ ფორმულამდე: ურწულო - ეს არის „გიაური“, ეს არის მტერი. ისლამი შეაჩვენებს უსწულოთა ერს და ქმნის განუწყვეტელი მტრობის მდგომარეობას მუსლიმანებსა და ურწულოებს შორის. (კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, თხზ., გვ. 6). ყურანში, რომელიც შედგება II4 თავისაგან (სურისაგან), პირდაპირ მითითებულია რწმენა მხოლოდ ერთი ღმერთის აღაჰისადმი და დაუნდობელი ბრძოლა სხვა რელიგიებისადმი. უფრო მეტიც, ყურანი მოითხოვს არამუსლიმანი ხალხების გაძარცვას, მათ ფიზიკურ განადგურებას. მაგალითად, მუხლი (სურა) ნადავლზე („სურათ აღ-დანამათ“) მუსლიმანის პირდაპირ მოვალეობად სთვლის ურწმუნოთა („გიაურთა“) ძარცვას, მათი ქონების მიტაცებას. როგორც VIII საუკუნის დამლევის არაბი მწერალი აბუ იუსუფ იაკუბი თავის წიგნში „ქითაბ აღხარაჟა“ გადმოგვცემს ხალიფა ომარ I-ს (634-656) სიტყვებს: „მუსლიმანები სჭამენ დამორჩილებულთ სანამ ცოცხლები არიან; როცა ჩვენ და

ისინი დავიხსოვებით, ჩვენი შვილები შესჭამენ მათ შვილებს, სა-  
ნამ ცოცხლები იქნებიანო“ („ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის  
ისტორიიდან“, თბ., 1957 წ., გვ.61). ასე, რომ უმთავრესი მიზა-  
ნი იყო თავდაპირველად თვალთმაქცობით და შემდეგ თანდათან თავი-  
ანთ გამგებლობაში ჩაეთრიათ ყოფილი დაპყრობილი ხალხები, ცეცხლი-  
თა და მახვილით დაეპყროთ ყველა დანარჩენი ქვეყნები, მოეხდინათ  
იქაურ მცხოვრებელთა გამუსლიმანება - ასიმილაცია და ამრიგად  
მიეღწიათ მსოფლიო ბატონობისათვის.

ამიტომ იყო, რომ იმ ქვეყნებში, სადაც ისინი შედიოდნენ  
სპეციალურ „დაცვის სიგელით“ („ნებაყოფლობით“), ადგილობრივ  
ხალხებს უნარჩუნებდნენ თავისუფლებას, უნარჩუნებდნენ სარწმუნო-  
ებას, მაგრამ, როგორც აცვნიშნეთ, ეს იყო თავისებური ფანდი, მო-  
ჩვენებითი, დროებითი ქესტი. ამასთანავე დაკავშირებული ისიც, რომ  
თავდაპირველად გადასახადისაგან (ხარაჯისაგან) ათავისუფლებდნენ  
ყველას, ვინც ისლამის სარწმუნოებას აღიარებდა (ცნობილია, რომ  
შემდეგში არაბებმა არა თუ ახლად გამუსლიმანებულებს, არამედ ძი-  
რითად მუსლიმანებსაც დააკისრეს ხარაჯის გადახდა).

არამუსლიმან ხალხებს (ქრისტიანებს, ებრაელებს, მაზდეანე-  
ლებს) ასევე მძიმე ტვირთად დააწვა სულადი გადასახადი (ჯიზია),  
რომელიც თითქმის გამიზნული იყო დაპყრობილი და შემოერთებული არა-  
მუსლიმანური ხალხების სიცოცხლისა და ქონების დაცვისათვის. აი,  
რას მიუთითებს ყურანის IX სურა: „ებრძოლეთ იმათ, რომელთაც არა  
სწამთ ალლახი და საშინელი სამსჯავროს დღე, რომლებიც არ თვლიან  
აკრძალულად მას, რაც აკრძალეს ალლაჰმა და მისმა მოციქულმა, რო-  
მელთაც არ სწამთ ჭეშმარიტი სარწმუნოება და თაყვანს სცემენ თა-  
ვიანთ წიგნებს, ვიდრე არ გადაიხდიან ჯიზიას პირადად, დამცირე-  
ბის ნიშნად“ (დასახ. „ნარკვევები“, გვ.92). ე.ი. გადასახადი

„ჯიზია“ გამიზნული იყო არამუსლიმანთა სიცოცხლის, პირადი და  
ეროვნული საკუთრების შენარჩუნებისათვის. იგივე გადასახადი ნე-  
ბას რთავდა მათ ეცხოვრათ მუსლიმანების ტერიტორიაზე.

გარდა ზემოთქმულისა, დარყრობილ ხალხებს ასევე შიშიმე ტვი-  
რთად აწვით მათ ქვეყნებში მდგარი არაბული გარნიზონების შენა-  
ხვა. ადგილობრივი მოსახლეობა მათ უზრუნველჰყოფდა ბინებით, სურ-  
სათით და ფურაცით. მათ ვალდებულებებში შედიოდა აგრეთვე ციხე-  
სიმაგრეთა კედლების, მეჩეთების, გზებისა და ხიდების მშენებლო-  
ბა. რომ აღარაფერი ვთქვათ გაუთავებელ ომებში (ლაშქრობებში)  
მონაწილეობის შესახებ.

დამპყრობლები უფრო შორს მიდიოდნენ. ძარცვისა და გამუსლი-  
მანების გარდა, ადგილობრივ ხალხს ავალდებულებდნენ, უფრო სწორად,  
აიძულებდნენ წერა-კითხვა (ყურანი ყველა ხალხისათვის ისწავლებო-  
და მხოლოდ არაბულ ენაზე) და ქვეყნის შიგნით გამგებელთა საქმის  
წარმოება (დოკუმენტების შედგენა, მიწერ-მოწერა) ყოფილიყო არა-  
ბულ ენაზე. მათ მიერ მოსყიდულ ადგილობრივ ჩინოვნიკებს დავალებ-  
ბული ჰქონდათ ხალხის სალაპარაკო ენად ექციათ ყველასათვის გასა-  
გები, ე.წ. სახელმწიფო ენა - არაბული. აკრძალული იყო ადგილობ-  
რივი ფულის ნაშენები (ბრუნვაში დაშვებული იქნა მხოლოდ არაბული  
ვერცხლისა და ოქროს დინარები). სასტიკი ბრძოლა ჰქონდა გამოსხა-  
დებული ეროვნულ ტრადიციებს, ხალხის წეს-ჩვეულებებს. კანონით  
ისიც დააწესეს, რომ, თუ ვინმე, ფიზიკური გადარჩენის მიზნით,  
სადმე გადაიხვეწებოდა, მოექცნათ, შეექცნათ, კანზე ნიშანი და-  
ედოთ - დაედაღათ და დაებრუნებიათ თავიანთ ძველ საცხოვრებელ ად-  
გილზე (სხვათა შორის, სწორედ მაშინ, მასიური ხასიათი მიიღო სა-  
ქართველოში ვახიზენამ, აღმოსავლეთ საქართველოში მაცხოვრებელთა  
მთავარი თავშესაფარი ადგილები იყო დასავლეთ საქართველოს მთია-

ნეთი. არაბთა ბატონობის პერიოდში ლტოლვილთა დიდი ნაწილი სამუ-  
დამოდ დამკვიდრდა იმერეთის მიიან ადგილებში).

და, მაინც, განსაკუთრებულ დევნას განიცდიდნენ ქრისტეს  
მსახურნი. ხალიფა ალ-მუთასიმმა (833-842) სპეციალური ბრძანე-  
ბაც კი გამოსცა „ურწმუნოთა“ (ქრისტიანთა და სხვა. არამუსლიმა-  
ნურ სარწმუნოების მსახურთა) შესახებ. ამ ბრძანებით ქალაქებში  
და სხვა დასახლების ადგილებში დაანგრიეს ქრისტიანთა და ებრაელ-  
თა საკულტო ტაძრები. მათ აეკრძალათ ცხენზე ჯდომაც-კი. „ქრისტი-  
ანებს“ (არამუსლიმანებს) უნდა ჩაეცვათ განსხვავებული ტანსაცმე-  
ლი. არ უნდა გამოჩენილიყვნენ ისინი იმ ადგილებში, სადაც თავმო-  
ყრილი იყვნენ მუსლიმანები. მათი სახლები არ უნდა ყოფილიყო მუ-  
სლიმანთა ბინებზე უფრო მაღალი და მათ კარებსა და ფანჯრებზე გა-  
კეთებული უნდა ყოფილიყო დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი სპე-  
ციალური ნიშნები („ნარკვევები მახლობელი ადმოსაველეთის ისტორი-  
იდან“, გვ. II3).

ზოგიერთი ქვეყნების მსგავსად, საქართველოც „ნებაყოფლობით“  
შევიდა არაბთა მფარველობაში (სპეციალური ტრაქტატით - „დაცვის  
სიგელით“). ამ ხელშეკრულებით, არაბები იღებდნენ ვალდებულებას,  
რომ დაიცავდნენ საქართველოს, ქართველებს და არ შეეხებოდნენ მათ  
სარწმუნოებას. ამასვე აღნიშნავს არაბი ისტორიკოსი ბელაძორი.  
იგი „ქართველთა უზრუნველყოფისა და მფარველობის“ ხელშეკრულების  
„წიგნის“ დასაწყისში პირდაპირ მიუთითებს, რომ არაბები ქართვე-  
ლების მიმართ ვალდებულებას იღებენ დაიცვან მათი სიცოცხლე „და  
მკლესიებისა მათისა და მონასტრებისა მათისა და სამლოცველოები-  
სა მათისა და სარწმუნოებისა მათისა უნებლობისათვის“ (იხ. ივ.  
ჯავახიშვილი, II, გვ. 72). ხოლო თუ ქართველნი მუსლიმანობას მი-  
იღებდნენ, თავისუფლდებოდნენ ჯიზიათის გადასახადისაგან. მათვე



ე.ი. ქართველებს მორჩილება უნდა გამოეცხადებიათ არაბებისადმი და, გარდა თითოეულ კომლზე შეწირული ხარკისა, დახმარებოდნენ მათ სამხედრო ძალებით.

თუ როგორ შეასრულეს არაბებმა მეგობრული „დაცვის სიგელი“ გათვალისწინებული ვალდებულებანი, ამის ნათელ სურათს იძლევა VIII საუკუნის მწერლისა და საერო მოღვაწის იოანე საბანისძის „აბო ტფილელის“ მარტვილობაში დახასიათებული ქართველთა ყოფა. ეს ძეგლი წარმოადგენს ასევე უძველეს და უზრწყინვალეს წერილობით წყაროს არაბეთის, ბიზანტიის და კავკასიის სხვა ხალხების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. როგორც იოანე ვალდგომცემს, არაბებს „მფლობელთ ამის უამისა“ და „ზედამდგომთ“ ქართველთა - „მძღაგრებისა ქუეშე დამონებულთა“, ხელთ უბყრიათ „ყოველივე ესე სოფელი ჩუენი“; და მოსახლეობა შეძრწუნებულია „მძღაგრთა შიშითა“; რომ განმგებელნი ქართლისა და თბილისისა - „ხელმწიფენი ამირანი“ წარმოადგენენ მკაცრ „მსაჯულებს“ ქართველებზე - „მძღაგრებისა ქუენე დამონებულთა“ ქრისტიანებზე; და არიან „გლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუმულნი“; რომ ქართველნი „შეაცდუნეს და გარდადრიცნეს გზისაგან სიმართლისა“; რომ ნაშობნი ქრისტიანეთნი გარდაგულარძნეს - რომელნიმე მძღაგრობით, რომელნიმე შეტყუფილებით, რომელნიმე სიყრმესა შინა უმცერებით, რომელნიმე მზაკვრობით“. ამიტომაც, განაგრძობს იოანე საბანისძე, ქრისტიანი ქართველები „შიშითა განიღვიპან და ირყევიან ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთაო“. რაც შეეხება ქართველთა ეროვნულობას, მშობლიური ენისა და კულტურის საკითხს, თხზულების ავტორი აქაც აფრთხილებს მკითხველს: „ადგერიენით ერსა უცხოსა; არაბებს, რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნიო“.



სწორედ სარწმუნოების შემნარჩუნებისა და ეროვნული გადაგვარებისაგან თავის დაღწევის მიზნითაა დაწერილი დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იოანე საბანისძის ისტორიოგრაფიული ძეგლი აბოს წამება (იხ. ქვემოთ).

ისტორიული ფაქტია, როცა ამიერკავკასიაშიც გამოჩნდნენ არაბები და 654 წელს მთელი სომხეთი დაიპყრეს, მათმა სარდალმა სომხეთიდან ქართველ მმართველებს მოსთხოვა დამორჩილება, - „ან დაგვიმორჩილდით და გვემსახურეთ, ან დატოვეთ თქვენი ქვეყანა და სხვაგან წადით“. ქართველებმა ყოველივე გაითვალისწინეს და, როგორც იტყვიან, ჩათრევას ჩაყოლა არჩიეს, - თავიანთ წარმომადგენელთა მეშვეობით დაიწყეს მოლაპარაკება, რომელიც დამთავრდა „დაცვიით სიგელის“ მიღებით. სხვა მხრივ, არაბთა უზარმაზარ სახელმწიფოს წინააღმდეგ ქართველთაგან ბრძოლის დაწყება განადგურების მეტს არაფერს მოუტანდა პატარა საქართველოს (მანამდე, ასე მოიქცა ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ზოგიერთი განაპირა ქვეყანა).

აღსანიშნავია, რომ შემდგომში საქართველოს ქედი არასდროს მოუხრია დამპყრობლის წინაშე. იგი ყოველთვის სისხლფასეულად იცავდა თავისი ქვეყნის ეროვნულ სულს, ქრისტიანობას. მაგრამ ძალას თავისი გაჰქონდა...

„იშვიათად დასტყდომია საქართველოს თავზე ისეთი უბედურება, როგორც 736-738 წლებში არაბთა სარდალმა მურვანმა (მურვან იბნ-მუჰამედმა) დაატრიალა. მურვანმა მთელი კავკასია დაიპყრო, დარუბანდიდან აფხაზეთამდე, მაგრამ ეს არ იკმარა, არამედ უმრავლესობა ქალაქები და ციხეები დაანგრია. მათ შორის ეგრისის სამ-გაღაგნიანი დედაქალაქი ციხე-გოჯი, აფხაზეთის დედაქალაქი ცხუმი (სოხუმი) და სხვები. განსაკუთრებით მაინც აღმოსავლეთი ამიერკავკასია აოხრებულა - ქართლი, სომხეთი და ალბანეთი; აქ არც ნაშენები

საქართველოს  
ისტორიის  
ინსტიტუტი  
თბილისი

რამე დარჩა და არც კაცისა და პირუტყვის საჭმელიო. ქართლში  
განმა ღაანგრია ძველი დედაქალაქის შიდაციხე - არმაზი (გ.გ. 1958)  
ქენიშვილი, ვ.დონდუა, მ.ღუმბაძე, გ.მელიქიშვილი, შ.მესხია,  
პ.რატინი, „საქართველოს ისტორია“, I, თბ., 1958 წ., გვ.117).  
მურვან ყრუმ განსაკუთრებით მუსრი გაბელო ეკლესია-მონასტრებს,  
სადაც კი მისწვდა პირისაგან მიწისა აღგავა ქრისტიანული სარწმუნოების  
ყველა კერა.

ამ, ტრაგედიით აღსავსე ლაშქრობაზე გადმოგვცემს XI საუკუნის  
ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი: 120-ათასიანი ლაშქრით საქართველოს  
და კავკასიის სხვა ხალხთა დახასჯულად შემოსულმა არაბმა (აგარიანმა)  
ამირან მურვან ყრუმ (მას ეს სახელი შეარქვეს იმისათვის,  
რომ არავის ინდობდა და მრჩეველთაგან არავის არაფერს უსმენდა)  
დაიპყრო ქართლიო. „და ყოველნი მთავარნი და პიტიახშნი, ნათესავი  
ერისთავთა და წარჩინებულთა შეიმოტუნეს კავკასიად, და დაიმალნენ  
ტყეთა და ღრეთა. და მოვლო ყრუმან ყოველი კავკასია და დაიპყრა  
კარი დარიელისა და დარუბანდისა, და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი  
და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა.

და ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი  
მათნი წარვიდეს ეგრისად... შეუდგა კვალსა მათსა და შემუსრნა  
ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისით ქვეყნისანი... და ვერავინ  
შემძლებელ იყო წყობად ყრუსა, რამეთუ იყვნეს სპანი მისნი უფროს  
და უმრავლეს ჭაბაკთა ეგრისთა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 234-235).  
მურმანმა ისე გააპარტახა საქართველო, რომ „არღარა იპოვებოდა  
ნაშენები, არცა საჭამანდი კაცთა და პირუტყვთა ყოველთაო“, -  
გადმოგვცემს იგივე ჯუანშერი.

ასე გაუსწორდნენ არაბები „მეგობრობის სიგელით“ თავიანთ  
ქვეშევრდომობაში შესულ ქართველებს...

ბაღიფა ჰარუნ არ-რაშიდისა და მისი მემკვიდრეების პერიოდში იწყება არაბეთის სახელმწიფოს დაშლა-დაქუცმაცება. ასე, რომ 749-750-იანა წლების ამბები (ომიანითა დინასტიის დამხობა და აბი-სიანთა ხელისუფლების დამყარება) ძვირად დაუჯდათ არაბებს. მათ დაკარგეს შორეული პროვინციები, აუჯანყდნენ ჩრდილო აფრიკისა და სხვა დაპყრობილი ხალხებიც.

ამავე პერიოდიდან იწყება ქართველი ხალხის კიდევ უფრო აქტიური ბრძოლები არაბი დამპყრობლების მიმართ. ამ განმათავისუფლებელი ბრძოლების შედეგად ფაქტიურ დამოუკიდებლობას მიაღწიეს კახეთმა, ჰერეთმა და ტაო-კლარჯეთმა. დაიწყო ახალი, აღორძინების პერიოდი საქართველოში.

ამ აღმავლობაზე მიუთითებს VIII-X საუკუნეების საქართველოში აღმშენებლობითი პროცესი. მართო სამხრეთ-საქართველოში აშენდა დიდებული ზარზმა, საფარა, კუმურდო, წყაროსთავი, ტბეთი, ბანა, იშხანი, ისი, ხახული, ოშკი, ოხთა ეკლესია, პარხალი, ეკეეთი, ხანძთა, შატბერდი, ოპიზი... მრავალი ციხე-გალავანი, სასახლე, ხიდი და სხვა.

ქართლში არაბთა თბილისის საამიროც-კი, ქართული პროვინციების მსგავსად, იწყებს ბრძოლას სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მისაღწევად (საქართველოში ამირები ისლხდნენ რუსთავშიც, დმანისშიც. ისინი თბილისის საამიროს ემორჩილებოდნენ).

განმათავისუფლებელ ბრძოლებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე კავკასიის სხვა ხალხებთანაც. ყველაზე უძლიერესი იყო ბაბეკის აჯანყება აზერბაიჯანში. იგი გაგრძელდა 20 წელს (815-837 წლამდე) და მოედო ჩრდილო-დასავლეთ ირანსაც. აჯანყების მონაწილეებს უწოდებ-

ბდენ „წითლად შემოსილებს“ (ნალ-მუხარამა“), „წითელ დროშია ბე-  
ბს“ („სორს ალემ“). წითელი ფერი იყო მათი ბრძოლის სიმბოლო.


ბაბეკის აჯანყება, - ცკითხულობთ სსრ კავშირის მეცნიერე-  
ბათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გამოცემულ შუა საუკუ-  
ნეების ისტორიის პირველ ტომში (თბილისშიც დაიბეჭდა იგივე სახელ-  
წოდებით, 1947 წ., გვ.244-245), - „თავის ძირითად მიზნად ისა-  
ხადვა ძველი თემური წყობილების აღდგენას, რომლის დროსაც შეუძ-  
ლებელი იყო ფეოდალური ექსპლოატაციის არსებობა. ბურჟუაზიულ მეც-  
ნიერებაში ამ მოძრაობას უწოდებენ „კომუნისტურს“, მხოლოდ იმ სა-  
ფუძველზე, რომ ბაბეკის მიმდევრები, ცდილობდნენ რა დაბრუნებოდ-  
ნენ თემურ წესებს, აწესებდნენ ქონების, ე.ი. მიწისა და ინვენ-  
ტარის საერთო საკუთრებას...“

უკვე X საუკუნის დასაწყისში, ერთ დროს მსოფლიოში უზარმა-  
ზარ და უძლიერეს სახელმწიფოს - ხალიფატს, საბოლოოდ ჩამოსცილდა  
ეგვიპტე, სირია, პალესტინა, ჩრდილო მესოპოტამია. ამ საუკუნის  
შუა ხანებში ხალიფატის ხელისუფლებას მხოლოდ ბაღდადი და მისი  
მიდამოები ემორჩილებოდა.

არაბეთის სამეფოს ასეთი დასასრული ძირითადად განპირობებუ-  
ლი იყო მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში უხეში, ანტიეროვნული, ან-  
ტიხალხური, ანტისარწმუნოებრივი პოლიტიკით. საქართველო, ქართვე-  
ლი ხალხის ბრძოლა ამის კლასიკური მაგალითია.

საქართველოში არაბთა ბატონობით უკმაყოფილო იყო მთელი სა-  
ზოგადოება (სასულიერო და საეროც), ვწარმოებელი კლასიც და ფეო-  
დალებიც. დამძიმებული საგადასახადო სისტემა ზე პრივილეგიური შე-  
ზღუდვები, რომ არაფერი ვთქვათ ეროვნულ და სარწმუნოებრივ დისკრი-  
მინაციებზე, სისხლს უშრობდა ქართველებს.

არ შეიძლება არ აცდნიანთ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ



ბრძოლებში ქართველ ხალხს მორალურად მხარს უჭერდა არაბების მი-  
 ერ თითქმის განადგურებამდე მისული ბიზანტიის იმპერია. მათი და-  
 ხმარება თანდათან იკვეთებოდა არაბთა დასუსტებისა და დაშლის შე-  
 რიოდში. ამ ურთიერთობას განსაზღვრავდა საერთო მტრის - არაბების  
 წინააღმდეგ ბრძოლა. ცნობილია, რომ მთელი საქართველო, - „ისევე,  
 როგორც „აფხაზთა მეფე“, ან კახეთის მთავარი, ტაო-კლარჯეთის მფ-  
 ლობელი ბაგრატიონებიც არაბების ქართლიდან განდევნას და იქ გა-  
 ბატონებას საკუთარ საქმედ მიიჩნევდნენ. ამას კარგად ხედავდა  
 ბიზანტიის კეისარი და ამიტომაც იყო, რომ თავის სახელმწიფოში ამ  
 ქართული სამთავროების გაძლიერებას იგი თავდაპირველად ხელს უწყო-  
 ბდა. კეისარს ტაო-კლარჯეთის ქართული სამთავრო არაბთა წინააღმ-  
 დეგ ბრძოლის იარაღად და ქართლში ბიზანტიის ძველი გავლენის აღდ-  
 გენის საშუალებად ეგულებოდა“ (ნ. ბერძენიშვილი და სხვ., თბ., სა-  
 ქართველოს ისტორია, 1958 წ., გვ. 125).

ისიც აღსანიშნავია, რომ X საუკუნის შუა წლებიდან ბიზან-  
 ტია, ქართველი ჯარის დახმარებით თვითონ გადადის არაბების წინაა-  
 ღმდეგ საბრძოლველად. ამ მიმართებით ქართველმა ლაშქარმა გადამ-  
 წყვეტი როლი შეასრულა X საუკუნის 70-იან წლებში ბიზანტიის წი-  
 ნააღმდეგ მცირე აზიის სამხედრო არისტოკრატის უძლიერესი წარმო-  
 მადგენლის ბარდა სკლიაროსის დამარცხებაშიც. როგორც ბერძნული,  
 სომხური და ქართული წერილობითი წყაროები გადმოგვცემენ, ბარდა  
 სკლიაროსის განადგურებაში მონაწილეობდა ქართველთა 12-ათასიანი  
 ლაშქარი გამოჩენილი ქართველი მხედართმთავრის, იმ ხანად ათონის  
 ქართველთა მონასტერში ბერად აღკვეცილი თორნიკე ერისთავის მეუბ-  
 ურობით. ეს მოხდა „ღმობიერებითა და მშვიდობისმოყვარეობით“ ცნო-  
 ბილი სახელოვანი ქართველი მეფის დაცით კურაპალატის დროს. როგო-  
 რც მისი თანამედროვე სომეხი მემკვიდრე სტეფანოზ ტირონელი (ასო-



დიკი) წერს: „მისი წყალობით დამყარდა მშვიდობა და კეთილდღეობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. განსაკუთრებით კი სომხეთსა და საქართველოში. მან ბოლო მოუღო ომებს, რომლებიც გამუდმებით ჩნდებოდა ხოლმე ყოველი მხრიდან. გაიმარჯვეს ყველა მეზობელ ხალხებზე, ისე რომ ყველა ხელმწიფენი ნებაყოფლობით დაემორჩილენ მას“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973 წ., გვ. 486).

არაბები თავიანთი მხრივ ადვილად როდის თმობდნენ პოზიციებს, - სისტემატურად აგზავნიდნენ დამსჯელ რაზმებს აჯანყებების ჩასაქრობად. ამ მიზნით 852-854 წლებში საქართველოს შემოესია 120 ათასიანი ჯარით ბუღა თურქი, რომელმაც გამანადგურებლად დალაშქრა როგორც აღმოსავლეთი, ისე დასავლეთი საქართველო. „განსაკუთრებით შემუსრა თბილისი, „დაწუა ცეცხლითა და მოახრნა ყოველი არენი მისნი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 450). არაბთა ისტორიკოსის ცნობით ამ ბრძოლებში მარტო თბილისში დაიღუპა 50000 კაცი. ბუღა თურქმა განსაკუთრებულად დასაჯა თბილისის ამირა სააკ, „რამეთუ არა მორჩილებდა“ იგი სახალიფოს.

განადგურებულ და გატიალებულ ქართულ მიწაზე, თავის წინამორბედთა მსგავსად (ასე იქცევა ყოველი დამპყრობელი), ჩამოსახლდა ქართველთათვის უცხო თესლნი და დაარსა ახალშენები. „განალო კარი დარუბანდისა და გამოიყვანა ოგსნი, ვითარ სახლი ასი, და დასხნა იგი დმანისს“, - გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრება“ (ტ. I, გვ. 256-257).

არაბებმა ამიერკავკასიის დამორჩილება უკანასკნელად 914 წელს სცადეს. „მოვიდა ამირა აგარიანი, სახელით აბულ-კასიმი... სპათა დიდითა და ურიცხვთა, რომელთა არა იტევდა ქუეყანა“ იქვე, გვ. 262). აბულ კასიმმა აიღო კახეთის ციხეები უჯარმა და ბოგორმა, მოახრნა სამცხე ჯავახეთი...

დამპყრობლები აღარ ინდობდნენ არავის, ანგრევდნენ და სწვამდნენ ყველა შენობას, განსაკუთრებით ეკლესია-მონასტრებს, შიშლითა და წამებით სულს ხდიდნენ მათ მოწინააღმდეგეებს, აჯანგებულებს... აღარაფერი ხარობდა მათ მიერ გადამწვარ და გადაბუგულ მიწაზე. ზოგჯერ თურმე ისე უჭირდა ქვეყანას, რომ, მემატია-ნის გადმოცემით, „ლიტრა ვირის ხორცი ხუთას დრამად იყიდებოდა“.

დიღზე-დიდი და აღუწერელი მსხვერპლი გაიღო საქართველომ არაბებთან სამსაუკუნოვან ბრძოლებში. ამ, „სისხლის წვიმების დროს“ (ასე შეარქვა ქართველმა ხალხმა არაბთა ბატონობის პერიოდს), ფიზიკური გადარჩენისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებისათვის მოსპობის პირას მივიდა მთელი ქართველი ხალხი. არაბებთან ბრძოლაში ასეულ ათასობით ქართველი მამულიშვილი ეწამა სამშობლოს დასაცავად, ერგნული ენისა და სულის გადასარჩენად.

ამ ურიცხვ თავდადებულთა შესახებ დიდმა ნაწილმა წერილობით ძეგლებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია. ამის მთავარი მიზეზიც განუწყვეტილი ომები იყო, - საუკუნოვანი „ცეცხლის წვიმები“ ყველაფერს სწვამდა, ყველაფერს ანადგურებდა, ყველაფერს ნაქვდა, პირველ რიგში კი ეროვნულ-რელიგიურ ლიტერატურას, მატიანეს და „ცხოვრებას“ იმ ადამიანებისას, ვინც თავი დასდო და ეწამა დამპყრობლებთან უთანასწორო ბრძოლებში... გამუდმებით იწვოდა „წმინდანთა“ - ქართველ გმირთა „მოქალაქეობის“ სისხლით ნაწერი წიგნები.

ხშირად, წამებულთა და თავდადებულთა ისეთი სიმრავლე იყო, რომ ეკლესიათა მსახურნი ვერც ასწრებდნენ მათი „ცხოვრების“ აღწერას. ამ მიმართებით თავის სამართლიან წუხილს გადმოგვცემს გიორგი შერაქელიც, - რომ წმიდა მამათა სიმხნე - მოთმინებისა და სასწაულთა შესახებ, მათთა სიმრავლეთა გამო, ქვეყანასა მათ ქარ-

საქართველოს  
საბჭოთაო  
პარტიის  
პირ.

თველთა, ადწერა გაუჭირდათო, და ამიტომ მათნი სასწაულნი მიი-  
ნენ უფსკრულსა დავიწყებისასათო. ამასვე გვაუწყებს რაუდენ პირ-  
ველწამებულის (პირველმოწამის) ცხოვრების ავტორიც, - იმდენი  
იყო საქართველოში წამებულნი, რომ „დამაკლებს მე უამი აღრიცხ-  
ვად სიმრავლესა მათისათ“, რომ მრავლად არიან ისეთნიც, რომელნი  
შესახებ „ჩუენ არა უწყითო“. ასეთი წუხილი მოისმის ყველა დრო-  
ქართველთა მემატრიანეთგანც. არაფერს ვამბობთ იმ უბედურ პერიოდ-  
ბზე, როცა ქართველი ერის დიდკაცობას, დამპყრობლების მიერ პრი-  
ვილეგირებულ პირებს, თითქმის დავიწყებული ჰქონდათ ეროვნული  
ენა, მისი ადათ-ჩვევები და ქვეყნის საწინააღმდეგეთ ერვენებო-  
დათ სამშობლოსათვის თავდადებულთა ხსენებაც კი. ეს ის ხალხი იყო  
ვისაც მშობლიურად მიაჩნდათ დამპყრობელთა ენა, მათი სარწმუნოებ-  
ადათ-ჩვევები. სწორედ მათი წყალობით თითქმის დავიწყებული, ჩამ-  
ქრალი იყო ეროვნულ-ეკლესიური თვითშეგნება. ამ გადაგვარებულ ერ-  
ის შესვეურებს აღარც თავიანთი ხალხის ისტორია, მისი გმირული  
წარსული ახსოვდათ. სამაგიეროდ, დამპყრობლებმა კარგად იცოდნენ,  
თუ რას ნიშნავდა ქართველთათვის სარწმუნოება, მშობლიური ისტორი-  
მშობლიური ენა. ამიტომ თავიანთი ყურმოჭრილი მონების - „პრივი-  
ლეგირებულ“ ქართველ მმართველთა დახმარებით ყველაფერს აკეთებდ-  
ნენ ყოველგვარი ეროვნულის მოსპობისათვის; მათ კარგად იცოდნენ  
რომ ქართველობა და ქრისტიანობა ერთი და იგივე მცნებად იყო ქარ-  
თველთათვის მიღებული და ყოველთვის, სწორედ ამ ეროვნული ბურჯის  
მოსპობას ცდილობდნენ ისინი. მსგავს ისტორიულ სიტუაციებში ვაის  
მოდა დიდებულ მამულიშვილთა მოწოდება-ქადაგებანი ეროვნული სული  
გადასარჩენად. როგორც ზემოთ მიუთითეთ, არაბების პერიოდში, ასე-  
თი მქადაგებელი იყო იოანე საბანისძე...<sup>6</sup>

არაბობის პერიოდში სწორედ მან მოუწოდა ქართველ ხალხს, გა-

საკუთრებით გადაგვარებულებს, გონს მოსვლა, როცა პოლიტიკურად  
დამონებული და უფლებააყრილი, ეკონომიურად ჩაგრული და განადგუ-  
რებული ერი სულს ღაფავდა; როცა ისინი შექმნილი მდგომარეობის  
გამო „აღერივნენ ერსა უცხოსა“, „თესლსა უწმუნოსა“, „სარწმუ-  
ნობულსა ჩუენისა მაგინებელისა“ და ირყეოდნენ „ვითარცა ლერწა-  
მნი ქართაგან ძლიერთა“ (კ.კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტო-  
რია, I, გვ.131). ქართველი ერი სწორედ ასეთ სიტუაციებში წარმო-  
შობდა და წარმოშვა კიდევ თავდადებულები.

ჩვენს მიერ ქვემოთ, როგორც ძველი მემატიანეები იტყოდნენ,  
- „შემოკლებით და ლიტონად აღწერილი“ მათი ცხოვრება-მარტვილობა  
კიდევ უფრო ნათელს ჰყვენს სარკინოზთა ბატონობის ისტორიას საქარ-  
თველოში. არგვეთის თავადები - ძმები დავითი და კონსტანტინე,  
მეფე არჩილი, აბო თბილელი, ურბნისის ეპისკოპოსი ნეოფიტე, ამოთ  
ბაგრატიონი (კურაპალატი), კონსტანტი კახაი, გობრონი, - აი, ის  
მოივები, რომლებიც ქართველი ერის უკვდავსაყოფად მარად იკაშკაშე-  
ბენ ღვთისმშობელის წილხვედრი ქვეყნის ცაზე.

მ ა რ ტ ვ ი ლ ო ბ ა ი ძ მ ე ბ ი ს -  
დ ა ვ ი თ ი ს ა დ ა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს ი

მურვან ყრუს გამანადგურებელი შემოსევის მსხვერპლი გახდ-  
ნენ „იმერთ ამერთა მნათობნი ქართუელთანი. კაც ქმნილის ღუთისა,  
იესოს აღმსარენი“ (ნიკოლოზ თბილელი) - არგვეთის თავადნი - ძმე-  
ბი მხეიძეთა დავით და კონსტანტინე. როდესაც მათ შეიტყვეს მურ-  
ვან ყრუს მიერ ქვეყნის აოხრების ამბავი, გადაწყვიტეს სამკცდრო-  
სასიცოცხლო ბრძოლა გაემართათ ქრისტეს მოძულე ამ პირსისხლიან  
დამპყრობლისათვის. „ვითარცა ესმა წმიდათა მათ მოსულა წარმართთა

სამცხეთ კერძო, შეიმოსეს ძალი ღუთისა, ცითარცა ჯაჭვ ცურ და  
შეიკრიბენ ლაშქარი ამის ქუეყანისა და ხადოდეს სახელსა და  
სა და განაძლიერებდეს ერსა მორწმუნესა“, - გადმოგვცემს XII ს.  
უკუნის მემატრიანე (მ.საბინინი, საქართველოს სამოთხე; პეტერბურ-  
გი, 1882 წ., გვ. 324. ქვემოთ ყველა ციტატა მოტანილია ამ წიგ-  
ნიდან). ლომგულად ქვეულმა ქართველებმა მუსრი გააგულეს დამპყრო-  
ბლებს „და აღუდგინეს ძღვევა ქრისტიანეთა“. როცა ამ მარცხის შე-  
სახებ მოახსენეს მურვან ყრუს, მან წამოიძახა: „ვინ არს მკადრე,  
რომელიმცა წინა აღუდგა დიდსაი მოციქულსა მუჰამადს, დედის ძმასა  
ჩემსა, და წარმოემართა ქართველთა დასასჯელად უამრავი ჯარით  
(ცითარცა ქვიშა სიმრავლით)“. ამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხ-  
დნენ, ხოლო დავითი და კონსტანტინე და „სხუანი ვიეთნიმე შემდგო-  
მნი მათი შეპყრობილ იქნეს“. მათ ჯერ ჯოჯოხეთური წამება მიაყე-  
ნეს მტარვალებმა და შემდეგ წარუდგინეს მურვან ყრუს, რომელმაც,  
განცვიფრებულმა მათი მხედართმთავრული ნიჭითა და ვახუცაძური თავ-  
დადებით, პირმოთნობით დაუწყო ქება მათ გონიერებასა და ვახუცა-  
ცობას, რათა გადაებირებია ისინი თავიანთ მხარეზე, სპასპეტობა-  
საც კი შეჰპირდა თავის ლაშქარში. სამშობლოსათვის თავდადებულებს  
უპირველესად მოსთხოვეს ქრისტიანობის უარყოფა და მუჰამედის რჯუ-  
ლზე გადასვლა. მათ მტკიცე უარი მოახსენეს: „მზა ვართ სახელისა-  
თვის ქრისტესისა, ყოველსავე გუემასა და ტანჯვასა, ცეცხლსა,  
წყალსა და მახვილსა და სიკვდილსა; ესე არს სარწმუნოება ჩუნ  
ცემშარტი ქრისტიანობაი“. დავითისა და კონსტანტინეს მტკიცე უა-  
რის შემდეგ, დაუწყეს მათ ტანჯვა „მრავალ ფერითა სატანჯველითა  
უსუნებლად, რათა ჭირითა მით და ტანჯვითაი უნებლიეთ აღიარონ  
ქსჯული მუჰამედისა“. ამ წამებაში ამყოფეს ათი დღე და კვლავ მო-  
სთხოვეს მუსლიმანობის მიღება, მაგრამ კვლავ ცივი უარი მიიღეს,

ჩვენ გვწამს სჯული ჩვენი ჭეშმარიტი და „გწამებთ მას ზედა მტკიცედ და უქცევლად ვართ და ვერამან ჭირმან და არცა დიდებამან ამას საწუთოსამან ვერ განმამოორნეს ჩუენ სიყვარულსა და სარწმუნოებასა იესო ქრისტესსა“-ო. როცა არაფერი გამოუვიდათ, დავითი და კონსტანტინე მოაკვდინეს წამებით და მათი გვამები რიონში გადაყარეს.

არგვეთის მთავარნი დავით და კონსტანტინე ეწამნენ არაბთა მეორედ შემოსევისას 737-741 წლებში, „უღმერთოისა მის მძლავრისა სპარსთა მეფისა მურვან, აბულ-კასიმისაგან, რომელსა ეწოდა ქართულად ყრუ“. ქართველმა ხალხმა ქრისტესათვის წამებულთა წმინდანეთი მიაბარეს მშობლიურ მიწას - „დაკრძალნეს გუამნი წმიდათა მოწამეთანი“ ქუთაისის ახლოს მოწამეთის ეკლესიაში.

მურვან ყრუშ შემდეგ აიკლო მთელი დასავლეთი საქართველო, მოსრნა და მოსპო ციხენი და ქალაქნი ზღვისპირეთისა და მიაღწია კონსტანტინეპოლს. სცადა მისი ადება, მაგრამ ვერ შესძლო (ქალაქის დაცვის დროს იხმარეს ე.წ. ბერძნული ცეცხლი)... მურვანს, როგორც იტყვიან, ღმერთმა მიუზღო სამაგიერო. მისი ხალიფობის დროს (არაბეთს ხელმძღვანელობდა 744 წლიდან 750 წლამდე) ტახტის ახალმა მამციებლებმა იგი მოჰკლეს, ამ პირსისხლიან მტარვალს მისსადგემთოდით გაუსწორდნენ, ჯერ თავი გააგდებინეს, ხოლო შემდეგ ამოჭრეს ენა და კატას მიუგდეს შესაჭმელად.

წ ა მ ე ბ ა წ მ ი დ ი ს ა და დ ი დ ე ბ უ ლ ი ს ა  
მ ო წ ა მ ი ს ა ა რ ჩ ი ლ ი ს ა, რ ო მ ე ლ ი  
ე ს ე ი ყ ო მ ე ფ ე ქ ა რ თ ლ ი ს ა

არჩილი (668-718) ქართველ მეფეთაგან პირველია, რომელიც ეწამა არაბობის პერიოდში სამშობლოსათვის. მანამდე „არსადა სმენილ იყო თვითმპყრობელთა მეფეთა მოწამეობაი“. მისი ცხოვრებისა და წამების შესახებ მოახრობილი აქვთ როგორც ჯუანშერს, ისე ლეონტი მროველს (ქართლის ცხოვრება, I, გვ.241-248). მის ტრაგიკულ ბედზე გადმოგვცემს აგრეთვე XVIII საუკუნის მწერალი და სასულიერო მოღვაწე ბესარიონ კათალიკოსი. თავისი შესხმით არჩილს უკალობა ანტონ კათალიკოსმაც. იგი იწყება ასე:

„არჩილ სასურველ არს, ვითა იოსია,  
სიმართლით მსვლელი, სხუა ვინმე ეზიკია,  
ქრისტეს თვის შორის ცხოველ-მყოფი, სხუა პავლე,  
მეფეთა შორის ჩუენთა მარტვილ დასაბამ,  
შუენიერ ხატით, უღამაზეს გონებით“ (ანტონ  
ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბ.,  
1980, გვ. 234).

დიდებული მეფე ქართველთა, სტეფანოზ მეფე - მთავრის შვილი არჩილი, თორმეტი წელი ქუთაისში იჯდა როგორც სრულიად საქართველოს მეფე. იგი შემდეგ გადადის ქართლში და იწყებს არაბთაგან აოხრებული ქვეყნის შენებას. „და ვითარ გარდახდეს წელიწადნი ორმოცდა ათნი მოსვლითაგან მურვან ყრუსათ, კუალად მოვიდა ვიგუმ ნათესავი მუჰმედისი. მოაოხრნა და შემუსრნა ყოველი შენებული ქართლისა და მოჰმართა შესვლად კახეთად“ (საქ. სამოთხე, გვ.331).

არჩილმა მშვიდობიანი გზით სცადა ქვეყნის გადარჩენა. გადაწყვეტი-  
ლა მივიღეს დამპყრობელთან და სთხოვოს „მშვიდობა ქვეყნისათვის“  
დაცმა შეურყევლად ეკლესიათა“ (ქართლის ცხოვრება, გვ.245). ქარ-  
თველი მეფის მისვლით ღიდად გაიხარა დამპყრობელმა და „დიდითა  
დიდებითა და სიხარულითა უზომოითა შეიწყნარა“. როგორც ასეთ შემ-  
თხვევაში ხდება, „კეთილმა“ დამპყრობელმა აღუქვა მეფეს, რომ  
იგი დაიცავდა მის ქვეყანას და არ მოაკლებდა პატივს, თუ ის უარ-  
ყოფდა ქრისტიანობას და გადავიდოდა მაჰმადიანობაზე.

„მაშინ მიუგო წმიდამან არჩილ და ეტყოდა: „უწყოდე მტკიცედ,  
ჰეი მძლავრო, ვითარმედ არა დაუტევო უფალი ღმერთი ჩემი, არცა  
უფარ ცყო სახელი ქრისტესი, არცა განვუიღო წარუვალი იგი დიდებაი  
წარმავალისა ამის და ცუდისა დიდებისათვის, არცა განცხცებლო სა-  
წუთროისა ამის ცხოვრებისათვის საუკუნოდ იგი ცხოვრებაი და მეფო-  
ბისათვის უამიერისა უუამოსა მისთვის ქრისტეს თანამეფობისა და  
სუფივისა“ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, I, თბ.,  
1946 წ., გვ.251).

როდესაც არჩილისაგან მტკიცე უარი მიიღო, არაბთა ცბიერმა  
სარდალმა ბრძანა „შეპყრობა მისი და შეყენება საპყრობილესა“.  
როდესაც ვერც საპატიმროთი, ვერც სხვადასხვა დაპირებებით და ვე-  
რც წვალებითა და წამებით უარი ვერ ათქმევინეს ქრისტეს სარწმუ-  
ნობაზე, მაშინ არაბთა სარდალმა ჭიჭუმ ასიშმა „უბრძანა თავისი  
მოკუეთა და აღსრულება წმიდისა არჩილისი, და არა ჰრიდა სიკეთე-  
სა მისსა, არცა შეირცხვინა დიდებისაგან წარჩინებულებისა მისი-  
სა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ.247). და, როცა აღესრულა წმიდა  
მოწამე არჩილი, ღამით მივიდნენ ქართველნი, მოიპარეს გვამი მი-  
სი წამოიღეს ერწოში, და დაკრძალეს არჩილის მიერვე აშენებულ ნო-  
ტკორის ეკლესიაში. დაასაფლავეს ადამიანი, რომელიც, შაგიოგრაფის



თქმით, წარმოადგენდა „სახელოვანსა მეფეთა შორის და წარმოსა  
 ლსა თვითმპყრობელთა შორის“; დაასაფლავეს „მეფე ქართველთა, რო-  
 მიელსა სრულიად ეპყრა საზღუარნი ყოვლისა საქართველოსანი ანა-  
 კოფსიით ვიდრე დარუბანდამდე“ (ძვ. ქართული ლიტერატურის ქრეს-  
 ტომატია, გვ. 447-448).

წ ა მ ე ბ ა წ მ ი ღ ი ს ა და ნ ე ტ ა რ ი ს ა  
 მ თ წ ა მ ი ს ა ქ რ ი ს ტ ე ს ი ს ა ა ბ ო ს ი,  
 რ ო მ ე ლ ი ი წ ა მ ა ქ ა რ თ ლ ს შ ი ნ ა,  
 ქ ა ლ ა ქ ს ა ტ ფ ი ლ ი ს ს, ხ ე ლ ი თ ა ს ა რ-  
 კ ი ნ ო ზ თ ა თ ა. თ ქ მ უ ლ ი ი ო ა ნ ე ს ა ბ ა-  
 ნ ი ს ძ ი ს ა, ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ა ქ რ ი ს ტ ე ს  
 მ ი ე რ ს ა მ უ ე ლ ქ ა რ თ ლ ი ს ა კ ა თ ა ლ ი-  
 კ ო ზ ი ს ა თ ა.

„საყუარელნო მსმენელნო და მეგობარნო და მონანო ქრისტეს  
 ძისა ღუთისანო და სამკვიდრებელნო სულისა წმიდისანო“, - ასე  
 იწყებებს აბოს წამების წიგნს მისი ავტორი, სამუელ ქართლის კათა-  
 ლიკოსის გამოთქმა რომ ეიხმაროთ, კაცი დიდად ნიჭიერი, უნარიანი  
 და განათლებული - იოანე საბანისძე. ნაწარმოები შედგება ოთხი  
 თავისაგან: I - თხრობაი და მოძღურებაი და ახლისა ამის მოწამი-  
 სა ჰაბოის ხსენებაი; II - ქართლად შემოსვლაი და ნათლის-ღებაი  
 წმიდისა ჰაბოისი; III - წამებაი წმიდისა ჰაბოისი; და IV - ქე-  
 ბაი წმიდისა მოწამისა ჰაბოისი.

აბო თბილელის თანამედროვე და მისი „ცხოვრების“ აღმწერი  
 იოანე საბანისძე გვაუწყებს, რომ ქართლის ერისთავი ნერსე 772

წელს გამოიქცა სახალხოში (ხალიფა მანსურის დროს), როგორც საქართველოში არაბთა ბატონობის მოწინააღმდეგე და დაპატიმრებული. როდესაც გამეფდა მანსურის შვილი მაჰდი, მან გაათავისუფლა ნერსე, სამი წლის „მწარისა მისგან საპყრობილესა და განუტევა იგი კუალად ერისთაობათ“ (საქართველოს სამოთხე, გვ. 338). ქართლის ერისთავს ბაღდადიდან მხლებლად თან გამოჰყვა არაბთა მალღობრივი წარმომადგენელი, თავის დროზე საკმაოდ განსწავლული იმ წლის აბო, რომელმაც „დაუტევა მამა და დედა, ძმანი და დანი და ნათესავნი და მონაგებნი და აგარაკნი... და წამოვიდა აქა ნერსესთან მგზავრ ქრისტეს სიყვარულისათვის“ (იქვე, გვ.338). გარდა მუსლიმანური სწავლა-განათლებლისა მას ხელეწიფებოდა სხვადასხვა სურნელთა შემზადება. საქართველოში მოსვლისას მან ზედმიწევნით აითვისა ქართული მწიგნობრობა, ზნე-ჩვეულება და გაიცნო და შეიყვარა ქრისტიანობა - „უღებ ჰყო ჰსჯული მაჰმადისი და... შეიყვარა ქრისტე“ (იქვე, გვ.339).

ეს ის დრო იყო, როცა არაბები დაპყრობილ ქვეყნებიდან მართლმადიდებლების აღებითა და ადგილობრივ ხალხთა ჯარში გაყვანით აღარ კმაყოფილდებოდნენ. მათ ხელში იყო მოქცეული ამ ვანაპირა ქვეყნების მართვა-გამგეობა, - იყვნენ მათი უზენაესი მმართველნი. ისინი ნიშნავდნენ ქვეყნის ერისთავებს, სჯიდნენ ყველას, ვინც თვალში არ მოუვიდოდათ. განსაკუთრებით პატივს სცემდნენ იმათ, ვინც უარყოფდა ქრისტიანობას, სამშობლოს სიყვარულს და ვინც გახდებოდა ყურმისჭრილი მონა, გადაგვარებული; „რომელნი ხუთას წლისა უამთა და უწინარესთა ჰსჯულდებულ ყოფილ წმიდითა მადლითა ნათლისღებითათა, მიერითგან და ვიდრე აქამომდე ნაშობნი ქრისტიანეთანი გარდაგულარ ძნესო“ - შეგვაცდინეს, მრუდე გზაზე დაგვაყენესო, ამბობს იოანე საბანისძე (საქართველოს სამოთხე, გვ.334). ამი-



ტომ მომრავლდა ქართული ენის, რწმენისა და ნათესავთა მსახურნი, სულიერად სუსტნი და მხდალნი. მაგრამ იყვნენ სულიერად ერნი, - დამცველნი ეროვნული სულისკვებებისა. ასეთთა კატეგორიას ეკუთვნოდა ნერსე ქართლის ერისთავი. ბუნებრივია, პატიმრობიდან განთავისუფლებული ნერსე, რომელსაც არ შეუძვლია თავისი პოლიტიკა, - ვერ შეურიგდებოდა დამპყრობლების მიძიმე და შეურაცხველ ქულს, „რამეთუ სასტიკად ჰპრძოდის მას სარკინოზთა ერი“ და აკი იგი იძულებული გახდა 300 თანამოაზრე თანმხლები პირით გადახიზნულიყო ხაზარეთს, იქიდან კი აფხაზეთს, სადაც წინასწარ გაგზავნილი ჰყავდა ცოლ-შვილი „და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი“ (იქვე, გვ.339). მასთან იყო აბოც, რომელმაც, განშორებული იყო რა ქართლიდან, ხაზართა ქვეყანაში მიიღო ნათლისღება, - გამოაცხადა „თავი თვისი ქრისტიანედ“.

როცა შიშისაგან სარკინოზთა განერიდა ნერსე ქართლს და მიმაგივრად დანიშნეს ერისთავად დისწული მისი სტეფანოზ გურგენისძე ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზმა და თბილისის ამირამ აღუთქვეს ნერსეს უშიშროება, რათა დაბრუნებულიყო თავის ყოფილ სამფლობელოში.

აბო თბილელი გააფრთხილეს აფხაზეთში, რომ იქ, ქართლში სარკინოზნი (არაბნი) მას არ დაინდობდნენ ისლამის უარყოფისა და ქრისტიანობის მიღებისათვის, მაგრამ ქართველთა ეს მოწოდება მან არა შეიწყნარა „და გამოვიდა იგი ნერსეს თანა ქართლად... და იქცემოდა იგი ქრისტიანედ მუნ მყოფთა მათ სარკინოზთა“ (იქვე, გვ.341). ამის შემდეგ დაიწყო არაბთაგან აბოს დევნა. ასე გაგრძელდა წელი სამი. ბოლოს შეიპყრეს იგი. სტეფანოზ გურგენისძის ჩარევით იგი გამოყვანილ იქნა საპყრობილედან. მაგრამ თბილისში ახალი ამირას მოსვლისას კვლავ დააბეზლეს და კვლავ შეიპყრეს „ნეტარი ესე მო-

„ამი ქრისტესი“ აბო. და იყო ესე.



მიუხედავად ქართლის ერისმთავრის პატრონობისა, ბოლოს, იგივე წამების შემდეგ გამოიყვანეს საპყრობილედან „ბორკილითა და ხელითა“ და ჩამოატარეს ქალაქს ხალხის წინაშე, რათა ბრენებიათ წამება ადამიანისა, რომელმაც მუსლიმანობა უარყო და მიიღო ქრისტეს სჯული. როცა ხალხი ტიროდა, აბომ უთხრა: „ნუ სტი-  
რით ჩემზედა, არამედ გიხაროდენ, რამეთუ მე უფლისა ჩემისა მი-  
ვად“-ო.

აბო შეიყვანეს ამირასთან. მან მასთანაც მტკიცედ დაიცვა ქრისტეს სჯული, - „უკეთუ მოვკუდე, მრწამს მე, ვითარმედ ქრის-  
ტესთანა ექსცხონდო“, მაშინ განრისხდა ამირა და უბრძანა „განუ-  
ყუნებათ მისი გარე და თავისა მოკუეთა“. მთავარმმართველის ბრ-  
ძანება მისმა მსახურებმა, აბოს ლოცვა-ქადაგების შემდეგ, სისრუ-  
ლეში მოიყვანეს - „და ჰსცეს მას მახვილითა სამგზის...“, შემ-  
დეგ დადეს ურემზე თანმოკვეთილი წამებული აბო თბილელი, მიიყვა-  
ნეს ქალაქის გარეუბანში, რომელსაც საგოდებელი ერქვა „პირსა ზე-  
და კლდისასა“, დასწევს და ძვლები მისი წყალში გადაყარეს „ხილ-  
თა ქალაქისათა“. „შენ მდინარეთა მაგათ შეგიწყნარეს, ვითარცა  
ქრისტეს მარტვილი, ხოლო ქრისტემან სიღრმეთა მათ სიბნელე ზეცი-  
სა ნათლითა განაბრწყინუა შენ“-ო, მიმართავს წმ. აბოს მისი თა-  
ნამედროვე იოანე საბანისძე (საქართველოს სამოთხე, გვ. 340).

აბოს შესახებ თავისებურ დასკვნად გამოგვადგება ივ.ჯავახი-  
შვილის სიტყვები: სწორედ არაბთა სასტიკმა დევნამ გამოაფხიზლა  
ქართველობა, „ამ შევიწროებამ ჩაახედა დრმად ცხოვრებაში და შეჰ-  
ქმნა ის სულიერი სიმტკიცე, რომელიც ყოველგვარს ფიზიკურ დონეზე  
უძლიერია. სწორედ ამ დროს გაისმა მჭერმეტყველებით აღსაცესე ქა-  
დაგება ქართველ ერში: დროა გონს მოვიდეთ და სარწმუნოებრივ-ერო-

გნული თავითცნობიერება გავაცხროველოთ... იოანე საბანისძემ  
მედროვე ქართველ საზოგადოებას ყურადღება იმ გარემოებაზე  
ცვიინა, რომ მერვე საუკუნეში, არაბების ბატონობის დროს, ტომი-  
თვე არაბმა და ჩამომავლობით მაჰმადიანმა აბოთ თავისი სარწმუნო-  
ება უარყო და დასთხია უმანკო სისხლი. ამავდროს კი თვით ქარ-  
თველნი, რომელთაც ხუთას წელიწადზე მეტია რაც ქრისტიანობა მიღ-  
ებული ჰქონდათ, არაბთა მძლავრობით თავზარდაცემულნი „შიშითა გა-  
ნიღვიანო“. ... აბო ტფილელის თავგანწირულს მსხვერპლს უნდა გაე-  
მხნევიებინა დევნილი ქრისტიანენი, სულის სიმტკიცე მიეცა და იო-  
ანე საბანისძის სიტყვით შართლაც „სიყვარული იგი ქრისტიანისი  
ჩუენდამო და სარწმუნოებაი ჩუენი მის მიმართ კუალად განახლდა“;  
ეს განახლება აბო თბილელის დგაწლმა წარმოშვა. ამ გარემოებამ  
„სწავლულნი უფროის გულისხმიერ“ ჰყო და ჩაადიქრა, „შერყულნი  
უფროის განამტკიცა“ გაამხნევა, ხოლო „განმტკიცებულნი“ გაამხი-  
არულა და გაახარა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II,  
გვ. 87-88).

იოანე საბანისძის ნაწარმოების ივ. ჯავახიშვილისეული შეფა-  
სება ნათელჰყოფს, თუ რა დიდი როლი შეასრულა ქართველ ხალხში  
აბოს თავდადებაში ეროვნული თავმოყვარეობის, ქრისტიანული სარწმუ-  
ნოების დაცვის საქმეში.

შ ე ს ხ მ ა დ ა მ ო თ ხ რ ო ბ ა ღ შ ა წ ლ თ ა  
დ ა ვ ნ ე ბ ა თ ა წ მ ი დ ი ს ა მ ღ ვ დ ე ლ -  
მ ო წ ა მ ი ს ა ნ ე ო ფ ი ტ ე უ რ ბ ნ ი ს ი ს  
ე ბ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა .

აბოს მსგავსად, არაბთა სამყაროდან წარმომავალმა ნეოფიტემ, უარყო სარწმუნოება თვისი და სისხლითა და ხორცით წარმოგვიდგა ქართული სულისა და ქართველთა მამულისათვის თავდადებულ წმიდანად. თავის საგალობელში („წყობილსიტყვაობაში“) ანტონ კათალიკოსი ქება-დიდებას ასხამს უცხოთავან მოსულ ქრისტეს მოძღვარს, - მღვდლად შემდგარ მწყემსს, რომელმაც უარყო მუსლიმანობა და თავი დასდო სამება ერთაჩსებისათვის. და, „პორფირი წმიდა მღვდელობისა შეჰღება პორფირად საღმრთოდ სისხლითა ნეოფიტე“, რომელიც იქცა მღვდელ-მოწამელ ღმერთსა და ქართველთა შორის (ანტონ ბაგრატიონი, წყობილსიტყვაობა, თბ., 1980, გვ. 209-210).

ნეოფიტე (მისი პირველი სახელი ომარი) წარმოგვიდგება აბოს წამებაში უკვე მოხსენებული ამირ-მუშინის ნათესავის აჰმადის (VIII საუკუნე) ერთ-ერთ მხედართმთავრად (სპასპეტად), რომელიც ქართლში არაბთა ლაშქარს ხელმძღვანელობდა... მაგრამ, როცა შიო მღვიმეში იხილა სასწაული, უარყო თავისი სჯული, შედგა ბერად ნეოფიტეს სახელით. შემდეგ, სამუელ ქართლის კათალიკოსმა იგი დაადგინა ურბნისის ეპისკოპოსად. მუსლიმანობის უარმყოფელს როდი აპატიეს მისმა თანამემამულეებმა, არაბმა დამპყრობლებმა. შეიპყრეს იგი და ქვით ჩაქოლეს.

მისი მარტვილობის შესახებ ცნობები დაცულია ბასილ ვაჩესძის (XI ს.) სასწაულთა აღწერილობაში (მეცხრე თხრობა) და XVIII საუკუნეში დაწერილ მეტაფრასტულ მოთხრობაში, რომელიც ეკუთვნის



ანტონ კათალიკოსს (იხ. საქართველოს სამოთხე, გვ. 258-260 და 303-312).

ბასილ ვაჩეს ძე, ზემოთ მითითებულ წმიდა შიოს მეცხრე სასწაულში მიუთითებს იმ დროზე, როცა „ყოველი ქართლი“ ხელთ აქვთ ჩაგდებული „ბილწთა ავარიანთასა, რომელ არიან სარკინოზნი“; ეს ის პერიოდია, როცა არაბთა ლაშქარი „ოდესმე შემოვიდეს ბრძანებითა ამირ მუმინისათა“ და მიწასთან გაასწორეს „ყოველი სომხითი და ქართლი“; როცა არაბთა სარდლობამ თავის ლაშქრობისას მიაღწია შიომღვიმის გამოქვაბულებსა და მონასტერს, მისი აღება სცადეს და მოხდა სასწაული. ვერ მოახერხეს მტკვარის გადალახვა და ამ ქვაბებთან მისვლა... ამიტომ სარქუქითა და ძღვენით არაბთა მთავარმა იქ გაგზავნა ერთ-ერთი მთავარ-სარდალი ომარი (შემდგომში ნეოფიტე), რომელსაც სასწაულად თვალწინ წარმოუდგა ამ მიდაპოებში „აურაცხელი სპა მხედროებისა“ და მათი საბრძოლო ყოფა მოხუცებული კაცი მონაზონის მხედართმთავრობით... როცა ომარმა ყოველივე ეს აუწყა არაბთა მთავარს მან „მშვიდობა და უშიშოება მისცა“ ქართველებს და „ჰყო აღთქმა, რათა მიერიდგან არა რაი სადა ევნოს ეკლესიათა“-ო. ერთი თვის შემდეგ, არაბთა სპასპეტი ომარი გამოიპარა ლაშქრიდან საიდუმლოდ და მოვიდა შიომღვიმის მონასტერში „ორთა თანა ერთგულითა“ (მათაც მიიღეს ქრისტიანობა, „იქმნენ ყოვლად რჩეულ და გამოცდილ“, და „კეთილად აღასრულეს ცხოვრება ესე“). ომარმა მოსვლისას „ნათელ იღო და შეიშოსა წმიდა სქემა და უწოდეს მას ნეოფიტე“. და „იქმნა ყოვლად რჩეული მონაზონი... და ამის თვის დიდითა იძულებითა იქმნა ეპისკოპოზი, საყდარსა ზედა ურბნისისასა, სამუელ კათალიკოზისა მიერ“. მან ასევე დიდი დეაწლი დასდო თავის სამწყსოს ურბნისში მოღვაწეობის უამს და... იწამა არაბთაგან, - „რამეთუ ღამე შეიპყრეს და დაქოლეს ქვითა და ესრეთ მო-



წამეთაცა გვირგვინითა შეიმკო“. როგორც მის. საბინინი მიუთითებს, წმ. ნეოფიტეს გვაში მონაზონთა მიერ მოტანილ და დაკრძალულ იქნა შიომღვიმეს ლავრაში (საქართველოს სამთხე, გვ. 259).

ანტონ პირველი კათალიკოსის „შესხმა და მოთხრობა“ ბასილ გარეისძის მოკლე თხზულებასთან შედარებით მართალია ვრცელია, მაგრამ თავისი შინაარსით რაიმე განსაკუთრებულ განსხვავებას და ახალს არაფერს იძლევა, გარდა იმისა, რომ ნეოფიტე (ომარი) იყო არა სპარსი და ცეცხლთაყვანისმცემელი, როგორც ბასილ ვარეს ძე გადმოგვცემს, არამედ „ნათესავი სარკიანთაგან“ და უფრო ვრცლად მოგვითხრობს ნეოფიტე ეპისკოპოსის წამების პროცესს, - რომ იგი, სანამ ჩაქოლავდნენ, „შეიპყრეს და მძლავრ განათრიეს და სადა იგი განგებულ-ეყოთ ადგილსა მას მიიყუანეს, აგინებდეს, ჰყუდრიდეს და ეტყოდეს შენნი უკუე ქადაგებანი დასცხრებიან დღეს, ვთავისუფლდებით კადნიერებისაგან შენისა“. და, როცა ლოცულობდა, სიკვდილის წინ, „არა სდროებდეს უკეთურნი იგი, ჰგუემდეს უწყალოდ და წარათრევდეს... და ჰსთრგუნვიდეს“.

წ ა მ ე ბ ა ა შ ო თ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი ს ა  
( კ უ რ ა მ ა ლ ა ტ ი ს ა )

„აშოთ, მეფეო, ჩემო ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო“.

გიორგი მერჩულე

მეტად სიმბოლურია ოპიზის ცნობილი რელიეფი - აშოთის გამოსახულება გადაჭარბებული სიდიდისა თავითა და ხელებით, ეკლესიის

მოდელით, რომელსაც მხარდმეცს ქრისტეს. სწორედ ქრისტიანობის  
აღორძინებით დაიწყო მან არაბებთან ბრძოლა“..

აშოთ გურგენის ძემ, დიდმა კურაპალატმა - პირველმა ქართველმა მთავარმა (მეფემ) ბაგრატონთა გვარადან საქართველოში, მურვან ყრუს დროიდან მოყოლებული ბევრი „ოხრად ქმნილი“ აღაშენა და „უშენი გააშენა“, „განამრავლა სოფელი“, ცვლაც აღადგინა მშობლიური მესხეთის (ტაოკლარჯეთის) უდიდესი სამთავრო - „ქართველთა სამეფო“, მოსპო ამ მხარეში არაბთა ბატონობა.

ისტორიული ფაქტია, რომ აშოთ ქართლის ერისთავი სტოვებს ქართლს და გადადის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და მკვიდრდება მისივე აღდგენილ ქალაქ არტანუჯს, იგი აქედან იბრძვის არაბების წინააღმდეგ საქართველოს განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის.

თავდაპირველად, როგორც ქართლის ერისმთავარი, აშოთ კურაპალატი თავის ხელისუფლებას აგრძელებს საქართველოს შიდა რაიონებზე და ცდილობს არაბთა ბატონობის უღლის გადაგდებას, მაგრამ იგი არაბებმა განდევნეს ქართლიდან. მიუხედავად ამისა, როგორც სუმიბათ დავითის ძე წერს, მას „მისცა ღმერთმან და განამტკიცა ხელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა“ (ცხოვრება და უწყება ბაგრატონთა, გვ.376). როგორც ვხედავთ ქრისტიანობისათვის (ე.ი. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის) მეზობელი ქართლის დიდი მთავარი მხარდაჭერას ღებულობს არაბთა ასევე დაუძინებელი მტრის ბიზანტიის იმპერიისაგან. ამიტომაც იყო, რომ, როცა არაბებთან კონფლიქტში დაიჯაბნა აშოთი, - ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი „წარემართა რათა წარვიდეს საბერძენეთად“ (სუმიბათი, იქვე). რის შედეგად, როგორც მემორე წერილობითი წყარო მიგვითითებს, „ბერძენთა მეფემან მიუბოძა კურაპალატობა აშოტს“. ეს ის დრო იყო, როცა



„მოქალაქეებზე იყენეს სარკინოზნი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 252). გააფორმებული არაბეთი თბილისის ამირასაგან მოითხოვდა წინააღმდეგეთა სპეტიკ დასჯას და დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას.

ამ მიზნით ყველაფერს აკეთებენ არაბები, რათა ტაო-კლარჯეთს დამკვიდრებული აშოთ კურაპალატი როგორმე მოსპონ და ხელში ჩაიგდონ (დაიბრუნონ) მისი სამფლობელოები: შავშეთი, ნიგალა, კლარჯეთი, აჭარა, ტაო, სპერი, სამცხე, ჯავახეთი და არტანი. ეს განსაკუთრებით გამოიკვეთა მაშინ, როცა აშოთმა გაილაშქრა ტაო-კლარჯეთიდან და დაიპყრო შიდა ქართლის ნაწილი „ვიდრე ქსანამდე“ (ქართლის ცხოვრება, იქვე, გვ. 253).

ბაგრატიონთა მემკვიდრე სუმბათ დავითის ძე აშოთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებს კლარჯეთიდან ბარდავამდე ავრცობს, - „ეუფლა ქვეყანათა ვიდრე კარამდე ბარდავის ქალაქისაო“ (იქვე, გვ. 450). და, როცა იწვეს ძიება აშოთ კურაპალატისა“ არაბებმა, იგი თავის დადწივის მიზნით, იქიდან თავის ლაშქართან ერთად, წამოვიდა „რათა წარვიდეს საბერძნეთად“. და როცა ბრძოლებით მოაღწია „ხევსა ნიგალისასა“, აქ იწყო მან ძალების კონცენტრაცია სარკინოზთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის, მაგრამ „ვერ უძლო წინააღმდეგობად მათდა აშოტ“, - ძლეულ იქნა. მან თავი შეაფარა ეკლესიას და, არაბებმა სხვებისათვის სამაგალითოდ, ყოველი ქრისტიანისათვის ამ წმიდათა-წმიდა ადგილზე - ყველა დროის ყველა ხალხისათვის დგთისაგან კურთხეულ ადგილზე დაკლეს საქართველოს პირველი ბაგრატიონი მეფე - კურაპალატი „მანვილითა საკურთხეველსა ზედა, და შეისუარა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა. რამეთუ დაკლეს იგი მუნ ვითარცა ცხოვარი“, - გადმოგვცემს მემკვიდრე, როგორც ყოველთვის, აშოთსაც ჰყავდა მოდალატეები ქართველთაგან,

რომლებიც შეცვლადებულ იყვნენ არაბთა მხარეს...

როდესაც გრიგოლ ხანძთელმა აშოთ I-ის სიკვდილი გაიგო, ასე დაიტირა დიდებული და წამებული მეფე-მთავარი: „ჰოი, მეფეთ ჩემო ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათა და ზღუდეო ქრისტიანთათა, სადაითმე მოგელოდი, აღმოსავლეთმე ანუ დასავლეთ, ჩრდილოეთ - მე ანუ სამხრით? რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ, რომელიცა ბრძოლით ხელმწიფეთა დაიმორჩილებდი, საკვირველი ეგი დიდებული, ღმრთისმსახური ხელმწიფეი“.

აშოთ დიდი კუროპალატი დაკრძალეს ციხე-ქალაქის არტანუჯის მის მიერ აშენებულ პეტრე-პავლეს ეკლესიაში.

ც ხ ო ვ რ ე ბ ა ი დ ა წ ა მ ე ბ ა ი  
კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი კ ა ხ ი ს ა

ქრისტიანობის (ქართველობის) დაცვისათვის საქართველოს, დაპყრობილ სხვა ხალხებთან ერთად, არც მეცხრე საუკუნის შუა ხანებში ჩაუგია ქარქაშში ხმალი, - ჯვრითა და ხმლით კვლავ თავდადებით იბრძოდა სარკინოზ დამპყრობთა წინააღმდეგ. არაბთა სახალიფო-კი, თავისი უფლებების შესანარჩუნებლად, საამიროების დახმარებით ყველაფერს აკეთებდა საქართველოს წინააღმდეგ. ხოლო მაშინ, როცა სახალიფოს თვით თბილისის ამირაც განუდგა, მაშინ საქართველოში გამოიგზავნა დიდი, 120 ათასიანი დამსჯელი რაზმი თურქი მხედართმთავრის ბუღას მეთაურობით. 853 წელს კვლავ გადაიბუგა თბილისი, ამოიხოცა მისი მაცხოვრებლები. ბუღა თურქმა თბილისის ამირის მოსპობის შემდეგ დაღაშქრა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველო... სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად, საგანგებოდ

დასაჯა საქართველოში ისლამისა და არაბობის წინააღმდეგ შებრძო-  
ლი ერისთავი კონსტანტინე კახაი, წინამძღვარე ქვეყნისა.



„მარტვილობის“ ანონიმი ავტორი კონსტანტინის თანამედროვეა  
(„ადრეწირე ცხოვრებაი და წამებაი წმიდისა და ნეტარისა მოწამისა  
კონსტანტინის, რომელი იყო დღეთა ჩუენთაო“). იგი შემდეგნაირად  
ახასიათებს სამშობლოსათვის, ქრისტიანობისათვის წამებულს: „კონ-  
სტანტი, რომელსა ეწოდა კახაი სახელად მამულისა მის ქუეყანისა...  
იყო წარჩინებულ ფრიად დიდად ყოვლისა ქუეყანასა ქართლისასა...  
და აქუნდა მას სარწმუნოებაი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიმ-  
ართ შეუორგულებელი და უმტკიცესი მათა... ხოლო სტუმართმოყუარე-  
ბისა და გლახაკთა-მოწყალებისა მისისათვის ცერცის ძალ-უც მიიხრო-  
ბად ღირსად... აქუნდა ნეტარსა მას სიმდაბლე და თავს-დებაი უფრო-  
ის ყოველთა კაცთაი. და მოილოცნა წმინდანი იგი ადგილნი, და სა-  
ფასე დიდძალი მისცა ეკლესიათა, გლახაკთა და მკვიდრთა იერუსალე-  
მისათა... და მოვლნა ყოველნი მონასტერნი უდაბნოისანი და მკვიდრ-  
ნი იორდანისანი... და ვითარ მოქცა იგი ქვეყანადვე თვისსა, ცხი-  
ნდებოდა იგი ბრწყინვალედ მრავალთა ღმრთის მსახურებითა“ (ძველი  
ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1964, გვ.  
165-166).

შემდეგ: მემბტიანე ადწერს თბილისის ამირა საჰაკისა და ის-  
ლამიძულე საქართველოს ასაოხრებლად ბუდა თურქის თარეშს და ქარ-  
თლის წინამძღვარის, კონსტანტინის წამებას. „და ვითარ მოხუცებული  
იყო, იქმნა ნეტარი იგი ოთხმეოდ და ხუთისა წლისა“. შეიპყრეს „გა-  
თარცა წინამძღვარი“, წაიყვანეს თბილისს და ჩააგდეს საბუკრობილეში.  
ხოლო, როცა იგი წარუყენეს ბუდა თურქს, მან დამპყრობლის კითხვა-  
ზე, - თუ როგორ ვაბედა არაბთაგან ვანდგომი და რატომ არ აღიარებს  
მუჰამადის მოძღვრებასო, - მთელი პირდაპირობით უპასუხა - „არა

მეშინის მახვილისაგან შენისაო“.



საპყრობილეში ყოფნის დროს, კონსტანტიმ წერილით „ყოველთა მიმართ მეუდაბნოეთა ქალაქისათა და მამასახლისთა მონასტრისათა“, რათა „მოიხსენიონ სული“ მისი და მტკიცედ დაიცვან სარწმუნოება ქრისტესი.

შემდეგ კონსტანტი შებოძკეს „ფიცხლითა საკვირველითა რკინისათა“ და წაიყვანეს ბაბილონის ქვეყნის ქალაქ სამარიაში იმშაღლიტელთა მეფესთან (ხალიფასთან). და როცა იქაც ვერავითარი ხერხით დაიყოლიეს უარეყო ქრისტიანობა და მიეღო არაბთაგან დიდი პატივი, მაშინ იგი. კვლავ მოათავსეს „საპყრობილესა ფიცხელსა“ და მაჰმადიანობის მისადებად მიუჩინეს მაცდუნებლად, გადმოსაპირებლად, გადაგვარებული და არაბთა სამსახურში მყოფნი, ქრისტეს უარყოფელნი, სომხეთიდან ტყვედქმნილი ერისმთავარნი... და, რომ მათც ვერაფერი გაბწყვეს სამშობლოსათვის ამ თავდადებული რაინდის მიმართ, მაშინ კონსტანტიმ „სიხარულითა და კადნიერად მოუდრიკა მახვილს ქედი და დაითმინა სიკუდილი“, მას 853 წელს თავი მოჰკვეთეს და გამოუგზავნეს ქართველთა მეფეს ბაგრატ კურაპალატს, ხოლო „გუბამი მისი ჩამოჰკიდეს ძელსა ფრიად მაღალსა“... აღესრულა იგი“ კეთილითა აღსარებითა თთუესა ნონებერსა ათსა, დღესასწაულსა წმიდისა გიორგისსა“.

კონსტანტი კახის შეპყრობასა და წამებაზე სხვა ცნობებიც მოიპოვება ქართულ და სომხურ ენებზე. ატენის სიონის კედელზედაცაა აღნიშნული კონსტანტისა და მისი ძის 853 წლის 23 აგვისტოს ბულა თურქის მიერ შეპყრობა (ივ. ჯავახიშვილი, თხზ., VIII, გვ. 89).

სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის წამებული კონსტანტი კახის სადიდებლად, ასევე ანონიმი ავტორის მიერ, IX საუკუნის მესამე



მეთხედში, დაწერილია საგალობელი. მისი უძველესი ნუსხა შემო-  
წახულია დიდი ქართველი ჰიმნოგრაფის მიქელ მოდრეკილის კრებულში,  
რომელიც შედგენილია 978-988 წლებში. „ჰიმნარტა მოქალაქეობა-  
სა ღირს იქმნა წმინდაი კონსტანტი, რომელმან მათი იგი მეფობაი  
შეურაცხყო და გვირგვინი ზეცისაი მოიგო, და აწ მეოხ არს სულთა  
ჩვენთათვის“, - ასე მთავრდება საგალობელი არაბთა წინააღმდეგ  
მავდადებული მებრძოლის წმიდისა მოწამისა კონსტანტი კახისა.

წ ა მ ე ბ ა გ ო ბ რ ო ნ ი ს ა

არაბთა ბატონობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლა ატრ  
მეთე საუკუნის დასაწყისში შეჩერებულა. სწორედ ამ პერიოდში  
არაბეთის ხალიფამ უკანასკნელად სცადა სისხლში ჩაეხშო აჯანყ-  
ბანი და აკი გამოგზავნა კიდევ ჩვენთვის ცნობილი არაბი სარდალი  
აბულ-კასიმი 914 წელს. მან მართლა სისხლის მდინარეები აღინა  
სომხეთსა და საქართველოში, მაგრამ საწაღელს მაინც ვერ მიაღწე-  
ოა...

„ხოლო ამისა შემდგომად მოვიდა ამირა აგარიანი სახელით  
აბულ-კასიმი... სპითა დიდითა და ურიცხვთა, რომელთა არ იტყვებ  
ქუეყანა... მოსრა ყოველი სომხითი... და მოვიდა თბილისს... შემ-  
დგომად ამისა, (კახეთის მოოხრებისა, - გ.გ.), შემოვიდა ქართლად  
და მოაოხრა ქართლი. შევიდა მუნით სამცხეს და მოაოხრა სამცხე და  
ჯავახეთი, მოადგა ციხესა თმოგვისასა. და ვითარ იხილა სიმტკიცე  
მისი და სიმკაცრე, აიყარა მუნით, მოვიდა ყუელს, მოადგა გარე და  
უწყო ბრძოლად“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 262-263).

ყველის ციხის სისხლისმღვრელ, უთანასწორო ბრძოლებში, რომე-  
ლიც 28 დღე გაგრძელდა, ქართველმა მეციხოვნეებმა მესხეთის მთავ-

რის მიხედვით (გობრონად წოდებულის) მხედართმთავრობით დიდი რა-  
ბალი მიაყენეს არაბებს...

ძალამ თავისი გაიტანა და სიკვდილს გადარჩენილი 133 მეო-  
მარი ქართველი და მათი მეთაური გობრონი ტყვედ ჩაიგდეს. გობრო-  
ნი აბულ-კასიმს მიჰგვარეს, ხოლო დანარჩენი წინ დაიყენეს ჩამ-  
წყრივებულმა არაბებმა და საჯაროდ ნაკუწ-ნაკუწად აქციეს...

აბულ-კასიმი, განცვიფრებული ქართველთა მეთაურის გმირობი-  
თა და ვაჟკაცობით, მამაც მხედართმთავარს გობრონს, „როგორც სა-  
ყვარელ შვილს“ ურჩევდა დეტოვებია უმცირესი რელიგია - ქრისტი-  
ანობა, მიეღო მაჰმადიანობა და გამხდარიყო არაბთა სახელოვანი  
სარდალი, მათი სახელოვანი თანამოაზრე, უსაჩინოესი პირი სახალი-  
ფოსი. პირველმა შეხვედრამ შედეგი ვერ გამოიღო, - უხვმა დაპირე-  
ბებმა ვერ დაიყოლიეს ქართველი ხალხის დიდებული შვილი. შემდგო-  
მი წემოქმედების მოსახდენად, გობრონი გარეთ გაიყვანეს და ანა-  
ხვეს შუბით, ისრით და მახვილით ჩახოცილი მისი ნათესავები, „აზ-  
ნაურნი წარჩინებულნი“ და უახლოესი მეზობლები, რომლებიც მასთან  
ერთად გამოიყვანეს ყველის ციხიდან. ვერც „შიშვან სიკვდილისამან“  
მოდრიკა მეზობელი, ვერ გადაათქმევინა ქრისტიანობა. ბოლოს მის  
გასატყუხად, აბულ-კასიმმა, კვლავ გარეთ გააყვანინა იგი და მის  
თვალწინ ააჩეხინა საგანგებოდ შერჩეული ჯგუფი მისი ახლობლებისა-  
გან. როცა ვერც ამით იმოქმედეს, თმაში ხელი წაავლეს, ქედი მოა-  
ხრევინეს და ორჯერ მსუბუქად დასცეს ხმალი. კისრიდან გადმოსული  
სისხლით ხელი შეიღება და შუბლზე ჯვარი გამოისახა. ბოლოს, კვლავ  
მიჰგვარეს მტარვალთა უფროსს - აბულ-კასიმს. მან საბოლოოდაც უარი  
მიიღო - „იქმნიდმე, რაიცა გნებავს, მე ქრისტიანი ვარ და არასოდეს  
უარყვო სახელი მისი“ აწ და მარადისა. მაშინ მას - 914 წლის 17  
ნოემბერს, თავი მოჰკვეთეს.

გობრონის მარტვილობა შემოგვინახა მეცხრე საუკუნის გასაღებისა და მეათის პირველი მეოთხედის ცნობილმა მწერალმა, ტბეთის ეპისკოპოსმა სტეფანე მტბევეარმა, - „წამება წმიდისა მოწამისა გობრონისა, რომელი განიყუანეს ჭუელის ციხით. მე სტეფანე მტბევეარ ეპისკოპოსმან დავჰსწერე ბრძანებითა აშოთ ერისთავთა - ერისთავისათა“ (საქართველოს სამოთხე, გვ. 393-400).

ამ წაწარმოებში, არაბ-მაცქმადიანთაგან გობრონის წამების ფონზე, მოცემულია მკაფიო სურათი ქართველთა ახორებული ქვეყნისა, მტერთაგან ძალმომრეობისა და ჭაპანწყვეტისა, იმდროინდელი, თავის გადასარჩენად ტყე-ღრეში გახიზნული მშვიდობიანი მოსახლეობისა, რომლებიც „ჟრიცხუნი იგი ერნი მართლმადიდებელთანი აჭაჩას და შავშეთს შეწყუდეულ იყუნეს, რომელნი ვითარცა მკალნი მოსჭამდეს ფურცელსა ხეთასა ჟა მწუანილოვანსა ქუეყანისასა“...

როგორც აკად. კ. კეკელიძე წერს, გობრონის მარტვილობა „ნამდვილი მატიანთა ქრისტიანთა დევნისა, შემუსვრისა და აკლემისა საქართველოში მეათე საუკუნის დამდეგს არაბთა ძალმომრეობის შედეგად“ (ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 146).

ვახტანგ გურგენიძე

უამი ავბედობისა და წანება<sup>ა</sup> მალვა ანალციხელისა  
და ათბებერთა (ასი ათას) ქართველთა

საქართველომ, - აბლო აღმოსავლეთის სახელგანთქმულმა და უძლიერესმა სახელმწიფომ, რომელიც XI - XII საუკუნეებში უპირველეს ბურჯად ედგა ქრისტიანულ სამყაროს, XIII საუკუნის დასაწყისში ყველაზე ტრაგიკულად განიცადა ჯერ ხვარაზმელთა, ხოლო შემდეგ მონღოლთა შემოსევები... წინა ეპოქების დამპყრობლებსაგან განსხვავებით თათარ-მონღოლები გამოირჩეოდნენ მანანდე არნახული და არგაგონილი დესპოტიზმით...

მონღოლთა ლაშქარი, რომელიც შეიარაღებული იყო იმ დროისათვის სათანადო (ძირითადად ჩინური) საჭურველით, დედა-ბუდინანად ცბენზე ამხედრებული, მსოფლიო ბატონობის პრეტენზიით აღმოსავლეთიდან დაიძრა და დაიპყრო იმდროინდელი სამყარო. ისინი ერთნაირად ანადგურებდნენ ყველას და ყველაფერს. მათი დაუნდობლობა, ბარბაროსობა იქამდე მიდიოდა, რომ დედებს მკერდიდან აცლიდნენ ბავშვებს და მათ თვალწინ ქვებზე ახეთქებდნენ, ხოლო ორსულ ქალებს მუცელს უუატრავდნენ...

ქართული და სხვა ხალხთა წერილობითი წყაროები, დანაპყრობთა ასეთ ველურ თარეშს აღარებენ იმ საშინელებას, რაც თავს დაატება ბაბილონის ცნობილმა მეფემ ნაბუქოდონოსორმა ძვ. წ. VI საუკუნეში ებრაელებს, როცა ამოეღიტა ისინი, მიწასთან გაასწორა იერუსალინი და მისი ქუჩები გუთნით გადახნა ნიშნად ქვეყნის ძირფესვიანი აღმოფხვრისა (ებრაელთა შემოაიხვენაც საქართველოში

ამ ტრაგედიასთანა დაკავშირებული).

შეიძლება ითქვას, - გადმოგვცემს XIII საუკუნის პირველი მესამედის არაბი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი (ატირი), - რომ მას შემდეგ რაც ევა და ადამი გააჩინა ღმერთმა, ხალხს არ დასჯო- მია ისეთი დღე, რაც მოიმოქმედეს შონდოლებმა; რომ შედარებაც არ შეიძლება იერუსალიმის დანგრევასა და იზრავლთა გაწყვეტას- თან, რაც ჩაიღინეს იმ დაწყვეტილმა თათრებმა დაპყრობილი ქაღა- ქების მიმართ (უფრო ვრცლად, იხ. „ციპისკი იხ იბნ-ალ-ატირა ო პერვო ნაშესტვიი ტაბარა“, უჩენია ზაპისკი იმპერატორსკრი აკა- დემიი ნაუკ, ტ. II, გამოცემა 4, სანკტპეტერბურგი, 1854, გვ. 636 - 666).

მონღოლები, როცა ქალაქს იღებდნენ, ალწერის საბაბით მო- სახლეობას ქალაქგარეთ გარეკაცდნენ, თუ ვინმე დარჩებოდა იმას იქვე სპობდნენ, გაძარცვა-განადგურების შემდეგ კი, გახიზნულთ თითქმის მთლიანად სპობდნენ, ხოლო ნაქალაქარს საძოვრებად აქ- ცემდნენ...

ცივიბირისა და ჩინეთის დაპყრობის შემდეგ, მონღოლთა ნორი- გი მსხვერპლი შეიქმნა შუა აზიის ხვარაზმთა დიდი სამეფო, რა- მელსაც ხვარაზმშახი ნუჰამედი ეღბა სათავეში. ხვარაზმელები და- მარცხდნენ და თავის სამფლობელოდან უკუიქცნენ. კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე თავშეფარებული ნუჰამედი იქვე გარდაიცვალა. მანის სიკვდილის შემდეგ, ნუსტუმანური სამყაროს მონღოლთაგან გაღარჩენის ნისია ხელში აიღო ჯელალ ელ-დინმა (1220 - 1231). აკად. ივ. ჯავახიშვილის თქმით, მან თავისი თავი გამოაცხადა „ყველა მაჰმადიანების მფარველად“ და ნიზნად დაისახა მონღოლ- ებთან საბრძოლველად აზერბაიჯანის, ირანის, სონხეთის, საქართ- ველოს და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა სამთავროების დაპყრობის

ხარჯზე ახალი სახელმწიფოს შექმნა. იმის მაგივრად, რომ პარაკების გზით გავერთიანებინა ეს ქვეყნები საერთო მტრის წინააღმდეგ, მან სისხლითა და მახვილით განადგურების პირადე მიიყვანა არაერთი სამეფოელო. თავისი უგუნური პოლიტიკით, მოინდომა ერთი დაკვრით ირანიც ადევდინა და მისთვის შემოეერთებინა დაპყრობილი ქვეყნებიც. ფაქტიურად კი, მან თავისი უცხო მოქმედებებით აიძვინა ყველა ქვეყანა და ფაქტიურად დახმარება გაუწია მონღოლებს შემდგომში თათქმის უბრალოდ დაბყროთ ახლო აღმოსავლეთი...

მუსლიმანური სამყაროს თვითმარქვია მხსნელმა თავისი მახვილით კატასტროფადე მიიყვანა საქართველო, მოინდომა ქრისტეს მოსავე ქართველთა მთლიანი განადგურება.

სანამ საქართველოზე გამოილაშქრებდა, ჯელალ ედ-დინმა წერილით მიმართა მახლობელი აღმოსავლეთის ყველა მუსლიმანურ სამეფოელოებს დახმარებოდნენ მაჰმადიანთა ჯაუძინებელი მტრის - საქართველოს მოსპობის საქმეში. დადგა დრო, წერდა იგი, როცა საქართველო დარწმუნდება, რომ მის ძალმომრეობას ბოლო მოედება და ყველა მაჰმადიანი ქრისტიანი ქართველთა მომძლავრებისაგან განთავისუფლდება; რომ ქრისტიანობის განადგურების გარდა მიზნად მე არაფერი მაქვს დასახული და როცა საქართველოს ცეცხლსა და სისხლ შთავანქმევიანებ, დანარჩენ მეზობელ ქვეყნებთან მშვიდობიან ურთიერთობას დავამყარებთ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. III, თბილისი, 1982, გვ. 9 - 10).

ჯალალ ედ-დინმა საქართველოსაც გამოუგზავნა ულტიმატური წერილი, რომლითაც მოითხოვდა ნებაყოფლობით დანორჩილებას. საქართველოს მაშინდელმა მესვეურებმა, რომლებსაც კვლავ დავით აღმაშენებლისა და თამარის დროინდელ უძველეს ქვეყნის ბატონ-პატ-

რონად მიაჩნდათ თავი, როდი გაითვალისწინეს შექმნილი საერთა-  
შორისო ვითარება და, შესაბამისი ღონისძიებების მიღების მა-  
გიერ, ჯალალ ედ-დინს ყოვლად მედიდური და შეურაცხმყოფელი პა-  
სუხი გაუგზავნეს: მანაშენი შენზე ძლიერი იყო რაც მას მონღო-  
ლებისაგან დაემართა შენც კარგად იცი. იგივე მონღოლები ჩვენც  
შეგმებობოლენ, მაგრამ საწაფელს ვერ მიაღწიესო (ასე აფასებდ-  
ნენ ქართველები მონღოლთა პირველ გამოჩენას საქართველოში და  
მათ ჩრდილოეთის გზით სამშობლოში დაბრუნებას).

ქართველთა ასეთი უდარდულობა ხელს აძლევდა ჯალალ ედ-დინს.  
მან არც დააყოვნა და საქართველოს სამფლობელოებისაკენ დაიძრა.  
მოცუსმინოთ უამთაალმწერელს:

„და ესე ხვარაზმელნი მოვიდეს წელსა მესამესა ლაშა გი-  
ორგის მიცვალებითგან“. მოაოხრეს ქვეყანა დვინისა. ეს ამბავი  
ივანე ათაბაგმა და ვარამ გაგელმა შეატყობინეს მეფე რუსუდანსო,  
- „მოახსენეს მოსვლა ხუარაზმელთა და თვით დიდისა სულთანისა  
ჯალალდინისა ხოცად და მოსვრად ქრისტიანთა. ესრედ უწყალოდ მო-  
სვრიდეს, რომელ არცა თუ დედათა და ჩივილთა ყრმათა რიდობდეს“.  
მაშინ რუსულანმა მოუწოდა „იმერთა და ამერთა“. მხედართუფროსო-  
ბა დაავალა ივანე ათაბაგს, - „განაჩინა მეფემან რუსუდან სპა-  
თა მისთა თავად, და უბოძა დროშა სვიანნი, და წარავლინა ბრძო-  
ლად სულთნისა მის ჯალალდინისა“. როცა მიაღწიეს ქართველთა სამ-  
ფლობელოში შენავალ გარნიის (ერევანთან ახლოს) - „მცირე ქალა-  
ქსა სონებთასა“, ივანე ათაბაგმა განაწყო ჯარი იმერნი და ამერ-  
ნი, მხედართმთავრებად დანიშნა „თორელნი და ძნანიცა იგი ორნი  
ახალციხელნი, შალვა და ივანე სახელოვანნი იგი მბრძოლნი“. მი-  
უხედავად მესხთა გმირული ბრძოლებისა, მათ ვერაფერი გააწყვეს  
სულთნის მრავალრიცხოვან ჯართან. „და იქმნეს ძლიერნი ომნი“.



დიდი იყო მსხვერპლი. შალვა და ივანე ახალციხელებმა საშინაო  
 შველა სთხოვეს ივანე ათაბაგს, მაგრამ უცნაური და უგუნური მუ-  
 რისძიების გამო, თუ სხვა მიზეზით, ყურთ აღარ იღო მათი თხოვ-  
 ნა: - „არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთსჯულთა,  
 ქრისტეს აღმსარებელთა თორელთა და ნათ თანა მრავალთა სახელო-  
 ვანთა; არამედ დგეს შორით, და არა ინება შეუელა ივანე ათაბაგ-  
 მან, რომელთა შურითა იტყვიან ამას ყოვად და არა თუ შიშითა“,  
 ომში ორივე ძმას ახალციხელებს „დაუხოცეს ცხენნი, და ქუეითნი  
 მხნედ იბრძოდეს. და მოისრნეს ორგნითვე ურიცხუნი, და უმეტეს  
 თორელნი. და ვითარ შენიცლად ძლიერად ომი, ზრმაღნიცა ახალცი-  
 ხელთანი განტყდეს ჩაბალახსა ზელა“... უწყალოდ დამარცხდნენ  
 ქართველები. ტყვედ შეიპყრეს თამარ მეფის სახელოვანი სარდალი,  
 არა ერთი ომის გმირი შალვა ახალციხელი და დაჭრილი მიჰგვარეს  
 ჯალალ ედ-დინს. ხოლო ძმა მისი, ასევე ღვიგენდარული მხედართ-  
 მთავარი ივანე „გარნისისა კლდეთა შეღებვილი“ მოიკლა „ზენა-  
 კერძო მოტევებუღითა ქვითა“. ამ საშინელ და თავზარდამცემ ომში  
 დაიღუპა დიდძალი ხალხი, რომ არაფერი ვთქვათ ტყვედ ჩავარდნი-  
 ლებზე (თურმე ქართველ ტყვეთა სიმრავლე იმდენი ყოვილა, რომ თი-  
 თო ქართველი 2-3 დინარად იყიდებოდა).


როდესაც შალვა ახალციხელი მიიყვანეს სულთანთან, მან ეს  
 სახელოვანი რაინდი შეინდო და პატივისცემის ნიშნად „მიანიჭა  
 ქალაქნი აფარბადაგანისანი“. ასეთი პატივით ალბათ ჯალალ ედ-დინი  
 უიქნობდა მის გადაბირებას და საქართველოს დაპყრობაში გამო-  
 ყენებას (აქი მიუთითებს კიდევ სპარსი ისტორიკოსი ჯუვეინი, თი-  
 თქოს ჯალალ ედ-დინს თავის ლაშქრისათვის საქართველოს დასაპყრო-  
 ბად თან გაეყოლებოდა შალვა ახალციხელი და, გზაზე, როცა მისი  
 დაღაპი შეიტყო, - ქართველ მეუისაჟმი მიწერიდი საიღუმლო წერი-



ღებით, რომლებიც ხელთ ჩთვებარდა, იგი სასტიკად აწანია).

ქართველი მემბტიანის გადმოცემით კი, ჯაღალ ეღ-დინი ერტს წლის განმავლობაში შალვა ახალციხელს აიძულებდა მიეღო მუსლიმანობა: „აიძულებდა დატევებასა სჯულისასა, და უქადაგებდა ნიჭთა და პატივთა უნიტესთა. ხოლო მან არა უსმინა, არცა აღირჩია წუთჲ უამისა ამის პატივი, არცა უარყო სახელი ქრისტესი. კჳაჲლად სულთანი ლიქნიდა და ეტყოდა უარყოფასა ქრისტესსა, არანედ იგი გარემოაქცივდა სიტყუათა მისთა. კჳაჲლად სულთანი ქაღოდა მრავალფერითა სატანჯველითა და აშინებდა, არანედ იგი მტკიცედ ეგოს სარწმუნოებასა ზედა. ხოლო შემდგომად მრავალთა ტანჯვითა მწარითა სიკვდილითა განიყვანა საწუთროსა წმიდა შალვა, და მოწამობისა გვირგვინითა შემეკული აღვიდა წინაშე ქრისტესა“ (ქართლის ცხოვრება, II, თბ., 1959, გვ. 169 - 171).

შალვა ახალციხელის მოწამეობრივი სიკვდილის შესახებ მოკლედ მოგვითხრობს ვახუშტი ბატონიშვილიც თავის ისტორიაში (ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973, გვ. 200 - 203). ხოლო ანტონ კათალიკოსი (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი) თავის ვრცელ მოთხრობაში - „შესხმა და მოთხრობა, ლუაწლისა და ცნებათა წმიდისა დიდისა მოწამისა შალვა მთავრისა ახალციხელისა, მანდატურთ უხუცესისა“, უამთაღმწერლის მსგავსად, გადმოგვცემს ამ დიდებული ერისთავთერისთავის, გამოჩენილი სარდლის, მეჭურჭლეთუხუცესისა დამანდატურთუხუცესის შალვა ახალციხელის ისტორიას, მის, როგორც მესხთა მეწინავე ლაშქრის მხედართმთავრის, გმირულ ბრძოლებს ქრისტესმოძულე დამპყრობლების წინააღმდეგ შამქორთან, ყარსთან, ბასიანთან... კიდევ უფრო ვრცლად ჩერდება „სპარსელებთან“ (ჯაღალ ეღ-დინთან) ბრძოლაზე სოველ გარნისთან, „ათაბაგისა იონანისი უბოროტესისა“ მხრიდან დალატზე, „რანეთჲ უკანაგან ჰედეგა და



არა აუფლა ღმრთეობაგან ვინ შეწინებდა წინა-ბრძოლთა“; გაცემის გაცემის შალვა ახალციხელის წამებას ჯალალ ეფ-დინის მხარეში „საპრობოილესა შინა“, თუ „პირად პირადითა მძვინვარითა ტანჯვითა განცდილმან“, როგორ „აღასრულა სრბა მარტვილობითი“, ე. ი. როგორ სტანჯეს მანამდე, სანამ არ მიიღო შარავანდედი სიკეთისა და გვირგვინი სიმართლისა (იხ. მ. საბინინის „საქართველოს სამოთხე“, პეტერბურგი, 1882, გვ., 537 - 540).

ქრისტიანობისათვის, საქართველოსათვის (ეს ღრი მცნება განუყოფელია ქართველი ერის ისტორიაში) თავდადებული და წამებული ჩაინდი შალვა ახალციხელი ქართული ეკლესიის მიერ წინადადებად შენაცხილი და ხსენება მისი დაკანონებულია ყოველი წლის 17 ივნისს (ძველი სტილით).



1225 წლის დეკემბერს, გარნისთან ქართველებზე გამარჯვებისა და თავრებულ შეთქმულთა დამარცხების შემდეგ, ჯალალ ეფ-დინმა გეზი საქართველოს დედქალაქისაკენ აიღო. ქართული ეკლესიამონასტრების ზარებმა ამცნო ქართველ ხალხს ახალი, თავბარდამცემი და ავბედითი უამის მოახლოება...

დაქსაქსულობა, დაკნინება, „განწირვა“ საბელოვანი და ძველ-ვაშლილი საქართველოსა, დარღვევა იმ მიგობრობისა და სოლიდარობისა, რომელიც სუფთადა საქართველოსა და მისი გაცემის სფეროში შემავალ სამფლობელოებთან, თამარ მეფის შთამომავალთა - გიორგი ლაშასა და რუსუდანის - პოლიტიკური უნიჭობა და ვნებათა-დღევას აყოლა, აი, კიდევ რამ განაპირობა საქართველოს მარცხი.

მემბტიანის სიტყვით, ქართველებმა „დაუტევეს სიყუარული, სიწმინდობა, სიმართლე და ამის წილ მოიპოვეს ამბარტაცნება, ზაკცა, შური, ხდომი, სიძულვილი და კვლანი“. უფრო მეტიც, „ყოველი ასაკი ბერთა და ყრმათა, მეფეთა და მთავართა, დიდთა და მცირეთა მიიღრკა სიბოროტეთა, რამეთუ დაუტევეს სიმართლე და ჭეშმარიტება, ცინათგან თვით მღუფელთა მიერ იხილვებოდ არაწმიდება, ცინათგან ყოველი ერი იქმოდეს სიბილწისა“-ო, გადმოგვეცემს უანთა აღმწერელი. გარნისის ომში ქართველთა სამარცხვინო და სასტიკი დამარცხება, რომლის მსგავსი არ ახსოვს ქართველი ერის ისტორიას, ასეთი ყოფის უშუალო შედეგია.

როგორც ივანე ჯავახიშვილი დაასკვნის: „ეს უბედურება ასე მწვავედ იმოტომ იყო საგრძნობელი, რომ ხანგრძლივ ვშვიდობიან და ძღვეამოსილებას მიჩვეულს ქვეყანას იგი უცერად დაატყდა თავს. წინათაც, მაგალითად სასანელთა და არაბების ბატონობის დროსაც, ქართველი ერი მრავალგზის მოსწრებია შავ დღეს, ხშირად გამოუვლია დიდი განსაცდელი, მაგრამ იმ დროს თვით საქართველო ჯერ ბატონობას მიჩვეული არ იყო. XI - XII საუკუნეში კი საქართველომ უბრწყინვალესს ძლიერებას მიადწია და წინანდელი მწუხარება და განსაცდელი დავიწყებულ კქონდა: გამარჯვება გამარჯვებას მოსდევდა, ქართველობამ უძღვეველების სახელი მოიხვეჭა და მერმისშიაც ყველანი უჭვევლია უფრო მეტი დიდების მოლოდინში იყვნენ. მაგრამ უცერად საქართველოს ბედი უკუღმა დატრიალდა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზ., ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 254).

ამრიგად, ჯალალ ეფ-დინმა, სანამ მონღოლები გაბატონდებოდნენ კავკასიაში, მოიწადინა და ნაწილობრივ მიადწია კიდევ ქრისტიანული საქართველოს განადგურებას. და „აქა უამამდე (ე. ი. მონღოლთა გამორენამდე) სციანი იგი ბრძოლათა შინა დროშა და-



ვითიანი და გორგასლიანი გამარჯვებული არა-სადა ძლიერ იყო. ზოლო, აქა, ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავითა თა, არღარა მიეცა ძლიერა თათართა ზედა" და იყო ქვეყანა „მწარებასა ობრებასა შინა“-ო, გადმოგვცემს უამთადადწიერელი.

გარნისის ბრძოლების შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ, გამარჯვებული ხვარაზმშახი ტრიუმფალურად მოემართება საქართველოს დედაქალაქისაკენ...

როგორც კი გაიგო რუსუდანმა მოსვლა ჯალალ ედ-დინისა, აიყარა და გადავიდა ქუთაისს. თბილისს მცველად დაუტოვა ლაშქარი ორი ძმის - ცნობილი მხედართმთავრის ბოცოს შვილების - მემნა და ბოცო ერისთავთა მხედართმთავრობით. მიაღწია სულთანმა თბილისს. ქალაქის დამცველნი ზად იყვნენ დასახნვედრად. „იქმნა ძლიერი ბრძოლა და ბრწყინვალე ძლიერა აჩუენეს ქართველთა“. მაგრამ უღალატეს ქართველებს თბილისელმა მკვიდრმა სპარსელებმა, - „დამესა მიუფლინეს კაცი სულტანისა ჯელალ ედ-დინს მიგნიდამა მიცემად ქალაქისა, რათა კართა, რომელთა სპარსნი სცვიდეს, განუხუენეს და შიგნით ბრძოლა უყვეს“. განთიადისას, ქალაქის შინაგანცემმა სპარსელებმა ე. წ. განძის კართან, როცა „მირბიოდეს წინა-აღდგონად მეერთად“ ქართველთა ჯარის სარდლები, ვინმე მოსყიდულმა სპარსნა ბოცოს მოუკლა ძმა მემნა („სპარსმან ვინმე აფთითა ძლიერ უხეთქნა უმუზარადოსა თავსა, განუპო და მყის დაეცა და ნოკუდა“). „და იქმნა შინათ ომი“... სპარსელებმა გაუხსნეს კარები ჯალალ ედ-დინის ლაშქარს. ქალაქის მცველებმა თავი შეაფარეს ისნის ციხეს - „ივლტოდეს მცველნი ქალაქისანი და შედგეს ისანთა; ბოცოს-ძემან ბოცო გაანაგრა ისანი და ქმნა ძლიერი ომი“ (ეს ციხეც რუსუდანის ბრძანებით ღანბმყობლებს ჩააბარეს).



I226 წლის მარტში თბილისი აიღეს...

ძნელია, თითქმის შეუძლებელიც აღწერა იმისა, თუ რა მსხვერპლი დაიღწა (ხელთ იგდეს საუკუნეების მანძილზე დაგროვილი საუნჯე), ვაება და წამება, უბედურება და ღვთის რისხვა დაატეხა თავს ხვარაზმეზახმა ქრისტიანობასაც ქართველებს. თბილისის ტრაგედია - ეს იყო ფაქტიურად „სრულიადი მოსპობა ქართველ ნათესავთა“-ო.

„და ესრეთ რა ძლიერად ხელთ იგდო ქალაქი სულტანმან, კუა-ლად იწყო უბოროტესთა ბოროტთა ქმნად ქრისტიანეთა ზედა“. „ეკლესიანნი და ყოველნი პატროსანნი სამსხუერპლონი შეურაცხ იქმნებოდეს, ჯა პატროსანნი მღვდელნი ეკლესიათა შინა, თვით ხატთა და ჯუართთა თანა, შეიმუსვრიდეს; ბერნი უწყალოდ უოლოცთა შინა ცხენთა მიერ დაითრგუნვიდეს, ჭაბუკნი დაეკუთებოდეს, სისხლისა მდინარენი დიოდეს“.

„ესოდენ მძვინვარედ იწყეს მოსვრად, ვიჯარ ჩრვილნიცა კუძთათაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა ქვაზედა დაანარცხიან, და რომელსამე თუაღნი წასვიფიან და რომელსამე ტვინი დაეოხიოს, და უკანის დედანი მოკველიდიან“.

„ყვირილთა და ზაზილთა და ვაებათა ხაზარელთა ხანთაგან იძვროდა ქალაქი ყოველი, რამეთუ უმრავლესი ერი ვითა ცხოვარი შეკრიბიან, და კუაღად ხედვიდეს ზოგნი საყვარელთა შვილთა, ზოგნი ძმათა და მამათა, ცოლნი ქმართა და ქმარნი ცოლთა უპატროფ მკუდარ მღვებარეთა, ცხენთა მიერ დათრგუნვილთა და ფოლოცთა შინა ძაღლთა მიერ ზიღულთა“.


„და ესევეთარი გირნი მოიწივნეს, რომელ არაოდეს ძუელთა სადამე წიგნთა მიერ სმენი არს, რომელნი თანა-შეესწორებიან ქრისტეს ჯუარისა მცემელთა იუდიანთა ზედა ქმნულთა მიერ იერუ-“

საღმრთისა სრულიადსა მოსპოვებასა“. ერთი სიტყვით, ქართველთა ზედა ბოხოქრობდა სიკვდილის საშინელი ცედი თავისი ყველა ნაძრწუნებელი ტანჯვითა და ვაგებით.

უმათაამწიერელის მსგავსად, თბილისის ტრაგედიასთან დაკავშირებული შემდეგჯგუროინდელი აგოგრაფიული ნაწარმოებიც - „შესხმა და მოთხრობა ღუბაშა და ვნებათა ათაბეგრთა მოწამეთა ტფილისს ვნებულთა“ (იხ. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 542 - 553) - ისეთი საშინელი სურათებით გადმოსცემს ქართველთა წამებას, რომ ივანე ჯავახიშვილის თქმით ბუღა თურქის ღროინდელი შემოსება და თბილისის გადაწვა-განადგურება, შედარებით შატარა შემთხვევად გვეჩვენება. თითქმის იგივეს მოგვიჩვენებენ სპარსული, არაბული, სომხური წერილობითი წყაროები (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 527 - 538).

მსოფლიოს მასშტაბით ამ უმაგალითო ტრაგედიის კულმინაცია იყო, ქალაქის ადებისა და განადგურების შემდეგ, გადარჩენილი 100 000 ქრისტიან ტყვე ქართველთა წამება, - დიას, თბილისის დაპყრობა რომ დაასრულა ჯაღალ ელ-დინმა, გადაწყვიტა ტყვექმნილ ქართველთა გამუსულმანება. ამ მიზნით თავისებური სამზადისიც გასწია: თავისი თვალით რომ ენახა „ეს სასიამოვნო“ პროცესი, მან მან სიონის საპატრიარქო ტაძრის გუმბათი მოარღვევინა და ზედ თავისი საჯდომი ტახტრევანი მოაწყობინა. იქვე ახლოს, მტკვარზე გადაებულ ბიღზე სიონის ეკლესიიდან ჩამოხსნილი ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს ხატები გაატანინა და ბიღზე დაადებინა (მისი ბრძანებით, აქ უნდა მიედოთ მუსლიმანობა ქართველებს). ასევე წინასწარ გააფრთხილა ყველა ქართველი, რომ ისინი ტყვეობიდან განთავისუფლდებოდნენ და ცოცხალი დარჩებოდნენ მხოლოდ იმ პირო-





ხვარაზმელებმა „ესრეთ რა მოაოხრეს თბილისი, იწყეს რბენად ტყუენებად, ხოცად და კვლად სომხითისა და კამბეჩიანისა და რის ნაპირთა, ქართლს და თრაღეთს, ჯავახეთს და არტანს, ზოგი სამცხეს და ტაოს, კარნიფორნისა და არსიანის მომდგომთამდე“-ო. გადმოგვცემს ჟანთაადმწერელი.

უცხო წყაროებითაც, სადაც კი ფეხი დაადგეს დამპყრობლებმა, დაანგრეს და მიწასთან გაასწორეს საქართველოს ეკლესია-მონასტრები, დაუნდობლად გაჟლიტეს მისი მრევლი. შემატრიანენი განსაკუთრებით მიუთითებენ თბილისის შემდეგ ბოლნისთან დატრიალებულ ტრაგედიასზე, სადაც „იქნა ომი სასტიკი... იძლივნეს სპანი მეფისანი და ხუარაზმელთა მიერ ივღტოდეს, ხოლო სულტანი კუალად მოვიდა თბილისად (უკუე მეორედ, ვ. გ.), თუდა სადა ვინმე პოვნა დარბევად, (აოხრებად) ქვეყანათა მათ ზემოხსენებულთა“ (ჟანთაადმწერელი).

და „გაგრძელდა ესევეთარი ჭირი“ მანამდე სანამ მონღოლებმა არ გააქციეს ჯელალ ეფ-დინი დედაწულიანად... (1231 წელს, განადგურებული და ლტოლვილი ხვარაზმელები, რომელიც თავს მაჰმადიან სამყაროს მფარველად და პატრონად თვლიდა, ბასიანის მთიანეთში მოკლა ერთმა მწყემსმა „და აქა შინა დასრულდა სრულიად ხელმწიფობა“ მისი).

ჯელალ ეფ-დინის სიკვდილის შემდეგ მშვიდობიანად ამოისუნთქა ნაბლობელ აღმოსავლეთისა და კავკასიის ხალხებმა, მაგრამ ეს იყო მიტად ხანმოკლე შესვენება, - რამდენიმე წლის შემდეგ მონღოლთა ურდოები კვლავ მოადგნენ ჩვენს ქვეყანას.

ვახტანგ გურგენიძე

და ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი

საქართველოს ეკლესია, რომელიც ყოველთვის თავდადებით პატრონობდა ჩვენს ერს და არასოდეს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლედა, 26 იანვარს აქებს და ადიდებს სახელოვან დავით მეფეს, რომელსაც უტყუარმა განაჩინმა ერისამ, ეკლესიის ლოცვითა და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად...

აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდბუნოვანმა კაცმა - წაიყოლა სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი".

ი ლ ი ა ზ ბ ვ ზ ა ვ ა ძ ე

ახალი დამპყრობლები მოეგლინენ ქრისტიანულ სამყაროს XII საუკუნის 30-იან წლებში. ამჯერად შუა აზიიდან დაიძრა არაბებზე უფრო საშინელი ქრისტეს მოძულე მტერი, - უსახლკარო და მომთაბარე თურქი ტომები. ისინი შემოესიენ ირანს; ბიზანტიას, კავკასიას... დაემუქრნენ ეგვიპტეს, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას...

თურქ-სელჯუკებმა (სელჯუკი მათი მეთაღრი იყო, რომელმაც მუსლიმანობა პირველმა მიიღო, აქედანვეა წარმომდგარი სახელწოდება „სელჯუკები“ (განიზრახეს მსოფლიო ბატონობა და ამ გზით ქრისტიანობის საბოლოო მოსპობა. ისინი, ეს ჩამორჩენილი მეფეგე თემური ტომები, ცხენზე ამხედრებულნი დედაწულიანად, მოდიოდნენ და თან მოჰქონდათ სიკვდილი და უბედურება. მოდიოდნენ და სპობდნენ



ყველას და ყველაფერს. დაპყრობილ ქვეყნებში სიცოცხლეს უნარჩუნებდა ბედნიერად მხოლოდ მათ, ვინც მუსლიმანობას მიიღებდა... უპატრონოდ დარჩენილ ნასოფლარებსა და ნასახლკარებზე ქმნიდნენ თავიანთ საცხოვრებლებს...

თურქთა ეს შემოსევა, - წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი, - არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელებისა თუ არაბების ბატონობისაგან. თურქები მომთაბარე-მეჯოგენი იყვნენ. ისინი გადმოსახლებით მოდიოდნენ და დაპყრობილ ქვეყნებში თავისი მეურნეობისათვის საჭირო მიწებს იჭერდნენ“. თურქთა ჩამოსახლების ყველაზე მძიმე შედეგი ის იყო, რომ ის, დასძენს დიდი მეცნიერი, „ქართულ მეურნეობას საფუძველს (მიწას) აცლიდა და მას ერთიანად გადაშენების საფრთხეს უქმნიდა“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, 1971 წ., გვ. 158).

სელჯუკები, არაბების მსგავსად, განსაკუთრებით პირველ პერიოდში, თავიანთი „ელჩებით“ და „მარბიელი რაზმებით“, „მშვიდობიან“ მოლაპარაკებასაც აწარმოებდნენ დაპყრობილ ხალხებთან. თუმცა, ერთიანი არადა ანადგურებდნენ და სპობდნენ როგორც „ხელშეკრულებით“, ისე ხშირად დამორჩილებულ ქვეყნებს...

დაპყრობილ ირანის ტერიტორიაზე თურქებმა დაარსეს თავიანთი „დიდი სელჯუკთა“ სახელმწიფო. მისი პირველი მეთაური იყო თორღულბეგი (1037-1063). იგი, როგორც სამეფოს მესახვე, „დამტკიცებულნი“ იქნა არაბთა ხალიფისაგან. „ფეხშიშველ მწყემსს“ თორღულა-ბეგს ბადადში ხალიფა ალ-ქამილის სასახლეში 1055 წელს ორქიანი გვირგვინი (თაჯი) დაადგეს. თაჯის ორი რქა სიმბოლოურად აღნიშნავდა იმას, რომ, თვით ხალიფას დასტურით, ამიერიდან თურქ-სელჯუკთა სულთანი ხდებოდა მთელი სამუსლიმანოს მეთაური და აღმოსავლეთისა და დასავლეთის მზრძანებელი (ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტო-

რიიდან, თბ., 1957 წ., გვ.124).



მომდევნო პერიოდში, თორღულ-ბეგის შვილმა აღუ-არსლანმა (1063-1073) დაიპყრო ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციები. მანვე ორგზის დალაშქრა საქართველო (1065 და 1072 წლებში). პირველი შემოსევის დროს მოახხრა აღმოსავლეთ საქართველო, განსაკუთრებით ჯავახეთი, სისხლისმღვრელი ბრძოლებით აიღო ქ.ახალქალაქი - „მოსწრნა პირისა მახვილისათა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 306).

როგორც იმ დროს საქართველოში მყოფი გიორგი ხუცესმონაზონი წერს: სამხრეთ საქართველოში თურქთა შემოსევებისაგან „არათუ ახალქალაქისა მკვიდრნი მოისრნეს, არამედ დიდ-დიდნი და წარჩინებულნი მთავარნი და ერისთავნი“-ო (გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება. ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 174).

მეორე შემოსევისას იავარყო ქართლი, არგვეთი, ... ასე გრძელდებოდა თურქ-ბარბაროსთა ლაშქრობები მალიქ-შაჰის დროსაც (1072-1092). ამ უკანასკნელის საწელთანაა დაკავშირებული ოთხმოციანი წლების „დიდი თურქობა“ საქართველოში. „განსაკუთრებული გასაჭირი საქართველოს აღმოსავლეთ და სამხრეთის ნაწილებს ადგათ. თანდათან თურქმა მომთაბარებმა ქართლ-კახეთის ნაყოფიერი ველები საზამთრო სადგომებად, ხოლო ქართლ-კახეთის ზეგნები თავიანთი ჯოგებისათვის საზაფხულო საძოვრებად გადააქციეს. შევიწროებულ ქართველ მოსახლეობას გადაშენების საფრთხე ელოდა“ (ნ.ბერძენიშვილი, ვ.დონდუა, გ.მელიქიშვილი, შ.მესხია, პ.რატციანი, საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958 წ., გვ.150-151). როგორც იმდროინდელი თანამხილველი მემკვიდრე განმარტავს, ისეთ ყოფაში იყო საქართველო, რომ „არა იყო მათ უამსა შინა თესვა და მკა“...

ამ პერიოდთანაა დაკავშირებული ჩვენი უძველესი მეზობელი  
ახლანდელის სამეფოს გადაშენება-მოსპობა...

მხოლოდ ქართველ ხალხს არ დაუყრია ფარ-ხმალი „ყოველთა ქრისტიანთა“ დაუძინებელი მტრების თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ; მხოლოდ საქართველო დარჩა აღმოსავლეთში იმ ერთადერთ ქვეყნად, რომელიც მართლმართლ უმკლავდებოდა და სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლებს ეწეოდა ქრისტეს მოძულე მუსლიმანებთან.

არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, რომ ქრისტიანული სამყაროსათვის ამ ავებდობის უამს, როცა საჭირო იყო ერთიანი ძალით ბრძოლა, ძალზე უარყოფითი როლი შეასრულა ქრისტიანული მსოფლიო ეკლესიის განხეთქილებამ და შემდეგ გაყოფამ. 1054 წელს რომის პაპმა ლეონ IX და კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მიხეილ კერულარიმ თავიანთი ეკლესიების სახელით ერთმანეთი შეაჩვენეს და მწვალებლებად გამოაცხადეს. ამ ფაქტმა დააპირისპირა მათი მიმდევარი ქრისტიანული ქვეყნები და ამით, საბოლოო ანგარიშით, დაასუსტა მუსლიმან დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლთა ბანაკი. ამავე მიზეზიდან გამომდინარეობს „ჯვაროსანთა“ დაქსაქსულობაც და ხშირ შემთხვევაში მათი წარუმატებლობაც. მართლ ის ფაქტი, რომ რომის პაპები ცდილობდნენ ფეთის საფლავისა და იერუსალიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებით გაბატონებულიყვნენ მთელ ქრისტიანულ სამყაროზე და არ ერიდებოდნენ აღმოსავლეთის ერთმორწმუნე, თვით ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ქვეყნების ძარცვა-გლეჯას, მიუთითებს ქრისტიანული ეკლესიის გაყოფის და ურთიერთდაპირისპირებებიდან გამომდინარე მეტად სავალალო შედეგებზე.

აი, ასეთი საშინაო და საგარეო ვითარება შეიქმნა XI საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში. ასეთ სავალალო პირობებში ქართველი ხალხი საჭიროებდა თურქთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლის



ნიჭიერ ორგანიზატორს. გიორგი მეფე საამისო პირად ღირსებებს მოკლებული აღმოჩნდა. მისმა მოწინააღმდეგე პროგრესულმა წრემ დატრიალება“ მოახდინა და 1089 წელს იგი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მეფობიდან გადააყენა (მას შევიდევ გიორგი II-მ 20 წელზე მეტი იცოცხლა). მის მაგივრად დაინიშნა 16 წლის ყმაწვილი დავით ბაგრატიონი (აღმაშენებელი).

როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, - დავით აღმაშენებელს „უკუღმართსა და შავბნელ დროს“ მოუხდა მეფობა. ქვეყანა იყო განადგურებული, ქრისტიანობა შერყეულ-შეგინებული, თავად-აზნაურობა ორგული; ხალხი დაშინებული, ირგვლივ სამყარო თურქთაგან დაბნელებული. და, მართლაც სადაც ფეხი მოიკიდეს საქართველოში თურქებმა, მოსპეს ბალ-ვენახები, სახნავ-სათესი, კარ-მიდამო... მემბტიანის სიტყვით, „მოჭამეს ქვეყანა“. „თუ ვინმე დარჩომილ იყო ტყეთა, კლდეთა, ქუაბთა და ხურელთა ქვეყნისა“ - ამოწყვიტეს. ვინც გადაარჩინის მიზნით თავი მთიულეთსა და ციხე-სიმაგრეებს შეაფარა, ისინიც მოისპნენ „ზამთრითა სიფიცხითა, უსახლკარობითა და შიმშილითა“. დამპყრობთაგან „მოოხრდა ქვეყანა და ტყიდ გარდაიქცა“. ადამიანთა ნასახლკარი მხეცთა და ნადირთა ბუნაგებად შეიქმნა. „და იყო ჭირი მოუთმენელი ყოველთა ზედა მკვიდრთა ქუეყანისათა“. დააქციეს და განადგურეს ყოველი ქალაქი და დაბა-სოფელი, დასწევს ქუთაისი, არტანუჯი და უდაბნონი კლარჯეთისანი... წმინდა ეკლესიანი გადააქციეს „სახლად ჰუნეთა თვისთა, ხოლო საკურთხეველნი ღმერთისანი ადგილად არაწმიდებისა მათისა“. ამოწყვიტეს მსახურნი ეკლესიისანი, არ შეიწყალეს არც მოხუცებულნი... ერთი სიტყვით, საქართველოში „ნაცვლად წყლისა ნაკადულთა“ მოედინებოდა „მდინარენი სისხლთანი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 320). არსაიდან ნუგეში და „არა სადად იყო ღონე ხსნისა“, არც არცინ და მხმარე მებობელ ქვეყანათაგან,

რამეთუ „ზღუდარსა გარეთ ყოველი თურქთა დაეპყრა“. ამ უბედურებას  
1088 წელს დაემატა დგობის რისხვაც, - აღდგომა დღეს, როცა<sup>სრული</sup>  
მორწმუნე სადღესასწაულოდ ეკლესიებში იმყოფებოდა, მოხდა ძლიერი  
მიწისძვრა (მიწისძვრები ვრძელდებოდა თითქმის ერთი წელიწადი)  
და „... მთანი მადალნი და კლდენი მყარნი სახედ მტურისა დაი-  
განეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, სახლ-  
ნი დაინთქეს... და იქნა საფლავ მას შინა მკვიდრთა“ (იქვე, გვ.  
223).

მაშინ დაინგრა ქალაქი თმოგვი თავისი ციხე-კოშკებით, დაიქ-  
ცა ქ.წუნდა, ნაპანის დიდებული მრავალსართულიანი მონასტერი...

აი რა მემკვიდრეობა ჩაიბარა სამეფო ტახტზე ახლად აღზემე-  
ბულმა დავით IV-მ. მან, უპირველესად, შეაგროვა და თავის ირგვ-  
ლივ შემოიკრიბა გაფანტული და დაქსაქსული ქვეშევრდომები. მემბ-  
ტიანის სიტყვით, „ნიანია კახაბერის ძეცა და სხუანიცა აზნაურნი  
მცირედ შემოკრიბნა სადმე დაშთომილნი“-ო. როცა ხალხმა გაიგო და-  
ვითის გამეფება და დასაწყისშივე იხილეს მისი დიდებული საქმენი,  
მათაც ნელ-ნელა იწყეს სოფლად „შთამოსვლად და დასახდომად“. ჭაბუ-  
კმა მეფემ, მისი ერთგული მწიგნობართუხუცესისა და მოძღვრის არსე-  
ნის დახმარებით, „განუწრთნა“ „მამბრალეებლნი მეფისანი“ - ურჩი  
და ორგული ქვეშევრდომნი. ზოგ მოხელეს თანამედებობა ჩამოართვა,  
ზოგი მკაცრად დასაჯა, ხოლო მამა-პაპურ სარწმუნოების მაგინებულნი  
და საქართველოდან განმდგარი კლდეკარის გამოუსწორებელი ერისთა-  
ვი ლიბარტი ივანეს ძე გააძევა ქვეყნიდან.

დავითი მამამისისაგან განსხვავებით, ნიჭიერი, ყოველმხრივ  
განათლებული, მტკიცე ნებისყოფის ორგანიზატორი და პოლიტიკოსი  
იყო. ამიტომაც, შედარებით მოკლე დროში, შეძლო ქვეყნის გაერთიან-  
ნება და მისი აღორძინება. მან 1097 წელს სულთანს ხარკის მიცე-

მაც შეუწყვიტა და ამით, ფაქტიურად, ომი გამოუცხადა მუსლიმანურ სამყაროს. თავდაპირველად, უკვე სახელმწიფოებრივი მეფე, თავისი რაზმებით თავს ესხმოდა თურქ მომთაბარეებს, აძევებდა მათ ქართველთა მიწა-წყლიდან და ამით შესაძლებლობას უქმნიდა მთაში და ტყეში გახიზნულ ქართველებს თავიანთ ნაფუძვარსა და ნასოფლარზე დაბრუნებულიყვნენ.

დავითის წარმატებებს თავისებურად ხელი შეუწყო 1092 წელს თურქთა ერთიანი დიდი სახელმწიფოების დაყოფამ (სულთან შელიქის გარდაცვალების შედეგად). მისმა მემკვიდრეებმა თავიანთი სახელმწიფო დაინაწილეს და შექმნეს სპარსეთის, სირიის, დამასკოს, ადმოსავლეთ ირანის ე.წ. მსხვილი სახელმწიფოები და წინააზიის ცალკეული საამიროები. ცალკე არსებობა დაიწყო სელჯუკთა რუმის სასულთნომაც.

დავითს ქრისტიანობის დაუძინებელი მტრების წინააღმდეგ ბრძოლა აგრეთვე გაუადვილა. 1097 წელს დასავლეთ ევროპის „ჯვაროსანთა“ ლაშქრობამაც. ევროპელი „ფრანგების“ რაზმები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნიებიდან ცალ-ცალკე ორდენებად იკრიბებოდნენ, თავიანთი საღმრთო ომით მოსვენებას არ აძლევდნენ თურქ დამპყრობლებს. ორი წლის შემდეგ - ჯვაროსნებმა ხელთ იგდეს იერუსალიმი და დაარსეს ამ ქალაქის სახელწოდების ევროპულ-ქრისტიანული სახელმწიფო წინა აზიაში (ქართველები, სომხები, სპარსელები და სხვ. ჯვაროსნებს „ფრანგებს“ უწოდებდნენ, იმიტომ რომ ყველასათვის - სხვადასხვა ერის წარმომადგენლებისათვის - ფრანგული ენა ითვლებოდა საერთაშორისო ენად).

დავით მეფემ კარგად შეაფასა შექმნილი საერთაშორისო ვითარება და, ქვეყნის ძალთა შემოკლების, ქართველთა გაერთიანებისა და მათი მორალური ერთიანობის აღდგენის მიზნით, გადაწყვიტა ეკლესი-



ის საქმეთა მოგვარება. მან კარგად იცოდა, რომ, გარდა ზნეობისა და ზემოქმედებისა, ეკლესიას დიდზე-დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის სიძლიერის განმტკიცებისათვის. „საქმე ის იყო, რომ საქართველოს ეკლესიის მმართველობის საჭე ხელთ ეპყრათ დიდგვაროვან აზნაურთა სახლის შვილებს – ეპისკოპოსებს, რომელთაც დავითის წინააღმდეგ მებრძოლ დიდაზნაურთათვის უფრო შესტკიოდათ გული, ვიდრე თურქთა წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ხალხისა და მისი მეფისათვის“ (ნ. ბერძენიშვილი, და სხვა, საქართველოს ისტორია, I, გვ. 157).

დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა პრაქტიკულად ფრთები შეესხა ჯერ კიდევ მისი ძაძვის მეფე ბაგრატ IV დროს და XI საუკუნის გამოჩენილი დიდი მეცნიერისა და გამანათლებლის გიორგი ათონელის მითითებისადმი საეკლესიო მმართველობაში შემკვიდრეობის უფლების მოსპობის შესახებ; რომ საეკლესიო თანამდებობის დაკავებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭებოდა არა გვარის მემკვიდრეობისათვის, არამედ პირადი ღირსებებისათვის. და ეს ცვლილებები ბრწყინვალედ განახორციელა მეფემ 1103 წელს მოწვეული რუის-ურბნისის გადაწყვეტილებებით – „ძეგლის წერაი წმიდისა ღვთივ-შეკრებილისა კრებისაი, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილმსახურისა და ღვთივ დალოცვილისა მეფისა ჩვენისა დავით აფხაზთა და ქართლთა, რანთა და კახთა მეფისასა“. ამ კრებას წინ უძღვოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა „მრავალ დღე გამოწულვილითა ფრიადითა“. როგორც ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის: რუის ურბნისის კრების შეყრის მიზეზი და მიზანი დოგმატური საკითხების „ძიებანი“ – კი არ ყოფილა, არამედ მისი მსჯელობისა და კანონმდებლობის საგნად საეკლესიო წეს-წყობილებისა, სამღვდელმსახურთა წესებისა და მრევლის ზნე-ჩვეულებათა და შეცოდებულების გამართვა და მოწესრიგება იყო (ივ. ჯავახიშვილი, ქართუ-

ლი-სამართლის ისტორია, I, თბ., 1928 წ., გვ.40).



რუს-ურბნისის კრება (მას ხელმძღვანელობდა საქართველოს  
კათალიკოს-პატრიარქი იოანე (ქართული ეკლესიის მიერ აღიარებული  
იქნა დვთის ნაკარნახევე ღონისძიებად - „დვთივშეკრებულად“, ღმრ-  
თის მითითებად. ეს კი ბევრს ავალეზბდა როგორც სასულიერო, ისე  
საერო წარმომადგენლობას, რადგან, როგორც დავითის ისტორიკოსი  
გადმოგვცემს, მაშინდელი „წმიდანი ეკლესიანი, სახლი ღმრთისანი  
ქუაბ ავაზაჲკთა ქმნილ იყვნეს და უღმრთოთა და უწესოთა მამულობით  
უფროსის, ვიდრე ღირსებით, დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი,  
არა კარით მწყემსებრ, ურდოთ შესრულნი, და მათნივე მსგავსნი ხუ-  
ცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი ნაცვლად სჯულთა  
ღმრთისათა პყრობისა უსჯულოებასა აწურთიდეს მათ ქვეშეთა, და ვით  
სახლით უფლისათ და მღვდელთაგან გამოვიდოდა უსჯულობანი, რომელი-  
თა თუბლი ღმრთისანი, მხედველი ყოველთანი, ესოდნად რისხვად აღბრულ  
იყო“. ამიტომაცო, „კურნებად“ შემოკრებილმა ერმრავალმა კრებამ,  
„ყოველი ცდომილი განმართეს და კეთილწესიერებაი ყოველიერთ დაამ-  
ტკიცეს, უღირსად გამოჩინებულნი გარდამოსთივნეს საყდართაგან“  
(ქართლის ცხოვრება, I, გვ.327-328; კ.კეკელიძე, ძველი ქართული  
ლიტერატურის ისტორია, I, გვ.570).

ამრიგად, რუს-ურბნისის კრების გადაწყვეტილებით დავით  
ადმაშენებელმა გადააყენა „უღირსად გამოჩინებულნი“ მღვდელმთავ-  
რები მიუხედავად მათი წარჩინებულთა წარმომადგენლობისა და მათ  
მაგიერ დანიშნა „ჰეშმარტნი მწყემსნი“ - ეკლესიის ღირსეული მსა-  
ხურნი.

დავით ადმაშენებლის ერთ-ერთ შორსგამიზნულ ღონისძიებას წარ-  
მოადგენდა აგრეთვე სახელმწიფოსა და ეკლესიის დაახლოება-დაკავში-  
რების მიზნით, სამეფოში ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდე-



ბოპის შემოღება - საეკლესიო მსახურის მთავარეპისკოპოსის დიდუღობისა და სამეფოს დიდი მოხელის მწიგნობართუხუცესობის პიროვნების ხელში მოქცევა. ამ უპირველეს მოხელედ (უპირველეს ზირად) დაინიშნა დავით აღმაშენებლის აღმზრდელი და მისი უპირველესი მრჩეველი გიორგი მონაზონი. მასვე მიენიჭა სააჯო კარის მეთაურობა - უმაღლესი მოსამართლის საპატო ტიტული. ამიერიდან მეფეს შეეძლო მისი უერთგულესი თანამემწის გიორგი ჭყონდიდელის მეშვეობით აქტიური მონაწილეობა მიეღო საეკლესიო საქმეებშიც. „მეფის მწიგნობართუხუცესის როლის აგრე გადიდება, მისი კომპეტენციის აგრე ყოვლისმომცველობა, მისი ვაზირთუპირველესობა ყველაზე თვალსაჩინო მოწმობაა ახალი სახელმწიფოს წარმოქმნისა. ძველი ერთსთავების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკისა, ქვეყნის ცენტრალიზებული გაერთიანების პოლიტიკისა“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 59).

ზემოთ მითითებული დონისძიების გატარების შემდეგ, დავით აღმაშენებელმა კიდევ უფრო აქტიურად შეუტია ქრისტეს მოძულე თურქ დამპყრობლებს. ქართველთა მიწა-წყალზე კიდევ უფრო სასტიკად აღკვეთა თურქი მომთაბარეების თვითნებობა და თურქ-სელჯუკთაგან ზედიზედ გაათავისუფლა საქართველოს ტერიტორიები. ჯერ დაიპყრო მანამდე განცალკევებით მყოფი ჰერეთ-კახეთი (III 04), შემდეგ, III 10 წელს, აიღო მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი სამშვილდე, III 15 წელს რუსთავში, III 16 წელს ტაოში შეუტია თურქებს და გადაარეკა საქართველოს საზღვრებიდან. III 17 წელს დაიპყრო ჰერეთის განაპირა ქალაქი გიში (ქ. ნუხის მახლობლად), III 18 წელს უძლიერესი და სტრატეგიული ციხე ღორე, რომელიც მდებარეობდა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალ მაგისტრალურ გზაზე...

საქართველოს ციხე-ქალაქთა მტრისაგან გაათავისუფლებამ და



შემოერთებამ სამეფოს წინაშე დააყენა ახალი საკითხი - დაპყრობილი ადგილების შენარჩუნება, მათი დაცვა, რადგან, როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი გადმოგვცემს, „არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რითამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად“. გარდა ამისა, საქართველოს თანდაცვითი ინტერესები მოითხოვდა თურქთა განდევნას ამიერკავკასიის მეზობელი ქვეყნებიდანაც. ყოველივე ამან მოითხოვა მუდმივი და ძლიერი ლაშქრის შექმნის აუცილებლობა.

მეფის კარის გადაწყვეტილებით, მიზანშეწონილად ჩასთვალეს ქართველი ჯარის შეცვლა ყივჩაყთაგან. ამ მიზნით, მეფემ ჩრდილოეთში ყივჩაყთა მთავართან, მის სიმამრთან გააგზავნა თავისი დელეგაცია. ყივჩაყთა მთავარი სიხარულით დათანხმდა დავითის ამ წინადადებას. ყივჩაყებს საქართველოში გადმოსახლება კიდევ იმიტომაც ესურვებოდათ, რომ ისინი მეტად შევიწროებული და შეწუხებული იყვნენ როგორც კიევის რუსეთის მთავართაგან, ისე მეზობელი ოსებისაგან. ცნობილია, რომ იიოვ წელს კიევის მთავარმა ვლადიმერ მონომახოსმა, როდესაც სასტიკად დაამარცხა ყივჩაყები, მათი ერთი ნაწილი ჩრდილო კავკასიაში ოსების მახლობლად დაასახლა. სწორედ ამათი მეთაურის შვილი შვირთო ცოლად დავითმა და საქართველოშიც ისინი ჩამოსახლა. შესაძლებელი რომ გამხდარიყო მათი მშვიდობიანი გადმოსახლება, დავით აღმაშენებელმა დაამკვიდრა ოსებსა და ყივჩაყთ შორის „მშვიდობა და სიყვარული“; შემდეგ დაიჭირა ჩრდილოეთის ყველა ციხე-სიმაგრენი და უზრუნველჰყო 40.000 ყივჩაყური ოჯახის საქართველოში გადმოსახლება. ამ ღონისძიებით მეფემ მეორე დიდი საქმეც გააკეთა, - ოსების შემოერთებით გაამაგრა საქართველოს ჩრდილოეთის საზღვრები, - „ადიხუნა ციხენი და რიალისა და ყოველთა ქართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი“.



დასასახლა და მათგან კიდევაც შეადგინა 40.000 ცხენოსანი ლაშქარი - „განასრულა ცხენებითა და საჭურველითა“. დროთა განმავლობაში ეს მომთაბარე მეომარი ხალხი, ნაწილი უკან დაბრუნებულა, დანარჩენი გაქრისტიანებულა და ქართველებს შერწყმიან.

რეგულარული არმიის შექმნის შემდეგ, ღიღმა მხედართმთავარმა დავითმა II20 წლიდან დაიწყო გენერალური შეტევა თურქთა წინააღმდეგ. უპირველესად გეზი შირვანისაკენ აიღო, დაიპყრო ციხე-ქალაქი კაბალა. ძლევამოსილი ლაშქრობანი განახორციელა სხვა ადგილებშიც. ასე რომ II21 წლის ზაფხულისათვის თბილისის, განძისა და დმანისის გარდა, თითქმის მთელი საქართველო ჰქონდა განთავისუფლებული დამპყრობთაგან.

დამარცხებებით შეწუხებულმა და „ჭირთაგან შევიწროებულმა თურქმენებმა“ დახმარებისათვის თხოვნით მიმართეს თავიანთ დიდ მფარველს - სულთანს. მან, მაშინვე, მაჰმადიანთა წაქეზების მიზნით, გამოაცხადა „საღვთო ომი“ საქართველოს წინააღმდეგ და „მოუწოდა არაბეთისა მეფესა ღურბეზს სადაყის ძესა, მისცა ძე თვისი და ძალა მისი“, შემოუერთა ყველა მაჰმადიანი სამთავრო დამასკოდან დაწყებული სომხეთამდე და 600.000 კოალიციური ლაშქრით დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ გამოილაშქრა. როგორც შემატყინე გვაუწყებს: „შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა ზღვისა, რამლითა აღივსო ქუეყანა, და აგვისტოსა თურამეტსა (უნდა იყოს I2) მოვიდეს თრიალეთს, მანგლისს და დიდგორთა, რომელ თვის ფერხთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ აფგილთა“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ.340-341). ამ უზარმაზარი ლაშქრის ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა „ჯვაროსნების“ წინააღმდეგ უკვე სახელმთხვეჭილ მხედართმთავარს ილ-დაზის. მისი სრული სა-



ხელწოდება იყო ნაჯმ-ად-დინ ილ-დაზი. ნაჯმ-ად-დინ ნიშნავს „საბ-  
 წმუნოების ვარსკვლავს“. ეს სახელწოდება მიიღო ბაღდადის ხალხური  
 საგან III9 წელს ანტიოქიის ჯვაროსანთა ლაშქრის სასტიკი დამარ-  
 ცხების შემდეგ, ე.წ. „სისხლიან ველზე“. ილ-დაზის „სადღეს ომის  
 მეგრძოლსაც“ უწოდებდნენ (რ. გრუსე, ჯვაროსნული ომებისა და ფრანკ-  
 თა სამეფოს ისტორია, ტ. I, პარიზი, 1948 წ.; ფრანგულ ენაზე; იხ.  
 ჩხატარაშვილის „დიდგორის ბრძოლის ისტორიული მნიშვნელობა“ წიგ-  
 ნიდან „დიდგორის ბრძოლა“. თბ., 1973 წ., გვ. II).

აი, ასეთი უდიდესი ლაშქარი და სელჯუკ ამირთა შორის უძლი-  
 ერესი და გამოცდილი მხედარამთავარი მოადგა საქართველოს...  
 დავით აღმაშენებლისათვის მუსულმანთაგან ასეთი ღიღი ლაშქ-  
 რობის მოწყობა მოულოდნელი არ ყოფილა. მან კარგად იცოდა, რომ  
 თურქები და საერთოდ მუსლიმანური სამყარო დავითს ამდენ წინააღ-  
 მდეგობას არ აპატიებდნენ. ამიტომ, ქვეყნის სიძლიერის, ლაშქართა  
 გაწვრთნის გარდა, მას წინასწარ მოლაპარაკებაც ჰქონდა ჯვაროსნე-  
 ბთან (საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის არსებულ ურთიერთობაზე  
 დამატებით იხ. შ. მესხია, დიდგორის ბრძოლა, ვ. კობალიანის, საქარ-  
 თველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან; შ. ბადრიძის -  
 ჯვაროსნული ოქმულემა დავით აღმაშენებელსა და დემეტრე პირველზე).  
 ქრისტიანობის დაცვისა და წმიდა ადგილების განთავისუფლებისათვის,  
 ჯვაროსნებსაც კარგად ესმოდათ საქართველოს და საერთოდ კავკასიის  
 მნიშვნელობა. ერთ-ერთი ისტორიული ცნობით, იერუსალიმის მეფე ბალ-  
 დუნ II-სა და დავით აღმაშენებელს შორის შეთანხმებაც არსებულა.  
 ისინი ერთმანეთს ძვირფას საჩუქრებსაც უგზავნიდნენ თურმე (ზ. ავა-  
 ლიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929 წ., გვ. 7). სხვა  
 ცნობებით იმასაც მიუთითებენ, რომ იერუსალიმის მეფე ბაღდუნ II  
 თავად მოსულა „იდუმალ ქართლსა შინაო“ (ისტორიანი და აზმანი შა-

თავისებურად, ამ ურთიერთობის შედეგი უნდა იყოს 1000 ჯვაროსანი რაინდის მონაწილეობაც დიდგორის ომში. როგორც სამართლიანად მიუთითებენ, იმდროისათვის ასეთი ეიზიტი, ანდა ქრისტიანულ ქვეყნებს შორის ანტიოქურქული კავშირის არსებობა სრულიად კანონზომიერი და შესაძლებელიც იყო, მაგრამ ამ მიმართებით ჩვენს ისტორიოგრაფიაში, თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამოდენიმე სტატისა და ნარკვევს, საქართველოს ურთიერთობის საკითხი ჯვაროსნებთან შესწავლილი არ არის. მართო ქართველთა დიდებული იერუსალიმის ჯვრის მონასტრის არსებობა და მისი მოდვაწეობა ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის, იერუსალიმის ქრისტიანულ სახელმწიფოსთან ახლო ურთიერთობის საფუძველს გვაძლევს. როგორც აკად. ე.მეტრეველი თავის წერილში „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი“ მიუთითებს, ქართველთა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში მოხსენიებულნი არიან ჯვაროსნებიც. ასე, რომ ჯვაროსან რაინდთა არქივებისა და წმიდა ადგილების მატყანთა გაცნობა ბევრ ახალს გვეტყვის შემდეგში...

მუსლიმანურ სამყაროს ლაშქრის საქართველოს წინააღმდეგ წამოსვლა ეს, უპირველეს რიგში, ჯვაროსანთა ზურგში ლახვის ჩაცემასაც ნიშნავდა. თუ მოსაპობდნენ ისინი ქრისტიანულ საქართველოს, მაშინ მათ ხელს ევრავინ შეუშლიდა სირია-პალესტინაში ჯვაროსანთა დამარცხებაში.

დაცით აღმაშენებელმა, როგორც ანტიოქიის ჯვაროსანთა მეთაურის როჯერის მწიგნობარი (კანცლერი) გოტიე თავის ნაშრომში „ანტიოქიის ომები“ გვამცნობს, მუსლიმანური სამყაროს 600.000 გაერთიანებულ ლაშქარს დიდგორში წინ დაუხვედრა ორმოცი ათასი „წმინდა ჯვრით აღჭურვილი“ არმია (ზ. ავალიშვილის დასახ. შრომა, გვ. 66-

77). სომეხი ისტორიკოსი მათე ურჭაველის (XII ს. პირველი მესამედი) ცნობით, ქართულ 40.000 ლაშქართან ერთად ყოფილა 15 ათასი ყივჩაყი, 5 ათასი ალანი და 1000 „ფრანგი“ მეომარი (იხ. საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966 წ., გვ.244-247). მცირედი განსხვავებით ამასვე ადასტურებენ არაბი ისტორიკოსებიც.

დიდგორის ბრძოლა მოხდა ორ მთას შუა დიდგორის ველზე. ქართველთა ჯარი ძირითადად ორ ნაწილად იყო გაყოფილი. მეორე ნაწილს მეთაურობდა დავითის შვილი დიმიტრი. 15 აგვისტოს გენერალური ბრძოლის წინ დავით აღმაშენებელმა მიმართა თავის ჯარს: „ეჰა, მეომარნო ქრისტესანო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძოლებთ, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ. და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პიროვნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება, ჩვენ, ყველამ, ხელებით ცისკენ აპყრობით, ძლიერ დმერთს აღთქმა მიცემთ, რომ მისი სიყვარულისთვის ან გავიმარჯვებთ, ან ბრძოლის ველზე დავიხოცებით“ (გოტიე კანცლერი, ზ. ავალიშვილის მიითთებული წიგნიდან).

ან გამარჯვება, ან სიკვდილი, - აი დავით აღმაშენებლის მოწოდება, მისი გადაწყვეტილება. ომის დაწყებას წინ უძღოდა დავითის მიერ ერთი ტაქტიკური ჩანაფიქრი - მტრის მოტყუება, - 200 ქართველი რჩეული მეომრის მტრის ბანაკში „მშვიდობიანი“ შესვლა, მათი იქ „მიღება“ და მოულოდნელობა - მტერზე მიხდომა... ეს გახდა დასაწყისი საომარ ძალთა შერკინებისა.

გენიალური მხედართმთავრის დავით აღმაშენებლის გეგმით წარმართა სამკედრო-სასიცოცხლო „ბრძოლავი საკვირველი“ და... ქართველებმა გაიმარჯვეს. სომეხი ისტორიკოსის მათე ურჭაველის გადმოცემით „იმ დღეს მოხდა თურქთა ჯარების სასტიკი და საშინელი ხოცვა-ჟლეტა. მათთა ხევეები და მდინარეები გვამებით აივსო და მთების ყოველი



ქარაფნი დაფარა. თურქთა ლაშქარში დახოცილთა რიცხვი 400.000-მდე უდრიდა, ხელთ იგდეს 30.000 კაცი, დაცემულთა ცხენებითა და იარაღით კი მთელი მინდვრების პირი დაიფარა“ (მათე ურჭაელი, დასახ. წიგნი, გვ. 244-247). თავში დაჭრილი ილ-ღაზი, რომელმაც დაჰკარგა რა თითქმის ყოველივე დეთვის ნებით, მცირეოდენი ლტოლვილით, უიარაღო და დამშეული, არაბთა მეფის წინამძღოლობით სახლში დაბრუნდა, ნახევრად მკვდარი“ (გოტიე კანცლერი, ზ. ავალიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 66-67). როგორც ცნობილია, ილ-ღაზი მძიმე ავადმყოფობით მომდევნო - 1122 წელს გარდაიცვალა.

ამ ომს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მტრის მიზანმიმართული დაემარცხებოდა ძლიერი საქართველო, რათა „თავისუფლად და სრულად შესდგომოდნენ იერუსალიმისა და ანტიოქიის დამორჩილებას და ქრისტიანთა ამოწყვეტას“ (გოტიე) სრული კრახი განიცადა. ამავდროულად გააქარწყალა არა მარტო თურქთა უძლეველობის მითი, არამედ განსაზღვრა კიდევ იმდროინდელი ორი დაპირისპირებული - ქრისტიანული და მუსლიმანური სამყაროს ურთიერთ ბრძოლის შემდგომი ბედიც ქრისტესმშობსათვის სასარგებლოდ. საქართველოს მიწა-წყალზე ანტიქრისტიანული კოალიციის განადგურებამ მუსლიმანებს მოუსპო ყოველგვარი საყრდენიც კავკასიაში.

დიდგორის ომის შემდეგ, ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენად საქართველოსათვის ითვლება ცახტანგ გორგასალის მიერ დაარსებული „წმიდა“ ქალაქის თბილისის 400 წლიანი ტყვეობიდან განთავისუფლება 1122 წელს...

მომდევნო, 1123 წელს დავითმა გაილაშქრა შირვანში და აიღო ქ.შაშახია. იმავე წელს „მარტო გადავიდა ქართლად და აღიღო ქ.დმანისი და აპრილსა დაესინეს შაბურანს დატუბანდელთა“ და განადგურა


რა ქუთონი, ლეკნი და ყივჩაყანი დარუბანდელისანი“ (დავითის ისტორიკოსი).



1124 წელს დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა მოძმე სომხეთი და მისი დედაქალაქი ანისი. როგორც სომეხი ისტორიკოსი მათე ურჰაელი გადმოგვცემს, სომეხ ღიდებულთა თხოვნით საქართველოს მეფემ თავისი 60 ათასიანი ლაშქრით თბილისის მსგავსად ტყვეობიდან გაათავისუფლა სომხეთის დედაქალაქიო, --ადილო ქალაქი ანისი და ციხენი მისნი“. მემატეანისავე სიტყვით, დავითმა შეკრიბა სომეხთა ეპისკოპოსნი, ხუცესნი, მოწამენი და ხელახლა აკურთხა ანისის სახელოვანი და წმიდა კათოლიკე ეკლესია, რომელიც მიზგიდად იყო ქცეული (მათე ურჰაელი, ისტორია 1869 წ., გვ.451-452). სწორედ მაშინ მივიდა დავით აღმაშენებელი თავისი ბების - ამ ეკლესიის აღმშენებლის დედოფლის საფლავთან, აუგო ახალი წესი და სამჯერ საფლავში ჩასძახა: „გიხაროდენ, შენ დედოფალო, რამეთუ იხსნა ღმერთმან საყდარი შენი უსჯულოთა ხელთაგან“.

აღსანიშნავია, რომ აქედან მოყოლებული ციდრე მონღოლთა შემოსევამდე (მთელი საუკუნე) სომხეთი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა.

ამრიგად, დიდგორის ომის შემდეგ მუსლიმანთათვის დაუმარცხებელი ქვეყანა (ასე შეარქვეს თვით მუსლიმანებმა) დავით აღმაშენებლის საქართველოს, რომელიც გადაჭიმული იყო კასპიისა და შავ ზღვებს შუა - დარუბანდიდან ნიკოფსიამდე, მასში შემავალ ხალხებთან ერთად, დაუღბა „ოქროს ხანა“, საუკუნოვანი აყვავების პერიოდი. ამიერიდან საქართველო ქრისტიანული სამყაროსათვის გადაიქცა მეორე იერუსალიმად, მეორე რომად, მეორე ათენად. თუ არა დიდგორნი, საქართველოს არ ეყოლებოდა თამარი, ღიდებული შოთა... იმდროინდელი მემატეანენი (თვით მუსლიმანური სამყაროდანაც)



გადმოგვცემენ საქართველოს სახელმწიფოში განხორციელებულ სოციალურ-ეკონომიურ ღონისძიებებზე, დაცით IV-ის აღმშენებლობითი ცაწეობაზე, მეზობელ ქვეყნებთან და სხვადასხვა რჯულის ხალხებთან მის ჰუმანურ ურთიერთობაზე, და რაც მთავარია, მის განმათავისუფლებელ ბრძოლებზე. აი, როგორ ახასიათებს აკად. ნ. ბერძენიშვილი დაცით აღმშენებლის მოღვაწეობას, მის პიროვნებას:


- „ფართო მსოფლმხედველობის მქონებული, ღრმად განათლებული ადამიანი, მეცნიერების მოყვარე, რელიგიური შეუწყნარებლობის მტერი, პოეზიის დიდი მეგობარი და მფარველი, გელათში სასულიერო აკადემიის დამაარსებელი, ხოლო თბილისში სამეფო კარზე სწავლამოდღერებისა და პოეზიის მეცენატი: - ადამიანი უდრეკი ნებისყოფით, უშრეტე ენერგიით, „უძრავი გულით“ (ე. ი. ყოვლად უშიში), ბრძენი, პოლიტიკოსი, ორგულთა და მტერთათვის მკაცრად მიმგებელი, ერთგულთათვის მოყვარე-ლმობიერი, ასეთი იყო ეს დიდი ადამიანი, ფეოდალური საქართველოს ყველაზე დიდი აღმშენებელი. სწორედ ასეთი ზედსახელი უწოდა მას მაღლიერმა შთამომავლობამ“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 60-61). დაცით აღმშენებელიდანვე იწყება „ახალი საქართველო“ - რენესანსი (იქვე, გვ. 33).

სწორედ დაცითმა აქცია გელათი „ყოვლისა აღმოსავლისა მეორე იერსაღიმად, სასწავლად ყოვლისა კეთილისად, მოქულვრად სწავლეებისად, სხვათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმთთა შინა წესთა“ (დაცითვის ისტორიკოსი). თუმცა იერუსალიმი არა მარტო „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ არამედ დასავლეთისა და საერთოდ მთელი ქრისტიანული სამყაროს ცენტრად ითვლებოდა, მაგრამ, შექმნილი სიტუაციის გამო, აღმოსავლეთში სწორედ საქართველოს და მის ქრისტიანულ საგანებს (პირველ რიგში გელათს) უნდა გაეწია მთელ აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხისათვის

იერუსალიმობაც და ათონობაც; სწორედ მას უნდა მოეძინა ქრისტიანობა და სხვადასხვა მეცნიერებანი როგორც კაცკასიაში, ისე აღმოსავლეთის სხვა ხალხებში. ამ მიზნით ზრუნავდა მეფე დავითი ყველგან, ეს იქნებოდა გელათის მონასტერი, თუ მასში ყველა გამოჩენილ საეკლესიო მოღვაწის ამ საგანეში მოზიდვა, იმდროინდელი საქართველოს თეოლოგიურ-ფილოსოფიური ცენტრების შექმნა ყველა კუთხეში, თუ უმაღლესი აკადემიების დაარსება გელათში, იყალთოსა და გრემში.

დავით IV დიდზე-დიდი ყურადღება მიაქცია ქართველთა ეკლესია-მონასტრებს საბერძნეთში, ბულგარეთში, ასურეთში, შავ მთაზე, პალესტინაში, კვიპრზე, - „რამეთუ ლცრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბორღალეთისანი, მერწყვა ასურეთისა და კვიპრისა, შავი მთისა, პალესტინისანი, აღაგსნა კეთილითა, უფროსდა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესიო“, - გადმოგვცემს მემატთანე. დავითმა ახალი ეკლესიებიც ააგო მრავლად. მაგალითად, „მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავლად... და წიგნები საეკლესიონი სრულებით“. ამ ეპოქის გამოჩენილ დვთისმეტყველთა პლეადას ამშვენებენ: ექვთიმე და გიორგი ათონელები, გიორგი მცირე, თეოფილესი, ეზიკიელი, არსენი ამირტოლი, პეტრე გელათელი, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე (კ.კმკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1981 წ., გვ.36).

სახელოვანი და კაცთმოყვარე გვირგვინოსანის - დავითის პერიოდში ქრისტიანობაზე მოექცა შემოერთებული ხალხები - დღითი-დღე „სიმრავლე ურიცხვი შეეძინებოდა ქრისტეს“. ააგო მათთვისაც ეკლესიანი, ათარგმნინა სადგომო წიგნები და განავრცო მათში. საერთოდ, დიდმა მწიგნობარმა და წიგნის დიდმა მოსიყვარულემ მეფემ (მას ზოგი



წიგნი 20-ჯერ და მეტად ჰქონია წაკითხული წელიწადში და (თავისუფალი შტრობაშიც დაჰქონდა ბიბლიოთეკა) „მდიდრად შეკრიბნა ძუელნი და ახალი წიგნები“ და ხელმისაწვდომი გახადა ყველასათვის.

დავითის მემატრიანის თქმით, იმდენი რამ გააკეთა მეფემ ქვეყნისათვის, რომ ყველა ცნობილ ბრძენთა და გამომეტყველთა ენაც კი ვერ შესძლებს მის გადმოცემასო (რომ მისი აღწერა არ ძალუძთ „ყოველთა ბრძენთა სოფლისათა“). უფრო მეტიც, მას ვაეების ღირსად მიაჩნია პომეროსი, არისტოტელი, ფლავიუსი, რომ მათ, თავიანთი ნაწარმოების წერისას, ხელთ არ ჰქონდათ დავით აღმაშენებლის მსგავსი „საქმენი საგმირონი“ - „ნივთნი საქმეთანი“, ნამდვილი და არ მოგონილიო, რადგან დავითო, აგრძელებს მეისტორიე, იყო ახალი აღიქვანდრე მაკედონელი, აქილევსი, პეტრე მოციქული და იმპერატორი კონსტანტინეო; რომ „გერაგინ ძუელთა და ახალთა მეფეთაგანი ემსგავსა და ვითსაო“; იგივეს იმეორებს დავითისადმი ხოტბაშიც: „თუალი ყოვლისა სოფლისა“, „საჩინო ვითარცა მზე“, „ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი“, „აღმატებული, ვითარცა სამოთხე ქუეყნისა შორის“, „ძლიერი, ვითარცა ლომი“, „უბრძოლველ, ვითარცა აქილევ ელინთა შორის“, „ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის“, „უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის“, „კაცთ მოყუარე, ვითარცა ჩემი იესო ღმერთთა შორის“ (იხ. მ.საბინინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 66-67). დავითი იყო ადამიანი, ქრისტიანობის ცაზე „ამოციხსკრებული მზე“, რომელმაც დაიმორჩილა სულტანი, წარმართნი, ბარბაროზნი, არაბნი, ისმაელიტელნი, სპარსნი და სხვანიო. „რამეთუ სულტანი დასუა მოხარკეთ თვისა, ხოლო მეფე ბერძენთა ვითარცა სახლელური თვისი; დასცნა წარმართნი, მოსრნა ბარაბროზნი, მრწემად მოიყვანა (დაიქვემდებარა) მეფენი, ხოლო მონად ხელმწიფენი; მეოტად წარიქცივნა არაბნი, იავარად ისმაიტილნი, მტუერად დასხნა სპარს-



ნი, ხოლო გლეხად მთავარნი მათნი“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 351). „ხოლო კუალად საღმრთოსა სათნოებითა და სულიერთა საქმეთა მისთა ვიეთი გონება მისწუთეს, ანუ მოგონებულსა ვისმან ენამან შეუძლოს თხრობადო“ (იქვე, გვ. 352).

თუ გავითვალისწინებთ მართლაც საკვირველსა და საბრაკო მოღვაწეობას დავით აღმაშენებლისას, სრულიადაც არაა გადამეტებული მემკვიდრე-მეხობის ასეთი შეფასება.

დავითმა, თავისი 36 წლიანი მეფობის დროს (1081-1125) ერთ-ის მხრივ გააერთიანა, ააშენა და ააყვავა მტერთაგან დაქცეული და გაუბედურებული საქართველო და მთელი კავკასია, ხოლო მეორეს მხრივ, ღღევანდლამდე შეუფასებელი, დიდზე-დიდი ღვაწლი დასდო ქრისტიანობას იმდროინდელ ბოხოქარ და ტრაგიკულ სამყაროში. ჩვენი მხრივ ვიტყვით, და სრულიადაც არ იქნებოდა გადამეტებული, რომ არც ერთ ქრისტიან მეფეს აღმოსავლეთში, ჯარდა ღეგენდარული და წმინდა ვახტანგ გორგასლისა, ქრისტეს სჯულის დაცვისათვის არ გაუკეთებია იმდენი, რაც მოიმოქმედა დავით აღმაშენებელმა, ადამიანმა, „რომელსაც უტყუარმა განაჩენმა ერისაჲ, ეკლესიის ლოცვითა და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი უწოდა საუკუნო სახსენებლად“ (ილია გავგავაძე). მის ღეგენდარულ მოღვაწეობაზე დაღადაბენ წერილობითი წყაროები ლათინურ, ბერძნულ, არაბულ სომხურ, ქართულ და სხვა ენებზე და რა სამწუხაროა, რომ ღღევანდელი მსოფლიოს მეცნიერული სამყარო თითქმის არ იცნობს დიდი „ჯვაროსანი“ რაინდის ისტორიას; სამწუხაროა ისიც, რომ ამაცემ მიზეზით მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ არაა აღიარებული ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული „მესიის მახვილი“ - წმ. დავით აღმაშენებელი. ცნობილია ისიც, რომ დავითმა „მესიის მახვილი“ თავის მონეტაზეც (ეს მონეტა მთელ აღმოსავლეთის ბაზარზე გადიოდა) არაბუ-

ლად ამოკვეთა და ამით ამცნო მუსლიმანურ სამყაროს, რომ ის წინააღმდეგობას უწევდა ქრისტიანობის მცველსა და ქომავს (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 257).

ამრიგად, საქართველოს სამეფო, ასეთმა ტრიუმფალურმა გამარჯვებებმა, ფაქტიურად აქცია ბიზანტიის თავისებურ მეტოქედ და მის მეტყველებად, რადგან „იმ დიდ გამარჯვებობა შედეგად, რომელსაც ქართველმა ხალხმა დავით IV დროს მიიღწია, საქართველო ფართო ისტორიულ ასპარეზზე გამოიყვანა. იმდროინდელი ევროპელი მოღვაწეები საქართველოს, ქრისტიანთა „წინაბურჯად“ თვლიდნენ მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლაში, ხოლო დასავლეთში გავრცელებული თქმულებების თანახმად, დავით მეფე იყო ქრისტიანობის მხსნელი ურწმუნოთაგან“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 262).

თავისი თავისადმი მკაცრმა მსაჯულმა - სახელოვანმა მეფემ მარტოოდენ ღვთაების განუსაზღვრელ კაცთმოყვარეობას მიიღო თავისი მომავალი იმპერატორ სამყაროდან წაწვლამდე, იგი თავის „გალობანი სინანულისან“-ში წერდა: „უამი რაი წუხილთა და ავთა აღმოფშნვათაი წარმოდგეს, ზარი შეფობისა წარხდეს და დიდებაი დაშრტეს, შუებანი უქმ იქმნენ, ყუაგილოვნებაი დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაი, სხუასა შეუდგენ სპანი, - მაშინ შემეწყალე, მსაჯულო ჩემო! გან-რაი-ელოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა და მექედდადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად, მსაჯული მართალ სჯიდეს, მსახურთა რისხუაი ქროდეს, მართალნი ნეტარებდნენ, ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი, - მაშინ შემეწყალე, იესო ჩემო“ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946 წ., გვ. 376).

„ქრისტიანობის მხსნელი ურწმუნოთაგან“ – დავით აღმაშენებელი II25 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულ იქნა გელათის მონასტრის სამხრეთის შესასვლელ კარებში. წმინდანად შერაცხვის შემდეგ, მისი ნეშტი გადაასვენეს გელათის საკრებულო ეკლესიის ტრაპეზის ქვეშე (მ.საბანინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 512). მისი საფლავის ქვის წარწერა – „ეპიტაფია დავით აღმაშენებლისა“, რომელიც ეკათონის ღრსენ იყალთოელს, წამკითხველს აუწყებდა:

„როს ნაჭარმაგვეს მიფენი შვიდნივე პურად დამესხნეს,  
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღუართა იქით გამესხნეს,  
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,  
აწე ამათსა მოქმედსა ხელნი გულზედა დამესხნეს“.

მართალია დღეს თითქმის აღარ იკითხება საფლავის ქვის წარწერა, მაგრამ არასდროს ამოიშლება ქართველის გულში ხსენება და დიდება იმისი, ვისაც „აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მიფეს და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა – წაიყოლა სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკული“ (ილია ჭავჭავაძე).

ვახტანგ წუნდელი

რ. ჟ ა ნ ე ნ ი

---

ქართველები

ი ე რ უ ს ა ლ ი მ ი ე ი

ამტორის შინასიტყვაობით

(ფრანგულიდან)

ბ. შ ა ლ ვ ა ვ ა რ დ ი ძ ი ს ა

ს ტ ა მ ბ ლ ი

საბეჭდავი კათოლიკე ქართველთა საგანისა

1 9 2 1


მკითხველის საყურადღებოდ

საქართველოს ეკლესიური ისტორია ბევრ ნაირად გამოურკ-  
მველია რადგან ყველა ის საისტორიო მასალა, რომელიც ჩვენში  
და უცხო ქვეყნებში მოიპოება, ბევრი დღესაც კიდევ შეუსწავლე-  
ლია. ამ ნაკლს სხვაც მუდამ თან დაჰყვებოდა: რაც კი ჩვენს ლი-  
ტერატურაში დამუშავებული და ნათელი იყო, იმასაც დღემდის და-  
სავლეთში ძალიან ნაკლებათ იცნობდენ. ამ მხრივ დაუფიქსარი დვა-  
წლი მიუძღვის კონსტანტინეპოლის კათოლიკე ქართველთა სავანის  
წევრს, მ. მ ი ხ ე ი ლ თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ს, რომელმაც თა-  
ვისი დაუღალავი მეცადინეობით და გამოკვლევით ბევრი რამ ნათელ  
ჰყო ჩვენ სავალდისო ისტორიაში.

ჯერედ ქართულად დასწერა და თბილისში გამოსცა 1902 წელს  
ისტორია კათოლიკობისა ქართველთა  
შორის და ორი წლის შემდეგ პასუხად სომხის  
მწერლებს.

დასავლეთის მკვლევართ ამ წიგნებით ვერ ისარგებლეს, ცო-  
ტათი მაინც რომ შეეცვალათ თავიანთი შეხედულება ივერიის ეკლესი-  
ის დასაწყისზე, მის ლიტურჯიაზე და სასულიერო ლიტერატურაზე,  
რომლებზედაც მრავალ წლობით სომხური პროპაგანდა გაუგებარ და ის-  
ტორიულ სინამდვილეს მოკლებულ ცნობებს აცრცლებდა. ამიტომაც  
ამავე თამარაშვილმა გამოსცა ფრანგულ ენაზე ფრიად საყურადღებო

წიგნი: "L'ÉGLISE GÉORGIENNE des Origines jusqu'  
à nos jours".



ამ წიგნმა რიგის გარეთი და ფრიად სასურველი ზედ-გაძეგნა, ღენა ნოახდინა აღმოსავლეთის ეკლესიურ ისტორიის მკვლევარებში, რადგან სულ ახალი და ნამდვილი ისტორიული საბუთები გადაეშალა თვალ-წინ. მომეტებულად კი კათოლიკეთა ეკლესიის მაღალ წრეებს და მართველობას სულ ახალი შეზღუდულობა დაუბადა და მითცე უდიდესი თანაგრძნობა და პატივისცემა ივერიის ძველად ბრწყინვალე ეკლესიისადმი.

თანარაშვილი ვიდრე გამოაქვეყნებდა თავის გამოკვლევებს, ისედაც დიდ პრობაგანდას სწივდა ყველგან სიტყვით და მიწერ-მოწერით. იტალიელი მკვლევარი მღ. ა ჟ რ ე ლ ი ო პ ა ლ მ ი ე რ ი ა მ ო დ ი წლის წინეთ სწავლობს ქართულსა და კრიტიკულად იკვლევს ივერიის ეკლესიის დასაწყისსა, ქართველების გაქრისტიანებას და წმიდა ნინოს მოღვაწეობას ჩვენში და მის ხანას. იტალიურ ენაზე მრავალი მეცნიერული წერილები და გამოკვლევები მოათავსა პერიოდულ ჟურნალ „BESSARIONE – Revista di Studi Orientali“-ში (anno VI, vol. I, fasc. 63; vol. II, fasc. 65-66). ხოლო ამასზე უფრო მეტად საყურადღებოა მისი „LA CONVERSIONE ufficiale degli Iberi al Cristianesimo“ – ოფიციალური გაქრისტიანება ივერიელებისა. – და სულ განსაკუთრებით „LA CHIESA GEORGIANA e le sue origini“ – დასაბამი საქართველოს ეკლესიისა – 1901 წელს დაბეჭდილი ქ. რომში, იმავე Bessarione – ში (anno V, vol. IX, fasc. 59 – 60) და 1904 წელს ამის დამატებანი (addizioni anno VIII, vol. VI, fasc. 76 e 77).

თანარაშვილს გერმანიასშიც მყავდა მეცნიერი მეგობარი. ვილსოვიის და ღვთისმეტყველების დოქტორი მღ. გ ი ო რ გ ი ბ რ ა ფ, დიდი ხანია იკვლევს საქართველოს ძველ ლიტერატურას და სულ განსაკუთრებით ლიტურგიულსა, მაგრამ რავდენადაც ციციოთ

ჯერ-ჯერობით არაფერი გამოუქვეყნებია.



აქ კონსტანტინეპოლში თუბნებებოდე წელიწადია აღმოსა-  
ღეთურ ეკლესიათა ისტორიას იკვლევდა ფრანგი მღ. ა ლ ი ო ზ  
პ ე ტ ი, რომელიც დღეს ათინის არხიეპისკოპოსია. ეს პატივცემ-  
იული მიცნიერი მრავალ გზის შეეხო საქართველოს ეკლესიას, მის  
ლიტურგიას და ლიტერატურას; მაგრამ უნდა ვაღვიაროთ, რომ სომ-  
ხური ფსევდო-ისტორიული გავლენა სამწუხაროდ ყოველთვის თავიდან  
გერ აიშორა.

პირ-იქით მისი თანამოძმე, ახალი მკვლევარი, ამ წიგნის  
ავტორი მღ. რ. შ ა ნ ე ნ ი უფრო სიმპატიურად და სერიოზულად  
უყურებს ივერიის ეკლესიის წარსულ ისტორიას. პირველი მისი გა-  
მოკვლევა „დ ა ს ა ბ ა მ ი ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს ა ს ა-  
ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი - *Les Origines chretiennes de la  
Georgie*“ - დაიბეჭდა 1912 წელს, ორ თვიურ ჟურნალ „ECHOS d'OR-  
IEN“ -ში. ( XV, 289). დაინტერესებულმა ქართული ეკლესი-  
ის წარსულით, რ. შანენმა კარგა ხანს დაჰყო პალესტინაში, ადგი-  
ლობრივ ინახულ პართველების ყველა ძველი სავანეები, კრიტიკუ-  
ლად გამოიკვლია მათი ისტორია, და 1913 წელს, იმავე ჟურნალის  
98 და 100 ნუმრებში, გამოსცა ამ სათაურით „*Les Géorgiens  
à Jérusalem*“ - ქართველები იერუსალიმში“ - რომლის თარგმანს,  
ავტორის წინასიტყვაობით დღეს ვაქვეყნებთ. ამის შემდეგ რ. შა-  
ნენმა კათოლიკურ ღვთის-მეტყველების ენციკლოპედიურ ლექსიკონში  
საქართველოს შესახებ ვრცელი გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული, ეკ-  
ონომიური და პოლიტიკური, რელიგიური და ლიტერატურული გამოკვლე-  
ვა მოათავსა; აქაც პატივცემული მკვლევარი რიგის გარეთ ცოდნას  
იჩენს, ვინაიდან საქართველოს ცხოვრება უძველეს დროიდან დღე-  
ვანდღანდემ დასაბუთებული აქვს არა მარტო ქართული წყაროებით,

რომელიც ჩვენ დაუთარგმნეთ, არამედ უცხო ტომების ძველ და  
მემატრიანეთა და მეცნიერთა საბუთებითაც.

საჭიროა აქ აღვნიშნოთ, რომ ქართველი ნკველევარები დღემ-  
დის ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სხვა და სხვა უცხო ქვეყნებში  
ყოფილ სავანეებს, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ერ-  
მა ღირსეულად გამოამუღაცნა თვისი შემოქმედებითი ნიჭი და კულ-  
ტურული ძლიერება. დასავლეთის მწერალთა ყურადღება კი უფრო ამან  
მიიზიდა და უფრო ამან აღძრა მათში ის თანაგრძნობა და პატივის-  
ცემბა, რომლის ერთი საუკეთესო გამომხატველი და გამომტემელი არის  
მ. რ. ჟანენი.


ჩვენი დიდებული წარსულის დაკარგვა უფრო მეტად აწუხებს  
ზოგიერთ შეგნებულ უცხოელს ვიდრე ჩვენ. და თუ ეს წიგნი „ქ ა რ-  
თ ვ ე ლ ე ბ ი ი ე რ უ ს ა ლ ი ნ ი შ ი“ ვსთარგმნეთ და დღეს  
ქართველ საზოგადოებას ვაწვდით, სხვათა შორის გვსურს უჩვენოთ  
ყველას რამდენად აუასებს და პატივის-სცემს უცხოელი ჩვენს წარ-  
სულ შემოქმედებას და დიდებას.

ბ. შ. ვ ა რ დ ი ძ ე

## წ ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

აღმოსავლეთის ეკლესიებში საქართველოს ეკლესია უსათუ-  
ოვ ერთი უწარჩინებულესთაგანია, არა მარტო იმ წმინდანებით და  
მეცნიერებით, რომლებიც მან წარმოშვა და სასულიერო ხელოვნების  
ნამოქმედართა, რომლის ზოგიერთმა ძვირფასმა ნიმუშებმა ჩვენამ-  
დე მოადწია, არამედ თავის ბრწყინვალეობითა და ზედ-გავლენით  
მრავალ უცხო ქვეყნებში რომ მოიპოვა, და აგრეთვე მუდმივი ბრძო-  
ლით ყოველთვის რომ აწარმოებდა თავისი შვილთა სარწმუნოების და-  
საცემლად.

მისი ეს ბრწყინვალე სხივოსნობა თვალსაჩინო შეიქმნა  
განსაკუთრებით ბიზანტიურ იმპერიის საზღვრებში, მაგრამ ამაზე  
უფრო მეტად კი მთა-წმიდასა და პალესტინა-  
ში. საშუალო საუკუნეთა რამდენიმე ასი წლის განმავლობაში მას  
სახელი გაუთქვა მისმა ძღვევა-ნოსილობამ, საზღვარ გარეთ მრავალ  
ასობით მოფანტული ბერ-მონაზონების სათნოებათ, სასულიერო-საქ-  
ველმოქმედო დაწესებულებებმა და მისი მწერლების სამწიგნობრო  
და სასულიერო ღვაწლმა. ჩვენ აქ მიზნად დავისახეთ აღმოვაჩინოთ  
ქართული გავლენა მხოლოდ იერუსალიმსა და მის მიდამოებში, რად-  
გან მრავლად მოიპოვება იმ დროის საისტორიო საბუთი, როგორც  
აღმოსავლეთურ ეგრეთვე დასავლეთურ წყაროებში. ეჭვს გარეშე,  
საქართველოს სხვა მრავალი მწერლობითი ნაშთიც უნდა მოეპოვებო-  
დეს, რომლითაც საწმენობროდ ჩვენ ვერ ვისარგებლეთ და რომლის  
გამოქვეყნება, რა ტქმა უნდა, მრავალ მხრივ გააშუქებდა ამ  
ჩვენ მცირე ნაშრომსა.



ინებოს ღმერთმა და წარსული დიდების ხსოვნამ შობაგონოს  
 კართველებს - დღეს ზეციური განგებით თავიანთი სვეტების  
 პატრონებს - რათა დაიბრუნონ ის საპატიო ადგილი, რომელიც მათ  
 უნდა ეკუთვნოდეს იესო ქრისტეს მიერ დამყარებულ ერთადერთ მსო-  
 ფლიო ეკლესიის წიაღში; მხოლოდ ამ ეკლესიას შეუძლია ჯეროვანა  
 დააფასოს იგინი და ისე მოეპყრას მათ როგორც საკუთარ შვილებს.

რ. ჟანენი

1921 წელს, გორგობისთვის I-ს  
 კონსტანტინეპოლი.

## ქართველები იერუსალიმში

### I. სამლოცველოები და საცანეები.

ქრისტიანი ერები ყოველთვის მიიღებდნენ პალესტინისაკენ, რადგან რწინენა ამ ძველი ადგილებისა, სადაც ძველად ქრისტე დმერთი ცხოვრობდა და ჯვარს ეცვა, დიდ მიწვიდველ ზედგავლენას აბდენდა მათზე.

ესენი თავიანთი სარწმუნოებრივი გულის წადილის დასაკმაყოფილებლად არ ჯერდებოდნენ საყვარელ სამლოცველოების მხოლოდ მიმობილვასა, და ზშირად იქვე მკვიდრდებოდნენ; ამ სახით ეს ქვეყანა მრავალ გზის საკვირველად აღორძინდა ძვირუასი საცანეებითა და ეკლესიებით.

დღეს მლოცველიც და მოგზაურიც სწუხს და დრტვინავს იმ უწესოების გამო, რომელიც წმიდა ქალაქში სუფევს წელიწადის ზოგიერთს დროს და განსაკუთრებითა დდგომის და შობის დღესასწაულებში; მართლაც საოცარია ის განუწყვეტელი დავა და ქიშპობა, რომელიც თავს იჩენს სხვა და სხვა მიმდინარეობის ქრისტიანთა შორის მათი წინაპრების მიერ დატოვებულ მემკვიდრეობის დასაცვლად. საშუალო საუკუნოებში ხალბთა დენა წმიდა ადგილებისაკენ უფრო დიდი იყო და ეს ქიშპობა და დავა იმდენად უფრო ძლიერდებოდა და მკაცრ ხასიათს იღებდა, რამდენადაც ემატებოდა იმ ერთა რიცხვი, რომელნიც წმიდა ადგილების დაკავებას ეცილებოდნენ ერთიმეორეს. უკვე რამდენიმე საუკუნეა, რაც ზოგიერთი ამ ხალხთაგანი იერუსალიმში სრულიად გაქრენ; მთავ. სერბიელები, ქართ-



მეღებები და ბესები\*, ან და დაჰკარგეს თავიანთი გავლენა, გორც მარონიტებმა, კოპტებმა და აბაშელებმა. ძველად კი ყველა იმ ხალხთა შორის, რომელთაც იმ დროში განსაკუთრებული უპირატესობანი და დიდი გავლენა ჰქონდათ წმიდა ქალაქში, ქართველებს უდაოდ ერთი უპირველესი ადგილი ეჭირათ\*\*.

\*ბესები, საურანგეთის ანაცე სახელ-წოდების მამრიც ცხოვრების არიან. შ. ვ.

\*\* საქართველოს ეკლესიაში ბერ-მონაზონებრივი ცხოვრების ღრულ-ცილებანი ისე მაღე გაიზარდა, რომ ჩვენი ქვეყნის შინაგანი და გარე მხარები აივსო ქართველ მამების და ღვდების წმინდა დასებით. მაღე მათ თავიანთი ნოქმედების ასპარეზი უცხო ქვეყნებშიც გადაიტანეს. განსაცვიფრებელია რიცხვი მათ თავმესაფარ სავაწეებისა, რომლებიც ააშენეს არა მარტო იერუსალიმსა და პალესტინაში, არამეღ სინაიის მთაზე, სირიაში, საბერძნეთში და თვით მაცკლონიაში.

ყველგან ბრწყინავდა ქართველ სულიერ მამათა სათნობა, ღულდა ზესთა-ბუნებრივი და გონებრივი მათი ცხოვრება, და მათი წმიდა. თავ-შესაუარი ყოველგან იყო კერა ჩვენი ეროვნული კულტურისა. ანისთვის მკითხველის საყურადღებოთ აქ აღვნიშნავთ იმ სავანეების სიას რომლებიც საზღვარ გარეთ იყვნენ და რომლებზედაც ისტორიული საბუთები ანუ ზეპირგაღმოსვნითი ცნობები კიდევ ღარჩენილია დღემდის. I. ბ ა ლ ე ს ტ ი ნ ა შ ი: სავანე წმიდა ჯვრისა; წმიდა ნოციქულთა, ჯამნებული ნივე გიორგი I-ს ნიერ; აბრამისა, განააღებული მე-XVI საუკუნეში გიორგი აბაშიძის ნიერ; წმ. გიორგისა, ჯამნებული თავად ღაღიანის ნიერ; წმ თევდოსი, ქრისტეოორდ ბედაენიძისა; წმ. ნი-



კოლოზისა, გაშენებული საქართ. დელოლის ელენეს-ნიერ; წმ. ვა-  
სილისა, გაშენებული ამირინდო ამილახვარის და თაქოს ნიერ; წმ.  
დომიტრისა, გაშენებული ქსნის ერისთავის შალვას ნიერ; წმ. მო-  
ციქულის და მახარებელის იოვანესი, გაშენებული სამცხის ათაბე-  
გების ნიერ; წმ. თეოდორესი, გაშენებული ბეჟან და ბაადურ ჩოლო-  
ყაშვილების ნიერ; წმ. მოციქ. იაკობ ზებედეის; წმ. სამოელ წინას-  
წარმეტყველისა; წმ. ნიკოლოზის მეორე სავანე, გაშენებული პაატა  
და ქაიხოსრო წულუკიძეების ნიერ; წმ. საბასი; წმ. სიმონის ღვთის  
ნიმრქმელისა; გოლგოთაზე ტაძარი ქრისტეს აღდგომისა; წმ. ეკატე-  
რინასი, ქალთა სავანე გაშენებული მე-XVII საუკუნეში, ამირბარ  
ციციშვილის და მარბაღის ნიერ; მირქმისა, ქალთა სავანე გაშენ-  
ბული რაჭის ერისთავის ნიერ; წმ. იოვანე ნათლის მცემელისა, მდ.  
იორდანეზე; მოგზაური ტიმოთე არბიეპისკოპოსი მე-XVII ს-ში 4  
მონასტერს იხსენიებს ნაზარეთში. II. ს ი რ ი ა შ ი: წმ. სვი-  
მონ მესვეტისა; ყ-დ. წმ. ღვთის-მშობლისა ქ. აღების ახლოს; კვი-  
პრის კუნძულისა; შავი მთისა, სირიაში; სინაის მთისა. III. ს ა -  
ბ ე რ ძ ნ ე თ შ ი: ქ. ტრაპიზონისა; ღვთისმშობლის ივერიის კა-  
რისა, ათონზე; აქვე წმ. ფილოთეოზისა; იონა ღვთის-მეტყველისა,  
დაფუძნებული ათონზე 1870 წელს; ეკლესია ყ-დ. წმ. ღვთის-მშობლი-  
სა ოლიმპის მთაზე. IV. მ ა კ ე ლ ო ნ ი ა შ ი: იერისო, სალონი-  
კის მახლობლად; წმიდა ნინოსი, ქ. ფილიპიპოლის 20 ვერსით დაშო-  
რებულ მთაზე. V. კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე შ ო ლ ი ს ა, სადაც ქარ-  
თველთ წმ. ილარიონი დაკრძალეს; უმანკოდ ჩასახებული ყ-დ. წმ.  
ღვთის-მშობლისა, დაფუძნებული მ. პეტრე ბარისგირაშვილის ნიერ  
1861 წელს, ფერიკვიის უბანში; იმავდ აღგილსა და იგივე სახელ-  
წოდებით მანვე 1871 წელს ქართველ ღვლათა სავანეც დაარსა. შ. მ.



ძლიერს იყო გასული\*, როდესაც ერთი მათგანი; ევგარი, თავისი საღვთის-მეტყველო ბჭობა-კამათით წმიდა იერონიმესთან, უკვე ნათელ აღმოსავლეთში ქუხდა. ერთი საუკუნის შემდეგ ამას მოჰყვა ქალაქ მაიუმის ეპისკოპოსი, პეტრე ივერიელი, რომელსაც ტყვილად თუ ნართლად ევთიხის მწვადებლობის მომზრეობას აბრალებდენ; ამანაც კიღვე ამცნო პალესტინაში\*\* ქართველი ერის სახელი.

ვიღრე ეპისკოპოსი გაბდებოდა, ამ პეტრე ივერიელს მრავალი სავანეები აუშენებია: ამასში ერთი იერუსალიმში იყო, დანარჩენები კი მღინარე იორდანეს ნაპირებზე. ამ ხანიდან ივერიელები ანუ ქართველები ბლომად მოაწყდენ წმიდა ქვეყანას; აქ ძველადგანვე უჩვენებენ ორ სავანეს, რომელიც მათ ეკუთვნოდა. მართლაც პროკოპი\*\*\* გადმოგვცემს, რომ

\* R. Janin, *les Origines de la Georgie dans les Echos d'Orient*, t. xv, 1912, p. 289.

\*\* R. Roabe. *Petrus der Iberer*. Leipzig, 1895.

\*\*\* პროკოპი, ბერძენი ნემატიანი, დაიბადა პალესტინის ქ. კეისარიამში. ცხოვრობდა ე.-შ. ნე-IV საუკუნის პირველ ნახევარში. ერთბაშად მწერნეტყველების მასწავლებლად იყო კონსტანტინეპოლში. შემდეგ იმპერატორ იუსტინიანე I-ის სარდლის მდივნობა მიიღო და 522 წელს კონსტანტინეპოლის მართველის-თანამდებობა ნისცეს. გადაიცვალა 525 წ. მისი ნაწერები დანაბასიამოთხეულია კლასიკური ლიტერატურის ბიზანტიურ ლიტერატურად გადასვლის ხანისა. ამან დასწერა „ისტორია“, მ წიგნად, ანუ იუსტინიანეს ომების ამბები 523 წლამდის; „ძეგლები“, იუსტინიანე იმპერატორის ნაშენთა აღწერილობა, რომელსაც ჩვენი ავტორი ხშირად იხსენიებს; „დაუარული ისტორია“, 549 - 553 წლამდის, საღ-

იუსტინიანემ განაახლებინა წმიდა ქალაქში სავანე ივერიელე-  
ბისა და ჭანებისა\*\* იერუსალიმის უდაბნოში\*\*\*.



პეტრე ივერიელმა თავისი სავანე გააშენა იერუსალიმში  
გგონებთ, ქართველ მეფის ვახტანგის (464 - 499) მეფობის დროს.  
ზოგიერთთა აზრით ეს სავანე იმყოფებოდა შიგ ქალაქში, დავითის  
კოშკის მახლობლად (ქ. იაფას კარი), იმ გზის მარცხნივ, რომე-  
ლიც ამ კოშკიდან სიონის ეკლესიამდე მიდიოდა\*\*\*\*. სხვათა სიტ-  
ყვით კი, ეს სავანე უფრო ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით იმყოფებოდა  
და უნდა ვიკვლიხებით, რომ ეს იყო წმიდა ივანე დეის-მეტყვე-  
ლის ძველი სავანე\*\*\*\*\*, რომელიც დღეს ფრანცისკანების\*\*\*\*\*  
წმიდა მაცხოვრის სავანედ არის წოდებული. ჭანების სავანეს შე-

-----  
აც ჰკიცხავს იმავე იმპერატორს და ბელიზარს, რომელთაც თავის  
„ძეგლებში“ ხშირად ზეღმეტად აქებდა. შ. ვ.

\* იუსტინიანე I-ლი დაიბადა 483 წელს ქ. თავრეზიუმში, იმეუა  
38 წელიწადი (527 - 565). კონსტანტინეპოლის იმპერატორთა შო-  
რის იუსტინიანე ყველაზე მეტად სახელ-განთქმულია. შ. ვ.

\*\* ჭანები ანუ ღაზები ქართველების მოდგმისა არიან. თურქე-  
ბის დაპყრობის შემდეგ თითქმის ყველანი გამუსლიმანდნენ.

\*\*\* Procope, De Edificiis, I, V, c. IX. - P. G. t. LXXVII, col. 521.

\*\*\*\* J. Vailhe, Répertoire alphabétique des monas-  
teres de Palestine, Paris, 1900.

\*\*\*\*\* Chr. Peipadopoulos. Ἡ ἱερά Μονή τῶν Σταυρῶν  
Jérusalem, 1905, p. 18.

\*\*\*\*\* ფრანცისკანები, კათოლიკე ბერები არიან; ამათი ჯგუფი  
ცალკე საზოგადოებათ გამოეყო იმ დიდ საზოგადოებას, რომელიც  
1208 წელში წმიდა ფრანცისკემ დააარსა შუა იტალიის ქ. ასიზიოს  
ახლოს „პორციუნკულად“ წოდებულ ადგილში. შ. ვ.



სახე კი უმრავლესობა ფიქრობს, რომ ეს სავანე არის წმიდა ჯვრის სავანე, რომელზედაც შემდეგში გვექნება საუბარი.

არაბების დაპყრობამ თუმცა უნებლიედ შეაჩერა პალესტინისაკენ გადმოსახლების მოძრაობა, მაგრამ სავსებით მაინც ვერ დაუტარგა ამის ცხოველი წადილი იმათ, ვინც მონაზონებრივი ცხოვრებით იყვნენ გატაცებულნი და ვისაც მაცხოვრის საფლავთან წმიდათ ცხოვრების გატარება სურდათ. სამწუხაროდ, ამ არეულ ხანის საბუთები იშვიათად მოიპოვება და ისიც ძალიან ნაკლებ შინაარსისა; სულ რაც ვიცით, შემდეგი წყაროდგან არის: „სიგელი, მოსახსენებელი სახლთა უფლისათა ანუ სავანეთა“ – „*Commemoratorium de Casis Dei vel monasteriis*“ – გადმოგვცემს, რომ 808 წელს ზეთის-ხილის მთის სავანეში ოთხი ქართველი ბერი იყო, ხოლო გეთსამანიისაში\* კი ერთი. დანამდეღებით არ ვიცით, ივერიელების სავანეს იერუსალიმში საერთო განადგურება ერგო წილად, როგორც სხვა ბევრ სავანეს შემოსეულ დამპყრობლების-მიერ, თუ არა.

ამ ცნობის გარდა, დასავლეთის მემატრიანენი აღარ იხსენიებენ ქართველებს მე-X საუკუნემდე. დაახლოებით 1050 წელს კი საქართველოს მეფე ბაგრატ კურატპალატს მიუღია\*\* ბერძნის იმპერატორისაგან თხემის ნახევარი გოლგოთაზე, სადაც მას განუწესებია ერთი ქართველი ეპისკოპოსი\*\*\*. ამავდროულად უკანასკნელ

\* *Itinera Hierosolimitana*, Genève, 1880, I(2) p. 302.

\*\* *Palestine exploration Fund. Quarterly Statement, octobre 1911, p. 185.*

\*\*\* ბაგრატ მეფის-მიერ ქართველი ეპისკოპოსის დანიშვნა გვაჩიბულებს ვიგულისხმობთ, რომ ამ დროებში, როგორც ქართველი სამ-

ხანებში იმ ადგილს, სადაც წმიდა იაკობ დიდი აწამეს, ქართველებმა გააშენეს სხვა ახალი სახანე, რომელიც შემდეგში სომხებმა დაისაკუთრეს \*.

ჩვენ არ ვიცით, განდევნილ იქმნენ ქართველები გოლგოთადგან ჯვაროსანთა მოსვლამდე თუ დასავლეთის რაინდებმა სთხოვეს მათ თავის ნებით წასულიყვნენ; მხოლოდ ფაქტია, რომ ჯვაროსნობის დროის შემთხვევითა შორის არც ერთს არ აქვს აღნიშნული ქართველების ყოფნა გოლგოთაზე.

მე-XII საუკუნის დამლევს ქრისტიანებმა დაჰკარგეს პალესტინა. ამ ნოვლენამ ქართველების ლტოლვილება იერუსალიმისაკენ, რომელიც ჯვაროსნობის დასაწყისიდანვე იყო დაწესებული, არა თუ შეაჩერა, პირ-იქით უფრო გააადვილა და გააუარყოფა; ამიტომაც ეს დრო არის სწორედ ის ხანა, როდესაც მათ დაიწყეს იქ გაბატონება.

ყველასაგან ცნობილია, რომ საუკეთესო ნაწილი ეგვიპტის სულთნების ჯარისა კაცკასიიდან მოყვანილ და ნაყიდი ტყვეებისაგან შემდგარი მამულუკები\*\* იყვნენ და იმ დროს მთელ ამ ქვე-

ლედლოება ისე ბერებიც და მრევლიც ბლომათ უნდა ყოფილიყო პალესტინაში, თუმცა მემათიანენი მათ სრულიად არ იხსენიებენ. შ. მ.

• Tchamitch, Histoire de l'Arménie, t. III, p. 666.

\*\* მამულუკი, არაბული სიტყვაა და ნიშნავს ტყვეს. ეს სახელ-წოდება მქონდათ თურქებისა და განსაკუთრებით კაცკასიის მოდგმის ხალხებიდან აყვანილ ტყვეებს, რომელთაგან სალადინის შემდეგ ზოგიერთმა სულთნებმა საკუთარი გვარდია შექმნეს. მამულუკებში ზოგიერთებმა შემდეგში უმაღლესი ადგილიც მიიღეს მთავრობაში, და ბოროს ძალა ჩაიგდეს ხელში და გაბატონდნენ მთელ



ყნებში ესენი ბატონობდენ. და რადგან ქართველებს, როგორც  
 საეკლესიო მემკვიდრეობის მემკვიდრეობის გადმოგვცემენ, კარგი დამოკიდებულება  
 ჰქონდათ მათთან, ამიტომ მათ მე-XIII და მე-XIV საუკუნეებში  
 დიდად საპატიო ადგილი ეჭირათ პალესტინაში; მაშინ, როდესაც

-----

ეგვიპტეში. მამულეების დასაწყისი ჯენჯისხანის შემოსევის დროს  
 ეკუთვნის. მალევე-სალეჰ სულთანმა სულ თავდაპირველად მონგოლები-  
 საგან იყიდა ტყვე თურქები, რომლებიც თავის სასახლეში მოათავ-  
 სა და მისი დაცვა ჩააბარა. საუცხოვოთ გასწვრივ იგინი სანხედ-  
 რო მკაცრი დისციპლინის წყალობით და შემდეგ ეგვიპტის ყველა უმ-  
 თავრეს ქალაქების მცველად დაარჩია. საფრანგეთის მეფის ლუდოვი-  
 კო მე-IX დამმარტხებელი სულთანი მალევე-მოდჰანი მოჰკლა მამე-  
 ლეების გენერალმა იზიდინ-მოეზ-აბეკმა და მოკლულის დედა ხა-  
 ჯერედორი სრულუფლებიან დელოფლად გამოაცხადა. შემდეგ ცოლად შე-  
 იროთ იგი და 1254-ში, მამულეების პირველ დინასტიის პირველ  
 სულთანად გამოაცხადა თავის თავი. ორი დინასტია იყო მამულე  
 სულთნებისა: „ბაჰარიტები“ ანუ მეზღვაურნი, 1254 - 1382 წწ.  
 ეკუთვნოდენ იმ მამულეებს, რომელნიც ეგვიპტის ზღვის ნაპირის  
 უმთავრეს ქალაქებში ცხოვრობდენ; უმრავლესობა, „ბორჯიტები“  
 1382 - 1517 წწ., ეკუთვნოდენ იმ მამულეებს, რომელნიც ქართ-  
 ველი ტომის მოღმისანი იყვნენ და ცხოვრობდენ უმთავრეს ციხე-  
 სიმარეტებში (ბორჯი), როგორც მცველნი. როდესაც მთელი ძალა-  
 უფლება ამით ხელში იყო, ეგვიპტე ძლიერ სახელმწიფოდ ითვლებოდა.  
 მათი სულთნები, როგორც მემკვიდრეობის გადმოგვცემენ, ყოველთვის  
 კარგად ეპყრობოდენ იერუსალიმის და მთელი პალესტინის ქართველო-  
 ბას, რადგან კარგად იცოდნენ რომ ქართველების ჩამონაცხადნი იყ-  
 ვნენ. მამულე სულთნები საბინარნი იყვნენ როგორც განოჩენილნი

სხვა ქრისტიანებს დიდთ უჭირდათ იერუსალიმში მისვლა და იქაც  
მათი ყოფნა ხშირად საშიში იყო, ქართველებისათვის კარი დია  
იყო და ისინი სრულიად თავისუფლად გრძნობდნენ თავს.



მეონარნი და როგორც გამოქნილი დიპლომატები. განსაკუთრებით  
გაითქვეს სახელი სულთან ბიბარსმა და კელაუნმა და ყველაზე მე-  
ტად ნასერ-მოსამედ-ბენ-კელაუნმა. 1517 წელს, ოსმალთა სულთან-  
მა სელიმმა ბოლო მოუღო მათ მეფობას; დაანარცხა და დაარჩო უკა-  
ნასკნელი მამელუკი სულთანი ტუმამ-ბეი და ეგვიპტე ოსმალეთის  
საკუთრებად გამოაცხადა. მიუხედავად ამისა, ეგვიპტეს მაინც მა-  
მელუკების საბჭო მართავდა, რომელიც 23 ბეჰისაგან შედგებოდა.  
ოსმალეთის სულთანს ჰყავდა მოადგილე ფაშა, რომელიც ბრძანებებს  
აძლევდა და ხარკს იღებდა. ბეჰებს შეეძლოთ მორჩილობაზე უარი  
განეცხადებით და ფაშაც გამოეცვალათ. ასე, 1766 წელს, ალი-ბე-  
გმა ხარკზე უარი სთქვა, განსდევნა ფაშა, დაანარცხა ოსმალეთის  
ჯარი და ეგვიპტის სულთანად განოაცხადა თავის-თავი. დაღატმა მა-  
ლე ბოლო მოუღო მის აჯანყებას, მაგრამ თურქთა გავლენა ძაღზე  
შერყეული დასტოვა. საქმით მამელუკები დანოუკიდებულნი იყვნენ  
და უფროსად ჰყავდათ მურად-ბეჰი და იბრაჰიმ-ბეჰი, როდესაც 1798-  
ში ბონაპარტი შეიჭრა ეგვიპტეში. ფრანგების განარჯვებებმა გაა-  
ნახევრეს მამელუკები და მოსპეს მათი გავლენა. ფრანგების წას-  
ვლის შემდეგ მათ ველარ შესძლეს თავიანთი სიძლიერის აღდგენა,  
ვინაიდან მათში ძლიერი განხეთქილება გამეფდა. 1808 წელს მამე-  
ლუკებმა იარაღი აიღეს და შეთქმულობა მოახდინეს მეჰმედ-ალი ფა-  
შის მოსასპობად, სწორედ მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ვაჰა-  
ბიტებთან საომრად ემზადებოდა, სულთანის მოადგილემ შეიტყო რა  
ეს, თავს-ზარი დაეცა და საპირისპიროდ უკიდურესი ზონები მიიღო;



იაკობ ვიტრელი (*Jacques de Vitry*) მოგვითხრობს,

1240 წლებში, ქართველები წმიდა ქალაქში დიღის ზეიმით, დიდი დროებით შედიოდნენ და არ იბდიდნენ იმ გადასახადს, რომელიც სავალდებულო იყო ყველა ქრისტიან მლოცველებისათვის\*.

პოლიტიკურმა ცვლილებებმა ბევრი არ აცნო მათ; ასე, რომ სრულიად არ შეწყობდნენ, როდესაც 1299 წელს მონგოლებმა ეგვიპტის სულთანი დაანარცხეს. მონგოლთა შემოსეულ ჯარში სხვა ქრისტიანებთან ერთად, ქართველ მეთაურების დიდი რიცხვიც იყო, რომელთაც - ვაჟკაცობისა და მამაცობის დასაჯილდოებლად - მონგოლებმა დაუთმეს იერუსალიმი, სადაც ამის გამო 1300 წელში ქართველები გაბატონდნენ. ამ მფლობელობამ არ გასტანა წელიწადზე მეტი, რადგანაც ეგვიპტელებმა ხელნეორედ შემოუჭიეს მონგოლებს და თავიანთი დაკარგული ადგილები უკანვე დაიბრუნეს.

მანძილუკებს ძალიან დიდი ზურისძიება არ ჩაუდენიათ ქართველებისადმი. ეს ცხადია, ვინაიდან 1308 წელში, ბერძნის იმპერატორის ანდრონიკე მე-II დახმარებით, ქართველებმა გოლგოთის საფანე თავიანთ კერძო საკუთრებად დაამტკიცებინეს ეგვიპტის მანძილუკ სულთანსა, რაიც ამ ღრის ადგილობრივი მართველთა

მან მოიწვია მანძილუკეანი 1811 წ. I მარტს კაიროს სინაგრეში, სადაც მის შვილს ტუსუნ ფაშას ვაჟაბიუბთან საომრად ცერემონიით სარდლობა უნდა მიეღო. როცა მოტყუებული მანძილუკთა მეთაურები შევიდნენ სინაგრეში, მეჰმედ-ალი-ფაშამ ციხის კარები ჩააკეტინა და ჩასაფრებულ ჯარს ნელადა ამოწყვეტინა იგინი. ამას მოჰყვა ერთ და იმავე დროს თითქმის მთელი ღანარგენი მანძილუკების ამოხოცვა სხვა და სხვა ნაზრებში. შ. ვ.

• *Texte Pilgrimis Society, t. XI, p. 84.*



განცხადებები ითა მტკიცდება\*.

მე-XIII და მე-XIV საუკუნოებში ძალზე გაძლიერებული ქართველი საზოგადოება ნელ-ნელა იჭერს ადვილს ბერძნის საზოგადოებისას, რომელიც დევნილი იყო მამულუკებისაგან. ავით ქალაქ იერუსალიმის ფარგლებში არსებულ სავანეებსაც კი, (რომელნიც იყვნენ წმიდა ნიკოლოზისა, წმიდა გიორგისა, წმიდა იაკობისა, წმიდა იოვანე დვთის-მეტყველისა, წმიდათა თეოდორეთა, წმიდა დიმიტრისა, წმიდა ვასილისა, წმიდა კატერინესი და წმიდა თეკლესი) ერთი მეორის შემდეგ იჭერენ ქართველები.

დაახლოვებით ამავე ხანაში, მათ კიდევ ეჭირათ სამლოცველოები წმიდა ანნასი და წმიდათა ანგელოსთა სავანეებისა; ეს ორივე დაწესებულება დღეს სომხების ხელშია. ქართველებს კიდევ სხვა მანულებიც ჰქონდათ, სხვათა შორის ერთი სავანე ზეთის-ხილის მთაზე; მხოლოდ ყველა ამათ შესახებ დღემდის საკმარისი ცნობები არ არის აღმოჩენილი. ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ბერძნებს და დანარჩენ ქრისტიანებს ქართველებისთვის უნდა ეთხოვნათ, რომ ქრისტეს წმიდა საფლავზე ლოცვის ნება მიეღოთ. ლუდოვი, რომელიც პალესტინაში ცხოვრობდა 1336 - 1341 წლებში, აღნიშნავს რომ ქართველებს ნართლაც ჰქონდათ წმიდა საფლავის გასაღები\*\*. აქ, ჩვენის აზრით, დანამდვილებით ლაპარაკია ნიშის გასაღებზე, ვინაიდან პოჯიბონსი ამტკიცებს, რომ 1345-ში სარაცინები ინახავდნენ ტაძრის გასაღებს\*\*\*.

\* Παπαδοπουλος-Κεραμευς, Ανάλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς Σταχυολογίας, τ. IV, p. 441.

\*\* Archives de l'Orient latin, t. II, II-εραχτιε, p. 354.

\*\*\* აქვე.



ას ორნოცდა ათი წლის განმავლობაში, ქართველები მშობლიანად ფლობდნენ გოლგოთის თხემის მთელ სავანე-სამლოცველო მხოლოდ მე-XV საუკუნის დასასრულს ლათინებმა ჩომოართვეს მათ ამ დაწესებულების ნახევარი. 1475 წელში დასავლეთის სამღვდელმთავრომ დაიწყო დაქვეითების სრულად ეს ადგილი, მაგრამ მათი ცდა უნაყოფოდ დარჩა. ადგილობრივ სასამართლოს განაჩენით, 1492 წლის თარღით, ქართველებს რჩებოდათ გოლგოთის თხემის ჩრდილოეთი მხარე და ფრანგებს სამხრეთისა. მაშინდელი გამწვანებული მდგომარეობა დღესაც გრძელდება იმ განსხვავებით, რომ ქართველების ადგილას ბერძნები არიან. სასამართლოს დადგენილება ორივე ნოღავე მხარეთა წინასწარი შეთანხმებით მოხდა: ლათინებს მიეცათ საშუალება თავისუფლად ელოცათ გოლგოთაზე და ქართველებმა დამატებით ნაწილი თვით წმიდა საფლავის საკუთარ ეკლესიისა. მართლაც ფრანკისკანებმა სამაგიეროდ დაუთმეს მათ ერთი ნესამედი ტაღანისა (გაღერია), რომელიც საკუთრად ჰქონდათ ამ ტაღარში. გოლგოთის მთის ძირს მღებარე ადამის სამლოცველოც ქართველებსაცვე დარჩათ საკუთრებათ. ამ დავაზე 2000 დინარი\* დახარჯულა\*\*.

მოკავშირე ეგვიპტის მონეტების დამარცხებამ და 1516 წელში ოსმალთაგან პალესტინის დაპყრობამ ქართველების გავლენა იერუსალიმში ძალიან შეარყია. მოუხედავად ამისა, ესენი ერთი

\* დინარი ძველი რომაული უღლია, რომელიც უფროს 12 ფრანკს ანუ დაახლოებით 5 მანეთს. ნ. გ.

•• Th. Aristocles Κωνσταντίνας πολιτάρχου Κωνσταντινουπόλεως βιογραφία και συγγραφαί αι ἐλένησους. Constantinople, 1866, p. 284.




საუკუნის განმავლობაში კიდევ აქ დარჩნენ, მაგრამ მაინც ამ დროიდან იწყება მათი დაცემა, რომელიც დიდი სისწრაფით მატულობს. სამაგიეროდ იზრდება ბერძნების გავლენა, რომელიც თან და თანობით სპობს ქართველების გავლენას და ბოლოს მის ადგილს სავსებით იკავებს.

ქართველების სავანეები უცხო ტომის ბერებით აივსო, რადგან საქართველოს აღარ შეეძლო საკმარისი ხალხის მიცემა. მე-XIV საუკუნის დასაწყისიდან სხვათა შორის წმიდა იაკობის სავანეში უკვე ვხვდებით კოპტებს, სომხებს და ბერძნებს\*. ამ სავანეებს შორის მალე რანდენივე სავსებით უფარღებათ ხელში მოწინააღმდეგე საზოგადოებებს; ხოლო მესაკუთრე ქართველი ბერები კი სამაგიეროდ აცალებენ მათ თავიანთი ვალების გადახდას. ამ პირობით 1536 წელში, ქართველებმა ფრანცისკანებს მიაქირავეს წმიდა ივანე ღვთისმეტყველის სავანე, რომელსაც დღეს წმიდა მაცხოვრის სავანეს ეძახიან. ამასვე ხელნეორეთ აძლევენ 1559-ში ორი წლის ვადით, ხოლო 1561-ში კი ორმოცი წლით; ამ დროსვე 80 ოტომანურ ფლორინად აძლევენ ზემოხსენებულ ბერებს სავანის სიახლოვეს მდებარე ბაღსაც\*\*. იმავე წლებში და იმავე გზით გადავიდა წმიდა იაკობის სავანე სომხების ხელში\*\*\*.

ქართველების ამნაირი დაქვეითება და უძრავი ქონების უცხოელებზე გადაცენა უსახსრობამ გამოიწვია. ეჭვს გარეშეა მათი ამ ზომის სიღარიბე შედეგი იყო იმ უზომო მფლანგველობისა და იმ ყოფა-ცხოვრებისა, რომელიც სრულიად არ შეეგუებოდა მონაზო-

-----  
\* Tobler, *Topographie von Jerusalem*, t. II, p. 740.  
\*\* Papanopoulos-Keramias, *op. cit.*, t. IV, p. 444-445.  
\*\*\* Th. Aristocles, *op. cit.*, p. 275.



ნებრივ ჩვეულებებსა. მიუხედავად ამისა, ესენი ამ დროს მაინც  
 ღებულობენ საქართველოდან თვალსაჩინო შემოწირულობას. ასეთ  
 მეფე ლეონ II დადიანმა (1520 - 1574) გააგზავნა იერუსალიმში  
 წინამძღვარი (იღუმენი) იოაკიმე ჩოლოყაშვილი, რომელმაც წაიღო  
 ძვირფასი ცერცხლის საჩუქრები გოლგოთის თხემის საკურთხეველ-  
 სათვის\*.

ამ მოუღრდნელმა დახმარებამ ქართველებს საშუალება მისცა  
 ღირსეულად შეეცეთებინათ ხსენებული საკურთხეველი და აღარ დას-  
 ჭირდათ სომხებისა და ლათინების დახმარება, რომელიც პირუთენე-  
 ლი არას დროს არ იყო\*\*.

რამდენიმე წლის წინეთ, დაახლოვებით 1510-ში, ქართველ-  
 ებმა ძალით დაიპყრეს ის საკურთხეველი, რომელიც 1492 წ. შეთან-  
 ხმების შემდეგ ფრანცისკანებს ჰქონდათ გოლგოთის თხემზე. იერი-  
 ში იმ ზომამდე მკაცრი იყო, რომ მთლად შემუსრეს არა მარტო ღამ-  
 პები და ყოველივე რაც მოძრავი რამ მოიპოვებოდა ეკლესიაში, არა-  
 მედ თვით საკურთხეველიც დაანგრეს და ფრანცისკანები სალოცვა-  
 დაც კი სიახლოვეს აღარ გაიკარეს. ამ დროს წმიდა საფლავის სა-  
 ვანის უფროსი ფრა (ძმა) - სურთანო იყო; მან სრული ერთი წელი-  
 წადი დავას მოანდომა კათოლიკების უფლებათა დაცვა-აღდგენისათ-  
 ვის. აღგილობრვ ნართველობის წინაშე, რომლის ნახელებს ამის-  
 ათვის ხშირათ დიდძალ საჩუქრებს აძლევდა. ფრა-სურთანომ ქრთამის

• Tsagarelli. Souvenirs de l'antiquité géorgienne en Terre Sainte et un mont Sinaï (en russe). Saint-Petersbourg, 1888, p. 61, 62, 156.

\*\*Brosset. Additions et éclaircissements à l'histoire de la Géorgie. Saint-Petersbourg, 1851, p. 198

წყალობით ადამის სახელწოდების პატარა ეკლესიაც ჩამოართვა ქართველებს, ნაგრამ ეს კი დიდხანს ვერ შეინარჩუნა\*.

დაცა ქართველებსა და ფრანცისკანებს შორის არა ერთხელ განმეორდა. 1538 - 1540 წლებში კათოლიკები ედაცებიან ქართველ ბერებს გოლგოთის თხემზე არსებულ საკუთარი საკურთხეველის მფლობელობას, რაიც მოსჩანს ამ დროის ადგილობრივი სასამართლოს მრავალ განაჩენებიდან\*\*. ბოლო 1568 წელში თვით ქართველები იწყებენ საჩივარს თურქის მთავრობის წინაშე, რადგან კათოლიკე ბერებს საჩუქრების და ცრუ მოწმობების საშუალებით დაესაკუთრებიათ ეკლესია იმ სავანისა, რომელიც ნათგან დაქირავებული ჰქონდათ; სულთანის ბრძანებით ფრანცისკანებმა ეკლესია ქართველებს დაუბრუნეს\*\*\*. 1575-ში კიდევ ახალ საჩივარს ვხედავთ, რადგან წმიდა იოვანე ღვთისმეტყველის სახელობის ქართველთა სივანის ქირას ფრანცისკანები არ იხდიან. ამათ ეს დაცაც წააგეს და იძულებული გახდნენ მოთხოვნილი თანხა გადაეხადათ ქართველებს-სათვის\*\*\*\*.

ყველა ამ კამათის და დავის განმავლობაში ქართველები უფრო და უფრო სუსტებიან და ნათი რიცხვი მცირდება, ხოლო მათ მიერ დატოვებულ ქონების შესაძენად კი მოწინააღმდეგენი ერთმეორეს ედაცებიან. ამ დროს მაინც ქართველებიდან სულ მცირე რიცხვი-და იყო დარჩენილი წმიდა ქალაქში, სადაც 1591-სი უკვე

-----  
\* Fra Suriano, *il trattato di Terra Santa e dell'Oriente*, édition Golubovich. Milan, 1900, p. 34.

\*\* Papadopoulos-Kerameus, *op. cit.*, t. IV, p. 447.

\*\*\* Th. Aristoclés, *op. cit.*, p. 250

\*\*\*\* იქვე.

გერმანელი ს. შვაიგერი ნხოლოდ ხუთ ქართველს შეხვდა\*. ქართ-  
ველთა ქონების ნითვისების საერთო ცდაში იერუსალიმის ბერტენ-  
მა პატრიარხმა სოჟონმა (1579 - 1608) ყველაზე მეტი განჭრი-  
ნხოზა გამოიჩინა. მან თავის ცდას საფუძვლად დაუდვა წინაპრე-  
ბის უფლებათა აღდგენა და მართლ-მადიდებლობის განსაცდელისაგან  
დახსნა. მართლაც ამ ცრუ ნიზებებმა თავისი ნაყოფი გამოიღეს  
სულთან ახმედ I-ის მიერ გაცემულ ბრძანებით გოლგოთა ბერძნების  
საკუთრება გახდა. ამის გარდა მან სხვა უფრო მკვეთრი გარემოე-  
ბებითა და საშვადღებებითაც შესამჩნევად ისარგებლა. ვაღით ავსე-  
ბულ ქართველებს პატრიარხმა ფული ასესხა, ზოგიერთების თქმით  
14000 მარჩილი, ხოლო სხვათა სიტყვით კი 7000 სეკაჰ\*\*, და ამ  
თანხის სამაგიეროთ გოლგოთის შენობა, როგორც წინდი სახმარებ-  
ლად მიიღო\*\*\*. ეს ფული ქართველებმა ვეღარ დაუბრუნეს და იძუ-  
ლებული გახდნენ მიეტოვებინათ ეს საწლოცველოც, რომელიც სამი სა-  
უკუნის განმავლობაში ნათს უფლებას იყო. 1644 - 1647 წლამდის  
პალესტინის ნოგზაური სურიუსი ვეღარ ხედავს ქართველებს გოლგო-  
თის სავანეში\*\*\*\*. ესენი უკვე გადაბარგებული იყვნ თავიანთ

-----  
\* Zinkeisen, *Geschichte des osmanischen Reiches in Europa*. Göttingen, 1885, t. III, p. 818.

\*\* სეკაჰ არაბული ოქროს ფული იყო, რომლის ღირებულება ოს-  
მალეთში უდრიდა 8 ფრანკს და 73%. ხოლო იტალიის რესპუბლიკებში  
კი მეტი ღირებულება ჰქონდა. შ. ვ.

\*\*\* Aristoclès, *op. cit.*, p. 284.

\*\*\*\* Le Pienx Pèlerin ou Voyage de Jérusalem, Par le R. P. Bernarrotin Surius, président du Saint-Sépulchre et commissaire de la Terre Sainte (1644-1646). A. Bruxelles. 1666, p. 161.

წმიდა-ჯვრის სავანეში, სადაც იცხოვრეს ნე-XVIII საუკუნის დამაარსებელი ზეზუნია.

ღვებმდე, ხოლო ამ საუკუნეში აქაც სრულიად მოისპენ\*.

1660 წლებში ქართველებს ისეთი ცუდი სახელი ექონდათ და მათი გაჭირვებული მდგომარეობა იმ ზომამდე იყო მისული, რომ ყველანი ლაპარაკობდნ და ფიქრობდნ მათი ქონების დასაკუთრებაზე. ამის გარდა ვერც ერთი ქართველი მლოცველი, ვერც ბერი, ვერც ერის კაცი ისე ვერ მივიდოდა იერუსალიმში, რომ არ დაეკაცებინათ და არ დაემწყვდიათ. ამავდროს მკაცრი ქიშპობა წარმოებდა მათი ქონების დასასაკუთრებლათ. სომხები, ლათინები და ბერძნები ერთ-მეორეს ეტილებოდნ ქართველ ბერთა ვალების გაღახდაში, რათა მათი დაწინდული სავანეები დაესაკუთრებიათ, სომხები, რომელთაც უკვე ხელში ჩაეგდოთ წმიდა იაკობის სავანე, წმიდა ჯვრის სავანეს ეტანებოდნ, ხოლო ფრანცისკანები, რომლებიც

-----

\*წმიდა კონსტანტინეს სავანის ერთი კედლის შიგნითა კუთხეზე ბ-ნ შიკმა (Schick) 1879 წელში, ქართულად წარწერილი ერთი ქვა აღმოაჩინა. ეს წარწერა, ცაგარელისგან წაკითხული 1881-ში, შემდეგი შინააოსისაა: „ქრისტე, წმიდა ნიკოლოზ, იყავნ მეოხე ქრისტეს წინაშე კახეთის უფლისწულისა ელისაბედისა, ძველად ელენესი“. ეს ელენე, ეჭვი არ არის, მეფე დავით მე-II (1604) ასული უნდა იყოს, რომელმაც 1615 წელს სპარსეთში იმიგრა, 1625-ს იერუსალიმში მოვიდა და წმიდა ნიკოლოზის სავანეში მოლოზნად აღკვეცა ელისაბედის ანუ სხვა წარწერებით ანასტასიას სახელ-წოდებით. Cf. *Palestine Exploration Fund Quarterly Statement, octob're 1911, p. 187*. კიდევ შენიშნავენ, რომ ამ ელენეზე ადრე მრავალი უფლისწულები და თავადიშვილები იერუსალიმში მოსულან და მოლოზნად აღკვეცილან.



უკვე გაბატონებული იყვნენ წმიდა ივანე ღვთისმეტყველის ხელისუფლებით, ცდილობდნენ წმიდა ნიკოლოზის სავანეც როგორმე ხელში ჩაეგდოთ. რაც შეეხება ბერძნებს, ესენი მხოლოდ ერთს ფიქრობდნენ: შეეძინათ ქართველების ყველა ქონება. ქიშპობამ დიდ ხანს გასტანა და მკაცრი ხასიათიც მიიღო. საბოლოოდ, ბერძნის პატრიარხმა დიოროთემ (1669 - 1707) დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე საზოგადოებანი.

ოთხმეტეო წლის განმავლობაში ამ პატრიარხმა აღძრა ნარაზი და მღვდლები ქვეყნები და განსაკუთრებით კავკასიის ხალხები, რომლებიც დაარწმუნა იმაში, რომ წმიდა ადგილებს საბოლოოდ დაკარგვა მოელოდა სომხებისა და ლათინების ხელში. ამან ხელი შეუწყო იმაში რომ შეეცრიბა საკმარისი თანხა, რათა ხსენებული სავანეები დაებრუნებია უკანვე ყველა იმათგან, ვისაც ქართველებისთვის ვუფიქრებთ და სესხში დაწინდულ სავანეებს ეპატრონობდნენ. ანგარიშების გასწორება და გასტურება დაიწყო 1685 წელს და გასტანა არა ნაკლებ ოთხმეტეო წელიწადისა. ამ საქმის წარმოება უდიდეს სიძნელეს წარმოადგენდა, რადგან ანგარიშები ყველა არეული და საშინელი წყვედიანად გარემოცული იყო. მართლაც ამ ადგილებში ძველადგანვე საპატიო ჩვეულებათ იყო მიღებული გამსესხებულებს შორის ცრუ ვექსილების და ცრუ ნოწნეების ხმარება. ყველა ამ სიძნელეთა გამო საჭირო გახდა 9000 ლუორინის გადახდა მარტო იმისთვის, რომ ნოვალებს სავანეების და უძრავი მამულების წინაშე ხელი აეფიქრათ\*.

\* Chx. Papadopoulos, op. cit., p. 45.

დასავლეთის მლოცველთაგან, რომელთაც წმიდა ქვეყანა მი-  
მოიხილეს, ბევრმა ფრიალ საყურადღებო აღწერილობა დასტოვა, მა-  
გრამ ისინი ერთიმეორეს სრულიად არ ეთანხმებიან, როდესაც იე-  
რუსალიმში ნახულ ქართველებზე ლაპარაკობენ, აქ აღნიშნავენ,  
რომ მე-XII საუკუნიდან მე-XV-მდე, ყველა ეს მემატრიანენი პა-  
ლესტინის ქართველობას საკმაო თანაგრძნობით იბსენიებენ, ამ  
უკანასკნელ საუკუნის შემდეგ კი თითქმის ყველანი მტრულად ეკი-  
დებიან. ეს უეჭველია გამოწვეული იყო იმ მუდმივი დავითა და  
ქიშპობით, რომელიც ქართველებსა და ლათინებს შორის არსებობდა  
იმ დროში სამლოცველობის გამო.

მე-XII თუ მე-XIII საუკუნის ერთი სახელ-უცნობი მწერა-  
ლი, მე-XVI საუკუნის გრეფინ აფაგართი (*Greffin Affbuhart*)  
და სხვანი გადმოგვცემენ, რომ ქართველი ბერები ბერძენებსაცით  
გრძელ თმას ატარებდნენ; მაგრამ, როგორც სჩანს, სხვა მწერალნი,  
რომელნიც საკითხს უფრო გაცნობილნი იყვნენ - სხვათა შორის:  
ალბერიკ ტრუა-ფონტენელი 1234 წ., ბართლომე სალინაკელი 1522წ.,  
მეტადრე ფრა სურიანი, რომელიც 1490 - 1512 წლებში ორგზის იყო  
ფრანცისკანების წმიდა სავანის უფროსად, და მღ. ბუშე, რომელ-  
მაც მე-XVII საუკუნის დასაწყისში დიდბანს იცხოვრა იერუსალიმ-  
ში, - ერთხმად მოწმობენ, რომ ქართველები ატარებდნენ კოჭიკურ-  
სა\*. მღვდელ-მონაზონები - რგვალსა და ბერები - ოთხკუთხასა.

\* კოჭიკური (*tonsure*) ჰქვია თავზე რგვლავ ამოკრეჭილ  
ადგოლს ან თვით თავის ირგვლივ გვირგვინივით შემოკრეჭილსა.შ.ც.



ეს გარეგნული შეხედულებით წინააღმდეგი ნიმატიანეთის ცნობები შეუთანხმებელი არ არის, ვინაიდან თიტმარი (Thiet-mari), რომელმაც 1217 წელს მოიარა სალოცავად წმიდა ადგილები, ამბობს, რომ ქართველებს გრძელი თმა და კოჭიკური შქონდათ\* .

ნე-XIII საუკუნეშივე მლოცველების ყურადღება მიიპყრო ქართულმა ქუალებმა\*\*, რომელთაც ერთი „ულნის“\*\*\* - სიგრძე შქონდათ.

ამ ხანის შემდეგ, განსაკუთრებულ უპირატესობის გამო, ეგვიპტის სულთნებმა რომ ნიანიჭეს ქართველებს, რომელიც 1516 წლის დაპყრობის შემდეგ ოსმალთა სულთნებმაც იცნეს, ქართველები, როგორც კაცები ისე ქალები, იერუსალიმში შეიარაღებულნი ზედიზედ თავიანთი საკუთარი დროშებით და არც იხდიდენ იმ ხარკს, რომელსაც მუსულმანები იღებდენ სხვა ტომის მლოცველებისგან.

დასავლეთის ყველა მწერალნი ერთხანად ამტკიცებენ ქართველების იშვიათ რაინდობას, რომლის გამო მათ დიდი სამსახური გაუწიეს ქრისტიანობას. მაგრამ როდესაც იერუსალიმში მათ მიერ ნახულ მღვდლების, თუ ბერების პირად ცხოვრებაზე ლაპარაკობენ, უნდა გამოვტყდეთ, რომ მათი მოწიბობა, (რომელიც ნე-XV საუკუნეიდანვე


\* Laurent. Peregrinatores medii aevi quatuor. Heimbouy. 1857, p. 51, A.... Berberum nutriunt et comam Omnes habent coronas, tam laici quam clerici: laici quadratois. cl. rici rotundis.

\*\* Laurent, Ibid... ferentes in capitibus pilea unius ulnae longa.

\*\*\* ულნა, ლათინური ზომისა და უღრის დაახლოებით 3/4 არ-შინისა. შ. ვ.

ერთსა და იმავს იმეორებს), მაინც და მაინც სასიკალო არ  
 არის. მხოლოდ ბურზარდი სიონისმთელი (*Burchard du Mont Sion*)  
 1238 წელს სრულიად გულწრფელად სცდილობს დაგვარწმუნოს, რომ  
 ნესტორიანები, ქართველები და სხვა აღმოსავლეთელები - რომელ-  
 ნიც მის დროს იერუსალიმში ცხოვრობდნენ - „არიან კეთილი და  
 მარტივნი, იცავენ უბიწოებას და მარტვას, დაბიურ ტანისამოსს  
 იცმენ და ესეთ სამაგალითო ცხოვრებას ატარებენ, რომ ნზგავსი  
 არსად მინახავს. რომის ეკლესიის ბერებშიო“<sup>33</sup>. თუ ეს კეთილი მლო-  
 ცველი გარეგნული ძეგედულობით არ მოტყუვდა, მაინც უნდა გამოვ-  
 ტყდეთ, რომ ქართველებმა ძალიან მალე დაჰკარგეს თავიანთი კეთი-  
 ლი და სათნოიანი ცხოვრება, ვინაიდგან შემდეგ საუკუნოების ყვე-  
 ლა მწერლები პირ-იქით ნოწმობენ, რომ ქართველები დიდის განც-  
 ხრომით ცხოვრობდნენ და ნათმა ლოთობამ გაანადგურა იგინი. მოვი-  
 ყვანთ აქ მხოლოდ ორს ამონაწერს. ურა სურთანო, რომელმაც ოც  
 წელიწადზე მეტი დაჰყო იერუსალიმში და რომელსაც დრო და საშვა-  
 ლება ჰქონდა ქართველებს გასცნობოდა, ამ სიტყვებით იხსენიებს  
 მათ: „ქართველები ძალზე ბოროტი მწვალებლები არიან, ნზგავსნი  
 ბერძნებისა, რომელთაც უკუღმართობით არ ჩამოუვარდებიან. მთებ-  
 ში ცხოვრობენ: ანათი ქვეყანა ტრაპიზუნთან ახლოა, შავი ზღვის  
 ნაპირას. ღამაზი ტომია, მაგრამ ამპარტავანი. ფილოსოფოსი ამ-  
 ბობს, რომ მთებში მცხოვრებნი უინიანი, ცუდი ქცევის და მოჩუ-  
 ბარნი არიანო... იერუსალიმში მათ სამი მონასტერი აქვთ, სადაც  
 ცხოვრობენ და ლოცულობენ: ეკლესია წმიდა-საფლავისა, წმიდა-ჟე-  
 რისა და წმიდათა-ანგელოზთა. დიდ სიღარიბეში ცხოვრობენ და ღვი-

• *Burchard, Descriptio Terrae Sanctae. Magdebu-  
 urg, 1578, I, c. II.*



ნის დიდი მსმელები არიან. მდაბიო და ველური გვარისანი არიან  
 ესენი ბერძნებთან ერთად ჩვენი უმთავრესი და ძლიერი ნეტრები  
 და შეუწყვეტილი შუთი და კამათი გვაქვს მათთან\*\*.

მე-XIII საუკუნის დასაწყისში მ. ბუშე\*\* ასე სწერს:  
 „ქართველები ცოტათი უფრო უღმობენი, უფრო ურცხენი, უფრო თავ-  
 ხედნი და უფრო ლოთნი არიან, ვიდრე ბერძნები\*\*\*. ამისთვისაა,

\* *Fra Suriano, il trattato di Terra Santa e dell' Oriente, edition Golubovich. Milan, 1900, p. 74.*

\*\* *Le bouquet sacré composé des Roses du Calvaire, des lys de Bethleem des jacinthes d'Olivet et de plusieurs autres et belles pensées de Terre Sainte par le R. P. Boucher, Mineur Observantin. Rouen. chez la veuve de Thomas Duré, rue aux Juifs, près le Palais, MDCXXIII.*

\*\*\* საერთოდ აქ შევნიშნავთ, რომ ფრა სურიანო და მღ. ბუშე  
 თუ ასე მკაცრად იხსენიებენ ქართველებს, ეს ადვილი მისახვედ-  
 რია, რადგან მათ და საერთოდ დასავლეთის იმ დროის მისიონერე-  
 ბს დიდი კამათი და ბრძოლა ჰქონდათ ქართველებთან სხვა და სხვა  
 ეკლესიების და სავანეების თაობაზე. ჩვენ დარწმუნებული ვართ,  
 რომ ანათი გადმოცემა მთლად ტყვილი არ არის, მაგრამ ყოველ  
 შენთხვევაში ძალზედ მიკერძობით და გაზვიადებით არის დაწე-  
 რილი. ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაშიც, რომ თუ ქართველები წი-  
 ნაპრების გზა-კვალს არ დაშორებოდნენ, დაეცვათ მათი მკაცრი  
 ზნე-ჩვეულება, ეპარებიან მათსავით კეთილი და ღვთისნიერი ცხო-  
 ვრება, და მათსავით დიდი უნარი გამოეჩინათ, მაშინ ისინი არ  
 დაშკარგავდნენ წარსულ სიძლიერეს და საუკუნოების განმავლობაში

რომ დღეს ცოტანიდა არბან ისეთნი, რომელნიც თავიანთ თავს ქარ-  
თველებათ აღიარებენ, ვინაიდგან აღმოსავლეთის ამ ადგილებში  
ერთგვარათ მიღებულია სიტყვა ქართველი და თავხედი ანუ ლოთი“.

### III. წმიდა-ჯვრის მონასტერი.

როდესაც ვლაპარაკობთ „ქართველებზე იერუსალიმში“ არ  
შეიძლება არ შევხებოდ წმიდა-ჯვრის სავანესაც, რომელიც დიდხანს  
ქართველების ხელში იყო. ეს სავანე მდებარეობს წმიდა ქალაქის  
დასავლეთით, დაახლოებით ორი ვერსის მანძილზე ზეთის-ხილით  
მოშენებულ ერთ პატარა ხევში, რომელსაც გარს არტყია ქვიანი  
ბორცვები. ამ ადგილს უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთის  
ქრისტიანებისათვის, რადგან მრავალ საუკუნეთა გადმოცემით ეს  
ის ადგილია, სადაც მოჰკვეთეს ხე მაცხოვრის ჯვრის გასათლელად\*.

წმინდი კულტურულ დაწესებულებებსა და სიმდიდრეს. მაგრამ ამ-  
ით მაინც არ მტკიცდება ის გაზვიადებული ცილის-წამება, რომელ-  
საც მათი ნკაცრი მოპირდაპირე ფრა-სურიაანო და მ. ბუმე გადმო-  
გვცენენ. ყველასაგან ისტორიულ ფაქტად აღიარებულია, რომ ქარ-  
თველები მუდამ დაშორებული იყვნენ იმ გაუგებარ სარწმუნოებრივ  
ფანატოზმს, რომელიც ახასიათებდა ბერძნებს. ამისთვის ქართვე-  
ლების დაცემის უმთავრესი მიზეზი სხვაგან უნდა გამოვნახოთ.  
ჩვენის აზრით, თვით იმ დროინდელი საქართველოს პოლიტიკური  
ცხოვრების აწეწ-დაწეწა იყო იმის მიზეზი, რომ პალესტინის ბე-  
რებმა ვეღარ შესძლეს ახალი ელემენტის შემატება. საერთოდ ეს  
ხანა იყო ხანა ჩვენი ეროვნული ცხოვრების დასუსტებისა. შ. ვ.

\* ეს თქმულება მრავალი სახით არის გადმოცემული. ე რ ნ უ -

წმიდა-ჯვრის საგანის დასაწყისი უფრო ძნელი გამოსარკვევია ვიდრე ხსენებული მოთხრობისა. მაინც ცვაძოთ, გავაშუქონა ნაწილი სინამდვილისა, რასაც თანამედროვე გადმოცემა შეიცავს ამ ორ საკითხზე.

რომელ წილს მიეწერება წმიდა-ჯვრის ადგილზე გაშენებული პირველი საგანე? ყველა ის მკვლევარნი, რომელთაც ეს საკითხი შეისწავლეს, ერთი მეორეს სრულებით არ ეთანხმებიან. როგორც ზემოდ ვსთქვით, პროკოპი ნოგვითხრობს, რომ მეფე იუსტინიანემ განაბახლა ლაზების საგანე იერუსალიმის უდაბნოში. მრავალნი ირწმუნებიან, რომ ეს ლაზების საგანე არის სწორეთ წმიდა-ჯვრის

ლ ი ს (I23I) აზრით, - რომელიც მრავალნი მემატრიანენ განიშეორა, - როდესაც ადამი კვდებოდა, შვილებს აკრძალული ხის ერთი შტო ნოატანინა, და რა პირში ჩაიღო იგი, სული განუტევა. შვილებმა პირიდან შტო ცელარ გამოჰგლიჯეს და შტოიანათ დამარხეს. საფლავზე აღმოცენდა ხე, რომლის ტანში ადამის თავი (ქალა) მოედდა. ქრისტეს ჯვარცმის დროს ეს ტანი სისხლით მოირწყო. (*La Cité de Jérusalem, Itinéraires français. Genève, 1882, 46*). სხვა უფრო გავრცელებული თქმულებით, ლტმა ერთად დარგო კვიპაროზის, კედრის და კატრის ხეები. ეს სამივე ხე შედუღდა და ერთ ხედ გადაიქცა. სხვა და სხვა საარაკო შემთხვევების შემდეგ ეს ხე მოსჭრეს და მაცხოვრის ჯვრად გასთაღეს. ბერძნის ბერებმა, - რომელთაც კრიტიკისა არა ესმით რა, - რამდენიმე წლის წინეთ დაახატვინეს თათხმეტი სურათი ამ მოთხრობის სხვა და სხვა შემთხვევათა წარმოსადგენად. თუმცა ამ მხატვრობას არავითარი ისტორიული ღირებულება არა აქვს, მაინც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მარტივ მლოცველებზე და უმთავრესად კი რუსებზე.

საცანე. სოლო ზოგიერთნი კი, რომელნიც ისტორიას წარმოადგენით  
ჰქმნიან, გადაჭრით ამბობენ, რომ ეს საცანე გაშენებულ იქნა  
იმ ნიწაზე, რომელიც თვით კონსტანტინე დიდმა ან წმიდა ელენემ  
მისცა. ქართველების პირველ მეფეს მირიანსა. ამის გარდა სხვა-  
ნოც ამტკიცებენ, რომ ხსენებული საცანე მხოლოდ მე-Ⅴ საუკუნე-  
ში გაშენდა, დაახლოებით იმავე რიცხვში, ესე იგი 480-ში, რო-  
დესაც ივერიელებმა იერუსალიმის ქალაქში\* თავიანთი საცანე გა-  
აშენეს. დასასრულ არის რანდენიმე ისეთი მწერალი, რომელიც ფი-  
ქრობს, რომ ამ საცანის დაარსება მე-VII საუკუნეში მოხდა,  
ერთგვლი იმპერატორის დროს\*\*. სპარსელებისგან წმიდა ჯვრის და-  
ხსნამ და ზემოთ აღნიშნულ მოთხრობამ, ცხადია, დიდი გავლენა  
იქონია მენატიანეთა მსჯელობაზე, რადგან ამათ არც ერთი ღასა-  
ყრდნობი საბუთი არ აქვთ თავიანთი ნათქვამის გასამართლებლად.  
ამის გარდა შემდეგში დავინახავთ, რომ ჯვრის მოთხრობა მე-VII  
საუკუნეში არც კი არსებობდა.

მიუხედავად ამ ერთი-მეორის საწინააღმდეგო და გამოგონ-  
ილ ისტორიულ საბუთებისა, დანამდვილებით უნდა მივიღოთ, რომ  
არაბების დაპყრობის უწინ, წმიდა-ჯვრის აღგილზე ერთი საცანე  
არსებობდა, რადგან სხვა და სხვა მე-XI საუკუნის ხელნაწერები  
გადმოგვცემენ, რომ ქართველმა ბერმა პროხოზემ განაახლა წმიდა  
ჯვრის საცანე 1040 წელს\*\*\*.

\* Chr. Papadopoulos, *Ἡ ἱερὰ μὲν τῶν Σταυρῶν. Jérusalem, 1905, p. 17-18.*

\*\* Fr. Liévin de Hamme, *Guide indicateur de la Terre Sainte. Jérusalem, 1918, t. II, p. 6; Chr. Papadopoulos, op. cit., p. 19.*

\*\*\* Chr. Papadopoulos, *op. cit., p. 20.*

მართალია, რანდენიმი ამ ხელნაწერთა შორის მხოლოდ სავანის დაარსებაზე ლაპარაკობს. მაგრამ უმრავლესობა კი ამბობს, რომ მაშინ მხოლოდ განახლება ნიშნავდა. თუ ეს სავანე ნამდვილად არსებობდა მე-XI საუკუნემდე, ეშვს ვარაუდი, მისი დაარსება ბიზანტიის პატრონობის ხანას უნდა მიეწეროს, რადგან არაბები, რომელნიც ხშირად ძალიან სასტიკნი იყვნენ ქრისტიანებისადმი, ნებას არ დართავდნენ ახალი სავანის ასაშენებლად.

უფრო ადვილი განოსარკვევია სათავე ჯვრის ხის მოთხრობისა, ვიდრე სავანისა. საერთოდ ამბობენ, რომ ის დაახლოებით მე-VII საუკუნეს (ერეკლეს დროს) ანუ თვით მე-VI საუკუნეს ეკუთვნის. მაგრამ ჯვაროსნობაზე აღრინდელს ცერც ერთს საბუთს ვერ მივაგენით, რომელიც მას ოღნავ იხსენიებდეს. არც ერთი მლოცველი მე-XII საუკუნისა არ ლაპარაკობს არც ჯვრის ხის მოთხრობაზე და არც სავანეზე. ეს საერთო დუმილი სავანეზე ადვილი გასაგებია, მაგრამ ესევე არ ითქმის ჯვრის მოთხრობაზე. ყველა ისინი, რომელთაც თავიანთი სულიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მოილოცეს იერუსალიმის მიჯანოებში ნდებარე უფრო ნაკლებ თვალსაჩინო სამლოცველოები არ განოსტოვებდნენ იმ ადგილს, სადაც წინადა-ჯვრის ხე მოიჭრა. მაშასადამე უნდა დავასკვნათ, რომ ეს მოთხრობა ჯვაროსნებაზე უძველესი არ არის.

პრობორეს მიერ განახლებულ სავანესაც მალე ეწია ის ბედი, რომელიც განიცადა დასავლეთის ქრისტიანთა დაწესებულებებში მრავალ საუკუნის განმავლობაში ხელუხლებელი რომ იყვნენ. 1071 - 1078 წლებში პალესტინა სისხლისღვრის ასპარეზი გახდა; ამ წლებში სელჯუკებმა დაიპყრეს ქ. რამლამ და იერუსალიმი და მოაოხრეს მთელი წმ. ქვეყანა. ამ დარბევამ დიდად ავნო განსაკუთრებით წინადა-ჯვრის სავანეს, რადგან სელჯუკებმა ნაწილი შე-

ნობისა დაანგრიეს და ნეცხოვრებნიც მთლად ამოხოცეს. საკუთონ-  
ველის მოკენჭილ იატაკზე დღესაც მოჩანს სისხლის კვალი\* წამე-  
ბულ ქართველ ბერებისა.

ეს სავანე ჯვაროსნებმა იმავე მდგომარეობაში ნახეს, რო-  
გორც სელჯუკებს დაეტოვებიათ, ესე იგი, ძალიან დაზიანებული,  
მაგრამ მთლად დანგრეული კი არა. სეფულვის ასეთსავე განადგუ-  
რებულ მდგომარეობაში ხვდება II02 წელს; ხოლო რუსი დანიელი კი,  
რომელმაც II06 ანუ II07 წელს დაჰყო იერუსალიმში, გადმოგვცე-  
მს რომ მისგან ნახული სავანე თითქმის ერთიან განადგურებული  
იყო. მაშ ისტორიულ სინამდვილეთ უნდა მივიღოთ, რომ II02 - II06  
წლებში მოხდა შეკეთება, რომელც ესაჭიროებოდა ხსენებულ სავა-  
ნეს.

მთელ მე-XII საუკ. განმავლობაში ქართველები მშვიდობი-  
ანათ ცხოვრობდნენ თავიანთ სავანეში და არავითარი შევიწროება  
არ განუცდიათ ჯვაროსნებისაგან; მემატეიანენი მხოლოდ ერთ შემ-  
თხვევას აღნუსხვეს: II78 წელს იერუსალიმის მეფე ბაღლონი  
მე-IV (II73 - II85) - სწორედ არ ვიცით, რა პირობების გამო -  
ხსენებულ სავანის გარშემო მდებარე ვენახებს ქართველებს ართმევს  
და უთმობს წმიდა-საფლავის კანონიკოსებს - მეთამნიებს\*.

-----  
\* *Chr. Papadopoulos, op. cit., p. 21.* ზოგიერთ მემატეი-  
ანების აზრით ეს ნიშნები ეკუთვნის მე-VI საუკუნეს (სამარტელებ-  
ბის დარბევას); სხვათა გადმოცემით კი მე-VII საუკ. (სპარსელებ-  
ბის ანუ არაბების დარბევას). ჩვენის აზრით ასეთი ძველი დროების  
ჩვენება ზღაპრულია და ისტორიულ სინამდვილეს მთლად მოკლებული,  
რადგან უკვე ვიცით, რომ ეკლესიის ხსენებული იატაკი პროზორე  
წინამძღვარმა მოაკენჭინა.

\*\* *Popoff, le Patriarcat latin de Jerusalem (en  
russe). Saint-Petersbourg, 1903, t. II, p. 167.*



ჯვაროსანთა თანამედროვე ქართველი მეფეები დიდ ყურადღებებს აქცევდნენ წმიდა-ჯვრის საგანეს. ბაგრატ მეფის შემდეგ, რომელიც ამ საგანის განახლებათი დაეხმარა პროხოტეს, დღით ნე-II (1039 - 1125) და თამარ მეფეც (1184 - 1211) უხვად წყალობდნენ ნას. ან უკანასკნელმა იერუსალიმში გააგზავნა სახელგანთქმული პოეტი რუსთაველი და გაატანა ძვირუფასი ძღვენი წმიდა-ჯვრის ეკლესიის გასამშვენებლად.

იერუსალიმის ლათინთა მთავრობის დამხობის შემდეგ იმისდა მიუხედავად რომ ქართველებს კავშირი ჰქონდათ ეგვიპტის მამულუკებთან, იმათმა საგანემ მაინც ზედი-ზედ განიცადა დარბევა სარკინოზთაგან (*Saracens*). ბელეჯ ზაჰირ-ბიბარსის მეუობის დროს (1260 - 1277), შერხ ჰიდრმა განდევნა საცანიდან ქართველი ბერები და ავითონ დაბინავდა; მაგრამ სულ ცოტა ხნით, ვინაიდან მალე იძულებული გახდა დაებრუნებინა საგანე თავის კანონიერ მესაკუთრისათვის. სანიუხაროდ იგივე განმეორდა ოცდა ათი წლის შემდეგ, ნელეკ-ენ-ნაზერ-ბენ-ხალაუნის (1293 - 1341) ნეფობის დროს. ან შემთხვევაში კი წართმეულ დაწესებულების დასაბრუნებლად საჭირო გახდა, რომ 1305 წ. 24 მკათაფეს საქართველოს მეფეს გაეგზავნა საგანგებო ელჩი, რომელსაც მხარი დაუჭირა ბერძნის იმპერატორმა ანდრონიკე მეორემ\*.

ამ სხვა და სხვა განსაცდელის შემდეგ, მყუდრო ხანა დაუდგა წმიდა-ჯვრის საგანეს, რომელმაც ნეფების, თავადების და საეროთა მორწმუნე ხალხის შემოწირულობის წყალობით შეიძინა საქართველოში ბევრი უძრავი მამული და ნეტოქი\*\*. ან მამულების

\* *Chr. Papatopoullos, op. cit., p. 37*

\*\* ნეტოქი=სახლი, ეკლესია ან სხვა რამ შენობა დაწოკიკებულ დედა საგანებზე. შ. ვ.

წარმოებისათვის საქართველოში განგეთ დანიშნული იყო ეგზარხო-  
სი, რომელსაც ჯვარის-ნამას ეძახდენ\*. სამწუხაროდ ქართველმა  
მა იერუსალიმშიც კი გადაიტანეს თავიანთი შინაური უთანხმოება:  
ხშირათ ერთ და იმავე დროს წმიდა-ჯვრის უფროსად ორი პიროვნე-  
ბა იყო, ერთი ზემოსი და მეორე ქვემო საქართველოს ბერებისათ-  
ვის. ეს რა საკვირველია, წესიერების და მსვილობის განმტკიცე-  
ბას ხელს არ უწყობდა სრულებით\*\*. ამისდა მიუხედავად ამ ხანა-  
ში და განსაკუთრებით კი მე-XIV საუკუნეში უმწვერვალეს ხარის-  
ხამდე მიაღწია ქართველების გავლენამ პალესტინაში. წმიდა-ჯვრის  
საგანის მამულების რიცხვი მატულობს, მის მახლობელ სოცელ „მალ-  
ჰაში“ დაბინავებული ქართველი ახალშენები ხნავენ და სთესვენ  
მიდამო ადგილებს. ურცხვი მწერლები და მთარგმნელები ამდიდრე-  
ბენ ეროვნულ ლიტერატურას\*\*\*. ეცვ გარეშეა ეს საგანე უტყუარი  
კერაა პალესტინის დაწესებულებათა.

გარეგნული შეხედულებით ის ციხე-კოშკს მიაგავს, გარს  
არტყია ძლიერი გალავანი, რომლის სისქეში დატანებულია დაბალი  
რკინის კარი და პატარ-პატარა მოაჯირიანი სარკმლები. მთელი

• Tsagarelli. Souvenirs de l'antiquite georgienne  
en Terre Sainte et au Mont Sinai (en russe). Saint-  
Petersbourg, 1888, p. 57, 68.

\*\* Chr. Papadopoulos, op. cit., p. 30.

\*\*\* იერუსალიმში ბერძნის საპატრიარხო სიბილიოთეკა დღესაც  
შეიცავს 147 ქართულ ძველ ხელნაწერს; ამ წიგნების სია განო-  
ქვეყნებულია ცაგარელის მიერ. Cf. Pravoslavion Palestin-  
skii Sbornik. Saint-Petersbourg, 1883, t. iv, p. 144-191.



შენობის შუა ნაწილი ეკლესიას უჭირავს; ამის გარშემო ნიჟრის მიშენებულა მრავალი სენაკი, სამას სამოცდა ხუთიო, ამბროზე მე-**XVI** საუკუნის დასაწყისის ერთი მლოცველი\*, ოთხასამდეო, ამბოზს სხვა მლოცველი, რომელიც ასი წლის შემდეგ ყოვილა წმიდა-ჯვრის სავანეში\*\*.

ის საერთო დაცემა, რომელსაც მე-**XV** საუკუნის დასასრულიდან ქართველების ყველა დაწესებულება განიცდიდა, წმიდა-ჯვრის სავანესაც ეწია; აქ უკვე მარტო ქართველი ბერები აღარ ცხოვრობდენ, რადგან ამ ხანის შემდეგ თითქმის ყოველთვის ბერძენსაც ვხვდებით. ხოლო მე-**XVI** საუკუნეში სომხები, ნესტორიანები და იაკობიტელებიც ემატებიან\*\*\*. ამ დაცემის ერთი დამახასიათებელი ნიშანი შემდეგი იყო: წმიდა-ჯვრის ეკლესიაში ისე როგორც სხვა ქართულ სავანეებშია უამ-კანონი და თვით წმ. წირვა ჩვეულებრივ ბერძნულად წარმოებდა და იშვიათად ეროვნულ ენაზე.

არაბები ქართველ ბერების სისუსტით სარგებლობდენ და ხშირად აწუხებდენ და ავიწროებდენ მათ. ხან ეკლესიის ნიქრითად გადაკეთებას ემუქრებოდენ ბერებს ვითომ იმ მიზნით რომ ძველად ასე მოქცეულიყვნენ როდესაც ერთხელ კიდევ ჩამოერთმიათ მათთვის სავანე\*\*\*\*. ხან ამ სავანის მიდამოებში დასახლებულ გლეხებთან ნოსდიოდათ უსიამოვნება და ჩხუბი იმ ყანებზე, რომლებსაც

\* Ρορροδορρουλος-Κέραιος, Τρία ανώνυμα Προσκυνητήρια τῆς ὑπ' ἑκατονταετηρίδος. Saint-Petersbourg, 1896, p. 26-27.  
 \*\* Tobler, op. cit., t. II, p. 740.  
 \*\*\* Ch. Ρορροδορρουλος, op. cit., p. 33  
 \*\*\*\* A. Ρορροδορρουλος-Κέραιος, Ανέλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς Σταχυολοχίας, t. IV, p. 469.

სადავოდ ხდიდენ, ანუ დაბღის გამო რომელსაც ვერ დებულობდენ\*

ქართველები კი ცდილობდენ როგორმე წილში გამარჯვდით-  
ენენ და თავიდან აეშორებიათ მოსპობის განსაცდელი, რომელიც ასე  
სასწრაფოდ მოედო მათ. 1643 წელში ნიკიფორე ილუმენმა განაახლა  
ეკლესია მეფე ლევან ჯაფარიანის შემოწირულობითა და დახმარებით  
მაშინდელი მხატვრობა აღეცანდღამდე დატულია\*\*\*. სამი წლის შემ-  
დგე, 1646 წელში, იმანვე ილუმენმა სავანის ზოგიერთი ნაწილების  
განახლება დაიწყო, მაგრამ მისი დამთავრება სულთან იბრაჰიმის  
განკარგულებით შეჩერებულ იქნა სანამ არ გადხდოდა დაგვიანე-  
ბულ დაღასა და სახლის ცალებს\*\*\*.

ნიკიფორის მოადგილეებმა არ წაჰბაძეს მის ფრთხილ მარ-  
თველობას; განსაკუთრებით გაბრძელ ილუმენმა და ნელეკმა თითქ-  
მის განზრახ სულ უმიზნოდ და დაუწყებლად უზომო ცალებში ჩაფ-  
ლეს წმიდა-ჯვრის სავანე. ამ გაჭირვებულ მდგომარეობის გამოსა-  
სწორებლად უხვი შემოწირულობა გაგზავნილ იქნა საქართველოდან,  
მაგრამ დანიშნულებამდე ვერ მიაღწია, ან წამდებლების უსინდი-  
ლობისა ან და მეტობრეთა მტაცებლობის გამო\*\*\*\*.

ქართველების ფინანსიურ გაჭირვებით სონებებს უძღოდათ  
ესარგებლათ და შეესყიდათ წმიდა-ჯვრის სავანე, მაგრამ მიზანს  
ვერ მიაღწიეს. ბერძნის პატრიარხმა ლოსიტენი, 1685 წლის აპრილ-  
ში, გაიმარჯვა მათზე და შეიძინა ქართველების მთელი ქონება,  
რომელზედაც დიდი ბანია გული უთქვამდა. ამანვე დროს მან გამო-

• Chr. Papadopoulos, op. cit., p. 35.  
•• Chr. Papadopoulos, op. cit., p. 40-42.  
••• A. Papadopoulos-Kérameus, op. cit., t. IV, p. 470.  
••• Chr. Papadopoulos, op. cit., p. 44.



სცა მკაცრი წესები, რათა სავანე ხელნეორეთ აღარ ჩავარდნენ. ყო ვალებში და აგრეთვე ბერების ზნეობრივი ღირსებაც დაცული ყოფილიყო\*. მაგრამ თავისუფალ ცხოვრებას დაჩვეულმა ქართველებმა ყურადღება არ მიაქციეს პატრიარქის განკარგულებას და თავიანთი ურჩობით ხშირად მიაყენეს მას უსიამოვნება. ამის შემდეგ, თავის-თავად ცხადია, სავანის მართველობა ჩამოერთვა მათ და გადაეცა ბერძნებს, თუმცა ზოგიერთი უფლება დაუტოვა პატრიარქმა, სხვათა შორის, თვეში ერთ გზის თავიანთ ეროვნულ ენაზე წირვის შესრულება და სავანის ილუმინად გახდომა. ცნობილია მხოლოდ ორი ქართველი ბერი, რომელთაც მიიღეს ეს თანამდებობა: ქრისტეჟორე, მე-XVII საუკ. დასასრულს და გერასიმე I84I-ში. წმიდა-ჯვრის სავანესთან ერთად ქართველების ყველა საკუთრება საბოლოოდ გადავიდა ბერძნების ხელში.

ამ სავანის ახლოს, რომელზედაც ჩვენ ვილაპარაკეთ, არის სხვა დაწესებულება, კატამონის ანუ კატამონასის სავანედ წოდებული; ღღეს ეს იერუსალიმის ბერძნის პატრიარქის საზაფხულო სახლად არის გადაქცეული. საერთოდ მიღებულია, რომ ეს შენობა ეკუთვნოდა მოხუც წმიდა სიმეონსა, რომელზედაც ლაპარაკობს მახარებელი წმ. დავა (II, 25). ამბობენ, ციოთმ საქართველოს მეფე ვახტანგს II77 წელში შეესყიდოს ეს ადგილი და აღეშენოს სავანე თავის ქვეშევრდომ ქართველ ბერებისათვის. ეს კი მაინც ცხადია, რომ საშუალო საუკუნეში ხსენებული სავანეც ქართველების ხელში იყო. ფრა სურთანო გვიმტკიცებს ამის სინამდვილეს და დასძენს, რომ ქართველები იძულებული გახდნენ მიეტოვებიათ კატამონის სავანე მე-XVI საუკუნეში, რადგან I5I5 - I524 წლამდე, ბელჯინგ-

\* Chr. Papadopoulos, op. cit., p. 57.

ნა ცხრამეტი მათგანი დახოცეს\*. კატაპონი, როგორც მოჩანს, წმიდა-ჯვრის საცანეს ექვემდებარებოდა, და ამითან ერთად დავიდა ბერძნების ხელში. 1859 წელს წმიდა საულავის ბერმა აბრაამმა ქართული წარწერები აღმოაჩინა ხსენებულ კატაპონის საცანეში\*.

IV. ქართველების მოსპობა იერუსალიმში.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ 1640 - 1642 წელში, გოლგოთის საწილცველოს მომვლელი ქართველი ბერები იძულებული გახდნენ ბერძნებისათვის დაეთმოთ თავიანთი ადგილი და გადასულყვნენ წმიდა-ჯვრის საცანეში, სადაც ორმოციოდე წელიწადი დაჰყვეს. საუბედუროდ წარსულმა მწარე გამოცდილებამ მაინც გონებაში ცერ ჩააგდო იგინი. როდესაც 1685 წელში, დოსითე პატრიარქმა წმიდა-ჯვრისა და სხვა დანარჩენი ქართული საცანეები დაისაკუთრა, მაშინვე ზომები მიიღო მან და მათი მკვიდრი მცხოვრებნი ბერძნის სხვა და სხვა დაწესებულებებში დაჰყვანტა, რათა ერთიან მოესპო ის მცირედი გავლენაც რომელიც ქართველ ბერებს კიდევ შეტრენოდათ.

ამ დროიდან მოყოლებული ქართველები ჰკარგავენ ყოველგვარ მნიშვნელობას. ისიც გაძნელებული იყო მათი შემატება რადგან საქართველოდან თითქმის აღარავინ მიდიოდა პალესტინის საცანეებში. ამას დაერთო ისიც, რომ გაბატონებული ბერძნები მათ შესახებაც

• *Fra Suriano, op. cit., p. 132.*  
•• *Palostine exploration Fund. Quarterly Statement, octobre, 1911, p. 185.*

იმ დონისძიებას დებულბდენ რომელსაც უძველეს დროიდან ჰქონდა და ადგილი პალესტინის მარტლმადიდებელ არაბებისადმი; ეს იყო უცხო ტონის ბერთა სისტემამტიური მოშორება თავიანთ სავანებში-დან. ქართველი ბერები საბოლოოდ მოისპენ ცგონებთ მე-XVIII სა-უკუნის განმავლობაში, თუმცა ნე-XIX საუკ. ვხედავთ რავდენსა-მეს; მაგრამ ეს უკვე განონაკლისს შეადგენს.

ესრედ ამავმა ქართველმა ხალხმა თერთმეტ დაწესებულები-დან იერუსალიმსა და მის მიჯამოებში რომ ჰქონდა ოდესღაც, სა-ბოლოოდ ერთი ცერ გადაარჩინა დაღუპვისაგან. მისი უძველესი ღირსებისა და გაცლენის ხსოვნა სხვა ურივ აღარ არსებობს პალ-ესტინაში, თუ არა ბერძნის საპატრიარქო წიგნთსაცავის ხელნა-წერებში, სხვა და სხვა ძვირუას წარწერებსა და ნბატვრობაში იმ დროიდან რომ დაშთენილია. აჯამიანის შურნა, მტრობამ და დროთა ვითარებამ დღემლის კიდეც ცერ შესძლო მათი ამოუხვრა სრულიად. დღეს კი იერუსალიმს მისული ქართველები შობის და ად-ღგონის დღესასწაულებში, უცხო ტონის საზოგადოებებს სთხოვენ . სტუმრობას და ბინავდებიან სონხების წმიდა-იაკობის სავანეში, ანუ რუსების სხვა და სხვა დაწესებულებებში.

როდესაც 1841-ში პალესტინის რუსის მისია ნივიჯა იე-რუსალიმს, სულ უნახოვოდ შეეცადა ჯერედ წილია-ჯვრისა და მემ-რე წმიდა-აბრაამის და წმიდათა-თეოდორეთა სავანების დაპატ-რონებას. რუსები თავიანთ თავს ქართველების კანონიერ მენეციი-რეებათ აღიარებდენ, რადგან სამოციოდუ წლის წინეთ ამათი ეროვ-ნული ეკლესია პეტერბურგის წმიდა-სინოდისათვის დაექვემდებარე-ბით. დღესაც კიდეც ამავც საბუთით სხოულობენ წირვის ბესრულე-ბის უჯლებას წმიდა საულავზე და სხვა საკურთხეველებში. მიზანს მიაღწევს თუ არა მათი ნოთხოვნილება, ანას ნონავალი გვიჩვენებს.

შ ი ნ ა ა რ ს ი

|  |     |
|--|-----|
| 1. <u>ციქტორ. რუხილაძე</u> , რელიგია და ისტორიული კვლევა . . . . .   | 3   |
| 2. <u>ციქტორ რუხილაძე</u> , ღმერთი, ადამიანი და სულიერი სამყარო<br>წმ. მარტოშაფიფებლური რწმენის მოძღვრე-<br>ბის მიხედვით . . . . .   | 57  |
| 3. <u>გივი მადლუარი</u> , გალობანი სინანულიანი . . . . .   | 100 |
| 4. <u>ო. შავციანიძე</u> , მატრიაპოლიტი ნაომი . . . . .   | 123 |
| 5. <u>ვასილ ჩაჩანიძე</u> , ზოგიერთი რამ. იტალიაში დაცული ქართული<br>კულტურის ძეგლების შესახებ (თარგმნა<br>მ. ცარაზაშვილმა) . . . . . | 134 |
| 6. <u>ვახტანგ გურგენიძე</u> , არაბობა საქართველოში და ქრისტიანო-<br>ბისაღმთს წამებულნი . . . . .                                     | 140 |
| 7. <u>ვახტანგ გურგენიძე</u> , ჟამი ავბედობისა და წამება შაღვა<br>ახალციხელისა და ათბეგრთა (ასი ათას)<br>ქართველთა . . . . .          | 176 |
| 8. <u>ვახტანგ წუნდელი</u> , დავით აღმაშენებელი . . . . .   | 189 |
| 9. <u>რენე შანენი</u> , ქართველები იერუსალიმში (თარგმნა შ. ცარ-<br>აძემი) . . . . .  | 213 |

F 834

1984

